

ვ. ძიძიგური, ვ. ღვებურია, უ. იაშვილი

# რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობის ორგანიზაცია და მეთოდები

(მასწავლებელთა დასახმარებლად)

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
დაავალებით პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნი-  
ერო-საკვლევმა ინსტიტუტმა დაამუშავა წინამდებ-  
არე მეთოდური წერილების კრებული რამდენიმე  
კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა  
დასასმარებლად. კრებულში, გარდა პრაქტიკოს  
მასწავლებელთა გამოცდილების გათვალისწინებისა,  
გამოყენებულია ამ საკითხზე არსებული ლიტერა-  
ტურა.

წარმოდგენილი სახით კრებულს სისრულის  
პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს.

რამდენიმე კლასთან ერთდროულად მომუშავე  
მასწავლებელთა და სხვათა შენიშვნებისა და წინა-  
დადებებს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი  
(თბილისი, ჯავახიშვილის ქ., № 1) გაითვალისწინებს  
თავის შემდგომ მუშაობაში.

## რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობის ზოგადი პრინციპები

ორკომპლექტიანი დაწყებითი სკოლა. იმ დაწყებით სკოლას, რომლის ოთხივე კლასს მოსწავლეთა მცირერიცხოვნობის გამო მხოლოდ ორი მასწავლებელი ჰყავს და რომელაც ორ ფინანსურ კლასად ითვლება, ორკომპლექტიან სკოლას უწოდებენ; ორკომპლექტიანი სკოლის მასწავლებლები ერთდროულად ორ კლასს ასწავლიან.

ერთკომპლექტიანი დაწყებითი სკოლა. შეიძლება ითქვას, იშვიათად, მაგრამ აქა-იქ მაინც გვხვდება ჩვენში ისეთი პატარა დაწყებითი სკოლა, რომლის მოსწავლეთა საერთო რიცხვი ყველა კლასში, ერთად აღებული, ოცს არ აღემატება (თითოეულ კლასში დიდი-დიდი 4—5 მოწაფეა). ასეთ მეტად მცირერიცხოვან სკოლას მარტო ერთი მასწავლებელი ჰყავს, მთელი სკოლა ერთ ფინანსურ კლასად ითვლება, ამიტომ მას ერთკომპლექტიან სკოლას უწოდებენ.

ორ და მეტ კლასთან ერთდროული მეცადინეობა ჩვენში გამოწვეულია სკოლის მიკრორაიონში სასკოლო ასაკის ბავშვთა მცირე რაოდენობით, კლასის სათანადოდ დაუტვირთაობით. ამასთან ცნობილია, რომ ყველა სასკოლო ასაკის ბავშვი სკოლაში უნდა სწავლობდეს, ამას მოითხოვს საყოველთაო სავალდებულო სწავლების სახელმწიფო კანონი. ამიტომ მცირერიცხოვან დასახლებულ პუნქტებში დაწყებითი სკოლა ორკომპლექტიანია (იშვიათად — ერთკომპლექტიანი), ე. ი. ერთი მასწავლებელი ერთდროულად ამეცადინებს რამდენიმე კლასს, რადგან აქ მოსწავლეთა რაოდენობა ვაცილებით ნაკლებია, ვიდრე სრულკომპლექტიან დაწყებით სკოლაში.

რამდენიმე კლასთან ერთდროულად მეცადინეობას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ცნობილია, რომ ძველად ევრეთწოდებული შინამასწავლებლები ერთ ოთახში სხვადასხვა ასაკისა და ცოდნის რამდენიმე ბავშვს ერთდროულად ამეცადინებდნენ. ცარიზმის დროს, როცა სახალხო სკოლების რიცხვი მცირე იყო, ერთკლასიანი სასწავლებლის სამ განყოფილებას, როგორც წესი, ერთი მასწავლებელი ასწავლიდა ერთდროულად; ხოლო ორკლასიანი სასწავლებლის ხუთ განყოფილებას ორ მასწავლებელი ჰყავდა.

დღესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მეცადინეობა ფართოდაა გავრცელებული; იქ ასეთი სკოლების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება განათლების დარგში ბიუჯეტის თანდათან შემცირების გამო. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ 1933 წლის დასაწყისისათვის ერთკომპლექტიანი სკოლების რიცხვი 150 000-ს აღწევდა.<sup>1</sup>

ჩვენში პრინციპულად განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე „სახალხო განათლების საქმისადმი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ყურადღების შედეგად უმაგალითოდ გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი, ახლა ჩვენში დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებით მოფენილია არა მხოლოდ ყოველი ქალაქი, რაიონული ცენტრი თუ სოფელი, არამედ სათანადო სკოლები გახსნილია ყოველ მცირე დასახლებულ პუნქტსა და გეოგრაფიულად განცალკევებულ თითოეულ კუთხეში, სადაც ყველა პირობაა შექმნილად უკლებლივ ყველა ბავშვისა და მოზარდის სწავლებაში ჩაბმისა და მათ მიერ მეცნიერებათა საფუძვლების ღრმად დაუფლებისათვის.

მოსახლეობასთან სკოლების დაახლოებისა და საყოველთაო სავალდებულო სწავლების სტალინური კანონის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკებში, ისე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, გახსნილია სკოლები, სადაც, მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო, შემოღებულია ორ და მეტ კლასთან ერთდროული მეცადინეობა“.<sup>2</sup>

ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მუშაობის თავისებურებანი. ორ (და ზოგჯერ სამ, ოთხ) კლასთან ერთდროულად მეცადინეობა უხდებათ მცირეკონტინგენტიან სკოლებს. ასეთ პირობებში მუშაობა ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რომელთა ცოდნა მასწავლებლისათვის აუცილებელია. ამ თავისებურებათა გათვალისწინება დაეხმარება მასწავლებელს რამდენიმე კლასთან ერთდროულად მეცადინეობის მაღალნაყოფიერად წარმართვაში.

ცნობილია, რომ ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობა უფრო მწელია, ვიდრე ერთ კლასთან. სიძნელე, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ორ კლასთან მუშაობის პირობებში მასწავლებელს თითოეულ კლასთან უშუალო მეცადინეობა უხდება აკადემიური საათის მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში. ამის გამო მოსწავლეებმა გაკვეთილზე დამოუკიდებლად მეტი უნდა იმუშაონ, ვიდრე ერთ კლას-

<sup>1</sup> იბ. Петрова В., Работа одного учителя с несколькими классами в массовых школах за границей. (Жур. „Начальная школа“, 1934 г., № 6).

<sup>2</sup> გახ. „სახალხო განათლება“, 1952 წ. 2 იანვარი, № 1 (1165).

თან მეცადინეობის დროს, ამასთან აღსანიშნავია, რომ ერთდროულად მომეცადინე კლასებში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა, რაც, თავის მხრივ, ერთდროულად სწავლების დამახასიათებელ სიძნელეთა დაძლევის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს.

მასწავლებლის მომზადება, მისი პედაგოგიური აღლო, დამოუკიდებელი სამუშაოს დაკვირვებულად შერჩევა, გაკვეთილის სწორი ორგანიზაცია, ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის მეთოდებისა და ხერხების საფუძვლიანი დაუფლება და სწავლებაში გამოყენება, — აი ის, რაც უზრუნველყოფს წარმატებით მეცადინეობას ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში.

ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის უმთავრესი მოთხოვნა ის არის, რომ ორივე კლასი სრული დატვირთვით მუშაობდეს, რომ გაკვეთილის არც ერთი წუთი უნაყოფოდ არ იკარგებოდეს. ამ სიძნელის გადალახვა ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ორ კლასთან მეცადინეობის დროს. მხოლოდ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების მალაღმარისხოვნად და დროულად გავლას. ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელი ისე უნდა იყოს დახელოვნებული, რომ მან არა მარტო მიზანშეწონილად შეურჩიოს კლასებს პროგრამიდან სათანადო მასალა, არამედ ამ მასალაზე ბავშვების დამოუკიდებლად მუშაობის დროსაც უყურადღებოდ არ დატოვოს ეს კლასი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ამ დროს უშუალოდ მეორე კლასს ამეცადინებს.

ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის პირობებშიაც გაკვეთილი ყოველ საგანში 45 წუთს გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში მონაცვლეობით წარმოებს კლასის დამოუკიდებელი და მასწავლებლის უშუალო მუშაობა. იმის გამო, რომ შეუძლებელია ერთსა და იმავე წუთში ორი სხვადასხვა ასაკისა და მომზადების ბავშვებს სხვადასხვა რაიმეს უშუალოდ ვასწავლიდეთ, ერთ კლასს ეძლევა საწერი, სახატავი, გამოსაანგარიშებელი ან სხვა ისეთი სახის დავალება, რომელიც მოსწავლეებმა დაპოუციდებლად უნდა შეასრულონ, ხოლო მეორე კლასს მასწავლებელი უშუალოდ ამეცადინებს. ამგვარად, მუშაობის პირობებშიც მეცადინეობის ხარისხი (გაკვეთილის გადაცემა, მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეთვისების დონე და სხვ.) უნაკლო უნდა იყოს როგორც ერთ, ისე მეორე კლასთან.

შემდეგი, აგრეთვე ანგარიშგასაწევი სიძნელე ის არის, რომ ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის დროს მასწავლებელმა თითოეულ კლასს არა მარტო სხვადასხვა შინაარსის მასალა უნდა მიაწოდოს, აუხსნას, ასწავლოს, არამედ (რაც უურო ძნელია) თითოეულ მათგანს „თავისებურ ენაზე“ უნდა ელაპარაკოს, თავისებურად მიუდგეს. განსაკუთრებული, თავისებური მიდგომა სჭირდებათ, მაგალითად, შვიდწლიან ბავშვებს (პირველკლასელებს): ისინი ჯერ კიდევ ერთობ პატარები არიან; მათი ლექ-

სიკონი მეტად განსაზღვრულია, ღარიბია; სკოლაში ყოფნის მცირე პრაქტიკა აქვთ. ამიტომ მათ სულ „სხვა ენა“ და სხვა მიდგომა სჭირდებათ, ვიდრე, მაგალითად, მესამეკლასელებს, რომლებიც მათ გვერდით სხედან, ერთ ოთახში მეცადინეობენ და რომლებმაც სკოლის წესები იციან, რადგან უკვე „დიდები“ არიან, გარკვეული ჩვევებიც კი აქვთ გამომუშავებული. და მათი ენაც შედარებით გამართულია, ლექსიკონი მდიდარი. მაშასადამე, ამ ორი განსხვავებული ასაკისა და მომზადების ბავშვებს ერთდროულად მეცადინეობის დროს მასწავლებელი ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში სხვადასხვაგვარად უნდა მიუღდეს არა მარტო ვადასაცემი მასალის მიხედვით, არამედ ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინების მხრივაც.

ამას უნდა დაეუმატოთ ისიც, რომ ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელი არა მარტო კარგად უნდა ფლობდეს იმ საგნებს, რომლებსაც ასწავლის დაწყებით სკოლაში, და არა მარტო ზედმიწევნით უნდა იცოდეს მათი სწავლების მეთოდები ნორმალურად (ერთ კლასთან) მუშაობის პირობებში, არამედ აგრეთვე კარგად უნდა ერკვეოდეს ორკომპლექტიანი სკოლის მუშაობის ისეთ „წვრილმანებშიც“, როგორიცაა, მაგალითად, იმის ცოდნა, თუ რომელი მომენტის ამოღება შეიძლება და რა ახალი მომენტის ჩამატებაა საჭირო ჩვეულებრივი გაკვეთილის გეგმაში ორი კლასის ერთდროულად სწავლების პირობებში, ანდა კიდევ, სწავლების ამა თუ იმ მომენტის როგორი გადაადგილებაა დასაშვები გაკვეთილის გეგმებში ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის დროს.

ორკომპლექტიანი სკოლის მასწავლებელს დიდი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი. მან ერთდროული მეცადინეობით უნდა მოაწადოს ორი კლასი, თითოეულ კლასს უნდა მისცეს პროგრამებით გათვალისწინებული ცოდნა და გამოუმუშაოს გარკვეული ჩვევები, სწორედ ისეთი, როგორსაც მოსწავლეები ღებულობენ ერთკლასთან მეცადინეობის პირობებში. ამიტომ არის, რომ თუ ერთი კლასის მასწავლებელს ყოველ ორმოცდახუთწუთიან გაკვეთილზე თითოჯერ სჭირდება გაუსინჯოს კლასს საშინაო დავალების შესრულება, წინა გაკვეთილის გამოკითხვა, ახალი მასალის ახსნა, ახლად ახსნილის იქვე განმტკიცება და, ბოლოს, დავალების მიცემა, — ორკომპლექტიანი სკოლის მასწავლებელს დროის გაუდიდებლად, ორმოცდახუთწუთიან გაკვეთილზე, ორ-ორჯერ (რადგან ორი კლასი ჰყავს) სჭირდება საშინაო დავალებათა შესრულების შემოწმება, წინა გაკვეთილის გამოკითხვა, ახალი მასალის ახსნა, ახსნილის იქვე განმტკიცება და, შემდეგ, საშინაო დავალებათა მიცემა. აი ეს ორმაგი სამუშაო მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს ერთ ოთახში, დროის გაუდიდებლად, ორი სხვადასხვა ასაკისა და მომზადების ბავშვებთან, ორივე კლასში საჭირო დისციპლინის დაცვისა და ბავშვების გულისყურის სრული მობილიზაციის პირობებში.

როგორც ვხედავთ, ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში საკმაოდ სერიოზული დაბრკოლებები არსებობს. მაგრამ ორკომპლექტიან სკოლაში საჭირო ორგანიზაციული და მეთოდური ხასიათის საკითხების მართებულად გადაკრა, მოსწავლეთა მცირერიცხოვნობა, სწავლების მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა, კლასების მიზანშეწონილად დაწყვილება, დაპოუიდეზლად შესასრულებელი სამუშაო თემებისა და სახეების შერჩევა, პედაგოგიურად გამართული და კარგად გააზრებული გაკვეთილების ჩატარება, სწორად შედგენილი გეგმები და კონსპექტები, სამეცადინო კლასის სათანადო მოწყობა, საჭირო სახელმძღვანელო წიგნებით, სასწავლო ნივთებითა და დიდაქტიკური მასალებით მომარაგება, მასწავლებლის კეთილსინდისიერი მომზადება ყოველი გაკვეთილისათვის, მოსწავლეთა მაღალი და შეგნებული დისციპლინა და სხვ. წარკობადგენს იმის პირობას, რომ წარმატებით იქნეს დაძლეული რამდენიმე კლასთან ერთდროულად მეცადინეობის დამახასიათებელი სიძნელენი.

ამასთან უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ, როგორც პრაქტიკა გვიდასტურებს, ბავშვები ასე თუ ისე სწრაფად ეგუებიან ერთ ოთახში ორი კლასის ერთდროულად მუშაობას და, რაც მთავარია, მათი ყურადღება, მუშაობის სწორი ორგანიზაციის პირობებში არ იფანტება, ან ნაკლებად იფანტება.

ამასთან ცნობილია, რომ ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის პირობებში საქმის მცოდნე მასწავლებლები საესებით ნორჩალურად ასრულებენ სასწავლო პროგრამებს და მოსწავლეთა კარგ წარმატებას აღწევენ. მათი გამოცდილების შესწავლისა და არსებული მეთოდური ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე ამ კრებულში განხილულია რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობის ძირითადი ორგანიზაციული და მეთოდურ-პედაგოგიური საკითხები.

ორ კლასთან ერთდროული მუშაობის ძირითადი ფორმები. როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებშიც საესებით შესაძლებელია ბავშვთა სწავლა-აღზრდის იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც ჩვეულებრივი სასკოლო მუშაობის პირობებში წარმატებით წყდება.

მოსწავლეთა მცირერიცხოვნობა ერთგვარად აადვილებს ორ კლასთან ერთდროულად მუშაობას; მასწავლებელს შეუძლია ჩქარა გაასწოროს რვეულები, ყოველდღიურად გამოჰკითხოს ყველა მოსწავლეს და ა. შ. მოსწავლეთა მცირერიცხოვნობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს ძალიან კარგად იცოდეს ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური მიდრეკილებანი და მეტი ყურადღება მიჰქციოს თითოეულ მათგანს.

მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის. მთავარია ორგანიზაციული და მეთოდური ხასიათის საკითხების ისე სწორად გადაკრა, რომ ეს საშუალე-

ბას აძლევენ მასწავლებელს ნაყოფიერად ასწავლოს ერთდროულად რამდენიმე კლასს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ორ კლასთან ერთდროული ნაყოფიერი მუშაობა შესაძლებელია, როცა ერთი კლასი. დამოუკიდებლად მუშაობს, მეორე კლასს კი მასწავლებელი უშუალოდ ამეცადინებს. ვთქვათ, მასწავლებელმა, რომელიც ორი კლასის ერთდროულად მუშაობას ხელმძღვანელობს, გაკვეთილის პირველ ნახევარში უფროს კლასს მისცა გადასაწყვეტად ამოცანა, უმცროს კლასთან კი უშუალოდ იმეცადინა; გაკვეთილის მეორე ნახევარში მასწავლებელი პირიქით მოიქცა: უმცროსი კლასის მოსწავლეებს ამოცანა მისცა და დაავალა დამოუკიდებლად მისი გადაწყვეტა, თვითონ კი უფროს კლასთან ჩაატარა მეცადინეობა.

ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის ისეთი ფორმა, როცა ერთი კლასი მიცემულ სამუშაოს დამოუკიდებლად ასრულებს და მასწავლებელი მეორესთან უშუალოდ მეცადინეობს, არის ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის ძირითადი ფორმა.

გარდა ამისა, ვხვდებით აგრეთვე ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის სხვა ფორმებსაც. ერთი ასეთი ფორმაა, მაგალითად, როცა ორივე კლასს მიეცემა დამოუკიდებელი სამუშაო მათი პროგრამების ფარგლებში (ვთქვათ, წერა). ამ დროს მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მოსწავლეთა მუშაობას და საჭირო შემთხვევაში ეხმარება ორივე კლასის თითოეულ მოსწავლეს, აძლევს განმარტებებს, აფრთხილებს მოსალოდნელი შეცდომებისაგან და სხვ. ცხადია, მასწავლებლის ასეთი დახმარება არ შეიძლება მაშინ, როცა კლასებს საკონტროლო სამუშაო აქვთ მიცემული. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი მხოლოდ კონტროლს უნდა უწევდეს მოსწავლეებს.

ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის ეს ფორმა პრაქტიკულად ძალიან იშვიათად გამოიყენება, ვინაიდან ორივე კლასი რომ სულ დამოუკიდებლად ვამუშაოთ, დაგმოზილი ბრიჯადულ-ლაბორატორიული მეთოდის მიღებამდე მივიდოდით, რადგან მოუხერხებელი იქნებოდა ახალი მასალის ახსნა, მოსწავლეთა სისტემატური გამოკითხვა, ზეპირი მეტყველების განვითარება და სხვ.

ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის მეორე, აგრეთვე ნაკლებად მისაღებ და იშვიათად გამოიყენებულ ფორმასთან გვაქვს საქმე, როცა მასწავლებელი ორივე კლასთან ერთდროულად ატარებს ზეპირ მეცადინეობას. ასეთ შემთხვევაში იგი ერთ კლასს დაუსვამს კითხვას და პასუხისათვის აძლევს მოფიქრების საშუალებას. ვიდრე კლასი პასუხს მოიფიქრებდეს, მასწავლებელი მეორე კლასისაგან ისმენს მისთვის დასმული კითხვის პასუხს. ასეთი ჯვარედინი კითხვებით მასწავლებელი ამუშავებს თითოეული კლასის მასალას ორივე კლასთან ერთდროულად.

ჯვარედინი კითხვებით ორ კლასთან მეცადინეობის ეს ფორმა, იმ



შემთხვევაშიც კი, როცა მას ატარებს დახელოვნებული მასწავლებელი, ხშირად კარგ შედეგს ვერ იძლევა. ანგარიშგასაწევეია ისიც, რომ ჯვარედინი კითხვებით შეიძლება მხოლოდ გავილი მასალის გამოკითხვა, ზოგჯერ ახალ მასალაზე გადასასვლელად კლასის მომზადებაც; მაგრამ ამ ხერხით ახალი მასალის მიწოდება, ბავშვებისათვის მტკიცე ცოდნის მიცემა და მასწავლებლის თბრობა გამორიცხულია. ამიტომ, როგორც ზევით ვთქვით, ორ კლასთან ერთდროულად ჯვარედინი კითხვებით მეცადინეობის უფრომა ნაკლებად მისაღები და იშვიათად გამოსაყენებელია.

სწავლების მეთოდები და ხერხები. სწავლების მეთოდები და ხერხები ორკომპლექტიან დაწყებით სკოლაში ძირითადად იგივეა, რაც ჩვეულებრივ დაწყებით სკოლაში, ე. ი. ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში მასწავლებელმა იგივე მეთოდები და ხერხები უნდა გამოიყენოს, რასაც ერთ კლასთან მეცადინეობის დროს იყენებენ.

შესასწავლი მასალა ყველა კლასსა და საგანში ორ კლასთან მეცადინეობის დროს იმავე ხერხებითა და მეთოდებით უნდა დამუშავდეს, რომელთაც ერთ კლასთან მუშაობის დროს იყენებენ. ვთქვათ, მასწავლებელმა ერთ კლასს დამოუკიდებელი სამუშაო მისცა არითმეტიკაში, მეორე კლასთან კი გაკვეთილი აქვს ქართულ ენაში და ხსნის რომელიმე ახალ ლექსს ან მოთხრობას. ამ მასალის დამუშავებისათვის საჭირო იქნება: ძველი მასალის გამოკითხვა და ახალ მასალასთან მისი დაკავშირება. წინასწარი საუბარი, მასწავლებლის მიერ ახალი მასალის მხატვრული წაკითხვა, ჩუმი კითხვა, ხმამაღალი კითხვა, მასალის ნაწილებად დაყოფა, თითოეული ნაწილის მასალობრივი და ლოგიკური გარჩევა, მთლიანი კითხვა, კატეხიზაცია, შინაარსის თხრობა, ინსცენირება, დასურათება-გათვალსაზიროება და, საერთოდ, ყველა ის ხერხი, რომელთაც ამ მასალის დამუშავებისათვის გამოიყენებდა მასწავლებელი ერთ კლასთან მეცადინეობის დროს.

„სწავლების მეთოდების მხრივ ის განსხვავებაა, რომ ერთკომპლექტიან და ორკომპლექტიან სკოლებში მოსწავლეებს უფრო მეტი რაოდენობით უნდა მიეცეს დამოუკიდებელი სამუშაო, ვიდრე იმ სკოლებში, სადაც ყოველ კლასს თავისი მასწავლებელი ჰყავს. ეს გარემოება თუმცა აძნელებს მუშაობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ძვირფასი ჩვევებისა და ნებისყოფის თვისებათა აღზრდას.

... ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში მასწავლებელი უნდა იცავდეს სწავლების პროცესის საერთო კანონებს, წესებსა და მოთხოვნებს.

... სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის პრინციპები, დიდაქტიკის საფუძვლები და მუშაობის შინაარსი ერთ და ორკომპლექტიან სკოლებში

ისეთივეა, როგორც იმ სკოლებში, სადაც თითო კლასს თითო მასწავლებელი ჰყავს<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ორი კლასისთვის ერთდროულად სწავლების კანონები, წესები და მოთხოვნები ისეთივეა, როგორც იმ სკოლებში, სადაც თითო კლასს თითო მასწავლებელი ასწავლის.

ნაიქვემი უფრო ზუსტი იქნება, თუ დავემატებთ სიტყვას ძირითადად. ცნობილია, რომ ორ კლასთან ერთდროულად მუშაობას თავისი სპეციფიკურობა ახასიათებს. ეს სპეციფიკურობა აძნელებს იმ მოთხოვნათა (მეთოდების დარგში თუ სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის პრინციპებში) შესრულებას, რომლებიც წარედგინება და შედარებით ადვილად შესასრულებელია ერთ კლასთან მუშაობის პირობებში. ამის დამამტკიცებელი ფაქტების დასახელებაც შეიძლება:

ა) ერთ კლასთან მუშაობის დროს ხატვა, ფიზიკური აღზრდა, სიმღერა, როგორც წესი, უკანასკნელ გაკვეთილზე უნდა ისწავლებოდეს (ისწავლება კიდევაც), ხოლო ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში ჩვენ იძულებული ვართ, რომ, მაგალითად, ხატვისა და ფიზიკური მომზადების გაკვეთილი უფრო ადრე იყოს, ვიდრე ქართული თუ რუსული ენისა (ამ ღონისძიებით ქართული ენისა თუ რუსული ენის სწავლებას უკეთესი პირობები ექმნება, რადგან ხატვა და ფიზიკური მომზადება ჩატარდება ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში, ხოლო ქართული თუ რუსული ენა, მართალია, მეხუთე გაკვეთილი იქნება, მაგრამ ერთ კლასთან მუშაობის პირობებში).

ბ) საშინაო დავალების შემოწმება თუ წინა გაკვეთილის გამოკითხვა, როგორც წესი, გაკვეთილის დაწყების წინ ხდება. ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში კი მასწავლებელი ერთ კლასთან იწყებს უშუალო მეცადინეობას, ხოლო მეორე კლასს დამოუკიდებელ სამუშაოს აძლევს. კიდევ მეტი: რომელ კლასთანაც მასწავლებელმა დაიწყო უშუალო მეცადინეობა, მან, შესაძლებელია, არც იქ დაიწყოს გაკვეთილი საშინაო დავალების შემოწმებით და წინა დღის გაკვეთილის გამოკითხვით, არამედ რამდენიმე წუთი დაუთმოს დამოუკიდებლად შესასრულებელ სამუშაოს ახსნა-განმარტებას. ეს ასე მოხდება უთუოდ, თუ ახალი მასალის ახსნა გაკვეთილის პირველ ნახევარში იწარმოებს არა იმ კლასში, რომელთანაც მასწავლებელმა უშუალო მეცადინეობა დაიწყო (დამოუკიდებლად შესასრულებელ სამუშაოს ან ახსნა-განმარტების მისაცემად), არამედ სხვა კლასში. ეს და სხვა გარემოებანი მოითხოვენ, რომ მასწავლებელმა უმკველად ყოველთვის და ყველა კლასში საშინაო დავალების შემოწმებით და წინა გაკვეთილის გამოკითხვით (რაც, რა თქმა უნ-

<sup>1</sup> ბ. პ. ესიპოვი და ნ. კ. გონჩაროვი, პედაგოგიკა, სახელმძღვანელო პედაგოგიური სასწავლებელთათვის. სკზუმი, 1950, გვ. 281.

და, სხვა პირობებში უფრო მიზანშეწონილია) კი არ დაიწყოს ყოველი გაკვეთილი, არამედ საშინაო დავალების შემოწმება თუ წინა გაკვეთილის გამოკითხვა, ვთქვათ, ერთ კლასში მოახდინოს გაკვეთილის დაწყებისთანავე, მეორე კლასში კი — შუა გაკვეთილზე ან გაკვეთილის ბოლოს. ასეთ ხერხს უნდა მიმართოს მასწავლებელმა შემდეგი დღისათვის შესასრულებელი საშინაო დავალების მიცემის დროსაც: ერთ-ერთ კლასს მისცეს საშინაო დავალება შუა გაკვეთილზე ან ადრეც, მეორე კლასს კი — გაკვეთილის მიწურულში და სხვ.

გ) ის გარემოებაც, რომ დამოუკიდებლად შესასრულებელი სამუშაოს დოზირების (მოცულობის) საკითხი სხვადასხვაგვარად დგას ერთ კლასთან მუშაობის დროს და ორ კლასთან მუშაობის პირობებში, მიგვიბრუნებს იმაზე, რომ სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის თუ მეთოდებისა და ხერხების გამოყენებისა და სხვა საქმეში აბსოლუტურად ერთისა და იმავე მოთხოვნების წაყენება რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში და ერთ კლასთან მუშაობის დროს მიზანშეწონილია. აღსანიშნავია ისიც, რომ აქნაჩვენები და სხვა დაუსახელებელი გადახვევა-დამატებანი თუ შესწორებები უფრო ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათისაა, ამიტომ, როცა ვამბობდით, სწავლების მეთოდები და ხერხები ორკომპლექტიან დაწყებით სკოლაში ძირითადად ისეთივეა, როგორც იმ სკოლებში, სადაც თითო კლასს თითო მასწავლებელი ასწავლისო, იგულისხმება, რომ უნდა ვითვალისწინებდეთ ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის თავისებურებას, სპეციფიკურობას და შემოქმედებითად ეუფარდებდეთ სწავლა-აღზრდის ცნობილ წესებსა და მეთოდებს იმ ამოცანების გადაჭრას, რომლებიც ორკომპლექტიანი სკოლის მუშაკების წინაშე დგას.

თუ რა სახის „წვრილმანი“, მაგრამ საქირო და მნიშვნელოვანი ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი გაკვეთილის სტრუქტურაში ამა თუ იმ საგნის სწავლებისას, ეს კონკრეტული ვითარების საქმეა.

ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებლისათვის რთული და ძნელი საქმეა გაკვეთილების გეგმების შედგენა და მათი ჩატარება სხვადასხვა კლასის პროგრამების მისდევით.

ამ წიგნში, სადაც ცალკეული დისციპლინების სწავლების საკითხია განხილული, მოცემულია სათანადო მითითებანი, გეგმები და გადასაცემი გაკვეთილების კონსპექტები, რომლებშიც გათვალისწინებულია ზოგიერთი დეტალი, რაც ახასიათებს ორ და მეტ კლასთან ერთდროულად სწავლებას.

კლასების განაწილება. ორკომპლექტიან სკოლაში დამოუკიდებელი სამუშაოების საკითხის წარმატებით გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გაუუნაწილებთ დაწყებითი სკოლის ოთხ კლასს ორ მასწავლებელს, ე. ი. რომელ კლასებს დავაწყვილებთ ერთდროულად მეცადინეობისათვის.

პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებულია კლასების ასეთი დაწყვილება: I და III ერთად, II და IV ერთად.

რაში მდგომარეობს კლასების ასეთი დაწყვილების უპირატესობა?

უცნობილია, რომ უმცროს კლასებს, ე. ი. I და II კლასებს არა აქვთ ან ნაკლებად აქვთ განვითარებული დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები (განსაკუთრებით სასწავლო წლის დასაწყისში, როცა I კლასს თითქმის არ გააჩნია სკოლაში დამოუკიდებელი მუშაობის პრაქტიკა), უფროსკლასელებს კი, სახელდობრ, III და IV კლასების მოსწავლეებს, დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა შედარებით გამომუშავებული აქვთ. ყოველ შემთხვევაში, უმცროსი კლასების (I—II) შესაძლებლობანი დამოუკიდებლად ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად განსაზღვრულია, მცირეა უფროსი კლასების (III და IV) შესაძლებლობასთან შედარებით.

ასეთი მდგომარეობის გამო, ცხადია, უფრო მიზანშეწონილია უმცროსი კლასის დაწყვილება უფროს კლასთან, რათა პირველ ხანებში უფროსი კლასის დამოუკიდებლად მუშაობის ხარჯზე მეტი დრო დავუთმოს უშუალოდ მეცადინეობას უმცროს კლასში.

გარდა ამისა, უმცროსი კლასების (I და II) დაწყვილება იმიტომაც არ ვარგა, რომ მათი მოსწავლეები მომზადდებიან და ასაკით ბევრად არ განიჩევიან ურთიერთისაგან; მომზადებით ერთმანეთთან ასე ახლო მდგომი კლასების ერთ ოთახში მეცადინეობა იწვევს მათი სასწავლო მასალის ერთგვარ აღრევას, საზღვრების წაშლას და არათავისი მასალის განხილვა-გარჩევაში შეზობელი კლასის მოსწავლეთა მონაწილეობას, სხვის საქმეში ჩარევას, რაც, თავისი მხრივ, იწვევს დისციპლინის დარღვევას და რალაც საშუალო ცოდნა-ჩვევების გამომუშავებას, პროგრამის დაზიანებას, მომიჯნე კლასების მოსწავლეთა ცოდნის თითქმის გაიკვივებას, გათანაბრებას (ამავე მოსაზრებით არ ვარგა აგრეთვე ასეთი დაწყვილება: II და III ერთად, III და IV ერთად).

I—III და II—IV კლასების დაწყვილებას კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ (თუ მასწავლებელმა თავის მოსწავლეებს დაწყებითი სკოლის კურსი თვითონვე უნდა დაასრულებინოს) მასწავლებელი იწყებს მუშაობას I კლასის ბავშვებთან და მიჰყავს ისინი V კლასამდე; პირველ წელს მას ეყოლება I და III კლასები, მომდევნო წელს — II და IV კლასები, მესამე წელს — ისევ I და III კლასები (ეს III კლასი სწორედ ის კლასია, რომელთანაც მან მუშაობა დაიწყო ორი წლის წინათ; შემდეგ წელს კი ეს III კლასი იქნება IV კლასი), ე. ი. ბავშვები ერთსა და იმავე მასწავლებელთან იმუშავებენ ოთხი წლის განმავლობაში. ეს გარემოება ამაღლებს მასწავლებლის პასუხისმგებლობას.

I და II კლასების მასწავლებელს კი, იმისათვის, რომ თავის მოსწავლეებს თვითონვე დაამთავრებინოს კურსი, მეორე წელს უნდა ჰყავდეს II და III კლასები, მესამე წელს — III და IV კლასები, მეოთხე წელს —

IV და I კლასები. მაშასადამე, ის უნდა დაეუფლოს ორკომპლექტიან სკოლაში მუშაობის ოთხ სახეს (ნაცვლად ორი — I-III და II-IV — სახისა); მან უნდა დაძლიოს მეტნაკლები ხასიათისა და სირთულის ოთხი სიძნელე, სახელდობრ: I და II კლასი ერთად, II და III ერთად, III და IV ერთად, IV და I ერთად (ეს უკანასკნელი დაწყვილება — I და IV ერთად — განსაკუთრებით ართულებს მუშაობას: ერთი მხრივ, არის დამოუკიდებელი მუშაობის უნარის თითქმის არმქონე I კლასი, რომელიც, როგორც უმცროსი, სწავლის დამწყები კლასი, ძალიან ბევრ ზრუნვას მოითხოვს, და, მეორე მხრივ, მეტად პასუხსაგები, გამოსაშვები IV კლასი, რომელიც მეტ ყურადღება-მომზადებასა და დიდ მუშაობას მოითხოვს).

როგორც ვხედავთ, ორკომპლექტიან სკოლაში კლასების ასეთი დაწყვილება: I და II, II და III, III და IV, IV და I უფარგისია და დიდ სიძნელებსაც შეიცავს. იმავე დროს სულ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე, როცა ამავე ორკომპლექტიან დაწყებით სკოლაში კლასები ორ მასწავლებელს შორის ასე იქნება განაწილებული: I და III კლასები ერთ მასწავლებელს ჰყავს, II და IV-მეორე მასწავლებელს, შემდეგ წელს კი მათი შენაცვლება ხდება.

კლასების ასეთი (I და III ერთად, II და IV ერთად) დაწყვილება სხვა მხრივაც მისაღებია. ერთი მხრივ, ერთ ოთახში ერთდროულად საშეცადინოდ გვყავს ერთი უმცროსი და ერთი უფროსი კლასი; ეს გარემოება კი, როგორც ვიცით, შესაძლებლობას იძლევა გამოვეყოთ საჭირო დრო უმცროს კლასში დამოუკიდებელი მუშაობის უნარის გამომუშავებისათვის და ცოტა მეტ ხანს ვიმუშაოთ უშუალოდ უმცროს კლასთან, რაც, ბუნებრივია, გამოიწვევს იმას, რომ დამოუკიდებლად მეტ ხანს უნდა ვამუშაოთ უფროსი კლასი. აქ ამოცანა ის არის, რომ უმცროს კლასთან მასწავლებლის უშუალოდ მეცადინეობით არ უნდა დაზიანდეს უფროს კლასთან მასწავლებლის მუშაობა და საბოლოო ჯამში უფროს კლასთან უშუალოდ მუშაობის დრო არ იყოს იმაზე ნაკლები, რამდენსაც მას დამოუკიდებლად ვამუშავებთ. ორ კლასთან ერთდროულად მუშაობა თავისთავად გულისხმობს, რომ ყოველი კლასი (მათ შორის უფროსი კლასიც) სასწავლო დროის ერთ ნახევარს დამოუკიდებლად მუშაობს, მეორე ნახევარს კი — მასწავლებელთან ერთად. ხაზგასასმელია, რომ სწორედ ამ ამოცანის მართებულად გადაწყვეტის უკეთეს შესაძლებლობას იძლევა კლასების ზემომოტანილი დაწყვილება (ერთი უმცროსი და ერთი უფროსი); თუმცა, მართალია, უმცროს-უფროს კლასებთან ერთდროულად მუშაობის დროს მასწავლებელი უშუალოდ უმცროს კლასთან (დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევის დანერგვის მიზნით) მეტ ხანს მუშაობს. კლასების ასეთი დაწყვილება ამ ერთგვარი გადახვევის გამოსწორების საშუალებას იძლევა, რადგან ცნობილია, რომ სასწავლო გეგმით I კლასის კვირეული გაკვეთილების რიცხვია 24, III

კლასისა კი — 27 (განსხვავება 3 საათია ყოველ კვირაში); II კლასში კვირეული გაკვეთილების რიცხვია 24 საათი, IV კლასში — 29 საათი (განსხვავება 5 საათია ყოველ კვირაში). მაშასადამე, მასწავლებელი ერთ კლასთან მუშაობის პირობებში ატარებს ყოველ კვირაში სამ გაკვეთილს III კლასში და ხუთ გაკვეთილს IV კლასში, ასეთი დაწყვილება საშუალებას იძლევა უმცროს კლასში დამოუკიდებელი მუშაობის უნარის გამოქვეყნებისათვის მეტ ხანს იმუშაოს მასწავლებელმა.

მეორე მხრივ, უფროსკლასელები მასწავლებლის ოსტატური, კარგი და გაინიერული ხელმძღვანელობით მისაბაძი ქცევისა და ბეჯითობის მაგალითის მიმცემნი იქნებიან თავიანთი უმცროსი ამხანაგებისათვის, მეტიც, უფროსკლასელებს შეუძლიათ ერთგვარი მზრუნველობა გამოიჩინონ უმცროსების მიმართ: პრაქტიკაში ცნობილია, რომ ასეთ შემთხვევაში უფროსკლასელები (თვითონ პატარები) „უფროსების“ როლში ერთგვარ სიღინჯეს იჩენენ, „დამრიგებლისა“ და მასწავლებლის როლში ევლინებიან თავიანთ უმცროს მეგობრებს (რცხვენიათ კიდევაც, რომ პატარების თანადასწრებით შენიშვნა მიიღონ; ამიტომ კიდევ უფრო მეტად ცდილობენ დისციპლინა აო დაარღვიონ, გაკვეთილებიც უკეთ მოამზადონ); შესვენებებზე „დიდები“ ერთგვარ მზრუნველობას იჩენენ პატარების მიმართ ერთად თამაშისა და გართობის დროს (არ არის გამორიცხული უფროსისაგან უმცროსისათვის შეცდომის გასწორება თუ მცირეოდენი სწავლებაც კი, ვთქვათ, ისე, როგორც ეს ხდება ყოველ ოჯახში, სადაც უმცროს-უფროსი და-ძმანი ერთად არიან, თავიანთ გაკვეთილებს ამზადებენ. ცნობილია, რომ ასეთ შემთხვევაში „დიდები“ პატარებს ეხმარებიან). ერთი სიტყვით, კარგად აღზრდილ და გაწვრთნილ უფროსკლასელებს, მასწავლებლის სათანადო ხელმძღვანელობით, დადებითი აღმზრდელითი გავლენა შეუძლიათ იქონიონ თავიანთ მეზობელ უმცროსკლასელებზე (პატარები კი ჩვეულებრივ ბაძავენ დიდებს, პატარებს სურთ ისეთები იყვნენ, როგორიც დიდები არიან და სხვ.). ცოტა ქვემოთ ჩვენ მოგვყავს პედაგოგიკის ერთ ერთი სახელმძღვანელოდან ციტატი, რომლის მიხედვით ორკომპლექტიან სკოლაში უფროსკლასელები მასწავლებლის თანაშემწეებად არიან გამოცხადებულნი უმცროსკლასელების სწავლების საქმეში.

ჩვენი აზრით, ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელმა ამ საშუალებას ძალიან იშვიათად და დიდი სიფრთხილით უნდა მიმართოს, რათა მოსალოდნელი სარგებლობის ნაცვლად ამ ღონისძიებამ ზიანი არ მოიტანოს.

„ის სიძნელები, — ვკითხულობთ პედაგოგიკის სახელმძღვანელოში, — რომლებიც ახლავს რამდენიმე კლასთან ერთად მუშაობას, მასწავლებელმა შეიძლება შეიმსუბუქოს უფროსი კლასების მოსწავლეთა დახმარების გამოყენებით. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია დააეალოს III ან IV კლასის მოსწავლეს — ჩამოუაროს უმცროსი კლასის მოსწავ-

ლებს და შეამოწმოს: ყველა აკეთებს თუ არა დავალებას, როგორ აკეთებენ, მიუთითოს შეცდომებზე, სადაც საჭირო იქნება, აჩვენოს და განუმარტოს, გაამხნოს გაუბედავი მოსწავლეები და ა. შ. რასაკვირველია, ასეთი დავალება შეიძლება მიეცეს უფროს მოსწავლეებს გარკვეულ პირობებში, სახელდობრ:

1) როდესაც მათ თვითონ არ შეეშლებათ ხელი სწავლაში გაკვეთილზე დაუსწრებლობით (მაგალითად, ასეთი დავალება არ შეიძლება მიეცეს მოსწავლეს მაშინ, როცა მის კლასში ახალი მასალის შესწავლა მიდის);

2) როდესაც შესაძლებელია სავსებით დაენდო ასეთ თანაშემწეს, ე. ი. როდესაც მან თვითონ კარგად იცის ამ სამუშაოს შესრულება უშეცდომოდ, მაგ., პირველკლასელები სიტყვებს აწყობენ მოძრავი ასოებისაგან თავიანთ მერხებზე, ანდა მაგალითებს აკეთებენ პირველი ათეულის ფარგლებში. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში III ან IV კლასის მოსწავლეს შეუძლია მათი მუშაობის შემოწმება და საჭირო დახმარების გაწევა.<sup>1</sup>

მაშასადამე, პრაქტიკით გამართლებული, სათანადოდ დამტკიცებული და ყველაზე უკეთესი შეერთება ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დაწყვილება კლასებისა (ერთ ოთახში, ერთი მასწავლებლის მიერ ერთდროული მეცადინეობისათვის) ორკომპლექტიან სკოლაში ასეთია: I და III კლასები ერთად, II და IV კლასები ერთად. რაც კატეგორიულად არ გამოირიცხავს კლასების სხვაგვარ დაწყვილებას, მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როცა, ვთქვათ, დაწყებით სკოლაში ამა თუ იმ წელს ოთხივე კლასი კი არ იქნება, არამედ იქნება სამი ან ორი კლასი. ცხადია, ასეთი სკოლის მასწავლებელი იძულებული იქნება დააწყვილოს და ერთდროულად ასწავლოს იმ კლასებს, რომლებიც არსებობს.

საკლასო ოთახის გაფორმება, სახელმძღვანელო წიგნები, ხასწავლო ნივთები და დიდაქტიკური მასალები. ნორპალური მეცადინეობისათვის სათანადო პირობების შექმნა საჭიროა როგორც ერთ კლასთან მეცადინეობის, ისე, მით უმეტეს, ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის დროს.

ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობისათვის ოთახში უნდა იყოს ორი საკლასო დაფა, სათანადოდ დახაზული (სულ ერთია, I და III კლასები მუშაობენ ამ ოთახში თუ II და IV კლასები), ყოველ კლასს თავისი საკლასო დაფა უნდა ჰქონდეს. სჯობს დასადგმელი და არა კედელზე მიმაგრებული დაფა, რადგან, გარდა იმისა, რომ ორივე მხარის გამოყენება შეიძლება, დაფის უკანა მხარეზე მასწავლებლის მიერ გაკვეთილის

1. ბ. პ. ესიპოვი და ნ. კ. გონჩაროვი, პედაგოგიკა, სახელმძღვანელო პედაგოგიურ ხასწავლებლისათვის. სოხუმი, 1950, გვ. 268.

დაწყებამდე დაწერილი მასალა დაფარულია, არა ჩანს, ხოლო როცა საჭირო იქნება, დაფას გადმოაბრუნებენ.

ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ მეცადინეობის პროცესში, გაკვეთილის მიმდინარეობის დროს, მოსწავლეთა მხედველობის არეში არ უნდა იყოს ის დიდაქტიური მასალა, რაც ჯერ მათ არ უსწავლიათ და არც ამ გაკვეთილზე სწავლობენ. მეტიც: არც შესწავლის შემდეგაა საჭირო მისი გამოთენა, რათა მოსწავლეების ყურადღება აბსოლუტურად ფიქსირებული იყოს მხოლოდ იმაზე, რასაც იმ დღესა და იმ წუთში სწავლობენ; ბავშვებს მეცადინეობის ისეთი პირობები უნდა შეეუქმნათ, რომ აქეთ-იქით არ აცეცონ თვალები, ძალაუნებურად არ დაკარგონ ისედაც დაუდგარი ყურადღება და მთელი გულისყური შეაჩერონ იმ წუთში მათთვის საჭირო საგანსა თუ სურათზე.

სხვადასხვა დიდაქტიური მასალა კლასში უნდა ეკიდოს იმ კედელზე, რომლისკენაც მოსწავლეები ზურგით არიან მიქცეულნი. ამავე კედელზე უნდა იყოს გაკრული სკოლის შინაგანაწესი, გაკვეთილების ცხრილი, მორიგეობის სია, ხუთოსნების სურათები, უკვე შესწავლილი პლაკატები, ასოების საქალაღდე-ჯიბეები და სხვა, რათა მოსწავლეებს მხოლოდ შესვენების (და არა მეცადინეობის) დროს შეეძლოთ უცქირონ მათ. ტექნიკურად ამ გეგმით მოწყობილი საკლასო ოთახი აიძულებდა მოსწავლეს მთელი ყურადღება გაკვეთილისათვის დაეთმო (დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება იქნება ეს, თუ მასწავლებლისათვის ყურის დაგდება, მასალის გარჩევაში მონაწილეობის მიღება, კითხვებზე პასუხის გაცემა, ნათქვამის დახსომება და სხვ.).

ბავშვის აზროვნება უმთავრესად კონკრეტული, ხატოვანია. ამიტომ აუცილებელია ისე გავათვალსაჩინოოთ გაკვეთილი, რომ ის გახდეს ბავშვისათვის ადვილად გასაგები, მისაწვდომი, სახალისო, შეგნებულად შესათვისებელი.

„ბავშვის ბუნება გარკვეულად მოითხოვს თვალსაჩინობას. ასწავლეთ ბავშვს რომელიმე მისთვის უცნობი ხუთი სიტყვა. ის დიდხანს და ამაოდ იწვავლებს ამაზე. მაგრამ დაუკავშირეთ სურათებს ოცი ასეთი სიტყვა და ბავშვი შეითვისებს მათ ძალიან სწრაფად. თქვენ უხსნით ბავშვს უბრალო აზრს და მას არ ესმის თქვენი. თქვენ უხსნით იმავე ბავშვს რთულ სურათს და იგი სწრაფად გაიგებს მას. სინჯეთ, ერთი და იგივე შემთხვევა მოუთხროთ ერთნაირი უნარის მქონე ორ ბავშვს: ერთს სურათების გამოყენებით, მეორეს უსურათებოდ, და თქვენ დააფასებთ მაშინ ბავშვისათვის სურათების უდიდეს მნიშვნელობას.“<sup>1</sup>

სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენება დიდ ეფექტს რომ იძლევა,

<sup>1</sup> К. Д. Ушинский, Избранные педагогические сочинения, т. II, 1939 г., гл. 155.



ეს დამტკიცებულია როგორც გამოცდილებითა და უპირალო დაკვირვებით, ისე ექსპერიმენტული მონაცემებით. კერძოდ, ცნობილია მეთოდისტ ვახტეროვის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგები (რუსეთის სკოლებში, 1897 წ.).

1. „ახსნა-განმარტებანი, რომელთაც თან ახლდა კლასში ცდების დაყენება, დაიმახსოვრა და გადმოსცა მოსწავლეთა 91%-მა.

2. იგივე ახსნა-განმარტებანი, არა ცდების დაყენებით, არამედ სურათების ილუსტრირებით, დაიმახსოვრა და რვეულებში წერილობით გადმოსცა მოსწავლეთა საერთო რიცხვის 50%-მა.

3. იგივე ახსნა-განმარტებანი, მაგრამ ისე, რომ არ იყო ილუსტრირებული არც ცდებით და არც სურათებით, დაიმახსოვრა და ჩაწერა მხოლოდ 24%-მა.“<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, თვალსაჩინოებას, დაკვირვებასა და ცდებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ სწავლების საქმეში, განსაკუთრებით ორ კლასთან ერთად მეცადინეობის დროს, როცა მასწავლებლის ცოცხალი სიტყვა „განახეერებულია“. ამიტომ ასეთ პირობებში თვალსაჩინოება გაკვეთილის ერთ-ერთი განუყრელი ნაწილია და ის ფართოდ და ყოველგაკვეთილზე უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა მოსწავლეთა მიერ მასალის უკეთ გაგებისა და მალაღმარისხონად შეთვისების მიზნით. იგულისხმება, რომ ყველაფერი ეს შაბლონურად არ უნდა იქნეს გაგებული: სასაცილო იქნებოდა, რომ მასწავლებელმა, გაკვეთილის გათვალსაჩინოების მიზნით, სიმინდის ტარო აჩვენოს იმ რაიონის მოსწავლეებს, სადაც სიმინდის კულტურა მეტად გავრცელებულია; მაგრამ იმავე ტაროს ჩვენება უსარგებლო არ იქნებოდა იქ, სადაც სიმინდი ნაკლებად მოდის და იშვიათობას წარმოადგენს.

თვალსაჩინოების ფართოდ გამოყენება აჩქარებს და აღრმავებს გაკვეთილის მასალის შეგნებულად შეთვისებას.

ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის პირობებში გაკვეთილის თვალსაჩინო მასალების და, რაც მთავარია, აუცილებელი ხელსაწყო თუ სხვა საშუალების (ცალკეული სურათის, დასურათებული მოქმედება-სცენის, რუკის, დიაგრამის, ციყვის, ყვავილის...) დროზე, გაკვეთილის დაწყებამდე, მომარაგებას (ზოგი მათგანი თვითონ მასწავლებელმა უნდა დაამზადოს) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მასწავლებელმა არათუ გაკვეთილის გათვალსაჩინოებისათვის საჭირო ხელსაწყო უნდა მომარაგოს გაკვეთილის დაწყებამდე, არამედ წინასწარ უნდა დაწეროს კიდევ დაფაზე ყველაფერი, რაც ერთ კლასთან მეცადინეობის პირობებში შეიძლება გაკვეთილის მსვლელობის პროცესშიც დაწერილიყო (სხვადა-

<sup>1</sup> ც-ტირებულია წიგნიდან: პ. ბ. ესიპოვი და გონჩაროვი: *მეცადინეობის სხეუმი*, 1950, გვ. 145.

სხვა კითხვა, გაუგებარი სიტყვები და მათი ახსნა, ფიგურალური თქმები და სხვ.). ვიშორებთ, ორ კლასთან მეცადინეობის პირობებში ყოველგვარ „წერილმანს“ დიდი მნიშვნელობა აქვს.

საპროგრამო მასალის, ყოველი გაკვეთილის მიზნის მოკლე დროში და შეგნებულად ათვისებას ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში, როცა მასწავლებლის უშუალო მეცადინეობის დრო კლასთან განსაზღვრულია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, დიდაქტიკური მასალები უძვირუფასესი დამხმარე საშუალებაა ცოდნის მიღებისათვის საერთოდ, განსაკუთრებით კი ფასდაუდებელია ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში. ამიტომ ამ დამხმარე და სწავლების საქმეში ხელისშემწყობ მრავალფეროვან დიდაქტიკურ მასალებს; როგორცაა მოძრავი ასოები, კუბიკები, პლაკატები, სასაუბრო სურათები, ყალიბები, სახატავ-სახაზავი მასალები, ლოტოები (ყვავილებზე, ფრინველებზე, ცხოველებზე და სხვ.), ორკომპლექტიანი სკოლის მასწავლებელი დროზე და საჭირო რაოდენობით უნდა ამზადებდეს და იმარაგებდეს.

აღნიშნულთან ერთად სწავლებაში ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმძღვანელოს, რვეულს, საწერ-კალამს, დამხმარე ლიტერატურას და სხვ. (მოთხრობები, ზღაპრები, მეთოდური ლიტერატურა). ამიტომ მათ დროულად მოწარმებას ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. ცნობილია, რომ არათუ სახელმძღვანელოს უქონლობა აბრკოლებს მოსწავლის წინსვლას, არამედ ცარცისა თუ დაფის გასაწმენდი ღრუბლის, უბრალო ჩვრის უქონლობაც ხელს უშლის სწავლების საქმეს.

ამგვარად, საკლასო ოთახის სათანადო გაფორმებას, სახელმძღვანელო წიგნებს, სასწავლო ნივთებსა და დიდაქტიკურ მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ნაყოფიერად წმარათვის საქმეში. მასწავლებელს მუდამ უნდა ახსოვდეს ისიც, რომ მთელი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ხარისხი ამ მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმის — გაკვეთილის ხარისხით განისაზღვრება, გაკვეთილის სულისჩამდგმელი და მთავარი ფიგურა კი მასწავლებელია. მასწავლებლის ცოდნა, პედაგოგიური გამოცდილება, პირადი ღირსება, ავტორიტეტი და უნარი განსაზღვრავს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის წარმატებას.

„მასწავლებლის მუშაობაში ბევრი სიძნელეა, და დიდია მასწავლებლის პასუხისმგებლობა. რა თქმა უნდა, სათანადო დისციპლინის სწავლება — ეს ძირითადი სამუშაოა, მაგრამ ყოველივე ამის გარეშე მოსწავლეები ჰბაძავენ მასწავლებელს. აი რატომ არის, რომ მასწავლებლის მსოფლმხედველობა, მისი ყოფაქცევა, მისი ცხოვრება, ყოველი მოვლენისადმი მისი მიდგომა ასე თუ ისე გავლენას ახდენს ყოველ მოსწავლეზე. ეს ხშირად შეუძინებელია, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თუ მას-

წავლემელი მეტად ავტორიტეტულია, ზოგიერთ ადამიანს მთელ სიცოცხლეში რჩება ამ მასწავლებლის გავლენის კვალი. აი რატომ არის სწორედ, რომ მასწავლებელი ყურადღებას უნდა აქციედეს თავის თავს, ის უნდა გრძნობდეს, რომ მისი ყოფაქცევა, მისი მოქმედება ისეთი უძლიერესი კონტროლის ქვეშ არის, როგორსაც არ უწევინ არც ერთ ადამიანს მსოფლიოში. ბავშვთა ათეულობით თვალი უცქერს მას, და არა არის რა იმაზე უფრო ყურადღებიანი, იმაზე უფრო ფხიზელი, ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების სხვადასხვა ნიუანსების იმაზე უფრო ამთვისებელი, ვერაინ ისე ვერ დაიქვრს ყოველ წვრილმანს, როგორც ბავშვის თვალი. ეს უნდა გვახსოვდეს.<sup>1</sup>

„საესებით გასაგებია, რომ აღმზრდელი, რომელსაც ავტორიტეტი არა აქვს, არ შეიძლება აღმზრდელი იყოს.“<sup>2</sup>

მასწავლებელმა, სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ამ პასუხ-სმგებელმა ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა, საქმიანი და ფრიალ სერიოზული ატმოსფერო უნდა შექმნას თავის კლასში. ამის საპირობა, უეჭველია, ყველა ტიპის სკოლაში არის, მაგრამ მისი აუცილებლობა განსაკუთრებულად მწვავედ და თვალსაჩინოდ ორ და მეტ კლასთან ერთდროულად ჩუშაობის პირობებში იგრძნობა. დავლებისა და დაძოჟიკიდებელი სამუშაოს მონდომებულად და შეგნებულად შესრულების გარდუვალობა, საქმისა და ურთიერთ სიყარული, მაიარული დასვენება, დახმარება, სწავლება, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, წესრიგი და მუდმივი გონიერული საქმიანობა ორკომპლექტიანი სკოლის დამახასიათებელი უნდა იყოს, თუ გვინდა, რომ სკოლამ თავისი ამოცანები ჯეროვნად გადაწყვიტოს და მიზანს მიიღწიოს. მასწავლებელი მუდამ უნდა ხელმძღვანელობდეს დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის შექდვეგი მოსაზრებით:

„სკოლაში გამეფებული უნდა იყოს სერიოზულობა, რომელიც ხუმრობას ითმენს, მაგრამ მთელ საქმეს ხუმრობად როდი აქცევს, იქ უნდა სუფედეს გულთბილი მოპყრობა, მაგრამ არა გადაძალაშებული, უნდა სუფედეს საპართლიანობა, რომელმაც არ იცის შარინანობა, იქ უნდა იყოს გულკეთილობა, რომელიც გამორიცხავს სისუსტეს, უნდა იყოს უპედანტიზმო წესრიგი და, რაც მთავარია, მუდმივი გონიერული მოქმედება.“<sup>3</sup>

დამოუკიდებელი მუშაობის თემები და ხაზები. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ირ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის ძირითადი ფორმა, რომელსაც პრაქტიკაში იყენებენ, არის ის ფორმა, როცა მასწავ-

<sup>1</sup> ბ. ი. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შესახებ, თბილისი, 1948 წ., გვ. 55.

<sup>2</sup> А. С. Макаренко, Педагогические сочинения, 1948 г., гл. 199.

<sup>3</sup> ციტირებულია წიგნიდან: Орловский, Б. И. Белович, И. М. Шираев А. Урок в двухкомплектной школе, Учпедгиз, 1941.

ლებელს ერთი კლასისათვის დამოუკიდებელი<sup>1</sup> სამუშაო აქვს მიცემული და მეორე კლასთან უშუალოდ მეცადინეობს. ასეთ პირობებში მოსწავლე გაკვეთილის თითქმის ნახევარ დროს დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებაზე ხარჯავს, ამიტომ დამოუკიდებელი სამუშაოს განსაზღვრას და გაკვეთილში მისი ადგილის მონახვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

შეიძლება ითქვას, რომ ორკომპლექტიან სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილის ძირითადი ნაკლი არის დამოუკიდებელი სამუშაოს ცუდად შერჩევა, შემთხვევითობა. დამოუკიდებელი სამუშაო კლასს ხშირად ეძლევა არა იმისათვის, რომ მოსწავლეს გაკვეთილის კონკრეტული ამოცანა გადაწყვიტოს, პროგრამის მასალა აითვისოს, არამედ იმისათვის, რომ „თავი შეიქციოს“, როგორმე გაერთოს, ჩუმად იყოს, რათა ხელი არ შეუშალოს მასწავლებელს მეორე კლასთან მეცადინეობაში. სწორედ ასეთ „დამოუკიდებელ სამუშაოზე“ გაფლანგული სასწავლო დრო იწვევს პროგრამული მასალის დროზე გაუფლანგობას, ჩამორჩენას, აკადემიური წარმატების დაბალ დონეს. ამიტომ საესეებთან ნათელია, რომ დამოუკიდებელი სამუშაო პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული ცოდნის მიღება-განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს. ყველამ იცის, რომ მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა ან წინ უსწრებს ან მოსდევს კლასში ახალი მასალის (გაკვეთილის) ახსნას.

პირველ შემთხვევაში, ე. ი. როცა დამოუკიდებელი მუშაობა წინ უსწრებს ახალი მასალის ახსნას, დამოუკიდებელი მუშაობა გაკვეთილის პირველ ნახევარში წარმოებს და ის თითქმის ყოველთვის წინა დღეს დამუშავებულ მასალასთან არის დაკავშირებული (ზოგჯერ ერთგვარ მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენს ახლად ახსნილი მასალის გაგებისათვის).

მეორე შემთხვევაში კი, ე. ი. როცა მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა ახალი მასალის ახსნას მოსდევს, ის გაკვეთილის მეორე ნახევარში წარმოებს და თითქმის ყოველთვის უკავშირდება გაკვეთილის პირველ ნახევარში დამუშავებულ საკითხებს.

ამგვარად, ვიდრე მასწავლებელი ამა თუ იმ კლასისათვის შეარჩევდეს დამოუკიდებელი მუშაობის თემას თუ სახეს, მან ჯერ მიზანშეწონილად და დაკვირვებულად უნდა განსაზღვროს: თვითონ რომელ კლასთან მუშაობს უშუალოდ გაკვეთილის პირველ ნახევარში და რომელთან — გაკვეთილის მეორე ნახევარში. იმ კლასს, რომელმაც დამოუკიდებლად უნდა იმუშაოს გაკვეთილის პირველ ნახევარში, დამოუკიდებლად შესასრულებელ თემას მასწავლებელი შეუარჩევს უკვე ჩატარებული გაკვეთილი-

<sup>1</sup> სიტყვა „დამოუკიდებელი“ ამ წიგნში შეიძლ ბოდა ყ:ღღან ბრკალებში ჩაგვესვა. რადგან ამ სიტყვით ნაგულისხმევი მოსწავლის მუშაობა აბსოლუტურად დამოუკიდებელი კი არ არის, არამედ ის ყველათვის მასწავლებელია ხშირი მხედვა-დამხარეებით, მასწავლებლის საერთო ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით მიმდინარეობს.

დან (ამ უკანასკნელიდან გამომდინარე ცოდნისა და ჩვევების განმეორება-განმტკიცების მიზნით), ხოლო იმ კლასს, რომელმაც გაკვეთილის მეორე ნახევარში უნდა იმუშაოს დამოუკიდებლად, თემას შეურჩევს ახლად ასახსნელი მასალიდან (ამ მასალის ნათლად, შეგნებულად და კიდევ უფრო ღრმად ათვისების მიზნით). ამრიგად, ის წყარო (მასალა), თუ სად უნდა ვეძებოთ, რას უნდა დავაფუძნოთ, რას უნდა უკავშირდებოდეს, რას უნდა იმეორებდეს, აფართოებდეს და განამტკიცებდეს მოსწავლეთათვის შესარჩევი დამოუკიდებელი მუშაობა, ცნობილია (ის ან ძველი გაკვეთილია, ან ახალი); მხოლოდ მისი მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ შესრულებისათვის ზოგჯერ ახსნა-განმარტების მიცემა იქნება საჭირო.

მასწავლებელმა „სისტემატურად უნდა შეაჩვიოს ბავშვები დამოუკიდებლად მუშაობას და ფართოდ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა დავალების მიცემა ცოდნის განსაზღვრული კურსის შეთვისების ფარგლებში“... (საკავშირო კ. პ. ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილებიდან).

დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაცია სასწავლო მუშაობის ერთ-ერთი რთული სახეა. უნდა გვახსოვდეს, რომ ორ კლასთან ერთდროულად შეცადინეობის დროს მიღებული ცოდნის განმტკიცებაში დამოუკიდებელ მუშაობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დამოუკიდებელი მუშაობის მრავალი სახის ცოდნა-გამოყენება და ერთი სახის მუშაობის მეორეთი დროულად და მიზანშეწონილად შეცვლა ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის აუცილებელი პირობაა. ამგვარი გზა სრულ შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს საპროგრამო მასალა დაამუშაოს საჭირო სიღრმითა და მოცულობით, გამოიწვიოს ბავშვებში ცხოველი ინტერესი, განამტკიცოს კოლექტიური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი, უზრუნველყოს გაკვეთილზე შეგნებული დისციპლინა და სხვ.

გასაგებია, რომ პირველი კლასის მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის პრაქტიკა და უნარი მეტად მცირე აქვთ ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სასწავლო წლის დასაწყისში თითქმის სულ არა აქვთ. მასწავლებელმა ეს მხედველობაში უნდა მიიღოს და, გარდა იმისა, რომ პირველ ხანებში მათთან მეტ ხანს უნდა იმუშაოს უშუალოდ, ამ მუშაობას იმგვარი ხასიათი უნდა მისცეს, რომ ბავშვებში დამოუკიდებლად მუშაობის უნარი და სათანადო ჩვევები გამომუშავდეს. დამოუკიდებელი მუშაობა უსათუოდ მკიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მასწავლებლის მიერ იმავე კლასში მოსწავლეებთან უშუალოდ მუშაობასთან. მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა არ უნდა წარმოადგენდეს იმ მუშაობისათვის მომზადებას, რომელიც თვით უშუალოდ უნდა ჩაატაროს მასწავლებელმა ბავშვებთან. მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა უნდა წარმოადგენდეს მასწავლებლის მიერ მოწაფებთან უკვე ჩატარებული მუშაობის გაგრძელება-გაღრმავებას. ვთქვათ, მასწავლებელმა I კლასის მოს-

წავლევებს ასწავლა ასო-ბგერა „ბ“. ამისათვის მან: 1) უშუალოდ ჩაატარა მოსწავლეებთან წინასწარი პატარა საუბარი; 2) საუბრიდან გამოყო სათანადო ფრაზა (წინადადება); 3) ფრაზა დაყო სიტყვებად; 4) სიტყვები— მარცხლებად და ბგერებად; 5) წარმოათქმევინა მოწაფეებს სიტყვები, რომელთა შემადგენლობაში ეს (ბ) ბგერა სიტყვის თავშია, შუაშია; 6) აჩვენა მოძრავი ასო ბ; 7) ნაცნობი ასოებისაგან და ახალი ასოს მონაწილეობით შეადგინა ერთი-ორი სიტყვა-ფრაზა და შემდეგ დაავალა: აბა, ახლა თქვენ თვითონ განაგრძეთ ახალ-ახალ სიტყვებისა და ფრაზების შედგენა აქამდე ნასწავლი ასოებისაგანო. შემდეგ: 8) წააკითხა მოსწავლეებს წიგნში სათანადო სიტყვები, ფრაზები; 9) დაწერა დაფაზე ეს (ბ) ასო, განმარტა მისი დაწერის ტექნიკა, დაეხმარა ერთს, ორს და შემდეგ დაავალა: სწერონ (1—2 სტრიქონზე) დამოუკიდებლად; 10) სიტყვებსა და ფრაზებზე წინასწარი ვარჯიშისა და დაფაზე მასწავლებლის ხელით მათი დაწერის შემდეგ მოსწავლეები თავიანთ რვეულებში ამ სიტყვებსა და ფრაზებს დაფიდან დამოუკიდებლად გადმოიწერენ და სხვ.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მოსწავლეებს დამოუკიდებელი სამუშაოც გაუჩნდათ (მოძრავი ასოებისაგან სიტყვებისა და ფრაზების შედგენა, ასოსა და სიტყვა-ფრაზის წერა, დამუშავებული მასალის ჩუმი კითხვა, შეიძლება სათანადო ხატვაც და სხვ.).

დამოუკიდებელ სამუშაოთა თემები და სახეები მრავალგვარია. მათი განსაზღვრა კლასებისა და სასწავლო დისციპლინების (საგნების) მიხედვით ამ წიგნში მოცემულია საორიენტაციოდ. მათი გამდიდრება თუ ცვლილებების შეტანა ადგილობრივი პირობების მიხედვით ყოველთვის შესაძლებელია. აქ ვიტყვით მხოლოდ ზოგადად, რომ დამოუკიდებელი საკლასო მუშაობის ნაყოფიერება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად არის იგი ორგანიზებული, რამდენად ცხადია დავალების მიზანი და მუშაობის წარმართვის ხერხები. მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალება სისტემატურად უნდა შემოწმდეს, მოსწავლე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დამოუკიდებელი სამუშაოს სახით მიცემული დავალება, როგორც ზევით ვთქვით, უბრალო გასართობი, ან მათი „წყნარად გაჩერების“ საშუალება კი არაა, არამედ ჩვეულებრივი სახის საკლასო მუშაობაა, რომლის სწორად შესრულება მისი ცოდნისა და წარმატების მაჩვენებელია.

მუშაობის პროცესში მოსწავლეთათვის ინდივიდუალური მითითების მიცემა (შეცდომების თავიდან აცილების მიზნით), შესრულებული სამუშაოს შეჯამება და შედეგების გაცნობა, სწორი და მცდარი პასუხების აღნიშვნით, ტიპობრივი შეცდომების კლასშივე განხილვა-გასწორება (მასწავლებლის ხელმძღვანელობით), საკლასო დავალების საფუძველზე საშინაო დავალების მიცემა, შემოწმება და მუშაობის სხვა მრავალი სახე მტკიცედ უნდა იქნას გამოყენებული ორ კლასთან მუშაობის პირობებშიც.

ამგვარად, დამოუკიდებელი საკლასო მუშაობის სწორად წარმართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის პირობებში, ე. ი. როცა ყოველ გაკვეთილზე ერთი კლასი მასწავლებლის ხშირი მიხედვა-დახმარებით დამოუკიდებელ მუშაობაშია ჩაბმული, ხოლო მეორე კლასთან მასწავლებელი ზეპირად ამუშავებს მასალას.

ორ კლასთან მომუშავე მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ გაკვეთილზე მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა ნაყოფს ვერ მოგვცემს, თუ ამ მუშაობას იგი ხელმძღვანელობას არ გაუწევს. მასწავლებელმა ყოველთვის უნდა გამოჰყოს ერთი-ორი წუთი, რათა მიხედოს და საჭირო შემთხვევაში კიდევაც დაეხმაროს დამოუკიდებლად მომუშავე კლასს. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება სათანადო ეფექტის მიღწევა.

ერთი და იგივე თუ სხვადასხვა საგანი უნდა ვახწავლოთ ერთდროულად ორივე კლასს მათთან ერთდროულად მუშაობის პირობებში? საკითხი: ორ სხვადასხვა კლასში ერთსა და იმავე დროს ორ სხვადასხვა საგანში მეცადინეობა სჯობს (მაგალითად, I კლასში არითმეტიკა, III კლასში რუსული ენა), თუ ორივე კლასში ერთსა და იმავე საგანში მეცადინეობა (ვთქვათ, II კლასში ქართული, IV კლასშიც ქართული), — სადისკუსიოა, სადავოა.

1939 წელს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა გამოსცა „მეთოდური მითითებანი ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობისათვის (ძირითადი საკითხები და კონსპექტები)“. ამ მითითებებში სანიშნოდ მიცემულია „გაკვეთილების ცხრილები“. ეს ცხრილები ითვალისწინებს როგორც ერთისა და იმავე საგნის სწავლებას ორ კლასში ერთდროულად (მაგალითად, ქართული ენა I კლასში, ქართული ენა III კლასში), ისე (უპირატესად) სხვადასხვა საგნის სწავლებას ერთდროულად სხვადასხვა კლასში (მაგალითად, არითმეტიკა I კლასში, ქართული ენა III კლასში)<sup>1</sup>. ამრიგად, ეს ცხრილები, როგორც საორიენტაციოდ მოცემული ორკომპლექტიანი სკოლისათვის, საშუალებას აძლევდა დაწყებითი სკოლის ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელს, ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის დროს, საგნები ისე დაეწყვილებია, როგორც უფრო ეხერხებოდა (ერთი და იგივე საგანი ორ სხვადასხვა კლასში, თუ ერთ კლასში ერთი საგანი და მეორე კლასში მეორე საგანი).

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ თბილისში მოწვეულ ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა რესპუბლიკურ თათბირზე (1952 წ. 4—5 იანვარს) აღინიშნა, რომ ორკომპლექტიანი სკოლის მასწავლებლე-

<sup>1</sup> იხ. „მეთოდური მითითებანი ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობისათვის“, თბილისი, 1939 წ., გვ. 13—14.

ბის დიდი უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის ისეთ ორგანიზაციას, როცა ორივე კლასში ორი სხვადასხვა საგანი ისწავლება ერთდროულად (ვთქვათ, II კლასში ქართული ენა, IV კლასში—არითმეტიკა). ასეთ შემთხვევაში, მათი აზრით, უფრო მკვეთრად აღიმართება ის „უხილავი კედელი“, რომელიც საჭიროა არსებობდეს ერთ ოთახში მომუშავე ორ სხვადასხვა კლასს შორის, რათა მათი ყურადღება არ იფანტებოდეს და ფიქსირებულ იქნას იმ საგანზე, რომელსაც ამ გაკვეთილზე სწავლობს. ჩანს, ჩვენი ორკომპლექტიანი სკოლის მასწავლებელთა დიდი ნაწილი მხარს უჭერს გაკვეთილების ისეთ ცხრილს, რომლის მიხედვითაც ორ კლასთან მუშაობის დროს უნდა ასწავლო არა ერთი და იგივე საგანი ორივე კლასს, არამედ ერთი საგანი ერთ, მეორე საგანი კი მეორე კლასს. ამასთან არიან ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც უფრო უკეთესად ავლიან ორ სხვადასხვა კლასში ერთისა და იმავე საგნის სწავლებას ერთდროულად.

„ორ კლასთან მეცადინეობის წარმატებისათვის უმნიშვნელო როლია ის გარემოება, თუ როგორაა შეერთებული ცხრილში საგნები. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უფრო ძნელია გაკვეთილების ჩატარება ორ კლასთან ორ სხვადასხვა საგანში და უფრო ადვილია—ერთ საგანში, ე. ი. იმ შემთხვევაში, როცა ცხრილში რუსული ენა შეერთებულია რუსულ ენასთან, არითმეტიკა—არითმეტიკასთან. ეს საფასვრით გასაგებია, რადგან საგნების ასეთი შეერთებისას მასწავლებელს არ მოუხდება გაკვეთილზე ცოდნის ერთი დარგიდან მეორეზე გადასვლა, მისი ყურადღება უფრო გამახვილებული იქნება და ამიტომ მუშაობაც უფრო ინტენსიურად წარიმართება“.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ერთსა და იმავე დროს ორივე კლასში ერთსა და იმავე საგნის სწავლების მოწინავე მეთოდისტები გამოდიან იქიდან, რომ ისეთ პირობებში, როცა მასწავლებელი ორ კლასთან ერთსა და იმავე საგანში მეცადინობს, სწავლების ხარისხი მოიგებს უმთავრესად იმის გამო, რომ მასწავლებელს ამ შემთხვევაში უფრო მეტად შეუძლია ყურადღება შეაჩეროს ერთ გაკვეთულ საგანზე და შემოკმედებითი გახადოს თავისი გაკვეთილი.

პრაქტიკა გვიდასტურებს, რომ ორკომპლექტიანი სკოლების მთელი რიგი მასწავლებლები წლების მანძილზე კარგ შედეგებს აღწევენ, როცა სხვადასხვა საგანს აწვეილებენ ერთდროულად ორ კლასთან სამეცადინოდ (მაგალითად, ვთქვათ, ერთ კლასში ასწავლიან მშობლიურ ენას, მეორეში—არითმეტიკას). მაგრამ არიან ისეთი მასწავლებლებიც (მათი რიცხვიც არაა მცირე), რომლებიც უკეთეს შედეგს ლეზულობენ, როცა ერთ და იმავე საგანში ამეცადინებენ ორ სხვადასხვა კლასს ერთდროულად.

<sup>1</sup> Начальная школа, Настольная книга учителя, под редакцией проф. М. А. Мельникова, 1950 г., Москва, гл. 137.



გავიხსენოთ, რომ მიზნის მიღწევისათვის ნაირ-ნაირი გზები არსებობს სწავლებაში, სხვადასხვა ხერხსა და საშუალებას ხშირად ერთი და იგივე შედეგი მოჰყვება ხოლმე, ოღონდ ზოგს ერთი ხერხი ემარჯვება, ზოგს კიდევ მეორე. მაგალითად, არის მასწავლებელი, რომელსაც ხმის ამოუღებლად, მარტო „თვალის ჩვენებით“ შეუძლია გააჩუმოს კლასში მეცადინეობის დროს წესრიგის დამრღვევი ბავშვი, მეორე მასწავლებელს კი ამ საშუალების გამოყენება ნაყოფიერად არ შეუძლია; ასეთ მასწავლებელს, ვთქვათ, უფრო ეხერხება მერხზე თითის ოდნავი დაკაკუნებით ან სიტყვით მოუწოდოს წესრიგისაკენ ცელქ ბავშვებს. როგორც ვხედავთ, ერთს ერთი საშუალება ემარჯვება, მეორეს კი—მეორე. ამიტომ არ უნდა ავკრძალოთ ეს ნაირ-ნაირობა, თუ მას, ასე ვთქვათ, დიდი პრინციპული ხასიათი არა აქვს.

ამ დებულებას ამაგრებს კიდევ ერთი გარემოება: ვთქვათ, პრინციპულად ჩავთვალოთ საკითხი—„ერთისა და იმავე საგნის სწავლება თუ სხვადასხვა საგნის სწავლება ორ კლასში ერთსა და იმავე დროს“ და დავადგინეთ, რომ ერთ-ერთი სჯობს. ტექნიკურად, პრაქტიკულად ხომ მაინც არ შეიძლება ზუსტად არც ერთი და არც მეორე პრინციპის გატარება, რადგან ცნობილია, რომ დაწყვილებულ (I და III ან II და IV) კლასებში არათუ ერთისა და იმავე რაოდენობის საათები არ არის ამა თუ იმ დისციპლინაში, არამედ ერთი და იგივე საგანიც კი ყოველთვის არ ისწავლება (მაგალითად, ქართული I კლასში 14 გაკვეთილია კვირაში, მის მოწყვილე III კლასში კი—10; I კლასში რუსული სულ არ ისწავლება, III კლასში კი ამ საგანს 6 საათი აქვს დათმობილი და სხვ.).

ამის გამო, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო მიზანშეწონილი უნდა იყოს შემდეგი მოსაზრება:

„რაც შეეხება საგნების, განსაკუთრებით რუსული ენისა და არითმეტიკის დაწყვილებას ცხრილში, ზოგიერთ მასწავლებელს თავისთვის უფრო მოსახერხებლად მიაჩნია ორივე კლასში ჩაატაროს გაკვეთილი ამ საგნებიდან რომელიმე ერთ საგანში, სხვები კი, პირიქით, ამჯობინებენ, რომ ერთ კლასში ტარდებოდეს რუსული ენის გაკვეთილი, ხოლო მეორეში ამ დროს—არითმეტიკის გაკვეთილი. ცხრილში საგნების ასეთი შეერთება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებლის მუშაობის ჩვევაზე“.<sup>1</sup>

საბოლოოდ, მართებულად დაზუსტებისათვის, შესაძლებელია საკირო იყოს კიდევ ხანგრძლივი და მრავალმხრივი მეცნიერული დაკვირვებების ჩატარება, ბევრი მასალის დაგროვება იმისათვის, რომ დამაჯერებლად გაირკვეს საკითხი: ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის დროს სხვა-

<sup>1</sup> Организация и методы работы в двухкомплектной школе. Учпедгиз, Москва, 1938 г., стр. 13. (ხახასშელია ჩვენ მიერ. ვ. ძ.).

დასხვა კლასში სხვადასხვა საგნის სწავლება უფრო მეტ ეფექტს იძლევა, თუ ორივე კლასში ერთისა და იმავე საგნის სწავლება? პრინციპულად ორივე გზა დასაშვებია თუ არა?

დღესდღეობით ფაქტის წინაშე ვდგავართ, სახელდობრ: ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის დროს ადგილი ჰქონდა და აქვს როგორც ორ კლასში ერთისა და იმავე საგნის ერთდროულად სწავლებას (ეთქვათ, უმცროს კლასში ქართული, უფროს კლასში—ქართული), ისე სხვადასხვა საგნის სწავლებას (ეთქვად, უმცროს კლასში ქართული, უფროს კლასში არითმეტიკა). ვერც ძველად ნახავდით და ვერც დღეს მოძებნით პრაქტიკაში ორსა და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელს, რომელსაც ერთსა და იმავე კვირაში არ ეცადოს ერთი-ცა და მეორეც. მართალია, შესაძლებელია იშვიათად მოიძებნოს ისეთი მასწავლებელი, რომლისთვისაც სულ ერთი იყოს, ერთსა და იმავე საგანში ამეცადინოს ერთდროულად ორი კლასი, თუ სხვადასხვა საგანი ასწავლოს ერთ და იმავე დროს სხვადასხვა კლასს, მაგრამ ფაქტია, რომ სასწავლო გეგმა (ამა თუ იმ საგანსა და კლასში საათების რაოდენობა) ორკომპლექტიანი სკოლის მასწავლებელს იძულებულს ხდის დახელოვნდეს ორ კლასში ერთდროულად როგორც ერთისა და იმავე საგნის, ისე სხვადასხვა საგნის სწავლებაში, მიუხედავად იმისა, რომ მას ერთი მათგანი უფრო ემარჯვება. როგორც ვიცით, იგივე სასწავლო გეგმა საშუალებას აძლევს თითოეულ მასწავლებელს გაკვეთილების ცხრილი შეადგინოს იმგვარად, რომ ერთდროულად ორივე კლასში უპირატესად ერთი და იგივე საგანი ისწავლებოდეს, ანდა, პირიქით, ერთდროულად სხვადასხვა საგანი ისწავლებოდეს, — იმისდა მიხედვით, თუ პირადად მას როგორ ემარჯვება. გაკვეთილების თანდართული ცხრილები ორივე მოსაზრებას ითვალისწინებს. ამრიგად, ორ სხვადასხვა კლასში ერთდროულად ერთისა და იმავე საგნის თუ სხვადასხვა საგნის სწავლებისას, ჩვენი აზრით, მთავარი მაინც ეს კი არ არის (ერთი და იგივე თუ სხვადასხვა საგნის სწავლება), არამედ უპირატესად საჭიროა ორი პირობა: ჯერ-ერთი ის, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ გამომუშავებული უნარი დამოუკიდებლად შეასრულონ ესა თუ ის სამუშაო; შეეძლოთ მიაჯაჭვონ თავიანთი გონება და გულისყური დამოუკიდებლად გადასაწყვეტ ამოცანას; უბრალოდ არ აცეცონ თვალები აქეთ-იქით; შეეჩვიონ ყურის არ დაგდებას იმისათვის, რაც მათ არ ეხებათ და რაც მეზობელ კლასში ხდება; მთელი სულითა და გულით ჩასწვდნენ საკუთარ საქმეს (ეს ხერხდება, ამას ადვილად ეჩვევიან მოსწავლეები მასწავლებლის კარგი ხელმძღვანელობით), ხოლო მეორე, აგრეთვე მნიშვნელოვანი, ის არის, რომ ერთდროულად ორ კლასში ისწავლებოდეს ისეთი საგანი (თუ საგნები), რომლის შესასწავლად შესაძლებელი იქნება დამოუკიდებელი სამუშაოს მიცემა ბავშვებისათვის.

გაკვეთილების ცხრილი. გაკვეთილების ცხრილის შედგენასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი ზევით იყო გარკვეული. სახელდობრ, გარკვეულ იქნა, რომ ორკომპლექტიან სკოლაში ყველაზე უკეთესია კლასების ასეთი დაწყვილება: I და III ერთად, II და IV ერთად. მაშასადამე, ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ორკომპლექტიანი სკოლის გაკვეთილების ცხრილი, ის არის, რომ ამ ცხრილის მიხედვით დაწყვილებული უნდა იქნას I და III კლასები ერთად, II და IV კლასები ერთად (ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როცა ორკომპლექტიან დაწყებით სკოლაში არის ყველა ოთხი კლასი — I, II, III და IV).

ცხრილის მართებულად შედგენისათვის საჭიროა აგრეთვე იმის გარკვევა, თუ ერთდროულად სწავლებისათვის საგნების დაწყვილების რა პრინციპი უნდა დაედვას საფუძვლად ცხრილის შედგენას: დაწყვილებულ კლასებში ერთისა და იმავე საგნის თუ სხვადასხვა საგნის სწავლება (მაგალითად, I კლასში ქართული და III კლასშიც ქართული თუ, ვთქვათ, I კლასში ქართული, III კლასში კი — არითმეტიკა).

ზევით ამ საკითხზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, რომ ექსპერიმენტულად დადგენილი არ არის, თუ რომელი წესით (ერთდროულად ერთისა და იმავე საგნის, თუ სხვადასხვა საგნის) სწავლება უფრო მეტ ეფექტს იძლევა. ამასთან ცნობილია, რომ ამ საკითხში ერთიმეორის საწინააღმდეგო მტკიცებებს ვხვდებით: მასწავლებელთა ერთი ნაწილი დაწყვილებულ კლასებს სხვადასხვა საგანს ასწავლის ერთდროულად; მეორე ნაწილი კი საკუთარი გამოცდილებითა და პრაქტიკით ამტკიცებს, რომ დაწყვილებული კლასებისათვის ერთისა და იმავე საგნის ერთდროულად სწავლება უფრო უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე სხვადასხვა საგნის ერთდროულად სწავლება.

სანამ ერთი ან მეორე მტკიცების საფუძვლიანობა დადასტურებული არ არის ექსპერიმენტებითა და სათანადო მეცნიერული კვლევა-ძიებით, ორივე მოსაზრება ანგარიშგასაწევია. ამასთან ცნობილია, რომ ორკომპლექტიან სკოლაში, თუ ყოველდღიურად არა, კვირაში რამდენიმეჯერ მაინც, მასწავლებელს მოუხდება (სასწავლო გეგმით ამა თუ იმ საგნისათვის დათმობილი საათების სხვადასხვა რიცხვის გამო) დაწყვილებულ ორ კლასს ასწავლოს ერთ გაკვეთილზე ერთი და იგივე საგანი, მეორე გაკვეთილზე — სხვადასხვა საგანი. მაშასადამე, ორკომპლექტიანი სკოლის ყოველმა მასწავლებელმა პრაქტიკულად იცის როგორც ერთსა და იმავე დროს ერთისა და იმავე საგნის სწავლების, ისე ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა საგნის სწავლების ფასი (დადებითი და უარყოფითი მხარეები).

ბუნებრივია, რომ გაკვეთილების კვირეული ცხრილები, რომლებიც ადგილობრივ არის შედგენილი, ითვალისწინებს დაწყვილებულ კლასებ-

ში ერთდროულად როგორც ერთი და იმავე საგნის სწავლებას, ისე რიგ შემთხვევაში სხვადასხვა საგნის სწავლებას.

სანიმუშოდ ჩვენც აქ ვიძლევიტ ისეთ საორიენტაციო ცხრილს, რომლის მიხედვით მეტ შემთხვევაში (ყველა შემთხვევაში, როცა კი ეს შესაძლებელია) ორ კლასში მეცადინეობა მიმდინარეობდეს ერთსა და იმავე საგანში; აგრეთვე ვიძლევიტ გაკვეთილების ისეთ ცხრილსაც, სადაც მეტ შემთხვევაში (ყველა შემთხვევაში, როცა კი ეს შესაძლებელია) ორ სხვადასხვა კლასში სხვადასხვა საგანი ერთდროულად ისწავლებოდეს.

ორკომპლექტიანი სკოლის თითოეულ მასწავლებელს სრული შესაძლებლობა აქვს აირჩიოს ორ კლასში საგნების ერთდროულად სწავლების ისეთი დაწყვილება, რომელიც საკუთარი პრაქტიკისა და გამოცდილების მიხედვით მეტ ეფექტს იძლევა.

ქვემოთ წარმოდგენილი გაკვეთილების ცხრილები, გარდა აღნიშნულისა, სხვა მოთხოვნებსაც ითვალისწინებს.

ცნობილია, რომ ყველა საგნის დაწყვილება არ შეიძლება; მაგალითად, სიმღერის დაწყვილება არც ერთ სხვა საგანთან არ არის დასაშვები. მოფიქრებული ხატვაც კი ძნელია რომელიმე კლასში, თუ მეზობლები მღერიან; ყოვლად დაუშვებელია მშობლიურ ენაში, არითმეტიკაში ან ისტორიაში მეცადინეობა, თუ გვერდით მღერიან... ეს გარემოება იძულებულს გვხდის სიმღერის გაკვეთილი ერთ კლასთან მუშაობის პირობებში ჩავატაროთ. ამიტომ არის, რომ წარმოდგენილი ცხრილებით სიმღერა ერთ კლასთან მეცადინეობის პირობებში ტარდება, რამაც გამოიწვია ერთგვარ დათმობაზე წასვლა, სახელდობრ: სიმღერა ტარდება I და II კლასებში მეხუთე გაკვეთილზე, მაშინ როცა I და II კლასების ყოველდღიური დატვირთვა ოთხ-ოთხი საათია დღეში; ეს იწვევს იმას, რომ კვირაში თითო დღე I და II კლასებს აქვთ სამ-სამი გაკვეთილი, ხოლო თითო დღე — ხუთ-ხუთი გაკვეთილი (სხვათა შორის, ეს ასე დაშვებულია სხვაგანაც)<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ფიზიკური მომზადების გაკვეთილებიც, ისევე როგორც სიმღერა, ერთ კლასთან მუშაობის პირობებში ტარდებოდეს, მაგრამ მისი შეთავსება წერასთან, ანდა ხატვასთან, ასე თუ ისე დასაშვებია.

ჩვენი სანიმუშო ცხრილებით ფიზიკური მომზადების კვირეული ორ-ორ გაკვეთილიდან III და IV კლასებში თითო გაკვეთილი ერთ კლასთან მუშაობის პირობებში ტარდება, ხოლო თითო გაკვეთილი I, II, III და IV კლასებში დაწყვილებულია ხატვის გაკვეთილთან. აქვე უნდა

<sup>1</sup> იხ. Начальная школа. Настольная книга учителя, 1950 г. стр. 157 (Примерное расписание уроков при занятиях учителя со II и IV классами).

აღვნიშნათ ისიც, რომ რადგანაც ფიზიკურ მომზადებაში დამოუკიდებლად შესასრულებელი არაფერია და ამავე დროს, რაკი ერთ კლასში ფიზიკური მომზადების გაკვეთილის მიმდინარეობის შემთხვევაში მეორე კლასისათვის მთელი საათით დამოუკიდებელი სამუშაოს მიცემა ძნელია, — ამიტომ ეს გაკვეთილები შუაზე უნდა იქნას გაყოფილი. მაგალითად, ვოქვათ, I კლასში ფიზიკური მომზადება 25 წუთია და III კლასში იმავე 25 წუთია ხატვა; დასვენების შემდეგ კი (ან სხვა დღეს) I კლასში ხატვა 20 წუთია და III კლასში ფიზიკური მომზადება 20 წუთი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ყველაზე უკეთესი შესაძლებლობაა სხვა შესაძლებლობათა შორის (ზემოხსენებულ სამაგიდო წიგნში ფიზიკურ-აღზრდის გაკვეთილები, აგრეთვე ნახევარ-ნახევარ გაკვეთილებად დანაწილებული, დაწყვილებულია რუსული ენის კითხვისა და სუფთა წერის გაკვეთილებთან).

ორკომპლექტიანი სკოლის გაკვეთილების ცხრილი სხვა მოთხოვნასაც უნდა აკმაყოფილებდეს: დამოუკიდებელი სამუშაოების მიცემის შეზღუდულობა ისტორიისა და ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე, აგრეთვე ბუნებისმეტყველების გაკვეთილების ხშირ შემთხვევაში ბუნებაში და ექსკურსიებით შესწავლის საპირობება აყენებს საკითხს, სასურველია თუ არა ამ საგნებში ერთ კლასთან მუშაობის პირობებში მეცადინეობა. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ეს საკითხიც ასეა გადაჭრილი: ისტორია და ბუნებისმეტყველება მეოთხე კლასში ისწავლება ერთ კლასთან მუშაობის პირობებში; მოცემულია ბუნებაში ბავშვების გაყვანისა და ექსკურსიის მოწყობის შესაძლებლობაც, ვინაიდან ბუნებისმეტყველება ერთ კლასთან მუშაობის პირობებში და უკანასკნელ გაკვეთილზე ისწავლება.

გარდა ამისა, ამ ცხრილებით მესამე კლასში რუსულ ენასა და ჭართულ ენას დათმობილი აქვს თითო (სხვა საგანთან დაუწყვეტილებელი) აკადემიური საათი. ყველა კლასში (I, II, III, და IV) ამა თუ იმ მთავარ საგანს საპირო მონაცვლეობით დათმობილი აქვს I და II გაკვეთილები. კერძოდ, რუსულ ენას II კლასში, სადაც იწყება ამ ენის სწავლება, კვირაში დათმობილი აქვს ორი პირველი და სამი მეორე გაკვეთილი; ასევე მხედველობაშია მიღებული არითმეტიკა და სხვა საგნებიც. რაც შეეხება ძირითად სასწავლო საგანთა შორის უმთავრესს, ყველა საგნის შესწავლის საძირკველსა და საშუალებას, ე. ი. მშობლიურ ენას, მას ამ ცხრილებში ღირსეული ადგილი აქვს მიჩნეული საერთოდ, — უპირატესად I და II გაკვეთილზე ყველა კლასში დედაენა ისწავლება; ხოლო ის გარემოება, რომ ზოგჯერ ხატვა თუ ფიზიკური მომზადების გაკვეთილი წინ უსწრებს მას, რა თქმა უნდა, ორკომპლექტიანი სკოლის გაკვეთილების ცხრილის გარდუვალი ნაკლია და ამ სახის სკოლის სპეციფიკურობით არის გამოწვეული.

გაკვეთილების ცხრილში თითოეულ კლასთან უშუალოდ მეცადინეობის დრო განაწილებულია, ვთქვათ, ასე: 25 წუთი მასწავლებლის უშუალო მეცადინეობისათვის ეთმობა I კლასს, 20 წუთი — III კლასს. მაგრამ ეს ისე კი არ უნდა გაეიგოთ, რომ მასწავლებელი ყოველდღე, ყოველ გაკვეთილზე I კლასთან უშუალოდ 25 წუთს განუწყვიტლივ იმეცადინებს, არამედ, მასალის ხასიათის მიხედვით, შეიძლება, ვთქვათ, ჯერ 10 წუთი იმეცადინოს I კლასთან, შემდეგ დამოუკიდებლად ამუშაოს ეს კლასი (ამ დროს უშუალოდ III კლასთან იმეცადინოს) და, ბოლოს, იმავე გაკვეთილზე უშუალოდ მეცადინეობისათვის მიუბრუნდეს I კლასს, იმ ვარაუდით, რომ საბოლოო ჯამში I კლასთან უშუალოდ მეცადინეობა ჩაატაროს 25 წუთს და III კლასთან — 20 წუთს. კიდევ მეტი: შეიძლება მასწავლებელმა არა ერთხელ და ორჯერ, არამედ სამოთხჯერ გაწყვიტოს კლასთან უშუალო მეცადინეობა. ეს ხშირად უკეთესი სიყვარულია. ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში ერთი კლასის უშუალო მეცადინეობისათვის განკუთვნილი 25 წუთი და მეორის უშუალო მეცადინეობისათვის განკუთვნილი 20 წუთი, შესაძლოა, მასწავლებელმა პირუკუ გამოიყენოს, თუ კი ამას შესაძლებელია მოითხოვს. აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემული ცხრილებით უმცროს კლასებთან (I და II) მასწავლებლის უშუალო მეცადინეობას შედარებით მეტი დრო აქვს დათმობილი, ვიდრე უფროს კლასებთან (III—IV), რადგან უმცროს კლასებს ნაყოფიერი დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობანი ნაკლები აქვთ, ვიდრე უფროს კლასებს. აქვე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ ამ „დანაკლისის“ ანაზღაურება III და IV კლასებში ადვილად ხერხდება (როგორც ვიცით, ყოველ კვირაში III კლასში სამ-სამი, ხოლო IV კლასში ხუთ ხუთი გაკვეთილი ტარდება ერთ კლასთან მუშაობის პირობებში; ზეით აღინიშნა, რომ ამის საშუალებას თვით სასწავლო გეგმა იძლევა I—III და II—IV კლასების დაწყვილების დროს).

გარდა ზემოთქმულისა, ცალკეულ შემთხვევებში ნავარაუდევია მასწავლებლის უშუალო მეცადინეობა ოცდაათ-ოცდაათი (30 30) წუთით: I კლასში კვირაში ორჯერ ქართულში, ერთხელ — არითმეტიკაში; II კლასში კვირაში ორჯერ რუსულში (ამ კლასში იწყება ეს საგანი), ერთხელ — არითმეტიკაში; III კლასში კვირაში ერთხელ რუსულში; IV კლასში კვირაში ორჯერ გეოგრაფიაში.

აქვე საჭიროა ითქვას, რომ გაკვეთილების ცხრილში ამა თუ იმ კლასსა და საგანში მასწავლებლის უშუალო მეცადინეობისა და კლასის დამოუკიდებელი მუშაობისათვის სანიმუშოდ მოცემული დრო, რა თქმა უნდა, საორიენტაციოა, ე. ი. შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული პირობების მიხედვით. დროის წარმოდგენილი განაწილება საერთოდ მიუთითებს იმაზე, თუ რომელ კლასსა და რა საგანში რამდენი დრო უნდა დაეთმოს მასწავლებლის უშუალო მუშაობას და მოსწავლეთა დამოუკიდებ-

ბელ მუშაობას. დასამახსოვრებელია, რომ საერთო გაკვეთილის 45 წუთი უბრალოდ და მექანიკურად შუაზე კი არ უნდა გავუყოთ დაწყვილებულ-ორ კლასს, არამედ ყოველ ცალკე შემთხვევაში კლასისა და საგნის ინტერესებიდან უნდა გამოვდიოდეთ.

დასასრულ, გაკვეთილის ცხრილის შედგენა-განხილვასთან დაკავშირებით ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებაზე გესურს შევჩერდეთ.

ცნობილია, რომ ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე ზოგი მასწავლებელი ორ კლასთან ერთდროულად მუშაობას გაურბის, ამიტომ ერთ ცვლაში ერთ კლასთან მუშაობს და მეორე ცვლაში — მეორე კლასთან. ეს პრაქტიკა, რა თქმა უნდა, მიუღებელია. ორკომპლექტიანი სკოლის მასწავლებლის მთავარი ამოცანა სწორედ ის არის, რომ იგი ერთდროულად, ნაყოფიერად და სრული დატვირთვით ამუშავებდეს ორსა და მეტ კლასს, შეგნებულად და მტკიცედ დაეუფლოს ამ სახის სკოლაში მუშაობის რთულსა და საინტერესო ხელოვნებას, მის სპეციფიკას...

მაგრამ ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის ორგანიზაციული და მეთოდური საკითხების ჯეროვნად დაუფლების პირობებშიც, რიგი მეთოდისტების აზრით, მიზანშეწონილი არ იქნებოდა ერთხელ და სამუდამოდ აგველო ხელი ორკომპლექტიანი სკოლის მუშაობის ისეთ ორგანიზაციაზე, რომელიც ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელს საშუალებას მისცემს სასწავლო დროის განსაზღვრული ნაწილი გამოიყენოს ერთ კლასთან მუშაობისათვის. ამის საპირობა განსაკუთრებით დიდია, მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში I და III კლასებთან ერთდროულად მეცადინეობის დროს: როგორც ცნობილია, პირველდაცლემმა (წერდი წლის ბავშვებმა) ანბანი უნდა ისწავლონ, წერა-კითხვის პირველადი საფუძვლები უნდა აითვისონ და დამოუკიდებლად უნდა იმუშაონ, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი კი მათ არა აქვთ, ანდა ძალიან ნაკლები აქვთ და სხვ.

წინსაანბნო პერიოდში მუშაობა მეტად სპეციფიკურია. შეიძლება წლის ბავშვი, რომელიც ოჯახიდან თუ საბავშვო ბაღიდან პირველად მოხვდა მისთვის უჩვეულო გარემოში, ისეთ განცდაშია, რომ თუ მან თავის მოთხოვნილებასა და ინტერესებზე გამოხმაურება ვერ პოვა, ლამის დაკარგოს ასაკისათვის დამახასიათებელი გულწრფელობა, ნდობა, ხალისი-ანობა, ცნობისმოყვარეობა, აქტიურობა, დამოუკიდებლობა და გახდეს ინერტიული და პასიური; მეორე დღეს შეიძლება თავის ნებით და ხალისით არც კი წავიდეს სკოლაში, თუ არ იგრძნო, რომ სკოლა კარგი, შინაარსიანი და მიმზიდველია.

ბავშვის ფსიქოლოგიას კარგად უნდა იცნობდეს მასწავლებელი. პატარა ბავშვს ისე უნდა მოვექცეთ, რომ მას შეუყვარდეს სკოლა, იგრძნოს სკოლის წესრიგი, დისციპლინა, მისდამი ყურადღება. სასკოლო რეჟიმისადმი პატარა ბავშვის დაქვემდებარება, ცხადია, ერთბაშად არ

მოხდება. ამ მხრივ მას ვერ წაუყუენებთ იმ მოთხოვნას, რასაც ჩვენ II და უფროსი კლასების მოსწავლეებს ვთხოვთ. მოსწავლეებელი პირველ-კლასელებს სკოლის წესებს თან და თან აცნობს, აჩვენებს ამ წესების პრაქტიკულად შესრულებას და წერა-კითხვის შესწავლისათვის ამზადებს. მუშაობის შინაარსის მოკლე სქემა, როგორც ცნობილია, დაახლოებით ასეთია: 1. მოსწავლეების გაცნობა, დაახლოება, მათთან საუბარი; 2. სასწავლო, კოლექტიური მუშაობის მინიმალური წესებისა და შინაგანაწესის გაცნობა; 3. ფანქრისა და კალმისტრის სწორად დაქერის ჩვენის მიღება; 4. ჰიგიენის წესების დაცვა; 5. მოსწავლის თბრობაში გაწაფვა; 6. სურათის გაცნობა, მათი ამოკითხვა; 7. ხაზვა, ხატვა, გამოქვა; 8. ათამდე თვლა; 9. ლექსების დაზეპირება; 10. მოსწავლეების მიერ მოთბრობილის თუ წაკითხულის ყურადღებით მოსმენა; 11. გადმოცემა ზღაპრისა, ლექსისა, ანდაზისა, გამოცანისა, რომლებიც მოსწავლეს სკოლაში მოსვლამდე გაუგონია და უსწავლია; 12. ამის დაყოფა წინადადებად, წინადადებისა—სიტყვებად, სიტყვისა—მარცვლებად და სხვა.

საანბანო პერიოდიც სპეციფიკურობით ხასიათდება: ა) წინასწარი საუბარი, ბ) საჭირო სიტყვის გამოყოფა წინადადებიდან, გ) სიტყვის ანალიზი და სინთეზი, დ) ასო-ბგერის გამოყოფა, ე) ამ ასო ბგერის ძებნა სხვა სიტყვებში, ვ) მოძრავი ასოს ჩვენება, ზ) მოძრავ ასოებისაგან ნაირნაირი სიტყვების შედგენა, ი) სიტყვის, წინადადების და ტექსტის კითხვა, კ) ასოს, სიტყვისა და ფრაზის წერა და სხვა.

როგორც ვხედავთ, სასურველია, რომ წინა და საანბანო პერიოდებში მოსწავლეებელი მარტო პირველკლასელებთან მუშაობდეს; იმავე დროს ის აჩვენებს მათ დამოუკიდებლადაც მუშაობას (ხატვა, მოძრავი ასოებისაგან სიტყვების შედგენა, სურათის დათვალიერება, ტექსტში საჭირო ადგილის მონახვა, წერა, ჩემი კითხვა და სხვ.), რათა—პირველკლასელებში დამოუკიდებელი მუშაობის უნარის გამომუშავების საფუძველზე—შესაძლებელი გახდეს ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში მათთან ნაყოფიერი მეცადინეობა.

ზემოაღნიშნულას გამო, მოსაწონია I და III კლასების ზოგიერთი მოსწავლეების პრაქტიკა: სასწავლო წლის პირველ მეოთხედში 1-ლ და მე-2 გაკვეთილზე მარტო I კლასს ასწავლის; მესამე გაკვეთილისათვის დაბარებული ჰყავს III კლასი და მე-3 და მე-4 გაკვეთილზე ერთდროულად ასწავლის და I და III კლასებს, ხოლო ოთხი გაკვეთილის შემდეგ პირველკლასელებს შ ე უშვებს და თვითონ მარტო III კლასთან ატარებს დარჩენილ გაკვეთილებს.

ასეთი დროებითი ცხრილით ორ თვეს მეცადინეობა საშუალებას აძლევს I და III კლასების მოსწავლეებს, ერთი მხრივ, კარგ პირობებში ჩაატაროს I კლასში წინა საანბანო მუშაობა, ანბანის სწავლება და დამოუკიდებელი მუშაობის პირველადი ჩვევებიც გამოუმუშაოს შეიძლია წლის ბავშვებს, ხოლო, მეორე მხრივ, სათანადო ყურადღება მიექ-



ციოს III კლასის ამა თუ იმ მტკივნეულ მხარეს, კერძოდ, საფუძვლიანად გაამეორებინოს წინა წლის (II კლასის) კურსი და მიმდინარე მუშაობაც კარგად წარმართოს.

როგორც პირველკლასელებს სჭირდებათ სასწავლო წლის დასაწყისში განსაკუთრებული ყურადღება, ასევე ძალიან საჭიროა სასწავლო წლის დამთავრების უკანასკნელ თვეებსა და კვირებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გამოსაშვებ (IV) კლასს, რომელმაც დაწყებითი სკოლის მთელი კურსი უნდა გაიმეოროს და რომელიც პირველად წარსდგება გამოცდებზე; ფრიად საჭირო და სასარგებლო იქნებოდა გამოსაშვებ კლასთან ორიოდე თვე ყოველდღიურად რამდენიმე საათი ემატადინა მასწავლებელს.

ცხადია, დიდად აუმაჯობებს II და IV კლასების მოსწავლეთა აკადემიური წარმატების საქმეს, როცა მასწავლებელი წელიწადში ერთ მეოთხედში (ოლონდ არა სასწავლო წლის დასაწყისში, როგორც ეს უფრო სჭირდება I—III კლასების მასწავლებელს, არამედ მეოთხე მეოთხედში) მეცადინეობს თავის კლასებთან დროებითი ცხრილით, რომლის მიხედვითაც I-ლ და მე-2 გაკვეთილზე მარტო მეორე კლასთან მეცადინეობს ხარვეზების ამოსავლებად და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საერთოდ, და, კერძოდ, რუსულში — ახალმიღებული ცოდნის განმტკიცებისა და გაღრმავების მიზნით; მე-3 და მე-4 გაკვეთილზე ერთდროულად ასწავლის II და IV კლასებს, ხოლო შემდეგ მეორეკლასელებს ათავისუფლებს და სასწავლო გეგმით დარჩენილ გაკვეთილებზე (კვირაში ხუთი დღე სამ-სამი გაკვეთილი და ერთი დღე ორი გაკვეთილი) მარტო გამოსაშვებ (IV) კლასთან მუშაობს. ეს ღონისძიება შესანიშნავ საშუალებას აძლევს მასწავლებელს იმისათვის, რომ დაწყებით სკოლაში მისი უშუალო სწავლებითა და ხელმძღვანელობით მიცემული და განმტკიცებული ცოდნა-ჩვევები გაამეორებინოს, გამოკითხოს და კიდევ უფრო განუმტკიცოს გამოსაშვები (IV) კლასის მოსწავლეებს; საჭირო პასუხისმგებლობის გრძნობით მოამზადოს თავისი აღზრდილები პირველი გამოცდის შეგნებულად და ღირსეულად ჩაბარებისათვის.

აქვე ვიძღვეით ორ კლასში ერთდროულად მეცადინეობის ორ საორიენტაციო ცხრილს (№ 1 და № 2).

№ 1 ცხრილით ძირითადად ერთი და იგივე საგანი ერთდროულად ისწავლება დაწყვილებულ კლასებში, № 2 ცხრილით კი ძირითადად სხვადასხვა საგანი ერთდროულად ისწავლება დაწყვილებულ კლასებში.

აგრეთვე ვიძღვეით ორ დროებით ცხრილს: ერთს I და III, ხოლო მეორეს—II და IV კლასებისათვის (იხ. გაკვეთილების ცხრილები № 3, № 4).

ყველა ეს ცხრილი საორიენტაციოა.

ორკომპლექტიანი სკოლის

| დღეები       | ბაკეთილები    | I და III კლასებისათვის   |                       |               |   |                       |    |
|--------------|---------------|--|-----------------------|---------------|---|-----------------------|----|
|              |               | I კლასი  |                       |               | III კლასი   |                       |    |
|              |               | საგანი   | გროს განაღება მუთობით |               | საგანი  | გროს განაღება მუთობით |    |
| მასწავლებლის | დამოუკიდებელი |  | მასწავლებლის          | დამოუკიდებელი |   |                       |    |
| ორშაბათი     | 1             | ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>ქართული ენა<br>—                 | 30                    | 15            | ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>ქართული ენა*<br>რუსული ენა<br>სიმღერა                    | 15                    | 30 |
|              | 2             |  | 25                    | 20            |   | 20                    | 25 |
|              | 3             |  | 25                    | 20            |   | 20                    | 25 |
|              | 4             |  | 20                    | 25            |   | 25                    | 20 |
|              | 5             |  | —                     | —             |   | 45                    | —  |
| სამშაბათი    | 1             | ქართული ენა<br>ქართული ენა*<br>არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>სიმღერა          | 25                    | 20            | ქართული ენა<br>რუსული ენა<br>არითმეტიკა<br>რუსული ენა<br>—                            | 20                    | 25 |
|              | 2             |  | 25                    | 20            |   | 20                    | 25 |
|              | 3             |  | 25                    | 20            |   | 20                    | 25 |
|              | 4             |  | 25                    | 20            |   | 20                    | 25 |
|              | 5             |  | 45                    | —             |   | 20                    | 25 |
| ოთხშაბათი    | 1             | ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>ხატვა<br>ფიზიკური მომზადება<br>— | 25                    | 20            | ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>რუსული ენა<br>ფიზიკური მომზადება<br>ხატვა<br>ქართული ენა | 20                    | 25 |
|              | 2             |  | 25                    | 20            |   | 20                    | 25 |
|              | 3             |  | 25                    | 20            |   | 20                    | 25 |
|              | 4             |  | —                     | 25            |   | 25                    | —  |
|              | 5             |  | 20                    | —             |   | 45                    | 20 |
| ხუთშაბათი    | 1             | ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>—                  | 25                    | 20            | ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>ქართული ენა*<br>რუსული ენა<br>ფიზიკური მომზადება         | 20                    | 25 |
|              | 2             |  | 25                    | 20            |   | 20                    | 25 |
|              | 3             |  | 25                    | 20            |   | 20                    | 25 |
|              | 4             |  | 15                    | 30            |   | 30                    | 15 |
|              | 5             |  | —                     | —             |   | 45                    | —  |
| პარასკევი    | 1             | ქართული ენა*<br>არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>ქართული ენა<br>—                | 20                    | 25            | რუსული ენა<br>არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>ქართული ენა<br>—                           | 25                    | 20 |
|              | 2             |  | 30                    | 15            |   | 15                    | 30 |
|              | 3             |  | 25                    | 20            |   | 20                    | 25 |
|              | 4             |  | 25                    | 20            |   | 20                    | 25 |
|              | 5             |  | —                     | —             |   | 20                    | —  |
| შაბათი       | 1             | არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>ფიზიკური მომზადება<br>ხატვა<br>—                | 25                    | 20            | არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>ხატვა<br>ფიზიკური მომზადება<br>რუსული ენა                | 20                    | 25 |
|              | 2             |  | 30                    | 15            |   | 15                    | 30 |
|              | 3             |  | 25                    | —             |   | —                     | 25 |
|              | 4             |  | —                     | 20            |   | 20                    | —  |
|              | 5             |  | —                     | —             |   | 45                    | —  |

\* სუფთა წერა.

| II და IV კლასებისათვის |                          |               |                    |                          |               |
|------------------------|--------------------------|---------------|--------------------|--------------------------|---------------|
| II კლასი               |                          |               | IV კლასი           |                          |               |
| ს ა გ ა ნ ი            | დროის განაწილება წუთობით |               | ს ა გ ა ნ ი        | დროის განაწილება წუთობით |               |
|                        | მასწავლებლის             | დამოუკიდებელი |                    | მასწავლებლის             | დამოუკიდებელი |
| რუსული ენა             | 30                       | 15            | რუსული ენა         | 15                       | 30            |
| არითმეტიკა             | 25                       | 20            | არითმეტიკა         | 20                       | 25            |
| ქართული ენა            | 25                       | 20            | ქართული ენა        | 20                       | 25            |
| —                      | —                        | —             | ისტორია            | 45                       | —             |
| —                      | —                        | —             | ფიზიკური მომზადება | 45                       | —             |
| ქართული ენა            | 25                       | 20            | ქართული ენა        | 20                       | 25            |
| რუსული ენა             | 25                       | 20            | რუსული ენა         | 20                       | 25            |
| არითმეტიკა             | 25                       | 20            | არითმეტიკა         | 20                       | 25            |
| ხატვა                  | —                        | 25            | ფიზიკური მომზადება | 25                       | —             |
| ფიზიკური მომზადება     | 20                       | —             | ხატვა              | —                        | 20            |
| —                      | —                        | —             | სიმღერა            | 45                       | —             |
| ქართული ენა            | 25                       | 20            | ქართული ენა        | 20                       | 25            |
| არითმეტიკა             | 30                       | 15            | არითმეტიკა         | 15                       | 30            |
| რუსული ენა             | 25                       | 20            | რუსული ენა         | 20                       | 25            |
| ქართული ენა            | 15                       | 30            | გეოგრაფია          | 30                       | 15            |
| —                      | —                        | —             | ბუნებისმეტყველება  | 45                       | —             |
| ქართული ენა            | 25                       | 20            | ქართული ენა        | 20                       | 25            |
| რუსული ენა             | 25                       | 20            | რუსული ენა         | 20                       | 25            |
| არითმეტიკა             | 25                       | 20            | არითმეტიკა         | 20                       | 25            |
| ქართული ენა            | 25                       | 20            | ქართული ენა        | 20                       | 25            |
| —                      | —                        | —             | ისტორია            | 45                       | —             |
| არითმეტიკა             | 25                       | 20            | არითმეტიკა         | 20                       | 25            |
| რუსული ენა             | 25                       | 20            | რუსული ენა         | 20                       | 25            |
| ხატვა                  | —                        | 20            | ფიზიკური მომზადება | 20                       | —             |
| ფიზიკური მომზადება     | 25                       | —             | ხატვა              | —                        | 25            |
| ქართული ენა            | 25                       | 20            | ქართული ენა        | 20                       | 25            |
| სიმღერა                | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
| რუსული ენა             | 30                       | 15            | რუსული ენა         | 15                       | 30            |
| ქართული ენა            | 25                       | 20            | ქართული ენა        | 20                       | 25            |
| არითმეტიკა             | 25                       | 20            | არითმეტიკა         | 20                       | 25            |
| ქართული ენა*           | 15                       | 30            | გეოგრაფია          | 30                       | 15            |
| —                      | —                        | —             | ბუნებისმეტყველება  | 45                       | —             |

\* სეფთა წერა.

ორკომპლექტიანი ხელოს

| დღეები    | გაყვითილები             | I და III კლასებისათვის   |                             |                             |   |                             |                             |
|-----------|-------------------------|--|-----------------------------|-----------------------------|---|-----------------------------|-----------------------------|
|           |                         | I კლასი  |                             |                             | III კლასი   |                             |                             |
|           |                         | საგანი   | ფროხ განაღ-<br>ღება ნუთობით | ფროხ განაღ-<br>ღება ნუთობით | საგანი  | ფროხ განაღ-<br>ღება ნუთობით | ფროხ განაღ-<br>ღება ნუთობით |
|           | მაწვე-<br>ლებელ-<br>თან | დამოუკი-<br>დელად  |                             | მაწვე-<br>ლებელ-<br>თან     | დამოუკი-<br>დელად   |                             |                             |
| ორშაბათი  | 1                       | ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>—                  | 30                          | 15                          | არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>რუსული ენა<br>ქართული ენა*<br>სიმღერა                    | 15                          | 30                          |
|           | 2                       |  | 25                          | 20                          |   | 20                          | 25                          |
|           | 3                       |  | 20                          | 25                          |   | 25                          | 20                          |
|           | 4                       |  | 25                          | 20                          |   | 20                          | 25                          |
|           | 5                       |  | —                           | —                           |   | 45                          | —                           |
| სამშაბათი | 1                       | ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>ქართული ენა*<br>ქართული ენა<br>სიმღერა          | 20                          | 25                          | რუსული ენა<br>ქართული ენა<br>რუსული ენა<br>არითმეტიკა<br>—                            | 25                          | 20                          |
|           | 2                       |  | 20                          | 25                          |   | 25                          | 20                          |
|           | 3                       |  | 20                          | 25                          |   | 25                          | 20                          |
|           | 4                       |  | 25                          | 20                          |   | 20                          | 25                          |
|           | 5                       |  | 45                          | —                           |   | —                           | —                           |
| ოთხშაბათი | 1                       | ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>ხატვა<br>ფიზიკური მომზადება<br>— | 20                          | 25                          | რუსული ენა<br>ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>ფიზიკური მომზადება<br>ხატვა<br>ქართული ენა | 25                          | 20                          |
|           | 2                       |  | 20                          | 25                          |   | 25                          | 20                          |
|           | 3                       |  | 25                          | 20                          |   | 20                          | 25                          |
|           | 4                       |  | —                           | —                           |   | 25                          | —                           |
|           | 5                       |  | 20                          | —                           |   | —                           | 20                          |
| ხუთშაბათი | 1                       | ქართული ენა<br>ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>—                 | 25                          | 20                          | ქართული ენა<br>რუსული ენა<br>ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>—                           | 20                          | 25                          |
|           | 2                       |  | 20                          | 25                          |   | 25                          | 20                          |
|           | 3                       |  | 20                          | 25                          |   | 25                          | 20                          |
|           | 4                       |  | 25                          | 20                          |   | 20                          | 25                          |
|           | 5                       |  | —                           | —                           |   | —                           | —                           |
| პარასკევი | 1                       | ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>ქართული ენა*<br>—                | 25                          | 20                          | არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>ქართული ენა*<br>რუსული ენა<br>ფიზიკური მომზადება         | 20                          | 25                          |
|           | 2                       |  | 20                          | 25                          |   | 25                          | 20                          |
|           | 3                       |  | 30                          | 15                          |   | 15                          | 30                          |
|           | 4                       |  | 20                          | 25                          |   | 25                          | 20                          |
|           | 5                       |  | —                           | —                           |   | 45                          | —                           |
| შაბათი    | 1                       | არითმეტიკა<br>ქართული ენა<br>ფიზიკური მომზადება<br>ხატვა<br>—                | 25                          | 20                          | ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>ხატვა<br>ფიზიკური მომზადება<br>რუსული ენა<br>—           | 20                          | 25                          |
|           | 2                       |  | 25                          | 20                          |   | 20                          | 25                          |
|           | 3                       |  | 25                          | —                           |   | —                           | 25                          |
|           | 4                       |  | —                           | 20                          |   | 20                          | —                           |
|           | 5                       |  | —                           | —                           |   | 45                          | —                           |

\* სუფთა წერა.

II და IV კლასებისათვის

| II კლასი           |                          |               | IV კლასი           |                          |               |
|--------------------|--------------------------|---------------|--------------------|--------------------------|---------------|
| ს ა გ ა ნ ი        | დროის განაწილება წუთობით |               | ს ა გ ა ნ ი        | დროის განაწილება წუთობით |               |
|                    | მასწავლებელს             | დამოუკიდებლად |                    | მასწავლებელს             | დამოუკიდებლად |
| რუსული ენა         | 30                       | 15            | არითმეტიკა         | 15                       | 30            |
| არითმეტიკა         | 20                       | 25            | ქართული ენა        | 25                       | 20            |
| ქართული ენა        | 20                       | 25            | რუსული ენა         | 25                       | 20            |
| —                  | —                        | —             | ისტორია            | 45                       | —             |
| —                  | —                        | —             | ფიზიკური მომზადება | 45                       | —             |
| ქართული ენა        | 20                       | 25            | რუსული ენა         | 25                       | 20            |
| რუსული ენა         | 25                       | 20            | არითმეტიკა         | 20                       | 25            |
| არითმეტიკა         | 25                       | 20            | ქართული ენა        | 20                       | 25            |
| ხატვა              | —                        | 25            | ფიზიკური მომზადება | 25                       | —             |
| ფიზიკური მომზადება | 20                       | —             | ხატვა              | —                        | 20            |
| —                  | —                        | —             | სიმღერა            | 45                       | —             |
| რუსული ენა         | 30                       | 15            | ქართული ენა        | 15                       | 30            |
| ქართული ენა        | 25                       | 20            | არითმეტიკა         | 20                       | 25            |
| არითმეტიკა         | 25                       | 20            | რუსული ენა         | 20                       | 25            |
| ქართული ენა*       | 15                       | 30            | გეოგრაფია          | 30                       | 15            |
| —                  | —                        | —             | ბუნებისმეტყველება  | 45                       | —             |
| რუსული ენა         | 25                       | 20            | ქართული ენა        | 20                       | 25            |
| ქართული ენა        | 25                       | 20            | არითმეტიკა         | 20                       | 25            |
| არითმეტიკა         | 25                       | 20            | ქართული ენა        | 20                       | 25            |
| ქართული ენა        | 20                       | 25            | რუსული ენა         | 25                       | 20            |
| —                  | —                        | —             | ისტორია            | 45                       | —             |
| ქართული ენა        | 30                       | 15            | არითმეტიკა         | 15                       | 30            |
| რუსული ენა         | 25                       | 20            | ქართული ენა        | 20                       | 25            |
| ხატვა              | 25                       | —             | ფიზიკური მომზადება | —                        | 25            |
| ფიზიკური მომზადება | —                        | 20            | ხატვა              | 20                       | —             |
| არითმეტიკა         | 20                       | 25            | რუსული ენა         | 25                       | 20            |
| სიმღერა            | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
| ქართული ენა*       | 20                       | 25            | რუსული ენა         | 25                       | 20            |
| რუსული ენა         | 30                       | 15            | ქართული ენა        | 15                       | 30            |
| ქართული ენა        | 25                       | 20            | არითმეტიკა         | 20                       | 25            |
| არითმეტიკა         | 15                       | 30            | გეოგრაფია          | 30                       | 15            |
| —                  | —                        | —             | ბუნებისმეტყველება  | 45                       | —             |

\* სუფთა წერა.

ორკომპლექტიანი სკოლის I და III კლასების გაკვეთილების დროებითი ცხრილი

№ 3

| დღეები    | გაკვეთილები | I კლასი            |                          |               | III კლასი          |                          |               |
|-----------|-------------|--------------------|--------------------------|---------------|--------------------|--------------------------|---------------|
|           |             | ს ა გ ა ნ ი        | დროის განაწილება წუთობით |               | ს ა გ ა ნ ი        | დროის განაწილება წუთობით |               |
|           |             |                    | მასწავლებელთან           | დამოუკიდებლად |                    | მასწავლებელთან           | დამოუკიდებლად |
| ორშაბათი  | 1           | ქართული ენა        | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
|           | 2           | ქართული ენა        | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
|           | 3           | არითმეტიკა         | 30                       | 15            | ქართული ენა*       | 15                       | 30            |
|           | 4           | ქართული ენა        | 25                       | 20            | არითმეტიკა         | 20                       | 25            |
|           | 5           | —                  | —                        | —             | რუსული ენა         | 45                       | —             |
|           | 6           | —                  | —                        | —             | ქართული ენა        | 45                       | —             |
|           | 7           | —                  | —                        | —             | სიმღერა            | 45                       | —             |
| სამშაბათი | 1           | ქართული ენა        | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
|           | 2           | არითმეტიკა         | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
|           | 3           | ქართული ენა*       | 15                       | 30            | რუსული ენა         | 30                       | 15            |
|           | 4           | ქართული ენა        | 30                       | 15            | არითმეტიკა         | 15                       | 30            |
|           | 5           | —                  | —                        | —             | ქართული ენა        | 45                       | —             |
|           | 6           | —                  | —                        | —             | რუსული ენა         | 45                       | —             |
| ოთხშაბათი | 1           | ქართული ენა        | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
|           | 2           | სიმღერა            | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
|           | 3           | არითმეტიკა         | 20                       | 25            | ქართული ენა        | 25                       | 20            |
|           | 4           | ქართული ენა        | 30                       | 15            | არითმეტიკა         | 15                       | 30            |
|           | 5           | —                  | —                        | —             | რუსული ენა         | 45                       | —             |
|           | 6           | —                  | —                        | —             | ქართული ენა        | 45                       | —             |
| ხუთშაბათი | 1           | ქართული ენა        | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
|           | 2           | ფიზიკური მომზადება | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
|           | 3           | არითმეტიკა         | 25                       | 20            | ქართული ენა*       | 20                       | 25            |
|           | 4           | ქართული ენა        | 30                       | 15            | არითმეტიკა         | 15                       | 30            |
|           | 5           | —                  | —                        | —             | რუსული ენა         | 45                       | —             |
|           | 6           | —                  | —                        | —             | ქართული ენა        | 45                       | —             |
|           | 7           | —                  | —                        | —             | ფიზიკური მომზადება | 45                       | —             |
| პარაკევი  | 1           | ქართული ენა        | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
|           | 2           | არითმეტიკა         | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
|           | 3           | ქართული ენა*       | 20                       | 25            | არითმეტიკა         | 25                       | 20            |
|           | 4           | არითმეტიკა         | 20                       | 25            | ქართული ენა        | 25                       | 20            |
|           | 5           | —                  | —                        | —             | რუსული ენა         | 45                       | —             |
|           | 6           | —                  | —                        | —             | ქართული ენა        | 45                       | —             |
| შაბათი    | 1           | ქართული ენა        | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
|           | 2           | არითმეტიკა         | 45                       | —             | —                  | —                        | —             |
|           | 3           | ქართული ენა        | 40                       | 5             | ხატვა              | 5                        | 40            |
|           | 4           | ხატვა              | 10                       | 35            | რუსული ენა         | 35                       | 10            |
|           | 5           | —                  | —                        | —             | არითმეტიკა         | 45                       | —             |
|           | 6           | —                  | —                        | —             | ქართული ენა        | 45                       | —             |
|           | 7           | —                  | —                        | —             | ფიზიკური მომზადება | 45                       | —             |

| დღეები    | II კლასი    |                    |                         |                       | IV კლასი           |                         |                       |  |
|-----------|-------------|--------------------|-------------------------|-----------------------|--------------------|-------------------------|-----------------------|--|
|           | გაკვეთილები | საგანი             | ეროს განაწილება წუთობით |                       | საგანი             | ეროს განაწილება წუთობით |                       |  |
|           |             |                    | მაწვ.-<br>ლემელ-<br>თან | დაწვ.-<br>ლემელ-<br>დ |                    | მაწვ.-<br>ლემელ-<br>საბ | დაწვ.-<br>ლემელ-<br>დ |  |
| ორშაბათი  | 1           | რუსული ენა         | 45                      | —                     | —                  | —                       | —                     |  |
|           | 2           | ქართული ენა        | 45                      | —                     | —                  | —                       | —                     |  |
|           | 3           | არითმეტრია         | 20                      | 25                    | ქართული ენა        | 25                      | 20                    |  |
|           | 4           | ქართული ენა*       | 15                      | 30                    | არითმეტრია         | 30                      | 15                    |  |
|           | 5           | —                  | —                       | —                     | რუსული ენა         | 4                       | —                     |  |
|           | 6           | —                  | —                       | —                     | ისტორია            | 45                      | —                     |  |
|           | 7           | —                  | —                       | —                     | ფიზიკური მომზადება | 45                      | —                     |  |
| სამშაბათი | 1           | რუსული ენა         | 45                      | —                     | —                  | —                       | —                     |  |
|           | 2           | ქართული ენა        | 45                      | —                     | —                  | —                       | —                     |  |
|           | 3           | არითმეტრია         | 20                      | 25                    | ქართული ენა        | 25                      | 20                    |  |
|           | 4           | ხატვა              | 10                      | 35                    | რუსული ენა         | 35                      | 10                    |  |
|           | 5           | —                  | —                       | —                     | არითმეტრია         | 45                      | —                     |  |
|           | 6           | —                  | —                       | —                     | სიმღერა            | 45                      | —                     |  |
| ოთხშაბათი | 1           | ქართული ენა        | 45                      | —                     | —                  | —                       | —                     |  |
|           | 2           | რუსული ენა         | 45                      | —                     | —                  | —                       | —                     |  |
|           | 3           | არითმეტრია         | 15                      | —                     | რუსული ენა         | 30                      | 15                    |  |
|           | 4           | ქართული ენა        | 25                      | 20                    | არითმეტრია         | 20                      | 25                    |  |
|           | 5           | —                  | —                       | —                     | ქართული ენა        | 45                      | —                     |  |
|           | 6           | —                  | —                       | —                     | გეოგრაფია          | 45                      | —                     |  |
|           | 7           | —                  | —                       | —                     | ბუნებისმეტყველება  | 45                      | —                     |  |
| ხუთშაბათი | 1           | არითმეტრია         | 45                      | —                     | —                  | —                       | —                     |  |
|           | 2           | რუსული ენა         | 45                      | —                     | —                  | —                       | —                     |  |
|           | 3           | ქართული ენა*       | 20                      | 25                    | არითმეტრია         | 25                      | 20                    |  |
|           | 4           | ქართული ენა        | 40                      | 5                     | ხატვა              | 5                       | 40                    |  |
|           | 5           | —                  | —                       | —                     | ქართული ენა        | 45                      | —                     |  |
|           | 6           | —                  | —                       | —                     | რუსული ენა         | 45                      | —                     |  |
|           | 7           | —                  | —                       | —                     | ისტორია            | 45                      | —                     |  |
| პარასკევი | 1           | რუსული ენა         | 45                      | —                     | —                  | —                       | —                     |  |
|           | 2           | სიმღერა            | 45                      | —                     | —                  | —                       | —                     |  |
|           | 3           | ქართული ენა        | 30                      | 15                    | არითმეტრია         | 15                      | 30                    |  |
|           | 4           | არითმეტრია         | 15                      | 30                    | რუსული ენა         | 30                      | 15                    |  |
|           | 5           | —                  | —                       | —                     | ქართული ენა        | 45                      | —                     |  |
|           | 6           | —                  | —                       | —                     | ქართული ენა        | 45                      | —                     |  |
|           | 7           | —                  | —                       | —                     | ფიზიკური მომზადება | 45                      | —                     |  |
| შაბათი    | 1           | რუსული ენა         | 45                      | —                     | —                  | —                       | —                     |  |
|           | 2           | ფიზიკური მომზადება | 45                      | —                     | —                  | —                       | —                     |  |
|           | 3           | არითმეტრია         | 15                      | 30                    | რუსული ენა         | 30                      | 15                    |  |
|           | 4           | ქართული ენა        | 30                      | 15                    | არითმეტრია         | 15                      | 30                    |  |
|           | 5           | —                  | —                       | —                     | ქართული ენა        | 45                      | —                     |  |
|           | 6           | —                  | —                       | —                     | გეოგრაფია          | 45                      | —                     |  |
|           | 7           | —                  | —                       | —                     | ბუნებისმეტყველება  | 45                      | —                     |  |

\* სუფთა წერა.

გაკვეთილის დაგეგმვა, ჩატარება. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ორკომპლექტიან სკოლაში მუშაობის ძირითადი ნაკლია დამოუკიდებელი სამუშაოს შემთხვევითობა, მისი მიზნისა და შესრულების საშუალებათა ცუდად განსაზღვრა, ის, რომ დამოუკიდებელი სამუშაოს მიზანია „შეიქციოს“ ერთ-ერთი კლასის მოსწავლეები, რათა საშუალება მიეცეს მასწავლებელს ხელშეუშლელად ჩაატაროს გაკვეთილი ბევრე კლასში. ამ შემთხვევაში მივიწყებულია მთავარი, სახელდობრ, აუცილებლობა, რომ დამოუკიდებლად მომუშავე კლასი საპროგრამო საკითხებს უხდა წყვეტდეს, პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნა-ჩვევას უხდა ლეზულობდეს. მასწავლებელს წესად უხდა ჰქონდეს მიჩნეული, რომ მასალა, რომელზედაც კლასი დამოუკიდებლად მუშაობს და რომელიც გაკვეთილის მიზნებს ემსახურება, ისეთი სირთულის უხდა იყოს, რომ მისი დაძლევა მოსწავლეს შეეძლოს. მაგალითად, მასწავლებელმა რომ დაავალოს მოსწავლეებს დამოუკიდებლად დაათვალიერონ ადრე კარგად დამუშავებულ-შესწავლილი და განვივორებული, მრავალჯერ შესწავლილი სურათი (ან გაიმეორონ ძალიან ხშირად განმეორებული ლექსი თუ მოთხრობა) იმ დროს, როცა ხარვეზი ბევრია ამოსავსები, — ეს იქნებოდა სასწავლო დროის უმიზნოდ დაკარგვა, ნამდვილად გასაკეთებელი საქმის გადადება, ძვირფასი წუთების გაფლანკვა, რაც გამოიწვევდა პროგრამის გავლაში ჩამორჩენას და ცოდნის დაბალ დონეს.

იმავე დროს მასწავლებელს რომ დაევალებია კლასისათვის სრულიად ახალი, ჯერ აუხსნელი და დაუმუშავებელი მასალის დამოუკიდებლად „შესწავლა“, — არც ეს იქნებოდა მისაღები: ეს ბავშვების ძალ-ღონეს აღემატებოდა და ამ შემთხვევაში უმიზნოდ დროის დაკარგვა გამოვიდოდა; შეტიც: არსებითად ეს იქნებოდა ძველი, მანვე და დავამობილი ბეთოდით მუშაობა, როცა მასწავლებელი ავალბდა ხოლმე მოსწავლეებს „აქედან-აქამდე“ ისწავლეთო, როცა ბავშვის „მასწავლებელი“ მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთარი თავი იყო, როცა მოსწავლეები მხოლოდ თავის თავის ამარა იყვნენ დატოვებულნი.

ნათქვამი მიგვითითებს იმაზე, თუ როგორი არ უხდა იყოს დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალება.

მაშ როგორი უხდა იყოს ის?

ბავშვის დამოუკიდებელი მუშაობა უხდა იყოს გაკვეთილის ორგანიზებული ნაწილი, მასწავლებელთან ჩატარებული წინა მუშაობის ლოგიკური გაგრძელება და ბავშვები კარგად უხდა იყვნენ მომზადებულნი მისთვის; ეს მუშაობა უხდა იყო აუცილებელი რგოლი სწავლების პროცესში და შესრულების შემდეგ ყოველი დამოუკიდებელი სამუშაო კარგად უხდა იქნას შემოწმებული<sup>1</sup>.

კონკრეტულად, ყოველ ცალკე შემთხვევაში ამ საკითხზე პასუხის გაცემა უფრო ადვილია, ვიდრე ზოგადი და ამომწურავი პასუხი.

<sup>1</sup> ბ. ა. ესიპოვი და ნ. კ. გონჩაროვი, პედაგოგია, სუხუმი, 1950, გვ. 286



„მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა, როცა მასწავლებელი რამდენიმე კლასთან მუშაობს, უნდა ტარდებოდეს მასწავლებლის ხელმძღვანელობით და ემყარებოდეს იმ ცოდნა-ჩვევებს, რაც ბავშვებს მოეპოვებათ. ამიტომ მისი ადგილი გაკვეთილზე უმთავრესად იქ არის, სადაც გავლილის განმეორება ან განმტკიცება წარმოებს. ის უნდა იყოს მასწავლებლის უშუალო მუშაობის დამატება, რომელიც ამთავრებს ამ მუშაობას მაშინ, როცა ხდება იმის განმტკიცება, რაც მასწავლებელმა ბავშვებს აუხსნა, და უნდა უსწრებდეს მას, როცა ახალი მასალის შესათავსებლად საჭიროა გავლილის განმეორება“.<sup>1</sup>

უკეთესია, როცა ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელი წინასწარ გეგმავს ბავშვებთან თავისი მუშაობის არა ერთი (შემდეგი) დღის, არამედ რამდენიმე დღის (შეიძლება ერთი კვირის) მა სალას ერთბაშად; ასეთ შემთხვევაში უფრო ადვილია დამოუკიდებელი სამუშაოების განსაზღვრა და, რაც მთავარია, დამოუკიდებლად ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების საშუალებებში ბავშვების წინასწარი გარკვევა; ზოგი დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისათვის ბავშვების წინააღმდეგში მომზადება (მასწავლებლის მათთან უშუალოდ მეცადინეობის დროს). მთელი კვირის მასალის ერთბაშად და წინასწარ გათვალისწინება, მისი დაგეგმვა დღეების მიხედვით, თვალწინ გადაუშლიდა მასწავლებელს აკვეთილების უკეთესი ორგანიზაციის სურათს, კერძოდ კი იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს ბავშვების დამოუკიდებელი მუშაობით და რა—ბავშვებთან მასწავლებლის უშუალოდ მეცადინეობის დროს.

ამასთან ერთად, მთელი კვირის სამუშაოების წინასწარ გათვალისწინება—დაგეგმვა უადვილებს ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელს დაადგინოს, როგორ დღესა და რომელ საათზე რა ტიპის გაკვეთილს ატარებს (ორკომპლექტიან სკოლაში ძირითადად სამი ტიპის გაკვეთილი შეიმჩნევა: ერთია, როცა ორივე კლასში ახალი მასალა ასახსნელი; მეორეა, როცა ერთ კლასში ახალი მასალა ასახსნელი, მეორეში კი შესწავლილი მასალის გამოკითხვა, განმეორება და განმტკიცება ან აღრიცხვა მიმდინარეობს; მესამეა, როცა ორივე კლასში შესწავლილი მასალების გამოკითხვა, განმეორება და განმტკიცება ხდება, ანდა აღრიცხვა წარმოებს).<sup>2</sup>

<sup>1</sup> Начальная школа, Настольная книга учителя, под редакцией проф. М. А. Мельникова, Москва, 1950 г., стр. 141.

<sup>2</sup> ზოგი მეთოდისტი კიდევ უფრო აქტუმატებს და ექვსამდე აყავს გაკვეთილის ტიპებს. საბეჭდობრ: 1) ერთ კლასში ახალი მასალის ასხნა, მეორეში—ახალი მასალის ასხნა; 2) ერთ კლასში ახალი მასალის ასხნა, მეორეში—ცოდნის განმტკიცება; 3) ერთ კლასში ახალი მასალის ასხნა, მეორეში—ცოდნის შემოწმება; 4) ერთ კლასში ცოდნის განმტკიცება, მეორეში—ცოდნის განმტკიცება; 5) ერთ კლასში ცოდნის განმტკიცება, მეორეში—ცოდნის შემოწმება; 6) ერთ კლასში ცოდნის შემოწმება, მეორეში—ცოდნის შემოწმება. (იხილეთ: Б. И. Орловский, П. М. Белевич, А. Н. Карасева, Урок в двухкомплектной школе, Учпедгиз, 1941 г., стр. 17.

აქვე მოგვყავს სხვადასხვა ტიპის ვაკვეთილის გეგმის ნიმუშები, რომლებიც ძირითადად ემყარება რუსეთის სკოლების გამოცდილებას ამ დარგში<sup>1</sup>.

**ა) გაკვეთილი, როცა ორივე კლასში ახალი მასალა უნდა აიხსნას**

**უმცროსი კლასი**

1. დამოუკიდებელი მუშაობა. მასწავლებელთან მუშაობისათვის მომზადება — 5 წუთი.

2. მასწავლებელთან მუშაობა. ბავშვების მოწინააღმდეგე ახალი მასალის შეთვისებისათვის; ახალი მასალის ახსნა; დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისათვის კლასში და შინ. ამ სამუშაოს ნაწილის შესრულება მასწავლებლის მეთვალყურეობით — 15 — 20 წუთი.

3. დამოუკიდებელი მუშაობა. დამოუკიდებელი სამუშაოს გაგრძელება მასწავლებლის მიერ ახსნილი გაკვეთილის განმტკიცების მიზნით — 20 — 15 წუთი.

4. მასწავლებელთან მუშაობა. დამოუკიდებელი სამუშაოს დათვალიერება; საშინაო დავალების განმეორებით გახსენება — 5 წუთი.

**ბ) გაკვეთილი, როცა ერთ კლასში ახალი მასალა იწავლება, მეორეში კი ნასწავლის გამოკითხვა — განმეორება-განმტკიცება ან აღრიცხვა მიმდინარეობს**

**უმცროსი კლასი**

1. მასწავლებელთან მუშაობა. საშინაო სამუშაოს გასინჯვა; დავალების ძიებმა გაელილი მასალის განმტკიცებელი დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისათვის — 10 წუთი.

2. დამოუკიდებელი მუშაობა. სხვადასხვა სავარჯიშოს შესრულება ამა თუ იმ დავალების (გადმოწერა, ამოცანისა თუ მაგალითების გამოყვანა და სხვ.) — 20 — 25 წუთი.

**უფროსი კლასი**

1. მასწავლებელთან მუშაობა. დავალების ახსნა ახალი მასალის შეთვისებისათვის მომზადება — 5 წუთი.

2. დამოუკიდებელი მუშაობა. წერით შესრულება დავალებისა, რომელიც ახალი მასალის შესწავლასთან დაკავშირებული; სხვა დავალები წიგნში მითითებული ადგილის ჩუმი კითხვა გავლილი მასალის განმეორების მიზნით — 15 — 20 წუთი.

3. მასწავლებელთან მუშაობა. მოსწავლეების დამოუკიდებელი სამუშაოს გასინჯვა; ახალი მასალის ახსნა; დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისათვის კლასში და შინ; ამ სამუშაოს ნაწილობრივი შესრულება მასწავლებლის მეთვალყურეობით — 20 — 15 წუთი.

4. დამოუკიდებელი მუშაობა. ახალი მასალის განმტკიცებისათვის დამოუკიდებელი სამუშაოს გაგრძელება — 5 წუთი.

**უფროსი კლასი**

1. დამოუკიდებელი მუშაობა. საშინაო სამუშაოს თვითგასინჯვა; სხვადასხვა დავალების შესრულება მასწავლებელთან მუშაობის მომზადებისათვის — 10 წუთი.

2. მასწავლებელთან მუშაობა. მოსწავლეების დამოუკიდებელი სამუშაოს გასინჯვა; ახალი მასალის ახსნა; დავალების ძიებმა დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისათვის კლასში და შინ — 20 — 25 წუთი.

<sup>1</sup> Начальная школа. Настольная книга учителя, под редакцией проф. М. А. Мельникова, Москва, 1950 г., стр. 143—145

3. მასწავლებელთან მუშაობა. მოსწავლეთა დამოუკიდებელი ნამუშევრების შემოწმება; ვარჯიშობა ან საუბარი გაჯღილის განმტკიცებისათვის; საშინაო დავალება—15—10 წუთი.

3. დამოუკიდებელი მუშაობა. სხვადასხვა დავალების შესრულება მასწავლებლის მიერ ახსნილი მასალის განმტკიცებისათვის—15—10 წუთი

გ) სანიმუშო დაგზავვა გაკვეთილისა, რომელზედაც მუშაობა ორივე კლასში ნაცნობ მასწავლებელს წარმოებას, შემოღება ან წარმოვიღებინოთ:

#### უმცროსი კლასი

1. დამოუკიდებელი მუშაობა. ნასწავლის განმტკიცება, გახეორება, საშინაო სამუშაოს გაჯღილება; მოხადება მასწავლებელთან მუშაობისათვის (ტექსტების, მაგალითების გადმოწერა, სახელმძღვანელო წიგნის ამა თუ იმ ადგილის კითხვა და სხვ.).—10 წუთი.

2. მასწავლებელთან მუშაობა. ბავშვის დამოუკიდებელი ნამუშევრების გასინჯვა; ვარჯიშობა ან საუბარი ნასწავლის განხეორებისა და განმტკიცების მიზნით; დავალების მიცემა დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისათვის კლასში და შინ—25 წუთი.

3. დამოუკიდებელი მუშაობა. ნაწილობრივ შესრულება მასწავლებლის დავალებისა ნასწავლის განხეორება-განმტკიცების მიზნით (წერილობითი სავარჯიშოები და სხვ.)—10 წუთი.

#### უფროსი კლასი

1. მასწავლებელთან მუშაობა. დავალების ახსნა ნასწავლის დამოუკიდებლად განმტკიცებისა და განმტკიცებისათვის; საკორიროლო დავალების მიცემა ბავშვების (ოცდნის გამორკვევის მიზნით)—10 წუთი.

2. დამოუკიდებელი მუშაობა. მასწავლებლის დავალების შესრულება (ვარჯიშობა, კითხვა, საკორიროლო სამუშაო და სხვ.); აჯლილი მასალის განმტკიცება განხეორების ან ბავშვების (ოცდნის შემოწმების მიზნით)—25 წუთი.

3. მასწავლებელთან მუშაობა. მოსწავლეთა დამოუკიდებელი ნამუშევრების შემოწმება; ნასწავლის განხეორება ბავშვების მიერ მასწავლებლის ხელმძღვანელობით—10 წუთი.

როგორც ვხედავთ, პირველი გეგმით (იხ. გეგმა „ა“) ახალი მასალის ახსნა უმცროსი კლასში გაკვეთილის პირველ ნახევარში ხდება, ხოლო უფროსი კლასში—მეორე ნახევარში, რადგან გაკვეთილის პირველ ნახევარში დამოუკიდებელი სამუშაოთი უფროსი კლასის დატვირთვა უფრო მოსახერხებელია (საშინაო დავალების თვითგასინჯვა, ახალი მასალის შეთვისებისათვის. მომზადება, ძველის განხეორება და სხვ.), ვიდრე უმცროსი კლასისა, რომელსაც გაკვეთილის პირველ ნახევარში ახალი მასალის ახსნისა და უშუალოდ მეცადინეობის დროს მასწავლებელი განუმარტავს იმასაც, თუ რა და როგორ უნდა შეასრულონ დამოუკიდებლად ახლად ახსნილ-განმარტებული მასალის მტკიცებ შეთვისებისათვის.

ეს გარემოება არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ზოგ შემთხვევაში, ხანდახან, როცა ამა თუ იმ დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება

ბისათვის უმცროსი კლასი წინა დღითაა მომზადებული, ახალი მასალა გაკვეთილის პირველ ნახევარში უფროსს კლასს აუხსნათ, ხოლო მეორე ნახევარში—უმცროსს კლასს.

მეორე გეგმით („ბ“) ერთ კლასში ახალი მასალა ისწავლება, მეორეში კი ნასწავლის გამოკითხვა-განმეორება-განმტკიცება ან აღრიცხვა მიმდინარეობს, ხოლო მესამე გეგმით („გ“) მუშაობა ნაცნობ მასალაზე წარმოებს.

ძველი მასალის განმეორება-განმტკიცება. ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმეორებას. განმეორების სწორი ორგანიზაცია—უსაპიროესი რამ არის სწავლების პროცესში. ხანდახან ერთ კლასში რომ ახალ მასალას ვასწავლით, მეორე კლასში ძველი მასალის განმეორებას ვუთმობთ მთელ გაკვეთილს, როგორც ეს ნაფარაუდებია „ბ“ გეგმით. ხოლო იშვიათად კი ორივე კლასში (იხილე „გ“ გეგმა) ნასწავლის გამოკითხვა—განმეორება-განმტკიცება ან აღრიცხვა მიმდინარეობს.

გაკვეთილი, რომლის შინაარსია გავლილი მასალის განმეორება. ან აღრიცხვა ორივე კლასში, დაგეგმვის მხრივ დიდ სიძნელეს არ შეიცავს. ასეთ გაკვეთილზე მასწავლებელს დამოუკიდებელი სამუშაოების შერჩევა-მიცემის ბევრად უფრო ფართო შესაძლებლობები აქვს, ვიდრე წინ წარმოდგენილი ტიპების გაკვეთილებზე.

მეთოდისტიების აზრით, მონაცვლეობა შედარებით ადვილია იმ შემთხვევაში, როცა ორივე კლასში მეტწილად ადგილი ექნება ცოდნისა და ჩვევების განმტკიცებას დამოუკიდებელი ვარჯიშობისა და წერილობითი შემოწმების საშუალებით. საპიროა მხოლოდ შეენიშნოთ, რომ სხვადასხვა სამუშაო ერთიმეორეს უნდა ცვლიდეს არა შემთხვევით, არამედ ლოგიკური და მეთოდური თანამიმდევრობით; ყველა სამუშაოს მონაცვლეობა მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს მოსწავლეთა მიერ ცოდნის წარმატებით შეთვისებას და მათი გონებრივი და ზნობრივი ძალების განვითარებას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კარგად უნდა იქნას მოფიქრებული და გათვალისწინებული მუშაობის მონაცვლეობა და დროის განაწილება იმისდა მიხედვით, თუ როგორი შინაარსის არის და რა მიზანს ემსახურება მომავალი მუშაობა ყოველ კლასში. უნდა ვეცადოთ, რომ მეტი დრო ვარგუნოთ უმცროს კლასთან უშუალო მუშაობას, ვინაიდან აქ ჯერ კიდევ სუსტია დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები.

თუ მეორე ან მესამე ტიპის გაკვეთილზე განზრახულია ერთ-ერთ კლასს მიეცეს საკონტროლო სამუშაო, მასწავლებელმა გაკვეთილი სწორედ ამ კლასთან უშუალო მეცადინეობით უნდა დაიწყოს: კარგად აუხსნას საკონტროლო სამუშაოს შესრულების დრო და ხერხი, განუმარტოს მიზანი, დააწყებინოს მუშაობა და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს უშუალო მუშაობა მეორე კლასთან (რომელიც აქამდე, ცხადია, მასწავლებლის და-

ვალებით დამოუკიდებლად მუშაობდა), იგულისხმება, რომ მასწავლებელს ერთ-ერთ კლასთან უშუალოდ მეცადინეობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ჰყავს ის კლასი, რომელიც საკონტროლო სამუშაოს ასრულებს. ხოლო თუ საკონტროლო სამუშაოს შესრულება განზრახულია ორივე კლასში (მესამე ტიპის გაკვეთილზე), მასწავლებელი საკონტროლო სამუშაოს მისცემს როგორც ერთ, ისე მეორე კლასს და თვითონ თვალყურს ადევნებს ყველას, რათა თითოეული მოსწავლე სამუშაოს სხვისგან დამოუკიდებლად ასრულებდეს.

იქნებ ორივე კლასში გაკვეთილის მიზანი იყოს გავლილი მასალის განმეორება და განმტკიცება; მაშინ ეს უნდა განხორციელდეს როგორც ცალკეული კლასების მიერ დამოუკიდებელი სამუშაოების შესრულებით, ისე თითოეულ კლასთან ცალ-ცალკე მასწავლებლის უშუალო მუშაობით, გავლილ მასალასთან დაკავშირებული კითხვა-პასუხებისა და ნაირ-ნაირი ზებირი სავარჯიშოების მოწყობით. უნდა გვახსოვდეს, რომ მასალის განმეორების დროსაც სავალდებულოა მასწავლებლის უშუალო მუშაობა მოსწავლეებთან; გავლილი მასალის განმეორება (იქნება ეს ერთსა თუ ორივე კლასში) არ შეიძლება ამოიწუროს მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელი სამუშაოების მოსწავლეებისათვის მიცემით, რასაც, ხაზგასმით, ადგილი აქვს პრაქტიკაში.

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ გავლილი მასალის განმეორებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ და კერძოდ ორკომპლექტიან სკოლაში. მასწავლებელი ადვილად შეამჩნევს, რომ ბავშვებს არ უყვართ გაიმეორონ, ის, რაც თავის დროზე ცუდად შეუთვისებიათ და დავიწყებით, სამაგიეროდ სიამოვნებით იმეორებენ იმას, რაც გაკვეთილზე კარგად შეუთვისებიათ და ახსოვთ. ერთი სიტყვით, ბავშვს დავიწყებულის განმეორებას ხალისი არა აქვს, ეზარება. ბავშვის ამ ხასიათს, ამ ბუნებას გულისხმობს დიდი რუსი პედაგოგი უშინსკი, როდესაც ამბობს: „...განუწყვეტლივ აწარმოეთ განმეორება, რომელიც თავიდან აგვაცილებს დავიწყებას, რათა სრულიად არ დაგვკირდეს დავიწყებულის განმეორება.“<sup>1</sup>

კარგი მასწავლებელი გაკვეთილის გადაცემის ან გამოკითხვის დროს ცდილობს ნათლად გააგებინოს ბავშვებს ის, რასაც ასწავლის. ცუდია, როცა ზოგიერთ მასწავლებელს განმეორების იმედი აქვს და ამიტომ ურიგდება გადაცემული მასალის (გაკვეთილის) არა საჭირო სიმტკიცითა და შეგნებულობით შეთვისებას მოსწავლეების მიერ.

ეს გარეგნობა, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს განმეორების საჭიროებას. ჯერ-ერთი, სასწავლო კურსში არის ისეთი საკითხები, ცნებები და დებულებანი, რომელთა სრულად და შეგნებულად შეთვისებისათვის

<sup>1</sup> К. Д. Ушинский, Избранные педагогические сочинения, т. II. 1939 г., гл. 193.

საკიროა ხანგრძლივი ვარჯიში, განმეორება, გაწაფვა; მეორე მხრივ, მასწავლებელმა მასალის განმეორების დროს მოხერხებულად უნდა ჩააქსოვოს თემსთან დაკავშირებული ახალი საკითხები, დეტალები, რომლებიც თავის დროზე განზრახ არ ასწავლა მოსწავლეებს, რადგან კარგად იცოდა, რომ მაშინ ორ-სამ ზედმეტ დეტალს შეეძლო ზიანი მიეყენებინა, ხელი შეეშალა მთავარისათვის, ძირითადისათვის, როცა მისი შეთვისება ხდებოდა. მესამე მხრივ, განმეორებას ხომ თავისთავად გავლილი მასალის განზოგადების ხასიათი აქვს, ის საშუალებას იძლევა თანმიმდევრულად იქნას მიმოხილული გავლილი კურსის ამა თუ იმ მონაკვეთის ძირითადი ცნებები, განმარტებები, საკითხები და სხვა.

ყველა ზემოთქმულის მიხედვით ნათელია, რომ რომელიმე თემის, საკითხის განმეორება ამ თემის ჩვეულებრივ შესწავლასა და ხელმეორედ აღქმას კი არ გულისხმობს, არამედ მის გაშლა-გაფართოებას.

განმეორება რომ საინტერესო და ნაყოფიერი გახდეს, დახელოვნებული მასწავლებლები მიმართავენ ნაირ-ნაირ საშუალებებს: მასალას იმეორებენ სხვა გეგმით, ვიდრე ის თავის დროზე ისწავლეს; რიგი საკითხების (გრამატიკის, მართლწერის) განმეორებას აწარმოებენ ახალ მასალაზე; ზავშეებს აძლევენ მეტი დამოუკიდებლობისა და შემოქმედებითი უნარის გამომქვანების საშუალებას; განზოგადებული მასალის გათვალსაზიარებისათვის ფაროდ იყენებენ სქემებს, დიაგრამებს, სურათებს, ცდებს; აწოდებენ დამატებით ცოდნას, აცნობენ დეტალებს, ახალ საკითხებს და სხვა.

განმეორებას ჩვეულებრივ ახდენენ მთელი სასწავლო წლის მანძილზე, თითქმის ყოველ გაკვეთილზე, სწავლის დასაწყისში (წინა წლის კურსიდან), ყოველი თემის თუ მეოთხედის დამთავრებისას, სასწავლო წლის დასასრულს, აგრეთვე ცალკეულ შემთხვევებში ამა თუ იმ საკითხის გაშუქების დროს და სხვ.

განმეორებისათვის მასწავლებელი ისევე გულმოდგინედ ემზადება, როგორც ყოველი ახალი მასალის ახსნის წინ.

ამრიგად, ორკომპლექტიან სკოლაში გაკვეთილის ორგანიზაციის, მისი დაგეგმვისა და ჩატარების დროს, სხვა ჩვეულებრივ საკითხთან ერთად, უზრაღების ცენტრში უნდა იყოს აგრეთვე სამი საკითხი: ა) კლასის დამოუკიდებელი მუშაობისა და მასწავლებლის კლასთან უშუალოდ მეცადინეობის დროის რაციონალურად განაწილება, ბ) დამოუკიდებელი სამუშაოს პროგრამიდან მიზნობრივად შერჩევა და გ) გავლილი მასალის სათანადოდ გამოკითხვა, განმეორება-განმტკიცება.

ერთკომპლექტიან სკოლაში მუშაობის შესახებ, სამ და ოთხ კლასთან ერთდროულად მეცადინეობა, ისე როგორც ორ კლასთან ერთდროულად მუშაობა, შესაძლებელია მხოლოდ მასწავლებლის უშუალო მეცადინეობისა და მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის მონაცვლეობის საფუძველზე. ზევით ვნახეთ, რომ ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის

პირობებში სასწავლო დროის დაახლოებით ერთი ნახევარი მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობაზე მიდის, სამ და ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში კი, ბუნებრივია, ბევრად მეტი დრო წავა მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობაზე და ეს დრო შესაძლებელია სრულიად უნაყოფოდ დაიკარგოს, თუ მასწავლებელმა ვერ გაართვა თავი ბავშვების დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციას. სამ და ოთხ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელი, ისე როგორც ორ კლასში ერთდროულად მომუშავე მასწავლებელი, უნდა ცდილობდეს, რომ დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი დრო მოსწავლეებმა გამოიყენონ ნაყოფიერად; ამ დროში ისინი საქმით, პროგრამული მასალით უნდა იყვნენ დატვირთულნი და არა რითიმე ერთობოდნენ, ოღონდ კი ხელი არ შეუშალონ მასწავლებელს ერთ-ერთ კლასთან ზეპირად მეცადინეობაში.

ზოგი ფიქრობს, რომ ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობის დროს არც ერთ ამ კლასში ახალი მასალის ახსნა არ შეიძლება. ეს შემცდარი აზრია. მართალია, ოთხივე კლასში ახალი მასალის ახსნა არ შეიძლება ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მეტად ძნელია და მიზანშეუწონელიც; მაგრამ ორ კლასში ახალი მასალის ახსნა შესაძლებელია და მიზანშეწონილიც: გაკვეთილის ყოველ ნახევარში სამი კლასი დამოუკიდებელ სამუშაოს ასრულებს, ერთ კლასს კი მასწავლებელი ახალ მასალას უხსნის (ამ შემთხვევაში ორი კლასი დამოუკიდებელი სამუშაოთი დატვირთულია თითქმის მთელ გაკვეთილზე, რაც არც თუ ისე მისაღებია, მაგრამ ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობის სპეციფიკა იძულებულს გვხდის ასე მოვიქცეთ). შესაძლებელია არა მარტო ორ, სამ კლასსაც აუხსნას მასწავლებელმა ახალი მასალა ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობის დროს: 15 წუთს ერთ კლასს უხსნის ახალ მასალას, 15 წუთს — მეორეს, 15 წუთს — მესამეს (სამი კლასი 30—30 წუთს, ხოლო ერთი მთელი 'გაკვეთილი მუშაობს დამოუკიდებლად). ოთხივე კლასისათვის ახალი მასალის ახსნა კი ნაყოფიერი და სასურველი არ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ მასწავლებელს ყოველთვის შეუძლია ისე დაგეგმოს გავლილი მასალის განმეორება-გამოკითხვა ამა თუ იმ კლასში, რომ ახალი მასალის ახსნა თავ-თავის დროზე და რიგ-რიგობით ჯეროვნად გაუნაწილოს კლასებს, რათა პროგრამის გავლაში ჩამორჩენა არ ჰქონდეს არც ერთ კლასს.

ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობა შედარებით ადვილია, როცა ოთხივე კლასში წერის სახით მიმდინარეობს გავლილი მასალის განმეორება-განმტკიცება, ცოდნის გამოკითხვა, შეფასება; მაგრამ ამ სახის მუშაობა საზიანოდ არ უნდა გამოიყენოთ, რადგანაც სულ ამ გზას რომ გავყევით, ახალი მასალა როდისღა უნდა აუხსნათ? ადვილია აგრეთვე საკონტროლო სამუშაოების მიცემა ყველა კლასისათვის ერთდროულად და თვალყურის დევნება, ვინ როგორ მუშაობს და რამდენად დამოუკიდებლად ასრულებს დავალებას.

როგორც ზევით დავინახეთ, ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობის დროს მოსახერხებელია, რომ ერთს, ორს და სამ კლასს ერთსა და იმავე გაკვეთილზე მიეცეს ახალი მასალა, აეხსნას ახალი გაკვეთილი. რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში ორ კლასში თუ არა, ერთში მაინც ისწავლებოდეს ისეთი საგანი (ხატვა, სუფთა წერა, ანგარიში), რომელიც მეტ შესაძლებლობას იძლევა დამოუკიდებელი სამუშაოთი ამა თუ იმ კლასის ადვილად და ხანგრძლივად დატვირთვისათვის, რათა მასწავლებელმა დანარჩენ (ორ-სამ) კლასებს ადვილად გაართვას თავი.

ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობისას სიმღერისა და ფიზიკური მომზადების გაკვეთილები დიდ შესვენებებზე უნდა ტარდებოდეს.

ბუნებისმეტყველების, ისტორიისა და სხვა საგნების გაკვეთილების ერთ კლასთან მუშაობის პირობებში მოწყობა, როგორც ეს მოხერხდა ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის დროს, ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში ან სრულიად შეუძლებელია, ანდა შესაძლებელია ძალიან შეზღუდულ პირობებში.

ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებშიც, ისე როგორც ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის დროს, დასაშვებია ერთგვარი ცვლილებების შეტანა გაკვეთილის ჩვეულებრივ სტრუქტურაში, მაგალითად: საშინაო დავალების გასინჯვა არა გაკვეთილის დასაწყისში, არამედ გაკვეთილის შუა ან დასასრულს; წინა გაკვეთილის გამოკითხვამდე ახალი მასალის გაგებისათვის საჭირო წინასამუშაოების ჩატარება; საშინაო დავალების შესრულების შემოწმება თვით მოსწავლეთა მიერ (ტაბულების, სქემების, წიგნის, ლექსიკონის საშუალებით და სხვ.); ჩუმი კითხვის გამოყენება იმ დროსაც კი, როცა ერთ კლასთან მუშაობის პირობებში ეს მაინცდამაინც აუცილებელი არ არის; უფროსი კლასის მოსწავლეთა გამოყენება უმცროსებისათვის დახმარების აღმოჩენის თუ რაიმეს გასინჯვის საქმეში და სხვ.

ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში ყველაზე უფრო ძნელია გაკვეთილის დაწყება ისე, რომ დრო არც ერთ კლასს არ დაეკარგოს, რადგანაც, ცნობილია, რომ მასწავლებელს შეუძლია ერთდროულად უშუალოდ ასწავლოს მხოლოდ ერთ კლასს. ამიტომ მასწავლებელი დანარჩენი სამი კლასისათვის მისაცემ დავალებებს წინასწარ, გაკვეთილის დაწყებამდე ამზადებს. დავალებებში ნათქვამი იქნება, თუ რა სახის სამუშაო უნდა შეასრულოს დამოუკიდებლად ამა თუ იმ კლასმა. ეს დავალებები შეიძლება დაიწეროს დაფაზე,<sup>1</sup> პლაკატზე ან გადასაღები ქაღალდის

<sup>1</sup> ორი დასადგმელი დაფა საკმარისია ოთხი კლასისათვის: თითო კლასს ეჭნება დაფის თითო გვერდი, სათანადოდ დახაზული.



საშუალებით გადავიღოთ და გავამრავლოთ მოსწავლეებისათვის დასარიგებლად თითო მერხზე თითო ცალი.

დავალეგებო დაიწერება, ვთქვათ, ასე: II კლასი — დაწერეთ ერთი სტრიქონი: MAMA; III კლასი — გამოიყვანეთ ამოცანა № 78; IV კლასი — ზეპირად დაწერეთ დღევანდელი გაკვეთილი: „სამშობლო ბელადისა“.

რვეულებს მასწავლებელი წინასწარ დააწყობს ხოლმე მერხებზე. მორიგეები თავიანთ კლასებს უხმაუროდ დაურიგებენ რვეულებს. მოსწავლეებმა განმარტებულით ერთხელ და სამუდამოდ იციან, რომ ჯერ უნდა გაასწორონ შეცდომები, გაითვალისწინონ ის მითითებანი, რაც რვეულშია, და შემდეგ შეასრულონ მიცემული დავალება. მასწავლებელი კი გაკვეთილის პირველ წუთშივე იწყებს უშუალოდ მეცადინეობას, ამ შემთხვევაში, ვთქვათ, I კლასთან. (იქნებ ჯერ სია ამოიკითხოს, თუმცა მეტ შემთხვევაში მოსწავლეთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ მასწავლებელი კლასზე თვალის ერთი გადავლებით მიხედება, ვინ აკლია და სწრაფად აღნიშნავს უერნალში).

მასწავლებლის მომზადება ოთხ კლასთან ერთდროულად გადასაცემი გაკვეთილებისათვის საკმაოდ რთული საქმეა: მასწავლებელმა ჯერ უნდა გაითვალისწინოს გაკვეთილები კლასების მიხედვით (რა საგანი და რა მასალა ისწავლება ამა თუ იმ კლასში ამა თუ იმ დღეს ყველა გაკვეთილზე), შემდეგ უნდა დაადგინოს გაკვეთილების ტიპები (სად არის ახალი მასალის ახსნა, სად — ძველის განმეორება, განმტკიცება, გამოკითხვა); ჩამოაყალიბოს, შეათანხმოს, შეახამოს კლასების მიხედვით — პირველი გაკვეთილი ორ კლასში, მეორე გაკვეთილი ორ კლასში, მესამე გაკვეთილი ოთხ კლასში, მეოთხე გაკვეთილი ოთხ კლასში, მეხუთე გაკვეთილი ორ კლასში, მეექვსე გაკვეთილი ორსა თუ ერთ კლასში; ამასთანავე უნდა გაითვალისწინოს სიმღერისა თუ ფიზიკური მომზადების გაკვეთილის ჩატარება ორ-ორ კლასთან დიდ შესვენებებზე, და ბოლოს, წერილობით ჩამოაყალიბოს ოთხ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის მოცემული დღის მოკლე გეგმა.

სამ და ოთხ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელს შრომას უმსუბუქებს ის გარემოება, რომ თითოეულ კლასში მოსწავლეთა რიცხვი მეტად მცირეა. ოთხ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებლისათვის ადვილია საშინაო და საკლასო ნამუშევრების გასწორება, წერის დროს ყველა მოსწავლისათვის მიხედვა, დახმარების აღმოჩენა, ყველა მოსწავლის გამოკითხვა ზეპირად, თითოეული მათგანის ავისა და კარგის ზედმიწევნით ცოდნა, რაც აეგზომ საჭიროა ბავშვის სათანადო აღზრდისა და სწავლებისათვის.

კარგად შედგენილი გაკვეთილების ცხრილი, ისე როგორც ყველა სკოლისა და კლასისათვის, აუცილებელია ერთკომპლექტიანი სკოლის მასწავლებლისთვისაც, რათა მან სათანადოდ ააწყოს მუშაობა.

„გაკვეთილების ცხრილი ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში ისე აიგება, რომ პირველი ორი საათის განმავლობაში მასწავლებელი შეცადინებობს მხოლოდ ორ კლასთან: პირველსა და მესამესთან. პირველი დიდი დასვენების დაწყების დროისათვის (მეორე გაკვეთილის შემდეგ) მოდიან მეორე და მეოთხე კლასების მოწაფეები. ამრიგად, შემდგომი ორი საათის განმავლობაში მასწავლებელი მუშაობს უკვე ოთხ კლასთან. ბოლოს, უკანასკნელი ორი საათის განმავლობაში ის მუშაობს ისევე ორ კლასთან: მეორესა და მეოთხესთან. სასწავლო დღის ასეთი ორგანიზაციის დროს მასწავლებელს დღეში მხოლოდ ორი საათი უხდება ყველა კლასთან ერთდროულად მუშაობა“.<sup>1</sup>

სამ და ოთხ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებლების ყოველდღიური დატვირთვა ექვსი საათია, რაც ერთნახევარ განაკვეთს შეადგენს.

ოთხ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელი ისე გეგმავს თავის მუშაობას, რომ პირველ ორ საათს ორ კლასთან შეცადინებობს, ხოლო მესამე და მეოთხე გაკვეთილებს ოთხივე კლასთან ატარებს. მესამე და მეოთხე გაკვეთილები ისეა დაგეგმილი, რომ ერთ-ორ კლასში მასწავლება ხატვა, სუფთა წერა ან არითმეტიკა, ესე იგი ისეთი საგნები, რომლებიც საშუალებას აძლევენ მასწავლებელს ხანგრძლივი დამოუკიდებელი სამუშაოებით დატვირთოს ერთი-ორი კლასი, რათა შესაძლებელი გახდეს დანარჩენ ერთ-ორ კლასში ახალი მასალის დამუშავებით ახსნა. მეხუთე და მეექვსე გაკვეთილები ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში ტარდება (შინ მიდის ის ორი კლასი, რომლებთანაც მასწავლებელმა პირველი გაკვეთილიდანვე დაიწყო მუშაობა).

სასწავლო გეგმა, პროგრამები, სახელმძღვანელოები და სწავლების მეთოდები რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში ისეთივეა, როგორც ერთ კლასთან მუშაობისათვის; განსხვავება მხოლოდ ორგანიზაციული ხასიათისაა და ნაწილობრივ გაკვეთილების სტრუქტურას შეეხება.

პედაგოგიური პროცესის ფორმა ძირითადად ასეთია: როცა მასწავლებელი ერთ კლასთან უშუალოდ შეცადინებობს, — სხვა კლასი (ან კლასები) დამოუკიდებლად მუშაობს მასწავლებლის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით.

დამოუკიდებელი სამუშაო პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული ცოდნის მიღება-განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს. საჭიროა გვახსოვდეს, რომ როცა დამოუკიდებელს მუშაობა წინ უსწრებს ახალი მასალის ახსნას, დამოუკიდებელი მუშაობა გაკვეთილის პირველ ნახევარში წარმოებს და ეს თითქმის ყოველთვის წინა დღეს დამუშავებულ მასალას-

<sup>1</sup> И. Н. Кузнецов, О работе с четырьмя классами в начальной школе, Сталинград, 1942 г., стр. 6.

თან არის დაკავშირებული (ზოგჯერ ერთგვარ მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენს ასახსნელი მასალის გაგებისათვის), ხოლო როცა მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა ახალი მასალის ახსნას მოსდევს, ის გაკვეთილის მეორე ნახევარში წარმოებს და თითქმის ყოველთვის უკავშირდება გაკვეთილის პირველ ნახევარში დამუშავებულ საკითხებს.

რამდენიმე კლასში გადასაცემი საგანი ან საგნები ისე უნდა იყოს შერჩეული და შერწყმული, რომ ისინი დამოუკიდებელი სამუშაოს წარმოების შესაძლებლობას იძლეოდნენ. მაგალითად, ვთქვათ, ქართული ენის ან არითმეტიკის სწავლება გულისხმობს როგორც მასწავლებლისა და მოსწავლის ერთად მუშაობას, ისე მოსწავლის დამოუკიდებელ მუშაობასაც. მაშასადამე, ამ საგნების (აგრეთვე რიგი სხვა საგნების) რამდენიმე კლასში ერთდროულად სწავლება შესაძლებელია (მასწავლებელი ერთ კლასს უშუალოდ ასწავლის ამ საგანს, დანარჩენს კი დამოუკიდებელ სამუშაოს აძლევს, ხოლო გაკვეთილის მეორე ნახევარში პირუქუ მოიქცევა).

როგორც ვთქვით, ფიზიკურ მომზადებას და სიმღერას არაფერი აქვს ისეთი, რისიც დამოუკიდებლად შესრულება შეიძლება მასწავლებელმა დააუჯლოს კლასს, თვითონ კი მეორე კლასთან იმეცადინოს უშუალოდ. ამიტომ სიმღერისა და ფიზიკურა მომზადების გაკვეთილების დაწყებამდე სხვა საგანთან რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში მოუხერხებელია; სიმღერისა და ფიზიკური მომზადების გაკვეთილს ატარებენ ცალ-ცალკე, ერთ კლასთან მუშაობის პირობებში. სამ და ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობისას ეს გაკვეთილები ჩვეულებრივ ამოაქვთ გაკვეთილების ნორმალური ცხრილიდან და ისინი გადააქვთ გაკვეთილებს შუა მოწყობილ დიდ შესვენებებზე. დიდი შესვენების ხანგრძლივობა 30—35 წუთია. აქედან 20—25 წუთი სიმღერის ან ფიზიკური მომზადების ნახევარ გაკვეთილს ხმარდება. სიმღერისა და ფიზიკური მომზადების გაკვეთილებზე ოთხ კლასთან მუშაობის პირობებში დაშვებულია ორი კლასის გაერთიანება იმ პირობით, რომ ამ გაერთიანებულ ორ კლასს მეცადინეობა ერთად ექნება, მაგრამ შიგა და შიგ, მეცადინეობის პროცესში, თითოეული კლასის პროგრამას და სპეციფიკას ანგარიში გაეწევა, რაც, საერთო ვარჯიშობისა თუ საერთო სიმღერის პარალელურად, განსხვავებულის ცალ-ცალკე გავლა-შეთვისებასაც გულისხმობს.

აქვე ვიძღვეით გაკვეთილების სამ საორიენტაციო ცხრილს:

1) გაკვეთილების საორიენტაციო ცხრილი I, II და III კლასებთან ერთდროულად მეცადინეობისათვის;

2) გაკვეთილების საორიენტაციო ცხრილი II, III და IV კლასებთან ერთდროულად მეცადინეობისათვის;

3) გაკვეთილების საორიენტაციო ცხრილი I, II, III და IV კლასებთან ერთდროულად მეცადინეობისათვის.

გაკვეთილებას საორიენტიაციო ცხრილი

I, II და III კლასებთან ერთდროულად შეცადინებობისათვის

№ 1

| მნიშვნელობა       | გაკვეთილებები | შეცადინებობის საათები | I კლასი     |                  |                  | II კლასი |                  |                  | III კლასი |                  |                  |    |
|-------------------|---------------|-----------------------|-------------|------------------|------------------|----------|------------------|------------------|-----------|------------------|------------------|----|
|                   |               |                       | საგანი      | დროის განაწილება |                  | საგანი   | დროის განაწილება |                  | საგანი    | დროის განაწილება |                  |    |
|                   |               |                       |             | ფაქტობრივი       | წინაგადასწრებული |          | ფაქტობრივი       | წინაგადასწრებული |           | ფაქტობრივი       | წინაგადასწრებული |    |
| საბუნებისმეტყველო | 1             | 9.00—9.45             | პართული ენა | 45               | —                | —        | —                | —                | —         | —                | —                |    |
|                   | 2             | 9.55—10.40            | არიომეტრია  | 45               | —                | —        | —                | —                | —         | —                | —                |    |
|                   | დიდი უცხო     | 3                     | 10.40—11.15 | ფიზიკა           | 20               | 25       | 25               | —                | —         | —                | —                | —  |
|                   |               | 4                     | 11.15—12.00 | პართული ენა      | —                | —        | —                | —                | —         | —                | —                | —  |
|                   | დიდი უცხო     | 5                     | 12.10—12.55 | —                | —                | —        | —                | —                | —         | —                | —                | —  |
|                   |               | 6                     | 12.55—1.30  | —                | —                | —        | —                | —                | —         | —                | —                | —  |
| საბუნებისმეტყველო | 1             | 9.00—9.45             | პართული ენა | 45               | —                | —        | —                | —                | —         | —                | —                |    |
|                   | 2             | 9.55—10.40            | არიომეტრია  | 45               | —                | —        | —                | —                | —         | —                | —                |    |
|                   | დიდი უცხო     | 3                     | 10.40—11.10 | —                | —                | —        | —                | —                | —         | —                | —                | —  |
|                   |               | 4                     | 11.10—11.55 | პართული ენა      | 15               | 30       | 30               | 5                | 40        | 25               | 25               | 20 |
|                   | დიდი უცხო     | 5                     | 12.05—12.50 | პართული ენა*     | 10               | 85       | 85               | 20               | 25        | 15               | 15               | 30 |
|                   |               | 6                     | 12.50—1.20  | —                | —                | —        | —                | —                | —         | —                | —                | —  |
| საბუნებისმეტყველო | 1             | 9.00—9.45             | არიომეტრია  | 45               | —                | —        | —                | —                | —         | —                | —                |    |
|                   | 2             | 9.55—10.40            | პართული ენა | 45               | —                | —        | —                | —                | —         | —                | —                |    |
|                   | დიდი უცხო     | 3                     | 10.40—11.10 | —                | —                | —        | —                | —                | —         | —                | —                | —  |
|                   |               | 4                     | 11.10—11.55 | პართული ენა      | 15               | 30       | 30               | 20               | 25        | 15               | 15               | 30 |
|                   | დიდი უცხო     | 5                     | 12.05—12.50 | პართული ენა*     | 10               | 85       | 85               | 80               | 15        | 15               | 15               | 80 |
|                   |               | 6                     | 12.50—1.20  | —                | —                | —        | —                | —                | —         | —                | —                | —  |

|        |   |             |             |    |    |   |    |    |    |    |    |    |
|--------|---|-------------|-------------|----|----|---|----|----|----|----|----|----|
| საბაზო | 1 | 9.00—9.45   | არითმეტკა   | 45 | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 2 | 9.55—10.40  | ქართული ენა | 45 | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 3 | 10.40—11.15 | ს           | 20 | 25 | რ | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
|        | 4 | 11.15—12.00 | ქართული ენა | 10 | 85 | ა | 85 | 85 | 85 | 85 | 85 | 85 |
|        | 5 | 12.10—10.55 | არითმეტკა   | —  | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 6 | 12.55—1.30  | —           | —  | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
| საბაზო | 1 | 9.00—9.45   | არითმეტკა   | 45 | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 2 | 9.55—10.40  | ქართული ენა | 45 | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 3 | 10.40—11.10 | ფიზიკა      | 20 | 25 | ბ | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
|        | 4 | 11.10—11.55 | ქართული ენა | —  | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 5 | 12.05—12.50 | —           | —  | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 6 | 12.50—1.20  | —           | —  | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
| საბაზო | 1 | 9.00—9.45   | არითმეტკა   | 45 | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 2 | 9.55—10.40  | ქართული ენა | 45 | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 3 | 10.40—11.15 | ფიზიკა      | 20 | 25 | გ | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
|        | 4 | 11.15—12.00 | არითმეტკა   | —  | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 5 | 12.10—12.55 | ქართული ენა | 15 | 30 | დ | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 |
|        | 6 | 12.55—1.50  | —           | 15 | 30 | ე | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 |
| საბაზო | 1 | 9.00—9.45   | არითმეტკა   | 45 | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 2 | 9.55—10.40  | ქართული ენა | 45 | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 3 | 10.40—11.15 | ს           | 15 | 30 | ვ | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 |
|        | 4 | 11.15—12.00 | არითმეტკა   | —  | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 5 | 12.10—12.55 | ქართული ენა | 15 | 30 | ზ | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 |
|        | 6 | 12.55—1.50  | —           | 15 | 30 | თ | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 |
| საბაზო | 1 | 9.00—9.45   | არითმეტკა   | 45 | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 2 | 9.55—10.40  | ქართული ენა | 45 | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 3 | 10.40—11.15 | ს           | 15 | 30 | ი | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 |
|        | 4 | 11.15—12.00 | არითმეტკა   | —  | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | —  |
|        | 5 | 12.10—12.55 | ქართული ენა | 15 | 30 | კ | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 |
|        | 6 | 12.55—1.50  | —           | 15 | 30 | ლ | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 |

\* სუფთა წერა.

გაკვეთილების საორიენტაციო ცხრილი  
 II, III და IV კლასებთან ერთდროულად შეცდინებოსათვის

| ფორმები  | გაკვეთილები | შეცდინების სათები | II კლასი    |              | III კლასი   |              | IV კლასი     |       |        |              |       |
|----------|-------------|-------------------|-------------|--------------|-------------|--------------|--------------|-------|--------|--------------|-------|
|          |             |                   | საკანი      | დროის განაწ. |             | საკანი       | დროის განაწ. |       | საკანი | დროის განაწ. |       |
|          |             |                   |             | ზღვრი        | წმკვდ       |              | ზღვრი        | წმკვდ |        | ზღვრი        | წმკვდ |
| საბავშვო | 1           | 9.00 - 9.45       | —           | —            | —           | —            | კართული ენა  | 45    | —      |              |       |
|          | 2           | 9.55 - 10.40      | —           | —            | —           | რუსული ენა   | 45           | —     |        |              |       |
|          | დღი შესვენ. | 10.45 - 11.10     | —           | —            | —           | სიმღერა      | 25           | —     |        |              |       |
|          | 3           | 11.15 - 12.00     | რუსული ენა  | 30           | 15          | კართული ენა* | 10           | 35    |        |              |       |
|          | 4           | 12.10 - 12.55     | კართული ენა | 15           | 30          | ართიმეტიკა   | 10           | 35    |        |              |       |
|          | დღი შესვენ. | 1.00 - 1.25       | ს ი მ დ ე   | 20           | 25          | რუსული ენა   | 25           | 20    |        |              |       |
| 5        | 1.30 - 2.15 | ართიმეტიკა        | 20          | 25           | კართული ენა | 25           | 20           |       |        |              |       |
| 6        | 2.25 - 3.10 | კართული ენა*      | 10          | 35           | კართული ენა | 35           | 10           |       |        |              |       |
| საბავშვო | 1           | 9.00 - 9.45       | —           | —            | —           | —            | კართული ენა  | 45    | —      |              |       |
|          | 2           | 9.55 - 10.40      | —           | —            | —           | —            | ისტორია      | 45    | —      |              |       |
|          | დღი შესვენ. | 10.45 - 11.05     | —           | —            | —           | —            | სიმღერა      | 20    | —      |              |       |
|          | 3           | 11.10 - 11.55     | ართიმეტიკა  | 10           | 35          | კართული ენა  | 10           | 35    |        |              |       |
|          | 4           | 12.05 - 12.50     | კართული ენა | 20           | 25          | რუსული ენა   | 15           | 30    |        |              |       |
|          | დღი შესვენ. | 12.55 - 1.15      | ს ი მ დ ე   | 30           | 15          | ართიმეტიკა   | 20           | —     |        |              |       |
| 5        | 1.20 - 2.05 | რუსული ენა        | 30          | 15           | კართული ენა | 15           | 30           |       |        |              |       |
| 6        | 2.15 - 3.00 | კართული ენა       | 20          | 25           | კართული ენა | 25           | 20           |       |        |              |       |

|     |             |   |               |                 |                     |    |   |    |    |    |    |    |   |    |
|-----|-------------|---|---------------|-----------------|---------------------|----|---|----|----|----|----|----|---|----|
| სსპ | ღარი შესენ. | 1 | 9.00 - 9.45   | —               | —                   | —  | — | —  | —  | —  | —  | 45 | რუსული ენა<br>ბუხიბი.მეტყვ.<br>ფიზიკური მოძებ.<br>ქართული ენა<br>არითმეტიკა           |    |
|     |             | 2 | 9.55 - 10.40  | —               | —                   | —  | — | —  | —  | —  | —  | 45 |   |    |
|     |             | 3 | 10.45 - 11.10 | ბატვა           | 5                   | 40 | — | 20 | 25 | 40 | 25 | 25 |   | 25 |
|     |             | 4 | 11.15 - 12.00 | რუსული ენა      | 30                  | 16 | — | 5  | —  | —  | —  | —  |   | 20 |
|     |             | 5 | 12.10 - 12.55 | ფიზიკური მოძებ. | რ ი მ მ ბ ა დ ე ბ ა | 25 | — | 25 | 25 | 20 | —  | —  |   | 10 |
|     |             | 6 | 1.00 - 1.25   | არითმეტიკა      | 20                  | 25 | — | 20 | —  | —  | —  | —  |   | 25 |
| სსპ | ღარი შესენ. | 1 | 9.00 - 9.45   | —               | —                   | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | ქართული ენა<br>არითმეტიკა<br>ფიზიკური მოძებ.<br>რუსული ენა<br>ბატვა<br>გეოგრაფია      |    |
|     |             | 2 | 9.55 - 10.40  | —               | —                   | —  | — | —  | —  | —  | —  | —  |   |    |
|     |             | 3 | 10.45 - 11.05 | ქართული ენა     | 16                  | 90 | — | 10 | —  | 45 | —  | —  |   |    |
|     |             | 4 | 11.10 - 11.55 | რუსული ენა      | 30                  | 15 | — | 10 | —  | 85 | —  | —  |   |    |
|     |             | 5 | 12.05 - 12.50 | ფიზიკური მოძებ. | რ ი მ მ ბ ა დ ე ბ ა | 40 | — | 20 | —  | —  | —  | —  |   |    |
|     |             | 6 | 1.20 - 2.05   | არითმეტიკა      | 5                   | 40 | — | 15 | —  | 30 | —  | —  |   |    |
| სსპ | ღარი შესენ. | 1 | 9.00 - 9.45   | —               | —                   | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | ქართული ენა<br>ისტორია<br>ფიზიკური მოძებ.<br>რუსული ენა<br>არითმ. ტიკა<br>ქართული ენა |    |
|     |             | 2 | 9.55 - 10.40  | —               | —                   | —  | — | —  | —  | —  | —  | —  |   |    |
|     |             | 3 | 10.45 - 11.10 | არითმეტიკა      | 15                  | 90 | — | 10 | —  | 35 | —  | —  |   |    |
|     |             | 4 | 11.15 - 12.00 | ქართული ენა     | 20                  | 25 | — | 20 | —  | 25 | —  | —  |   |    |
|     |             | 5 | 1.00 - 1.25   | ფიზიკური მოძებ. | რ ი მ მ ბ ა დ ე ბ ა | 15 | — | 25 | —  | —  | —  | —  |   |    |
|     |             | 6 | 1.30 - 2.15   | არითმეტიკა      | 30                  | 15 | — | 5  | —  | 40 | —  | —  |   |    |
| სსპ | ღარი შესენ. | 1 | 9.00 - 9.45   | —               | —                   | —  | — | —  | —  | —  | —  | —  | არითმეტიკა<br>ბუნებას მეტყვ.<br>ფიზიკური მოძებ.<br>რუსული ენა<br>ქართული ენა          |    |
|     |             | 2 | 9.55 - 10.40  | —               | —                   | —  | — | —  | —  | —  | —  | —  |   |    |
|     |             | 3 | 10.45 - 11.05 | ქართული ენა     | 15                  | 90 | — | 15 | —  | 30 | —  | —  |   |    |
|     |             | 4 | 11.10 - 11.55 | არითმეტიკა      | 5                   | 40 | — | 20 | —  | 25 | —  | —  |   |    |
|     |             | 5 | 12.05 - 12.50 | რუსული ენა      | 30                  | 15 | — | 15 | —  | 50 | —  | —  |   |    |
|     |             | 6 | 1.20 - 2.05   | ქართული ენა     | 15                  | 30 | — | 30 | —  | 15 | —  | —  |   |    |

\* სუფთა წერა

გაკვეთილებებს საორიენტაციო ცხრილი

I, II, III და IV კლასებთან ერთდროულად შეცადინებისათვის

№ 2

| სტატუსი | გაკვეთილები | I კლასი            |              | II კლასი      |            | III კლასი    |             | IV კლასი      |              |            |             |    |    |    |
|---------|-------------|--------------------|--------------|---------------|------------|--------------|-------------|---------------|--------------|------------|-------------|----|----|----|
|         |             | საგანი             | დროის განაწ. |               | საგანი     | დროის განაწ. |             | საგანი        | დროის განაწ. |            |             |    |    |    |
|         |             |                    | ფც-ტყდ       | წმსდლმ        |            | ფც-ტყდ       | წმსდლმ      |               | ფც-ტყდ       | წმსდლმ     |             |    |    |    |
| სტატუსი | 1           | ქართული ენა        | 30           | 15            | —          | —            | არითმეტიკა  | 15            | 30           | —          | —           | —  | —  | —  |
|         | 2           | არითმეტიკა         | 25           | 20            | —          | —            | ქართული ენა | 20            | 25           | —          | —           | —  | —  | —  |
|         | 3           | ს ი მ ლ მ          | 15           | 30            | რ ა        | 25           | —           | —             | —            | —          | —           | —  | —  | —  |
|         | 4           | ქართული ენა        | —            | —             | არითმეტიკა | 5            | 40          | რუსული ენა    | 15           | 30         | ქართული ენა | 10 | 20 | 35 |
|         | 5           | —                  | —            | ქართული ენა * | 10         | 35           | ქართული ენა | 25            | 20           | არითმეტიკა | 10          | 20 | 35 |    |
|         | 6           | —                  | —            | ქართული ენა   | 20         | 25           | რუსული ენა  | —             | —            | რ ა        | 25          | 25 | —  | 20 |
| სტატუსი | 1           | არითმეტიკა         | 25           | 20            | —          | —            | ქართული ენა | 20            | 25           | —          | —           | —  | —  | —  |
|         | 2           | ქართული ენა        | 25           | 20            | —          | —            | არითმეტიკა  | 20            | 25           | —          | —           | —  | —  | —  |
|         | 3           | ფიზიკური მომზადება | 15           | 30            | მომზადება  | 25           | —           | —             | —            | —          | —           | —  | —  | —  |
|         | 4           | ქართული ენა        | 5            | 40            | რუსული ენა | 20           | 25          | ქართული ენა * | 5            | 40         | არითმეტიკა  | 5  | 40 | 40 |
|         | 5           | ქართული ენა *      | —            | —             | არითმეტიკა | 5            | 40          | რუსული ენა    | 20           | 25         | ქართული ენა | 15 | 30 | 30 |
|         | 6           | —                  | —            | ქართული ენა   | 25         | 20           | ქართული ენა | —             | —            | —          | —           | —  | —  | —  |
|         | 7           | —                  | —            | —             | —          | —            | —           | —             | —            | —          | —           | —  | —  | —  |

\* მობილიზაცია



|            |   |             |    |    |             |    |    |                    |    |             |    |    |
|------------|---|-------------|----|----|-------------|----|----|--------------------|----|-------------|----|----|
| ფინანსები  | 1 | ქართული ენა | 30 | 15 | —           | —  | —  | 15                 | 80 | —           | —  | —  |
|            | 2 | არითმეტიკა  | 20 | 25 | —           | —  | —  | 25                 | 10 | —           | —  | —  |
|            | 3 | ქართული ენა | 15 | 30 | არითმეტიკა  | 10 | 35 | ფიზიკური მომზადება | 40 | რუსული ენა  | 25 | 25 |
|            | 4 | არითმეტიკა  | 10 | 35 | ხატვა       | 5  | 40 | რუსული ენა         | 20 | არითმეტიკა  | 15 | 80 |
|            | 5 | —           | —  | —  | —           | —  | —  | —                  | —  | —           | —  | 20 |
|            | 6 | —           | —  | —  | —           | —  | —  | —                  | —  | —           | —  | 25 |
| სოციალიზმი | 1 | არითმეტიკა  | 30 | 15 | —           | —  | —  | 15                 | 30 | —           | —  | —  |
|            | 2 | ქართული ენა | 20 | 25 | —           | —  | —  | 25                 | 20 | —           | —  | —  |
|            | 3 | ქართული ენა | 10 | 35 | რუსული ენა  | 20 | 25 | 20                 | 35 | ხატვა       | 5  | 40 |
|            | 4 | —           | —  | —  | —           | —  | —  | —                  | 25 | არითმეტიკა  | 5  | 40 |
|            | 5 | —           | —  | —  | —           | —  | —  | —                  | 20 | რუსული ენა  | 20 | 25 |
|            | 6 | —           | —  | —  | —           | —  | —  | —                  | 25 | ქართული ენა | 20 | 20 |
| პრაქტიკა   | 1 | ქართული ენა | 25 | 20 | —           | —  | —  | 20                 | 25 | —           | —  | —  |
|            | 2 | არითმეტიკა  | 20 | 25 | —           | —  | —  | 25                 | 20 | —           | —  | —  |
|            | 3 | ქართული ენა | 10 | 35 | რუსული ენა  | 20 | 25 | 20                 | 35 | ხატვა       | 5  | 25 |
|            | 4 | ქართული ენა | 10 | 35 | ქართული ენა | 20 | 25 | 20                 | 30 | არითმეტიკა  | 15 | 80 |
|            | 5 | —           | —  | —  | —           | —  | —  | —                  | 30 | რუსული ენა  | 20 | 20 |
|            | 6 | —           | —  | —  | —           | —  | —  | —                  | 25 | ქართული ენა | 25 | 20 |
| ზოგადი     | 1 | არითმეტიკა  | 20 | 25 | —           | —  | —  | 25                 | 20 | —           | —  | —  |
|            | 2 | ქართული ენა | 25 | 20 | —           | —  | —  | 20                 | 25 | —           | —  | —  |
|            | 3 | ქართული ენა | 10 | 35 | რუსული ენა  | 20 | 25 | 20                 | 35 | ხატვა       | 5  | 10 |
|            | 4 | ქართული ენა | 10 | 35 | ქართული ენა | 20 | 25 | 20                 | 30 | არითმეტიკა  | 15 | 80 |
|            | 5 | —           | —  | —  | —           | —  | —  | —                  | 30 | რუსული ენა  | 20 | 20 |
|            | 6 | —           | —  | —  | —           | —  | —  | —                  | 25 | ქართული ენა | 25 | 20 |
|            | 7 | —           | —  | —  | —           | —  | —  | —                  | 25 | გეოგრაფია   | 25 | 20 |

\* სულთა წერა

წარმოდგენილ ცხრილებში გათვალისწინებულია თითქმის ყველა საკითხი; შეეჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

№ 1 ცხრილი გულისხმობს I, II და III კლასების ერთდროულად მეცადინეობას. ამ შემთხვევაში ორ გარემოებას უნდა მიეჭკეს განსაკუთრებული ყურადღება.

პირველი. სხვა კლასებთან შედარებით განსაკუთრებულ მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ I კლასი, როგორც ისეთი, რომელიც სწავლას პირველად იწყებს და დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებიც თითქმის არა აქვს. ამის გამო, მთელი წლის მანძილზე პირველი და მეორე გაკვეთილები მართკო I კლასთან უნდა ჩავატაროთ. I კლასში მშობლიური ენა და არითმეტიკა (ეს ძირითადი და წამყვანი საგნები ამ კლასში) თითო გაკვეთილის სახით მაინც ყოველდღე ერთ კლასთან მუშაობის პირობებში უნდა ისწავლებოდეს და პირველკლასელებს თანდათან უნდა უძლიერდებოდეს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა-უნარი; მე-3 და მე-4 გაკვეთილებზე I კლასს სხვა კლასებთანაც ვამეცადინებთ და, ამგვარად, ვაჩვენებთ რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში მეცადინეობას.

მეორე. როგორც ცნობილია, II კლასში იწყება ჩვენი მეორე მშობლიური ენის — რუსული ენის სწავლება. ამ გარემოებას უთუოდ სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს და II კლასში რუსული ენის სწავლებას მეტი ყურადღება და მეტი დრო დაეთმოს, რათა თავიდანვე მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს ახალი ენის შეთვისების ძნელ საქმეს.

პირველი ცხრილით გათვალისწინებულია II კლასში რუსული ენის სწავლება ორ კლასთან მუშაობის პირობებში. რუსული ენის გაკვეთილებზე კლასთან მასწავლებლის უშუალო მეცადინეობისათვის ნავარაუდევია 30-30 წუთი, მაშინ როდესაც უშუალო მეცადინეობისათვის, უეჭველია, ნაკლები დრო გამოიყოფოდა, რომ ამ საკითხის გადაჭრას ნეკანიკურად მივდგომოდით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმ ერთკომპლექტიან დაწყებით სკოლაში, რომელშიაც მასწავლებელი ერთდროულად სამ კლასს ასწავლის და, ვთქვათ, ეს კლასები არის II, III და IV (იხ. № 2 ცხრილი) — განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში, ცხადია, გამოსაშვები, ე. ი. IV კლასი უნდა ჩავაყენოთ. ამ კლასში უნდა ჩატარდეს დაწყებითი სკოლის მთელი კურსის განმეორება-განმტკიცება-გაგლა, დაწყებითი სკოლის პროგრამებით ნაგულისხმევი ცოდნის შეჯამება და პირველი გამოცდების ჩაბარება. ამიტომ ის ზედმეტი ორი საათი, რომელიც ყოველდღიურად აქვს ერთკომპლექტიანი სკოლის მასწავლებელს, მან უნდა მოახმაროს IV კლასში პირველი და მეორე გაკვეთილების ჩატარებას ერთ კლასთან მუშაობის პირობებში. გაკვეთილების ცხრილიც სწორედ ამ პრინციპით შევადგინეთ და ერთ კლასთან მუშაობის პირობებში ჩასატარებელი თორმეტი კვირეული საათი

ასე გაეანაწილეთ: 4 საათი — ქართულ ენას, 2 — რუსულ ენას, 2 — არითმეტიკას, 2 — ისტორიას, 2 — ბუნებისმეტყველებას.

რუსულ ენას II კლასში, სადაც ეს საგანი იწყება, კლასთან მასწავლებლის უშუალო მეცადინეობისათვის გაკვეთილზე დაეთმო 30 წუთი (სულ ერთია, სამ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში, თუ ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში ისწავლება ეს საგანი).

III კლასში ერთ კლასთან მუშაობის პირობებში თითო გაკვეთილზე ისწავლება ქართული ენა და რუსული ენა

სიმღერისა და ფიზიკური აღზრდის თითო გაკვეთილი შეერთებულად ტარდება II და III კლასებში, ხოლო ფიზიკური მომზადების ერთი გაკვეთილი (ორად გაყოფილი) ცალკე ჩატარდება III კლასში. IV კლასში კი, როგორც გამოსაშვებ კლასში, ფიზიკური მომზადებისა და სიმღერის გაკვეთილები სხვა კლასთან მისი შეერთების გარეშე ტარდება.

ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობა უფრო ძნელია, ვიდრე სამ კლასთან. სამი კლასის მასწავლებელმა, როგორც ეტყვიო, თავისი ექვსსაათიანი სამუშაო დროიდან ორი საათი მარტო ერთ კლასს უნდა ასწავლოს, ორი საათი — სამ კლასს, ხოლო დანარჩენი ორი საათი — ორ (დახან ერთ) კლასს. სამი კლასის მასწავლებელი ვალდებულია ხელსაყრელ პირობებში (ერთ კლასთან მუშაობის პირობებში) ჩააყენოს იმ კლასის მეცადინეობა, რომელიც ყველაზე მეტად საპირობებს განსაკუთრებულ დახმარებას. ასეთია I და IV, ესე იგი დამწყები და გამოსაშვები კლასები. სამი კლასიდან ერთ-ერთი უსათუოდ I ან IV კლასი იქნება. თუ პირველი კლასია, მაშინ პირველთან, ხოლო თუ მეოთხეა — მეოთხესთან უნდა მოეწყოს მთელი წლის მანძილზე ყოველდღიურად ორ-ორი საათი ცალკე მეცადინეობა. იშვიათად შეიძლება მოხდეს ისეც, რომ სამ კლასში სწორედ ეს ორი — I და IV კლასი გამოერიოს. ამ შემთხვევაში ცხრილი ისე უნდა შედგეს, რომ სასწავლო წლის პირველ ნახევარში I კლასთან ვატარებდეთ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყოველდღიურ ორ-ორ გაკვეთილს (ვიდრე პირველკლასელები წერა-კითხვას დაეუფლებიან და დაპოუჯიდებელი მუშაობის ჩვევებსაც გამოიმუშავენ), ხოლო წლის მეორე ნახევარში უნდა შედგეს ახალი ცხრილი, რომლის მიხედვით I კლასი ჩადგება ორ და სამ კლასთან მუშაობის პირობებში და IV — გამოსაშვებ კლასს პირველი ორი გაკვეთილი ყოველდღიურად ჩაუტარდება ერთ კლასთან მუშაობის პირობებში. ამრიგად, სამ კლასთან მომუშავე მასწავლებელს შედარებით მეტი შესაძლებლობა აქვს მეცადინეობის უკეთესი ორგანიზაციისათვის, ვიდრე ოთხ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელს.

ოთხ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელს კვირაში ათჯერ სჭირდება (მე-3 და მე-4 გაკვეთილებზე) ოთხ კლასთან ერთდრო-

ული მუშაობა. დანარჩენ დროს კი, როგორც ცხრილიდანაც ჩანს, იგი სამ, ორ და ხან ერთ კლასთანაც მუშაობს (იხ. № 3 ცხრილი). ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობის სიმწვავეს ნაწილობრივ მაინც ანელებს ხატვის, სუფთა წერისა და არითმეტიკის გაკვეთილები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან ხანგრძლივი და ნაყოფიერი დამოუკიდებელი სამუშაოებით დაეტვირთოთ მოსწავლეები.

დასასრულ საკიროდ ვთვლით გავიმეოროთ, რომ რამდენიმე კლასთან ერთდროულად მომუშავე ზოვი მასწავლებელი რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობას გაუბრის. ამიტომ ერთ ცვლაში ერთ კლასთან მუშაობს, მეორე ცვლაში — მეორე კლასთან და ასე შემდეგ. ეს პრაქტიკა, როგორც ითქვა, მიუღებელია და არ შეიძლება სისტემად გადავაქციოთ. ერთ და ორკომპლექტიანი სკოლის მასწავლებლის მთავარი ამოცანა სწორედ ის არის, რომ იგი ერთდროულად, ნაყოფიერად და სრული დატვირთვით ამუშავებდეს რამდენიმე კლასს, შეგნებულად და მტკიცედ დაეუფლოს ამ სახის სკოლაში მუშაობის რთულსა და საინტერესო ხელოვნებას, მის სპეციფიკას... მაგრამ რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობის ორგანიზაციული და მეთოდური საკითხების ჯეროვნად დაუფლების პირობებშიაც სამ და ოთხ კლასთან ერთდროულად მომუშავე ენთუზიასტი მასწავლებლებიც (ისე როგორც ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე ბევრი მასწავლებელი) მიზანშეწონილად არ თვლიან ერთხელ და სამუდამოდ აიღონ ხელი ერთკომპლექტიანი სკოლის მუშაობის ისეთ ორგანიზაციაზე, რომელიც სამ და ოთხ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელს საშუალებას მისცემს სასწავლო დროის განსაზღვრული ნაწილი გამოიყენოს ერთ კლასთან მუშაობისათვის. ამიტომ ისინი აღგენენ დროებით დამატებით ცხრილს და სასწავლო წლის პირველ მეოთხედში ორ-ორ საათს მარტო პირველ კლასებთან ატარებენ, ხოლო სასწავლო წლის უკანასკნელ (მეოთხე) მეოთხედში დღეში ორ-ორ საათს მარტო გამოსაშვებ, IV კლასთან მეცადინეობენ; ანდა კიდევ სხვა ხარვეზებს ავსებენ კონკრეტული საკიროების მიხედვით.

ცხადია, ასეთი ღონისძიება ძალიან ეფექტურია და დადებით შედეგს იძლევა.

## ქართული ენა

მშობლიური ენის შესწავლის მნიშვნელობა. ყველა მასწავლებელმა, მათ შორის რამდენიმე კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელმაც, მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ „ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთ გაგებას. რაკი უშუალოდ დაკავშირებულია აზროვნებასთან, ენა სიტყვებით და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირებით აღნუსხავს და ალბეკდავს აზროვნების მუშაობის შედეგს, ადამიანის შემეცნებითი მუშაობის წარმატებებს და, ამრიგად, შესაძლებელს ხდის აზრთა გაცვლას ადამიანთა საზოგადოებაში.

აზრთა გაცვლა მუდმივი და სასიცოცხლო საჭიროებაა, რადგან უამისოდ შეუძლებელია მოეწყოს ადამიანთა საერთო მოქმედება ბუნების ძალებთან ბრძოლაში, საჭირო მატერიალური დოვლათის წარმოებისათვის ბრძოლაში, შეუძლებელია მიღწეულ იქნას წარმატება საზოგადოების საწარმოო საქმიანობაში, — მაშასადამე, შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოების არსებობაც. მაშასადამე, თუ არ არსებობს საზოგადოებისათვის გასაგები და ყველა მისი წევრისათვის საერთო ენა, საზოგადოება წყვეტს წარმოებას, ირღვევა და აღარ არსებობს, როგორც საზოგადოება. ამ გაგებით ენა, რომელიც ურთიერთობის იარაღია, ამასთანავე საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების იარაღს წარმოადგენს“.<sup>1</sup>

„ღდეაენა ყოველგვარი გონებრივი განვითარების საფუძველი და მთელი ცოდნის საუნჯეა: ყოველგვარი გაგება მით იწყება, მისი მეშვეობით მოდის და მისკენვე ბრუნდება“,<sup>2</sup> — ამბობს კ. უშინსკი.

ქართველ ხალხს მშობლიურ ენაზე სწავლა-აღზრდის უფლება ოქტომბრის რევოლუციამ მიანიჭა. როგორც ცნობილია, ცარიზმის დროს ქართული ენა დაკნინებასა და დაქვეითებას განიცდიდა; სკოლებიდან, სახელმწიფო დაწესებულებიდან, საწარმოებიდან ქართული ენა განდევ-

<sup>1</sup> ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1951 წ., გვ. 20.

<sup>2</sup> იტირებულა დ. ლ ო რ თ ე ი ფ ა ნ ი ძ ი ს წიგნიდან „Педагогическое учение К. Д. Ушинского“, Тбилиси, 1948 г., გვ. 162.

ნილი იყო რუსიფიკატორული პოლიტიკის მეოხებით. ი. გოგებაშვილმა ფიგურალურად თქვა: „ქართული ენა ამჟამად ჰგავს მშვენიერს ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და ჟანგს აქმევენებს“.

დღეს ეს „ჟანგმოდებული სახნისი“ ამუშავებულია, ქართულ სკოლაში ის არის ცოდნის მიღების მთავარი საშუალება.

ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის საერთო წარმატება ბევრად არის დამოკიდებული მშობლიური ენის სწავლების კარგად დაყენებაზე. მასწავლებლის მთავარი ყურადღება იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მეცადინეობის დაწყების პირველი დღეებიდანვე აწარმოოს სისტემატური და თანამიმდევრული მუშაობა ბავშვის მეტყველების განვითარებისათვის, რათა გეგმიანი სალექსიკონო და ფრაზეოლოგიური მუშაობით გაწმინდოს, დააზუსტოს, გაამდიდროს მოსწავლეთა სამეტყველო მარაგი და ხელი შეუწყოს ლიტერატურული ენის გამომუშავებას.

„მშობლიური ენის პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ცოდნის ნამდვილი სისტემატური, ზუსტად განსაზღვრული წრის შეთვისება, აგრეთვე სწორი კითხვის, წერისა და ზეპირი გადმოცემის მტკიცე ჩვევების შეთვისება, ამასთან მოსწავლეთა სასწავლო მუშაობის პრაქტიკაში შეტანილ უნდა იქნას დამოუკიდებელი წერითი მუშაობა, გრამატიკული ვარჩევა და სხვ., როგორც სკოლაში, ისე სახლში“.<sup>1</sup> პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მშობლიური ენის სწავლების დარგში დასახული ეს ამოცანა წარმატებით უნდა ხორციელდებოდეს ორ კლასთან ერთად მუშაობის პირობებშიც.

პროგრამები, სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები. როგორც ერთდროულად რამდენიმე კლასთან, ისე ერთ კლასთან ქართულ ენაში მეცადინეობა წარმოებს საერთო სასწავლო გეგმით, რომლის მიხედვით ქართულ ენას კვირაში დათმობილი აქვს I კლასში 14 საათი, II კლასში—9 საათი, III კლასში—10 საათი, IV კლასში—7 საათი (I, II და III კლასებში სუფთა წერისათვის განკუთვნილი ორ-ორი საათის ჩათვლით).

საგანში ცოდნის მოცულობას კი კლასების მიხედვით განსაზღვრავს განათლების სამინისტროს პროგრამები, რომლებიც საერთოა, მიუხედავად იმისა, ეს კლასი ცალკე საკლასო ოთახშია მოთავსებული და საკუთარი მასწავლებელი ჰყავს, თუ სხვა კლასთან არის დჭყვილებული და ორივე კლასს ერთი მასწავლებელი ასწავლის.

ზეჟონათქვამიდან ბუნებრივად გამოვლინარეობს, რომ ქართული

<sup>1</sup> საკვშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილებიდან.

ენის სახელმძღვანელო წიგნები, სასწავლო ნივთები და დიდაქტიკური ხელსაწყოები ერთი და იგივეა ორივე შემთხვევაში: მარტო ზის ეს კლასი ერთ საკლასო ოთახში, თუ ამ კლასის გვერდით კიდევ არის სხვა კლასი (ან კლასები), რომელსაც სხვა სახელმძღვანელო, სხვა პროგრამა აქვს და რომლის მასწავლებელი ერთდროულად მასაც ასწავლის (ასეთ მდგომარეობაშია სხვა საგნებიც).

როგორც ვხედავთ, სახელმძღვანელოები, სასწავლო გეგმები და პროგრამები ერთი და იგივეა ყველა სახის დაწყებითი სკოლისათვის — ოთხკომპლექტიანი იქნება ის, ორკომპლექტიანი თუ ერთკომპლექტიანი. მაშასადამე, სათანადო ცოდნისა და ჩვევების გამომუშავება ერთნაირად სავალდებულოა ყველა შემთხვევაში: ერთსა თუ ორ (და მეტ) კლასთან მუშაობის პირობებში წარმოებს პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის გადაცემა და სათანადო ჩვევების გამომუშავება.

ერთგვარი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის დაკისრება ყველა სახის დაწყებითი სკოლისათვის, შესაძლებელია, ვისმეს უმართებულოდ მოეჩვენოს და მოითხოვოს ერთგვარი შეღავათები ერთ და ორკომპლექტიანი სკოლებისათვის, — ეს იქნებოდა დაუსაბუთებელი მოთხოვნა. პრაქტიკით ცნობილია, რომ ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებშიც სავსებით შესაძლებელია დასახელი პროგრამის უნაკლოდ შესრულება. ეს დიდი ხანია დამტკიცებულია ისტორიული მონაცემებით, აგრეთვე დადასტურებულია დღევანდელი ფაქტებით. ცნობილია ისიც, რომ იქ, სადაც მასწავლებელი უნარიანია, კარგად ერკვევა თავისი სამუშაოს სპეციფიკურობაში, ფლობს საგნებს და მათი გადაცემის მეთოდებს, — იქ მოსწავლეს ადვილად, შეგნებულად და მტკიცედ ითვისებს პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნას, ითვისებს სწორედ იმგვარად, როგორც სხვა მისი ტოლი, რომელიც ოთხკომპლექტიან დაწყებით სკოლაში სწავლობს, მთელ რიგ სამუშაოებს მასავით დამოუკიდებლად ასრულებს და ამით ცოდნას იძენს და თანდათან იღრმავებს.

დაწყებითი სკოლის ყველა მოსწავლეს მისი ასაკისა და შესაძლებლობის გათვალისწინების საფუძველზე მიცემული აქვს პროგრამა სხვადასხვა საგანში, კერძოდ ქართულ ენაში; ამ პროგრამით ნაგულისხმევი ცოდნის შექმნა ყველა მოსწავლეს შეუძლია.

როგორც ცნობილია, დაწყებით სკოლაში ქართული ენის სწავლების ამოცანაა გაამდიდროს მოწაფეთა მეტყველება ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, შეასწავლოს მათ წერა-კითხვა, შეიმუშაოს გამომეტყველებითი კითხვისა და წაკითხულის გაგების ჩვევები, შეაჩვიოს წაკითხულის, გაგონილის, საკუთარი ნააზრების დალაგებით გადმოცემასა და სწორი ენით წერას. დაწყებით სკოლაში გამოქმუშავებული ჩვევები წიგნზე მუშაობისა, სწორი წერისა და სწორი მეტყველებისა უფროს კლასებში უფრო რთულ მასალაზე უნდა ღრმავდებოდეს.

მე-3 და მე-4 კლასის მოწაფეებმა უნდა შესძლონ ქართული ენის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი მხატვრული მასალების (ლექსი, მოთხრობა, ზღაპარი, იგავ-არაკი...) ლექსიკური, შინაარსობლივი და ნაწილობრივ მხატვრული გარჩევა.

• მხატვრული ნაწარმოების კითხვა აღვივებს მოწაფეებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარულს. მოთხრობები, ლექსები საბჭოთა ხალხის დიდ ბეღადებზე, დიდი სამამულო ომის გმირებზე, მეგობრობასა და შრომაზე წარმოადგენენ მოწაფეთა კომუნისტური აღზრდის ძვირფას მასალებს. მხატვრული ნაწარმოების კითხვამ და გარჩევამ, ლექსისა და მხატვრული პროზიდან ნაწყვეტების ზეპირად დასწავლამ, მეცნიერულ-პოპულარული სტატიების კითხვამ, შესწავლილი მასალების შინაარსის თხრობამ უნდა გაამდიდროს მოწაფის ცნობიერება, გააფართოოს მისი წარმოდგენა ბუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ჩვენს თანამედროვე ცხოვრებასა და გმირულ წარსულზე, ხელი შეუწყოს მოწაფის იდეურ-პოლიტიკური, გონებრივი და ესთეტიკური აღზრდის საქმეს.<sup>1</sup>

ამ საერთო მოთხოვნისა და ქართული ენის პროგრამის შესრულებისათვის სისტემატურად და ბევრს უნდა მუშაობდეს ორკომპლექტიანი და ერთკომპლექტიანი დაწყებითი სკოლის მასწავლებელი. მაშინ ის, უეჭველია, დაძლევის სიძნელეებს, რაც თან ახლავს სწავლა-აღზრდის საქმეს ორ (და მეტ) კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში.

ქართული ენის სწავლების მეთოდები, გზები, ხერხები, საშუალებანი ორ (და მეტ) კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებშიც ძირითადად იგივეა, რაც ერთ კლასთან მუშაობის დროს.

7-8 წლის ბავშვის ენა (დამოუკიდებლად იმისა, რომ ბავშვი ერთ კლასთან თუ რამდენიმე კლასთან ერთდროულად მეცადინეობის პირობებში მოხვდა) არაა მდიდარი, მისი ლექსიკონი ღარიბია და ზოგჯერ დეფექტურიც.

ა) ბავშვს ბევრი საგანი, მოქმედება და მოვლენა არ უნახავს და, ცხადია, წარმოდგენაც არა აქვს მასზე; ზოგჯერ კი, რაც არა ერთხელ უნახავს იმისი სახელიც კი არ იცის. მაგალითად, ყოველდღიურად ხედავს, მაგრამ შეიძლება არც იცოდეს, რომ ამას ქერი ჰქვია, იმას — მილი, ამას — მერხი, ამას ფიჭულ ტურული ვარჯღობა და ასე შემდეგ.

ბ) ზოგი სიტყვა არაზუსტად აქვს გაგებული; თუ სადმე კამათს დაესწრო და ჰკითხე: რა იყო, გიპასუხებს: ჩხუბობდნენო, დარიგებას ვერ არჩევს გაწყრომი საგან და სხვ.

გ) მისი მეტყველება აქრელებულია დიალექტური ფორმებით: წვი-

<sup>1</sup> დაწყებითი სკოლის პროგრამები, თბილისი, 1951 წ., გვ. 5.



ლო (წაილო), შაბა (შეაბა), უნობ (ვამბობ), მარგატელი (მაკრატელი), ვორი (ორი) და სხვ.

დ) რომელიმე ერთი სიტყვა მისთვის პარაზიტად ქცეულა და ყოველ წინადადებაში ან ყოველი შეჩერებისა და შებოძიებისას უაღვილოდ ხმარობს მას (ნუ უ, ესე იგი, მაშასადამე, რასაკვირველია და სხვ.).

ე) არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის სიტყვა იცის, მაგრამ საკიროების დროს ვერ გამოუყენებია, უკირს ამ სიტყვის გააქტიურება.

ვ) ხშირია შემთხვევა, როცა სიტყვა ესმის მისი პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ არ ესმის იგივე სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით; აგრეთვე წინადადების ყოველი სიტყვა ესმის ცალ-ცალკე აღებული, ამ ნაცნობი სიტყვებისაგან შედგენილი წინადადების აზრი კი არ ესმის (მაგალითად, წიგნი ადამიანის მეგობარია, ანდა: რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია).

ზემოჩამოთვლილი დეფექტების წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია, მათი აღმოფხვრის პირველადი საშუალებანი ერთი და იგივეა ორივე შემთხვევაში: მარტო ერთს თუ რამდენიმე კლასს ასწავლის მასწავლებელი ერთდროულად. მაგალითად, სალექსიკონო და ფრაზეოლოგიური მუშაობის ნაირ-ნაირი სახეების სისტემატური გამოყენება-დაკვირვება-გააზრება, სპეციალური რეგულების შემოღება, ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოყენება, მარტივი წინადადებების შედგენა სურათების მიხედვით, დაუმთავრებელ წინადადებათა დამთავრება, პასუხის გაცემა დასმულ კითხვებზე, დეფორმირებული წინადადებების აღდგენა, მიცემული სიტყვებისაგან წინადადებათა შედგენა, სასვენი ნიშნების დასმა ტექსტში, მხატვრულ წინადადებათა ამოკრება ტექსტიდან ან ასეთ წინადადებათა შედგენა, შედარებათა მოძებნა მიცემული სიტყვებისა თუ წინადადებებისათვის, ისეთი მოთხრობის მოფიქრება-შედგენა, რომელშიაც შევა მიცემული სიტყვები, ფრაზები, და სხვა საშუალებებისა და ხერხების გამოყენება აუცილებელია I და II კლასებში ენობრივი დეფექტების აღმოფხვრისათვის; ხოლო შემდეგ და შემდეგ საჭიროა ამ მუშაობის კიდევ უფრო გაფართოვება, გაღრმავება და გამრავალფეროვანება იმავე დაწყებითი სკოლის III და IV კლასებში, რათა სათანადოდ გამდიდრდეს, დაზუსტდეს და დაიხვეწოს ბავშვის ლექსიკონი; ბავშვს გამოუმუშავდეს ზეპირი და წერიითი მეტყველების მაღალი კულტურა.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, მეტყველება (ზეპირი და წერიითი) ძირითადი საშუალებაა ადამიანთა ურთიერთობისათვის, მეცნიერების დაუფლებისათვის; მეტყველება მკიდრო კავშირშია ცხოვრებასთან. ყოველი კარგი გაკვეთილი, რა სასწავლო დისციპლინაშიც უნდა იყოს ის (მშობლიური ენა, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, ისტორია, არითმე-

ტიკა...) ასაზროლებს, აწესრიგებს, ზრდის და საერთოდ ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტყველების კულტურის განვითარებას.

ზეპირი და წერიითი მეტყველების კულტურის გამომუშავებისათვის საჭირო მასალები (მოთხრობები, ლექსები, იგავ-არაკები, ზღაპრები...) და საშუალებები (კითხვა, წერა, თხრობა, მსჯელობა, კამათი...) ერთი და იგივეა ყველა პირობაში; მაშასადამე, სწავლების მეთოდიც ერთნაირია როგორც ერთ, ისე ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებლისათვის. კერძოდ, ქართული ენის სწავლების მეთოდი გულისხმობს, რომ სამუშაოების ერთი რიგი მასწავლებელმა ბავშვებთან უშუალო მუშაობის პირობებში უნდა ჩაატაროს, მეორე რიგი კი (ზეპირად მიცემული ახსნა-განმარტების საფუძველზე) ბავშვებმა დამოუკიდებლად უნდა შეასრულონ.

როგორც ვხედავთ, სწავლება და სწავლა გულისხმობს ორი სახის მუშაობას: ერთია მასწავლებლისა და მოსწავლის ერთად მუშაობა; მეორეა მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობა.

ეს საერთო წესი ძალაშია ორ (და მეტ) კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებშიც. დასაშვებია მხოლოდ, რომ ჩვეულებრივი გაკვეთილის სტრუქტურაში (რომელიც თავისთავად გულისხმობს მუშაობის ორივე სახეს: 1) მასწავლებელი და მოსწავლე ერთად, 2) მოსწავლე დამოუკიდებლად), — შეტანილ იქნეს მცირეოდენი ცვლილებები იმ მიმართულებით, რომ დამოუკიდებელი მუშაობის ოდნავი გაძლიერებისა და კარგი ორგანიზაციის მეოხებით სწავლება არ დაზიანდეს და მოხერხდეს ორ (და მეტ) კლასთან ერთდროული მუშაობა.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

„ი-სა და ა-ს შესწავლისათვის საჭიროა ჩატარდეს სხვადასხვა სახის მუშაობა ოთხ ჯაჭვითილზე, სახელდობრ:

პირველ გაკვეთილზე: 1) ძველი გაკვეთილის გამოკითხვა; 2) წინასწარი საუბრის შავიერ ისეთი ლექსის (ი ა) სწავლება, საიდანაც საჭირო სიტყვის (ე ა) ამოღება შეიძლება მასზე მუშაობი საწარმოებლად; 3) დამატკა ამ საგნისა; 4) დაშლა სიტყვისა; 5) ამა თუ იმ ახალი ასო ადგილის მონახვა დასამუშავებლად აღებული სიტყვაში; 6) ძენა ისეთი სიტყვისა, სადაც შესწა ლილი ბგერა გვხვდება: თავში, ბოლოში, შუაში; 7) ჩვენება ბგერის ბეჭდური სახისა — მოძრავი ასოსი; 8) დაკვრება ასოს მონახულობაზე; 9) მასწავლებლის მიერ შესწავლილი ასოს დაწერა დაფაზე; 10) თითოთ ჭაერში გამოხატვა ასოს მონახულობისა; 11) ერთმანეთთან შედარება შესწავლილი ასოებისა. 12) არტიკულაციაზე. ე. ი. სამეტყველო ორგანოებზე დაკვირვება ბგერის წარმოთმის დროს; 13) ბგერების შერწყმა; 14) წიგნში მოთავსებული სურათის აღწერა, ტექსტის კითხვა, ხმაავალი კითხვა — ინდივიდუალური და გუნდური, ისევე როგორც პასუხები (გუნდური, ინდივიდუალური); 15) ასოს წერა.

მეორე გაკვეთილზე; 16) ვარჯიხობა ე-ს და ა-ს დანახვისთანავე ამოცნობაში, წაკითხვაში; 17) ასოების გადასა-გაღმოსმა და ახალი სიტყვების მიღება; 18) მოძრავი ასოებისაგან ბავშვების მიერ სიტყვებისა და ფრაზის შედგენა; 19) პლაკატის გაკეთება (სურათის ქვეშ მოძრავი ასოებთ წარწერის გაკეთება); 20) წიგნიდან სათანადო გვარდზე მოთავსებული სურათის აღწერა, ტექსტის კითხვა; 21) ასოს წერა.

მესამე გაკვეთილზე: 22) წინა დღის გაკვეთილის საფუძველიანი გამოკითხვა;

23) ყვეილებთანაბაეშვის დამოკიდებულების ამსახველი ლექსის შესწავლა; 24) სიტყვის წერა რუკულებში ბაეშეების მიერ; 25) ბაეშეებისათვის წერის ნიმუშების მიცემა; 26) ჰიგიენური პირობების დაცვისათვის თვალყურის დევნების აუცილებლობა.

მეოთხე გაკვეთილზე: 27) საუბარი ბაეშეების მსჯელობის და მეტყველების გაუმჯობესებისათვის; 28) იმავე დღის წინა გაკვეთილზე ნასწავლი ლექსის გამოკითხვა; 29) ფრაზის (აი ია) წერა ბაეშეების მიერ; 30) საშინაო დავალების მიცემა; 31) ბაეშეების ნაწერების გასწორება და სხვა.<sup>1</sup>

სიტყვა **ა-ხ** და **ასო-ბგერების** **ე** და **ა-ხ** შესწავლისათვის საჭირო მუშაობის ამ სქემაში შეიძლება მცირეოდენი ცვილებების შეტანა (გადაადგილება—შეცვლა, ამოღება-დამატება და სხვა.), მაგალითად:

1-ლი რიგით გათვალისწინებული მუშაობა (ძველი გაკვეთილის გამოკითხვა) შეიძლება ჩატარდეს არა პირველად, არამედ შემდეგ—შუა გაკვეთილზე ან გაკვეთილის ბოლოს, როცა ეს უმჯობესი იქნება დაწვეილებულ კლასებში მასალის ახსნა-განმარტებისა და დამუშავებისათვის.

მე-2 რიგით გათვალისწინებული სამუშაო (წინასწარი საუბრის მაგიერ ისეთი ლექსის (ია) სწავლება, საიდანაც საჭირო სიტყვის (ია) ამოღება შეიძლება მასზე მუშაობის საწარმოებლად), დროის მოგების მიზნით, შეიძლება შეიცვალოს იის ან იის სურათის ჩვენებით და მისი სახელწოდების წარმოთქმით.

მე-6 რიგით გათვალისწინებული მუშაობა (ე. ი. ძებნა, ისეთი სიტყვებისა, სადაც შესწავლილი ბგერა გვხვდება: თავში, ბოლოში, შუაში), თუ ამის საჭიროებას იმ წუთებში III კლასთან მუშაობა მოითხოვს, შეიძლება გადატანილი იქნეს სქემის მე-14 და მე-15 რიგებით ნაგულისხმევ სამუშაოებს შორის.

მე-10 რიგით გათვალისწინებული სავარჯიშო (ასოს მოხაზულობის გამოხატვა თითით ჰაერში) შეიძლება სულ არ შესრულდეს.

მე-14 რიგით ნაგარაუდვეი სამუშაოების ნაწილი (სახელდობრ: გუნდური კითხვა და გუნდური პასუხები), ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის სპეციფიკასთან დაკავშირებით, შეიძლება არ განხორციელდეს.

აი, დაახლოებით, ის მეტად უპნიშვნელო, არაპრინციპული ხასიათის ცვლილებანი, რომელთა გათვალისწინება დასაშვებია იმისთვის, ვინც, მაგალითად, ერთ კლასთან მეცადინეობის შემთხვევაში მართებულად ჩათვლიდა ზემოთ მოცემული სქემით გაკვეთილის ჩატარებას, რომლის მიზანი

<sup>1</sup> ვ. ძიძიგური, ქართული ენის სწავლება დაწვეებით სკოლაში, თბილისი, 1951 წ., გვ. 70; დაწვეებით სკოლაში ქართული ენის სწავლებისათვის მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სხვა ლიტერატურაც, პირველ რიგში: ა) მ. თალაკვაძე და ვ. რაქმიშვილი, ქართული ენის სწავლება დაწვეებით სკოლაში (იხ. კრებული: ქართული ენის, რუსული ენისა და არითმეტიკის სწავლების საკითხები დაწვეით სკოლაში, თბილისი, 1950); ბ) ვ. რაქმიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდის საკითხები დაწვეებით სკოლაში, თბილისი, 1952; გ) მ. თალაკვაძე, ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, თბილისი, 1952.

იქნებოდა სიტყვა ია-ხ და ასო-ბგერების **ე** და **ა-ხ** შესწავლა. აღნიშნავთ იმასაც, რომ მოტანილ სქემაში, მართალია, ცოტა როდია ნაგულისხმევი ისეთი სამუშაოები, რომლებიც **ე** და **ა-ხ** შესწავლასთან დაკავშირებით დამოუკიდებლად უნდა შეასრულონ მოსწავლეებმა, რაც განსაკუთრებით ძვირფასია რამდენიმე კლასთან ერთდ როულად მეცადინეობის პირობებში (მაგალითად, რიგები: 3, 4, 5, 6, 8, 11, 15, 17, 18, 19, 21, 24, 29), მაგრამ მაინც საჭირო იქნებოდა მათი კიდევ უფრო გამდიდრება (მაგალითად, პირველ დღესავე ჩუმი კითხვის დაშვება), ანდა ამ სამუშაოთა ერთგვარი გადაადგილება და დაჯგუფება.

განვიხილოთ კიდევ ერთი ზოგადი ხასიათის მაგალითიც:

„ყოველი ნაწარმოები სპეციფიკურობით ხასიათდება. მაშასადამე, ერთის გარეგნისას ერთგვარი მუშაობის ჩატარება იქნება საჭირო, მეორე ნაწარმოების გარეგნისას კი — განსხვავებული, სხვაგვარი. ეს ითქმის არა მხოლოდ სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებზე, არამედ ერთისა და იმავე ენარის სხვადასხვა მასალის შესახებაც.

ამისდა მიუხედავად, მაინც შესაძლებელია ახსნითი კითხვის რამდენიმე ძირითადი ეტაპის დასახლება:

1. წინასწარი საუბარი;
2. მასწავლებლის მიერ მასალის წაკითხვა;
3. საკონტროლო კითხვები (გაგების შესამოწმებლად);
4. მოსწავლეების მიერ მასალის ნაწილ-ნაწილ კითხვა;
5. თითოეული ნაწილის (გზადაგზა) გაუგებარი სიტყვების ახსნა და ლოგიკური

გარჩევა;

6. მასალის მთლიანი კითხვა;
7. კატეხიზაცია (კითხვების დასმა შინაარსის ამოწურვისათვის);
8. შინაარსის თხრობა;
9. დასკვნითი ანუ განმაზოგადებელი კითხვები (აღმზრდელობითი ან შემეცნებითი ხასიათის საუბარი);

10. ნაწარმოების იდეური შინაარსი;
11. ინდივიდუალური და გუნდური კითხვა;
12. ინსცენირება;
13. გრამატიკული ვარჯიშობა;
14. წერა;
15. შემოქმედებითი მუშაობა;
16. საშინაო დავალება \* 1

რაც კვლილებების შეტანა შეუძლია ახსნითი კითხვის ჩამოთვლილ ძირითად ეტაპებში ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე იმ მასწავლებელს, რომელსაც სწამს, რომ ამ გეგმით მუშაობა ძირითადად სწორი გზაა ახალი მასალის ყოველმხრივი ახსნა-განმარტებისათვის, ახსნითი კითხვის ნაყოფიერად ჩატარებისათვის?

უწინარეს ყოვლისა, მასწავლებელმა ნათლად უნდა გაითვალისწინოს, თუ რას გულისხმობს ესა თუ ის ეტაპი; კონკრეტულად ერთ რომელიმე

\* ვ. ძიძიგური, ქართული ენის სწავლება დაწყებითი სკოლაში, თბილისი, 1951 წ., გვ. 161.

საშუალებას, ერთადერთ გარკვეულ რაიმეს გულისხმობს თუ სხვადასხვას? მაგალათად, ვთქვათ, პირველი მომენტი (წინასწარი საუბარი) მხოლოდ „წინასწარ საუბარს“ (ე. ი. მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთ გაბაასებას) გულისხმობს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით თუ მუშაობის სხვა სახესაც?

როგორც ცნობილია, წინასწარი საუბრის მიზანია მოამზადოს მოსწავლე დასამუშავებელი მასალის გაგებისათვის და დაინტერესოს ის შესასწავლი მასალის მიზნითა და შინაარსით. მიზნის მიღწევა კი, შეიძლება სხვადასხვა გზით, სახელდობრ: 1) ახალი მასალის გავლილ მასალასთან დაკავშირებით, 2) ევრისტიკული გზით, 3) სურათის ჩვენებით და შემდეგ მისი აღწერით (მასწავლებლის მონაწილეობით, მის გარეშეც), 4) თხრობით, 5) ასახსნელი მასალის ანალოგიური ან საწინააღმდეგო თხზულების თვალთ ან ხმამალა (ე. ი. მასწავლებლის მონაწილეობით და მის გარეშეც) კითხვით, 6) მასალაში მოცემული რამდენიმე გაუგებარი სიტყვის წინასწარი ახსნით (ესეც შესაძლებელია გაკეთდეს როგორც მასწავლებლის მონაწილეობით, ისე მის გარეშეც: მასწავლებელი გაუგებარი სიტყვების მხოლოდ სიას დაწერს დაფაზე და დაავალებს მოსწავლეებს ლექსიკონის დახმარებით ახსნან) და ასე შემდეგ.

მაშასადამე, პირველი მომენტი (წინასწარი საუბარი), რომლის მიზანია მოსწავლეების მომზადება ახალი მასალის გაგებისათვის, შეიძლება განხორციელდეს არა უსათუოდ მოსწავლეებთან მასწავლებლის უშუალო საუბრით, არამედ სხვა გზითაც. ამ გზებში ზოგი ისეთია, რომ მასწავლებლის უშუალო მონაწილეობას გულისხმობს, ზოგი — არა.

იგივე შეიძლება ითქვას მე-13 მომენტის შესახებაც (გრამატიკული ვარჯიშობანი). რიგი გრამატიკული სავარჯიშოები საჭიროა ჩატარდეს მასწავლებლის უშუალო მონაწილეობით, ხოლო რიგი სავარჯიშოები მისი უშუალო მონაწილეობის გარეშეც შეიძლება ჩატარდეს, და ფრიად ნაყოფიერადაც: ამა თუ იმ სავარჯიშოს წერილობით შესრულება, წიგნში სათანადო ადგილების მონახვა-ამოკრება-გაანალიზება და მისთანანი.

ორ (და მეტ) კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელმა, რომელსაც მართებულად მიაჩნია ახსნითი კითხვის გაკეთილები ჩატაროს ზევით მოცემული გეგმის მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, 16-ვე მომენტი უნდა განკვირდოს იმ თვალსაზრისით, რომ დაადგინოს, ძირითადად ამ გეგმის მიხედვით მუშაობის დროს რაა აუცილებელი ჩატარდეს მასწავლებლის უშუალო მონაწილეობით და რისი გაკეთება შეიძლება მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის გზით.

ყოველმა მასწავლებელმა, კერძოდ კი ორ (და მეტ) კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელმა, კარგად იცის, თუ რაოდენ ძვირფასია თავისთავად მოსწავლის ძალ-ღონის გამოყენება მიზნობრივი და გონიერული დამოუკიდებელი მუშაობისათვის შესასწავლი მასალის შეგნე-

ბულად, ღრმად და მტკიცედ შეთვისების თვალსაზრისით (სულ ეროვია, ერთ კლასთან მეცადინეობისას ჩატარდება ასეთი მუშაობა, თუ რამდენიმე კლასთან ერთდროულად მეცადინეობის პირობებში). მაგრამ დამოუკიდებელ მუშაობას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ორ (და მეტ) კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში, რადგან ის საშუალებას აძლევს მასწავლებელს თავისუფალი დრო გამოიყენოს სხვა (მეზობელ) კლასთან უშუალოდ მუშაობისათვის.

მაშასადამე, ორ (და მეტ) კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელს კონკრეტულად ამა თუ იმ მასალის (ლექსი იქნება ეს, მოთხრობა, იგავ-არაკი თუ ზღაპარი...) ახსნითი კითხვის დროს, პირველ ყოვლისა, მართებს დააზუსტოს, რა სამუშაოებს ჩატარებს ის მოსწავლეებთან უშუალო მეცადინეობით და რა სამუშაოებს შეასრულებინებს მოსწავლეებს მათი დამოუკიდებელი მუშაობის სახით.

მეორე, რაც აგრეთვე უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მუშაობის სპეციფიკურობის გამო, იქნება ის, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში გაკვეთილის სტრუქტურის ესა თუ ის მომენტი ან სულ ამოიღოს გეგმიდან, შეცვალოს სხვა სამუშაოთი, გაკვეთილში შეიტანოს ახალი მომენტი, ან კიდევ, არსებული გადაადგილოს, რაკი ამას ორ კლასთან მუშაობის ინტერესი მოითხოვს. მაგალითად, საქირო იქნება ხშირად სულ ამოიღოს ახსნითი კითხვის ზევით აღნიშნული მე-3 მომენტი (საკონტროლო კითხვები, გაგების შესამოწმებლად), ამის გარდა, გააერთიანოს მე-9 და მე-10 მომენტები (დასკვნითი ანუ განმაზოვადებელი კითხვები, აღმზრდელობითი ან შემეცნებითი ხასიათის საუბარი, ნაწარმოების იდეური შინაარსი); სულ ამოიღოს მე-11 მომენტიდან გუნდური კითხვა; გუნდურ კითხვას რამდენიმე კლასის ერთდროულად მუშაობის პირობებში ძალიან იშვიათად ან სულ არ მიმართოს.

ორ (და მეტ) კლასთან ერთდროულად მუშაობის სპეციფიკურობა ზოგჯერ ხელს აგვადლებინებს მე-12 მომენტით გათვალისწინებულ სამუშაოზე (ინსცენირებაზე), თუმცა მისი მოწყობა გაკვეთილების შემდეგ შესაძლებელია; ახსნითი კითხვის მე-6 და მე-15 მომენტებით გათვალისწინებული სამუშაო (მასალის მთლიანი კითხვა და შემოქმედებითი მუშაობა) ბავშვების დამოუკიდებლად მუშაობის პირობებში უნდა ჩატარდეს და სხვა.

აი, დაახლოებით ის ცვლილებანი, რომელთა შეტანა უმტკივნეულოდ შეიძლებოდა ახსნითი კითხვის ზემოთმოცემულ გეგმაში რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ქვემოთ შევეცდებით გაკვეთილების გეგმებსა და კონსპექტებში უფრო თვალსაჩინოდ და კონკრეტულად ვთქვათ, თუ რა ხასიათის

ცელილებების შეტანა არის შესაძლებელი გაკვეთილის მსვლელობაში ორ (და მეტ) კლასთან ერთდროულად მუშაობის დროს.

დამოუკიდებელი მუშაობის თემები და სახეები ქართული ენის ხწავლებიდან. დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაცია სასწავლო მუშაობის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი სახეა. დამოუკიდებელი მუშაობის მრავალი თემისა და სახის ცოდნა-გამოყენება და ერთი სახის მუშაობის მეორეთი დროულად და მიზანშეწონილად შეცვლა ორ კლასთან მუშაობის აუცილებელი პირობაა. ამგვარი გზა სრულ შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს დაამუშაოს საპროგრამო მასალა საჭირო სიღრმითა და მოცულობით, გამოიწვიოს ბავშვებში ცხოველი ინტერესი, განამტკიცოს კოლექტიური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი, დისციპლინა გაკვეთილზე და სხვა.

მცდარი შეხედულებების თავიდან აცილების მიზნით, აქ ერთხელ კიდევ გვინდა ხაზი გაუუსვათ იმ ფაქტს, რომ ზოგს სერიოზულად სჯერა, მოსწავლეთა დამოუკიდებელი სამუშაოები თითქოს ორ (და მეტ) კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებისათვის არის გამოგონილი; თითქოს გამოგონილია ეს იმისათვის, რომ „თავის შესაქცევი საქმე“ მიეცეს ერთ-ერთ კლასს, რათა ხელი არ შეეშალოს მასწავლებელს იმეცადინოს მეორე კლასთან; ნახევარი გაკვეთილის შემდეგ კი მასწავლებელმა მეორე კლასს უნდა დაუტოვოს ასეთივე „თავის შესაქცევი საქმე“ და თვითონ გადავიდეს სამეცადინოდ მეორე კლასთან. ეს მცდარი შეხედულება ერთადერთი მიზეზია იმისა, რომ ზოგი ორკომპლექტიანი და ერთკომპლექტიანი სკოლის მოსწავლეები სუსტი და ჩამორჩენილი არიან.

საინტერესოა ვიცოდეთ, 45-წუთიანი გაკვეთილის რა ნაწილი ხმარდება მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას მაშინ, როცა ერთ კლასს ერთი მასწავლებელი ჰყავს. დაუფვირდეთ ჯერ მარტო წერის ხანგრძლიობას კლასების მიხედვით ქართულ ენაში.

| კლასი | წერის ხანგრძლიობა | მასალის მოცულობა |
|-------|-------------------|------------------|
| I     | 5—15 წუთი         | 1—20 სიტყვა      |
| II    | 10—20 წუთი        | 20—40 „          |
| III   | 20—30 „           | 40—60 „          |
| IV    | 30—40 „           | 60—80            |

პირველ და მეორე კლასებში წერა ქართულ ენაში ყოველ გაკვეთილზე ტარდება, მესამე და მეოთხე კლასებში—დღეგამოშვებით მანძილზე. ამას დაუმატოთ ყოველ გაკვეთილზე ტექსტის შინაარსის უკეთ შეთვისებისათვის წარმოებული ჩუმი კითხვა, აგრეთვე ამა თუ იმ დავალების

შესრულებისათვის ტექსტში ამა თუ იმ ადგილას თვალთ ძებნა, ჩუმი კითხვა (წინადადების ამოკრება, სათანადო ადგილების მოძებნა, მოთხრობის ნაწილებად დაყოფა, დასათაურება, დროში ან პირებში გადაკეთება, მოთხრობის გაგრძელების მოფიქრება და მრავალი სხვა); ამას გარდა, სურათების დათვალიერება, აგრეთვე მოსწავლის მიერ მოთხრობის, ზღაპრის, იგავ-არაკის, ლექსის ამა თუ იმ ადგილის დასურათება; კითხვა გავლილი მასალის განმეორებისათვის და სხვ.

ერთ კლასთან მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ 45-წუთიანი გაკვეთილიდან სულ ცოტა 15—20 წუთი სჭირდება მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას (წერა იქნება ეს, ჩუმი კითხვა, დასმულ კითხვებზე პასუხების მოფიქრება, სურათის აღწერა თუ სხვა რამ), დანარჩენი დრო კი (დაახლოებით ნახევარ გაკვეთილზე ცოტა მეტი) ხმარდება მასწავლებლის უშუალო მეცადინეობას კლასთან (ახალი მასალის ახსნა და სხვ.).

როგორც ვხედავთ, მასწავლებლის უშუალო მეცადინეობა და მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა სწავლებისა და სწავლის ძირითადი სახეებია ერთ კლასთან მუშაობის პირობებშიც.

კლასის დამოუკიდებელი და მასწავლებელთან უშუალო მეცადინეობის მოხერხებულ მონაცვლებობა ერთადერთი პირობაა ორ კლასთან ერთდროულად მუშაობაში არსებული სიძნელის დასაძლევად.

ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის დროს დაახლოებით ნახევარი გაკვეთილი უნდა დაეთმოს დამოუკიდებელ მუშაობას; ხოლო სამ და ოთხ კლასთან მუშაობის შემთხვევაში (რაც ჩვენს სინამდვილეში იშვიათი გამონაკლისია) გაკვეთილის ნახევარზე მეტი დრო დამოუკიდებელ მუშაობას დაეთმობა, რის გამო მასწავლებელს შედარებით ნაკლები დრო რჩება კლასთან უშუალოდ მეცადინეობისათვის.

ამგვარად, სამ და ოთხ კლასთან მუშაობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელს ქართულ ენაში თითქმის ნორმალური მდგომარეობა აქვს (ჩვენ აქ ახლა ქართულზე ვლაპარაკობთ; არითმეტიკის სწავლებაზე რომ ვლაპარაკობდეთ, მაშინ კიდევ უფრო უკეთესად შეგვეძლება ნათელვყოთ დებულება, რომ ერთ კლასთან მუშაობის პირობებშიც ცოტა დრო როდი სჭირდება დამოუკიდებელ სამუშაოს საგნის ღრმად და შეგნებულად შეთვისებისათვის).

მაშასადამე, ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელი, თუ იგი თავისი კლასებისათვის დამოუკიდებელი სამუშაოს თემებსა და სახეებს ისე შეარჩევს, როგორც ამას სჩადის ერთი კლასის მასწავლებელი, ამასთანვე გაზრდის და გააღრმავებს ამ საქირო მუშაობას, აგრეთვე თავისი მხედველობის არედან არ გამოუშვებს დამოუკიდებლად მომუშავე კლასს (ხშირ-ხშირად მიხედავს და დაეხმარება მას) და გამოიჩინს უნარს ამ პირობებში უნაკლოდ იმუშაოს მეორე კლასთან,—წარჩინებულად



შეათვისებნებს თავის ბავშვებს იმ ცოდნას, რასაც ქართული ენის პროგრამა მოითხოვს.

„ბავშვთა დამოუკიდებელ მუშაობას თავისი გარკვეული ღირებულება აქვს. ის ზრდის ბავშვს, ასწავლის მას თავისი მუშაობის დამოუკიდებლად მოწყობის უნარს, მიწოდებულ მასალაში გარკვევას, დასკვნების გამოყენას, ყოველ შემთხვევაში, ამ დასკვნებთან მიახლოებას და შემდეგ თავისი დროის მიზანშეწონილად განაწილებას“<sup>1</sup>.

ამრიგად, რაკი დამოუკიდებელ მუშაობას ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობაა გაკვეთილების დაგეგმვის დროს ყოველდღიურად ზუსტად დაადგინოს, ამა თუ იმ კლასში ამა თუ იმ მასალის (ლექსი იქნება ის, მოთხრობა, ზღაპარი თუ იგავ-არაკი) შესწავლისათვის რას გააკეთებს მოსწავლეებთან უშუალო მეცადინეობით და რას შეასრულებენ მოსწავლეები დამოუკიდებელი მუშაობის გზით.

მაგალითად, ერთ გაკვეთილზე მასწავლებელმა I კლასს უნდა შეასწავლოს ასო-ბგერა „კ“, III კლასს კი ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“. ამისათვის, ვთქვათ, მასწავლებელმა გაითვალისწინა ჩასატარებელი სამუშაოები (გეგმა) ასო-ბგერა „კ“-ს შესწავლისათვის; გაითვალისწინა აგრეთვე ჩასატარებელი სამუშაოები (გეგმა) ლექსის („კაპიტანი ბუხაიძე“) შესწავლისათვის, ანდა მზამზარეული ნახა ასეთი გეგმა წიგნში, რომელშიც ის საორიენტაციოდ ასეა მიცემული.<sup>2</sup>

### I კლასი

ასო-ბგერა „კ“-ს შესწავლისათვის

1. წინა გაკვეთილის გამოკითხვა;
2. წინასწარი საუბარი;
3. სიტყვის (ჭიქა) ანალიზი და სინთეზი;
4. კ ბგერის გამოყოფა;
5. ისეთი სიტყვების გამოძებნა, რომლებშიც კ ბგერა არის თავში ან შუაში
6. მოძრავი კ ასოს ჩვენება;
7. მოძრავი ასოებისაგან კ-ს გამოყენებით სიტყვებისა და ფრაზების შედგენა;

### III კლასი

ი. აბაშიძის ლექსის „კაპიტანი ბუხაიძის“ შესწავლისათვის

1. წინა დღის გაკვეთილის გამოკითხვა;
2. წინათ ნასწავლი ლექსის „ლურსმანაშვილის გმირობა“ გახსენება;
3. წინასწარი საუბარი;
4. „კაპიტანი ბუხაიძის“ სანიმუშო წაკითხვა მასწავლებლის მიერ;
5. მოსწავლეების მიერ ლექსის ნაწილ-ნაწილ წაკითხვა;
6. გაუგებარი სიტყვებისა და ფრაზების გზადაგზა ახსნა-განმარტება-გარჩევა;

<sup>1</sup> Вопросы одноклассной школы (Сборник руководящих материалов и статей!), Москва—Ленинград, 1928 г., გვ. 33.

<sup>2</sup> იხ. ვ. ძიძიგური, ქართული ენის სწავლება დაწვებით სკოლაში, 1951 წ., გვ. 71 და 169.

8. მე-60 გვ. მოთავსებული მასალის კითხვა;
9. მასწავლებლის მიერ დაფაზე ჰ ასოს დაწერა;
10. მოსწავლეების მიერ დაფიდან ჰ ასოს გადმოწერა (1—2 სტრიქონზე)
11. საშინაო დავალების მიცემა.

7. ლექსის შინაარსთან დაკავშირებით სათანადო ცნობების მიწოდება;
8. შუა გაკვეთილზე ბავშვების ორწუთიანი შესვენება;
9. ლექსის მთლიანად წაკითხვა მოსწავლეთა მიერ;
10. ლექსის პირველი ორი სტროფის ხეპირად დასწავლა კლასში მასწავლებლის ხელმძღვანელობით;
11. წერა;
12. საშინაო დავალება.

ეს გეგმა ნაგულისხმევია იმ შემთხვევისათვის, როცა მასწავლებელი ერთ კლასს ასწავლის; ორი კლასის ერთდროულად სწავლების შემთხვევაში გაკვეთილის ამ გეგმაში მცირეოდენი ცვლილებების შეტანა იქნება საჭირო. პირველად უნდა გადაწყდეს საკითხი, გაკვეთილის პირველ ნახევარში რომელ კლასთან იმეცადინებს მასწავლებელი უშუალოდ და რომელ კლასს მისცემს დამოუკიდებელ სამუშაოს. ასეთ შემთხვევაში, როცა ორივე კლასში ახალი მასალის ახსნა მიმდინარეობს, უმჯობესია უშუალო მეცადინეობა მასწავლებელმა უმცროს კლასში დაიწყოს ორი მოსაზრებით: ერთი — უფროსი კლასისათვის დამოუკიდებელი სამუშაოს მიცემა უფრო ადვილია, რადგანაც ის წინასწარ ახსნა-განმარტებას ქარბად არ მოითხოვს; მეორე — უმცროს კლასს გაკვეთილის პირველ ნახევარში, ახალი მასალის ახსნისას, მიეცემა საჭირო ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს დამოუკიდებლად ახლად ახსნილ-განმარტებულის გასამეორებლად და განსამტკიცებლად. მაშასადამე, ამ შემთხვევაში გაკვეთილის პირველ ნახევარში I კლასთან მასწავლებელმა უნდა იმუშაოს უშუალოდ, III კლასს კი დამოუკიდებელი სამუშაო უნდა მისცეს. გაკვეთილის მეორე ნახევარში I კლასი იმუშავენს დამოუკიდებლად, ხოლო III კლასში ახალ მასალას ახსნის მასწავლებელი. ეს გარემოება გამორიცხავს I კლასის გეგმაში დიდი ცვლილებების შეტანის საჭიროებას (რადგან საერთოდ თითქმის ყველა ჩვეულებრივი გაკვეთილის გეგმა ძირითადად ახლის ახსნას გაკვეთილის პირველ ნახევარში გულისხმობს, ხოლო განმეორება-განმტკიცება-წერას — მეორე ნახევარში). ამისდა მიუხედავად, მცირეოდენი ცვლილებების შეტანა მაინც იქნება საჭირო I კლასის გეგმაში, სახელდობრ: გაკვეთილის პირველ ნახევარში მასწავლებლის უშუალო მეცადინეობით I კლასში შესრულება სამუშაო-

ები, რომლებიც ნაგულისხმევია წარწოდგენილი გეგმის შემდეგი პუნქტებით: 1, 2, 3, 4, 6, 8, ხოლო მეორე ნახევარში 5, 7, 8, 9, 10, 11 პუნქტებით.

მეტი ცვლილებების შეტანა იქნება საჭირო III კლასის გეგმაში, სახელდობრ: მე-10 პუნქტი (ლექსის პირველი ორი სტროფის ზეპირად დასწავლა კლასში მასწავლებლის ხელმძღვანელობით) სულ ამოვარდება და ის საშინაო დავალების სახით მიეცემა ბავშვებს, ცხადია, არა მარტო მითითებული ნაწილის, არამედ მთელი ლექსის დასწავლა; მე-11 პუნქტი (წერა) პირველ პუნქტად იქცევა, 1-ლი და მე-2 პუნქტები სულ ამოვარდება და მათ მაგიერობას მე-11 პუნქტი (წერა) გასწევს, რადგან საწერად მიეცემა: 1) წინა ნაწერში დაშვებული შეცდომების გასწორება, 2) წინა დღეს ნასწავლი მოთხრობის გეგმის შედგენა და შინაარსის დაწერა; მე-8 პუნქტი (შუა გაკვეთილზე ბავშვების ორწუთიანი შესვენება, რაც I კლასშიც იგულისხმება) განხორციელდება არა ფიზიკულ-ტურული ვარჯიშობის თუ სიმღერის მოწყობით, არამედ იმით, რომ მასწავლებლის უშუალო მეცადინეობისა და მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის მონაცვლეობა შუა გაკვეთილზე თავისთავად შეიცავს მუშაობის ხასიათის გამოცვლას და წუთიერ დასვენებას. ამგვარად, გაკვეთილი ჩატარდება დაახლოებით ასეთი გეგმით:

|   |   |
|---|---|
| <p>ასო-ბგერა კ-ს შესწავლისათვის</p>   | <p>ი. აბაშიძის „კაპიტანი ბუზაიძის“ შესწავლისათვის</p>   |
| <p>მასწავლებელთან 25 წუთი</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. წინა გაკვეთილის გამოკითხვა;</li> <li>2. წინასწარი საუბარი;</li> <li>3. სიტყვის (კიკა) ანალიზი და სინთეზი;</li> <li>4. კ-ს ბგერის გამოყოფა;</li> <li>5. მოძრავი კ ასოს ჩვენება;</li> <li>6. მე-60 გვერდზე მოთავსებული მასალის პირველადი კითხვა;</li> </ol> | <p>დამოუკიდებლად 25 წუთი</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. წერა (მესამეკლასელების დაფაზე. წერა: ჯერ გაასწორეთ შეცდომები და შემდეგ დაწერეთ წინა დღეს ნასწავლი მოთხრობის შინაარსი.</li> </ol>   |
| <p>ამოუკიდებლად 20 წუთი</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მოძრავი ასოებისაგან შეადგინეთ ერთი სიტყვა, რომელიც კ ასო-ბგერით იწყებოდეს. ერთი სიტყვა, რომელიც იწყოს შუაში;</li> <li>2. მოძრავი ასოებისაგან კ-ს გამოყენებით შეადგინეთ ფრაზა;</li> </ol>  | <p>მასწავლებელთან 20 წუთი</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. წინასწარი საუბარის ჩატარება;</li> <li>2. „კაპიტანი ბუზაიძის“ სანიმუშოდ წაკითხვა მასწავლებლის მიერ;</li> <li>3. მოსწავლეების მიერ ლექსის ნაწილ-ნაწილ კითხვა; გზადაგზა გაუგებარი სიტყვებისა და ფრაზების ახსნა მასწავლებლის მიერ;</li> </ol> |

3. ჩემად თვალთ წიკითხეთ მე-60 გვერდზე მოთავსებული მასალა;
4. ჯერ მასწავლებელი დაფახე დაწერს ასო კ-ს და შემდეგ ეტყუის კლასს: წერეთ რვეულებში ასო ჭ (დროგამოშვებით დახედავს, 1-2 სტრიქონს აწერინებს);
5. საშინაო დავალება: რამდენჯერმე წიკითხეთ ბინ მე-60 გვერდზე მოთავსებული მასალა; ასო ჭ ლამაზად დაწერეთ შინ კიდევ ერთი სტრიქონი.

4. საშინაო დავალების მიცემა (ლექსი დაისწავლონ ზეპირად);
5. ჩემი კითხვა (ახლად შესწავლილი ლექსისა).

როგორც ვხედავთ, გაკვეთილის პირველ ნახევარში მასწავლებელი უშუალოდ მიუშობს I კლასთან, ხოლო გაკვეთილის მეორე ნახევარში — III კლასთან, რაც არათუ გამოორიცხავს, არამედ გულისხმობს, რომ მასწავლებელმა დროგამოშვებით, ორიოდვე წუთით მიხედოს, დავალება მისცეს და დაეხმაროს დამოუკიდებლად მომუშავე კლასს (მაგალითად, ახლახან განხილული გეგმით, I კლასს 20-წუთიანი დამოუკიდებელი მიუშობისათვის ოთხი-ხუთი დავალება მიეცა; მაგრამ ეს დავალებები უნდა მიეცეთ არა ერთბაშად, ხუთივე ერთად, არამედ ცალ-ცალკე: პირველი დავალების შესრულების ერთი თვალის გადავლებით შემოწმების შემდეგ — მეორე დავალება უნდა მიეცეთ, მეორის შემოწმების შემდეგ — მესამე და ასე შემდეგ. ერთ-ორ წუთს ამ დავალებების მისაცემად უნარიანი მასწავლებელი ყოველთვის გამოიხატავს, ისე რომ ამ დროს ფუჟად კი არ დააკარგვინებს კლასს, რომელთანაც გაკვეთილის იმ ნახევარში უშუალოდ მეცადინეობს, არამედ საჭირო საქმეს დაუტოვებს: დასათვალისწინებელი იქნება რამე, თვალთ წასაკითხავი თუ მოსაფიქრებელი).

ამგვარად, დამოუკიდებელი სამუშაოს (რომელიც ყოველი გაკვეთილის ორგანული ნაწილია) რაციონალურად შერჩევა უფრო ადვილად მოსახერხებელია იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელი ამა თუ იმ მასალის (ლექსი იქნება ის, მოთხრობა, ზღაპარი თუ იგავ-არაკი) სწავლების საკითხს წყვეტს კონკრეტულად.

ჩვენ აქ საორიენტაციოდ ვიძლევი დამოუკიდებლად შესასრულებელი ზოგიერთი სამუშაოს ნიმუშებს კლასების მიხედვით. ვფიქრობთ, ის ერთგვარ სამსახურს გაუწევს ორ (და მეტ) კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელს, რომელსაც კონკრეტული მასალების სწავლების ყოველდღიური დაგეგმვისას ბევრი შესაძლებლობა აქვს გაამრავლოს, გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს დამოუკიდებელი სამუშაოს აქ მოცემული თემები და სახეები.

# I კლასი

1. ნაცნობი ასოებისაგან სიტყვებისა და ფრაზების შედგენა, დაშლა, გადაწყობ-გადმოწყობა და ახალ-ახალი სიტყვების მიღება

ვთქვათ, მოსწავლეებმა ჯერ იციან სულ ორი ასო: ა და თ.

მოძრავი ასოებით მათ შეუძლიათ შეადგინონ სიტყვებიცა და ფრაზაც. სახელდობრ:

ათ ათ ათ ათ

მეორე დღეს კიდევ ერთი ასო-ბგერა თ ისწავლეს; ახლა კიდევ უფრო მეტი სიტყვისა და ფრაზის შედგენა შეუძლიათ:

ათ ათ ათთი თათი  
თითი ათ თითი  
ათი თათი

მესამე დღეს კიდევ ისწავლეს ერთი ასო-ბგერა ს. ახლა კიდევ უფრო გაუდიდდათ შესაძლებლობა ახალ-ახალი სიტყვებისა და ფრაზების შედგენა-დაშლისა და ამა თუ იმ სიტყვის, ფრაზის ასოების გადასმ-გად-მოსმით ნაირ-ნაირი სიტყვების მიღებისა. ვთქვათ, ბავშვმა ააწყო ერთი სიტყვა:

სათათი

ამ სიტყვის ასოების გადაწყობ-გადმოწყობით ის ახალ-ახალ სიტყვებს მიიღებს (მას არ შეუძლია იმაზე მეტჯერ გამოიყენოს ერთ სიტყვაში ან ფრაზაში ესა თუ ის ასო, ვიდრე ის არის ამ სიტყვაში; მაგალითად, ამ სიტყვის ასოების გადაწყობ-გადმოწყობით მას არ შეუძლია მიიღოს სიტყვა თათი, რადგან, მართალია, იმ სიტყვაში (სათათი), რომლის ასოების გადაწყობ-გადმოწყობით უნდა მიიღოს ახალ-ახალი სიტყვები, სათანადო ასოები არის, მაგრამ არასაკმაო რაოდენობით: ასო თ იქ (სათათი) ერთია. აქ კი (თათი) საკიროა ორი). ამგვარად, ამ სიტყვის—

სათათი

ასოების გადაწყობ-გადმოწყობით შეუძლია მიიღოს შემდეგი სიტყვები:

ქ ი ნ ა თ ი ა ს ი ს ი ა  
 თ ა ს ი ე ს ი ს ა

და მისთანანი.

მეოთხე დღეს ბავშვი კადევ ისწავლის ერთ ასო-ბგერას, მეხუთე დღესაც ისწავლის და ასე ბოლომდე. ამის გამო ბავშვს ყოველდღე ექნება სასარგებლო შესაძლებლობა შეადგინოს სულ ახალ-ახალი სიტყვები, შემდეგ დამარცვლოს და დაშალოს ისინი; შეადგინოს აგრეთვე ფრაზები და პატარ-პატარა ამბები; მოძრავი ასოებით „დაწეროს“ საკუთარი სახელი და გვარი, ვთქვათ:

ნ ა ლ ი ა ხ უ რ ო ძ ე

მარტო ამ სახელ-გვარის ასოების გადაწყობ-გადმოწყობით შეიძლება ბავშვმა მიიღოს უამრავი სიტყვა:

ნ ა ლ ი ნ ო ბ ი ნ ო ე ნ ო რ ა  
 ნ ა ხ ე ნ ა ხ ა ა ი ა ღ ი ა ხ ი ა  
 ა ნ ა ა რ ა ი ა ი ნ ა ი რ ა  
 ხ ე ხ ა ნ ა ხ უ რ ო უ რ ო  
 ძ უ ა ძ ი ა ე ნ ა ე რ ი

და მისთანანი.

აგრეთვე შეადგინოს ფრაზები, წინადადებები და სხვ.

ამგვარად, მოძრავი ასოების ფართოდ გამოყენებით, ქართული ენის მასწავლებელს მთელ საანბნო პერიოდში შეუძლია ყოველ გაკვეთილზე მისცეს მოსწავლეს დამოუკიდებელი სამუშაო, რომლის მიზანი იქნება სიტყვების „წერა“, „კითხვა“, დამარცვლა, ფრაზებისა და პატარ-პატარა ამბების შედგენა, მათი კითხვა, ანალიზი და სხვა, რაც პირდაპირ პროგრამის მიზნებს ემსახურება და ნაყოფიერად ამუშაებს და ავარჯიშებს პატარა ბავშვების ნორჩ გონებას.

2. ასოს წერა.

ეს მუშაობა მხოლოდ კალიგრაფიული ხასიათისაა: ასოს ელემენტებისა და თვით ასოს სწორად, სუფთად და ლამაზად გამოყვანა.

მასწავლებელი დაფაზე დაწერს ასოს, ბავშვებს აუხსნის, საიდან იწყება ამ ასოს წერა, შემდეგ საით მიდის ხელი, სად მოსახვევია, სად მსხვილი ხაზია, სად წვრილი ხაზი. და როცა ამ დაწერილი ასოს ყოველ ელემენტს თვალსაჩინოდ გახდის, ერთ-ორ მოსწავლეს გამოიყვანს კიდევაც დაფასთან და მათაც დააწერინებს ამ ასოს. შემდეგ დაავალებს კლასს დამოუკიდებლად წერონ ეს ასო თავიანთ რვეულებში ერთ-ორ სტრიქონზე.

3. დაფიდან სიტყვის გადმოწერა.

აქ ორი მიზანია დასახული: ა) კალიგრაფიული; ბ) ორთოგრაფიული, სახელდობრ: სიტყვა დაიწეროს ლამაზად და უშეცდომოდ.

4. წიგნიდან სიტყვის გადმოწერა (მიზანი იგივეა).

5. დაფიდან ფრაზის, წინადადების გადმოწერა.

მიზანი: ა) კალიგრაფიული, ბ) ორთოგრაფიული, გ) სტილისტიკური.

6. წიგნიდან ფრაზის, წინადადების გადმოწერა (მიზანი იგივეა).

7. წერილობით კითხვაზე წერილობითი პასუხის გაცემა.

ჯერ ზეპირად ავარჯიშებს მასწავლებელი სრული პასუხის მიცემაში, ვთქვათ, მის მიერ დაფაზე ასე დაწერილ სავარჯიშოზე:

რა გქვია შენ?

რა გვარი ხარ?

მამაშენს რა ჰქვია?

დედის სახელი რა არის?

და როცა მიიღებს, ვთქვათ, ასეთ პასუხებს: „მე შქვია ეთერი, ჩემი გვარია ფერაძე. მამაჩემს ჰქვია ტარიელი. დედაჩემის სახელია მარიამი“, მასწავლებელი დაავალებს ბავშვებს დაწერონ ასეთი პასუხები, გასცენ წერილობითი პასუხი დაფაზე დაწერილ კითხვებზე.

ამგვარი ვარჯიშობა კალიგრაფიულ, ორთოგრაფიულ და სტილისტიკურ მიზნებს ისახავს; ის აგრეთვე ხელს უწყობს სასვენი ნიშნების გამოყენების ჩვევის გამომუშავებას.

8. ორი-სამი წინადადებისაგან შემდგარი ამბის დაფიდან გადმოწერა.

მიზანი: კალიგრაფიული, ორთოგრაფიული, სტილისტიკური, პუნქტუაციური და ლოგიკური.

გარდა იმისა, რომ თითოეული ასო კალიგრაფიულად სწორად უნდა იქნეს გამოყვანილი და წინადადებაში სიტყვათა თანამიმდევრობის წესები დაცული (ისე როგორც დაწერილია დაფაზე), მასწავლებელი ბავშვების ყურადღებას გაამახვილებს იმაზეც, თუ ნაწერში ერთი აზრი

როგორ გამომდინარეობს მეორიდან ან როგორი ბუნებრივი გაგრძელებაა ერთიმეორისა. სიტყვა „ლოგიკურს“ არც ახსენებს, მაგრამ ისე მიახვედრებს, რომ თხრობაში ამბის გადმოცემის დროს ერთი აზრი დაკვაშირებულია მეორესთან.

9. პატარა ამბის გადმოწერა წიგნიდან.

მიზნები იგივეა (ზემოდასახელებული მიზნები სულ წითელი ზოლივით მიჰყვება ყველა შემდგომ წერით სამუშაოს I, II, III, IV კლასებში, ამიტომ შემდეგ აღარ გავიმეორებთ).

10. დეფორმირებული წინადადების სწორი სახით აღდგენა.

მასწავლებელი დაფაზე დაწერს სიტყვებს:

თხილის  
ერთი  
ძმამ  
ცხრა  
გაიყო  
გული

დაავალებს მოსწავლეებს ისე დალაგონ ეს სიტყვები, რომ აზრი გამოვიდეს. როცა ბავშვები, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, შეასრულებენ ამას და მიიღებენ სწორ წინადადებას: ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო, ეს წინადადება დაიწერება დაფაზე და მოსწავლეები ჩაიწერენ მას რვეულებში. სიტყვების სწორად დაწერილობას და სასგენ ნიშნებს დაფიდან გადმოიღებენ.

11. მოცემული სიტყვებისაგან წინადადების შედგენა.

აქ მასწავლებელს შეუძლია დაწეროს დაფაზე ნაირ-ნაირი სამუშაოები, ვთქვათ, ასეთი:

|  |  |
|--|--|
| ფანქრით<br>ტრაქტორით<br>ნემსით<br>ხერხით | ხერხავენ.<br>კერავენ.<br>წერენ.<br>ხნავენ. |
|--|--|

ანდა

|   |  |
|---|--|
| მასწავლებელი<br>მეპურე<br>მოსწავლე<br>მკედელი | პურს აცხობს.<br>ნაღს სკედევს.<br>ბავშვებს ასწავლის.<br>გაკვეთილს სწავლობს. |
|---|--|

და დაავალოს მოსწავლეებს ამ სიტყვებისაგან შეადგინონ წინადადებები და დაწერონ რვეულებში.



შეიძლება დტვავალოთ არა მარტო წინადადებების, არამედ პატარა ამბის შედგენაც. ამ მიზნით შესაძლებელია დაწეროთ დაფაზე სიტყვები, ვთქვათ, სამ სვეტად და ვუთხრათ: პირველ და მესამე სვეტებში მოცემული სიტყვები დატოვეთ თავის ადგილას, შუა სვეტში მოთავსებული სიტყვები გადაალაგეთ ისე, რომ ამბავი გამოვიდეს; შემდეგ გადაწერეთ რვეულებში.

|                                       |  |  |
|---------------------------------------|--|--|
| ლილი<br>დედამ<br>შენ<br>მე<br>უპასუხა | ჰკითხა<br>დედას<br>ხმამალლა<br>ვინ<br>თვითონ | ტიროდა.<br>ლილის:<br>აგატირაო?<br>ვტირიო,—<br>ლილიმ. |
|---------------------------------------|--|--|

მეორე სვეტში გადასმ-გადმოსმით მიიღებენ: ლილი ხმამალლა ტიროდა. დედამ ჰკითხა ლილის: შენ ვინ აგატირაო? მე თვითონ ვტირიო,— უპასუხა დედას ლილიმ.

ანდა

|                               |                                    |                                       |
|-------------------------------|------------------------------------|---------------------------------------|
| კრელი<br>და<br>მას<br>დაიჭირა | და<br>პეპელა<br>გააბრუა<br>მიეპარა | დაათრო<br>იამა;<br>ყმაწვილი,<br>იამა. |
|-------------------------------|------------------------------------|---------------------------------------|

მიიღებენ:

კრელი პეპელა დაათრო  
და გააბრუა იამა;  
მას მიეპარა ყმაწვილი,  
დაიჭირა და იამა.

12. დაფიდან ლექსის ერთი სტროფის გადმოწერა.  
თუ ლექსის რომელიმე სტრიქონი რვეულის სტრიქონში არ ეტყევა, პირველ ხანებში მისი ნაწილის გადმოტანა შეიძლება რვეულის მეორე სტრიქონზე ჩვეულებრივი წესით. შემდეგ კი უნდა ავეხსნათ, რომ თუ ლექსის სტრიქონი რვეულის ერთ სტრიქონში არ ეტყევა, დარჩენილი ნაწილის გადმოტანა ხდება შემდეგი სტრიქონის არა დასაწყისში, არამედ ბოლოში.

13. წიგნიდან ერთ სტროფიანი ლექსის გადმოწერა.

14. სურათის აღწერა.

აქ იგულისხმება მეტად მარტივი აღწერა. მაგალითად, ავილოთ სასაუბრო სურათი „ფრინველების მაგიდა“. ბავშვები ასე აღწერენ ამ სურათს:

## ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი ს მ ა გ ი ლ ა

ამ სურათზე ჩიტების მაგიდაა. მაგიდის სახურავზე თოვლია. ეტყობა, ზამთარია. ჩიტუნები მაგიდაზე არიან და საქმელს კენკავენ.

მოსწავლეები, ვიდრე წერას დაიწყებდნენ, ჯერ ზეპირად აღწერენ სურათს (მასწავლებელი შეცდომას გაუსწორებს), შემდეგ კი ნათქვამს რვეულებში ჩაწერენ. მასწავლებელი დროგაპოშვებით მიხედავს ბავშვებს და მოსალოდნელი შეცდომებისაგან აფრთხილებს.

### 15. გამოტოვებული ასოების შევსება.

მასწავლებელი გადმოაბრუნებს დაფას, რომლის ერთ მხარეზე დაუწერია 10—15 სიტყვა, რომლებშიც, ვთქვათ, ასო იქნება გამოტოვებული; გამოტოვებული ასოს ნაცვლად წერია ხაზი. მასწავლებელი დაავალებს ბავშვებს: გადმოიწერონ სიტყვები დაფიდან, ხაზის ადგილას კი დაწერონ საჭირო ასო. დაფაზე წერია: კალ-მი, კა-მისტარი, ფ-ნქარი, -ვეული, წი-ნი, ჩა-თა, მ-რხი, მ-გიდა, დ-ფა (და მისთანანი).

### 16. გამოტოვებული მარცვლის ჩამატება.

მასწავლებელს დაფაზე წინასწარ დაუწერია, ვთქვათ, ისეთი სიტყვები, რომელთაც თითო მარცვლი აკლია, გამოტოვებული მარცვლის ადგილას ხაზია. მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა აღადგინონ ეს სიტყვები და გადაწერონ რვეულებში

მაგალითად, რვეუ—, მო—ფე, მასწავლე—ლი, ოთა—, მა—ლი, თი—, ა—სი (და მისთანანი).

### 17. გამოტოვებული სიტყვის ჩამატება წინადადებაში.

მაგალითად:

ქათამი შინაური—,  
არწივი — ფრინველია,  
— შინაური ცხოველია,  
— გარეული ცხოველია.

მოსწავლეები მოიფიქრებენ, სად რა სიტყვა აკლია და შემდეგ (აღდგენილ წინადადებებს) გადაიწერენ სუფთად თავიანთ რვეულებში.

### 18. მითითებული ადგილის ამოწერა გავლილი მოთხრობიდან, ლექსიდან, ზღაპრიდან, იგავ-არაკიდან.

ამოიწერონ, ვთქვათ, ბუნების აღწერა, რომელიმე მოქმედი პირის ჩიტყვები, მოქმედი პირების საქმეები ან სხვა რამ დასახული მიზნის მიხედვით.

სიტყვის გადმოწერის დროს, დაფიდან იქნება ეს თუ წიგნიდან, ბავშვი უნდა იწერდეს მთელ სიტყვას ერთად და არა ასო-ასო: ჯერ ერთ ასოს, მერე მეორეს, მესამეს და ასე ბოლომდე. სიტყვის ასო-ასო გად-

მოწერა ძალიან გავრცელებულია ბავშვებში და საჭიროა ამ სენთან სასტიკი ბრძოლა.

ბავშვმა რამდენჯერმე კარგად უნდა წაიკითხოს გადმოსაწერი სიტყვა, დაუკვირდეს, როგორ იწერება, და შემდეგ დაწეროს.

19. ცალკეული სიტყვებისაგან წინადადებათა შედგენა, წინადადებათა დამთავრება, გამოტოვებული სიტყვებით შევსება, ზედმეტი სიტყვების ამოღება და სხვ.

20. მარტივი სურათებისა და შესაფერი წარწერის შეერთება, სურათებზე წარწერის გაკეთება.

მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ასეთ ლოტუს: ერთ მუყაოზე არის ესა თუ ის სურათი, მეორეზე—ესა თუ ის სიტყვა ან ფრაზა, რომელიც ამა თუ იმ სურათს მიუდგება. მოსწავლე ჯერ სურათს აიღებს და შემდეგ მის შესაფერის წარწერას ეძებს და იმ სურათს გაუკეთებს, ან პირიქით.

21. სიტყვების კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით: დგამი, სასწავლო ნივთები, ბოსტნეული, სათამაშოები და სხვ.

დაფაზე ჩამოწერილია მრავალი სიტყვა, ანდა ქალაღღზე დაწერილი თითო სიტყვა; ქალაღღები არეულია ერთმანეთში. მოსწავლე გამოარჩევს ისეთ სიტყვებს, რომლებიც, ვთქვათ, სასწავლო ნივთების სახელებს გამოხატავენ, და ცალკე დააწყობს; ასევე ცალკე დააწყობს ან დაწერს, თუ გადახსაწერია, სათამაშოების სახელებს და ა. შ.

22. მარტივი განცხადებების, ლოზუნგებისა და პლაკატების დამზადება.

ჯერ, რა თქმა უნდა, მასწავლებელმა უნდა შეასწავლოს მოსწავლეს განცხადების დაწერა, მისი ტექნიკა, შემდეგ კი მოსთხოვოს მსგავსი განცხადების დაწერა. იგივე ითქმის ლოზუნგებისა და პლაკატების შესახებ და სხვ.

23. სალექსიკონო მუშაობა.

ტექსტის დახმარებით აქამდე უცნობი, ახალი სიტყვების ახსნა; სქოლიოში ან წიგნის ბოლოს დართულ ლექსიკონში უცნობი სიტყვების მოძებნა და ახსნის თავისი სიტყვითაც გადმოცემა; ამ ახალი სიტყვის გამოყენებით ფრაზებისა და წინადადებების შედგენა იმის დასამტკიცებლად, ესმის თუ არა მას ეს ახალი სიტყვა; შედარებებისა და განმარტებების მონახვა მასწავლებლის მიერ მითითებულ ნაწყვეტებში და სხვ.

24. მასწავლებლის მიერ მიცემული გეგმის მიხედვით თხრობისათვის მოსამზადებელი მუშაობა.

25. მოთხრობის ან ლექსის ნაწილებად დაყოფა და დასათაურება, თითოეული ნაწილის დასურათება.

26. მითითებულ ადგილის ზეპირად დასწავლა.

27. ნაწერში დაშვებული შეცდომების გასწორება.

## II კლასი

დამოუკიდებელი სამუშაოების სახეები II კლასში ნაწილობრივ ისეთივეა, როგორც პირველ კლასში, ოღონდ აქ ეს სახეები შედარებით უფრო რთულ ხასიათს იღებს, კერძოდ, ნაწერი მოცულობითაც მეტია, ვიდრე I კლასში იყო, და თან ემატება რამდენიმე ახალი თემა. ამგვარად, II კლასისათვის დამოუკიდებელი მუშაობის თემები და სახეები შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე:

1. დაფიდან პატარა ამბის გადმოწერა.

2. წიგნიდან პატარა ამბის გადმოწერა.

ამბის გადმოწერის წინ მოსწავლემ ჯერ მთელი ტექსტი უნდა წაიკითხოს, კარგად გაერკვეს შინაარსში; მერე პირველი წინადადება უნდა წაიკითხოს, დაუფიქრდეს ყოველ სიტყვას, თუ როგორ იწერება იგი, სად როგორი სასვენი ნიშანია, და შემდეგ დაწეროს ეს წინადადება (წამლაუწუმ წიგნში არ უნდა იხედებოდეს და ამით ამ მუშაობას მექანიკურ ხასიათს არ უნდა აძლევდეს). ასევე, ჯერ წაიკითხავს მეორე წინადადებას, დაუკვირდება სიტყვების მართლწერას, პუნქტუაციას და შემდეგ შეუდგება წერას. ამავე წესით გადმოიწერს მესამე და შემდგომ წინადადებასაც. წერის დასრულების შემდეგ მანვე უნდა შეადაროს თავისი ნაწერი იმ ტექსტს, საიდანაც გადმოწერა, და გაასწოროს, თუ სადმე დაუშვა შეცდომა.

3. კითხვებზე წერილობითი პასუხის გაცემა.

4. დეფორმირებული წინადადების აღდგენა.

5. დაფიდან ერთ-ორ სტროფიანი ლექსის გადმოწერა.

6. წიგნიდან ერთ-ორ სტროფიანი ლექსის გადმოწერა.

7. სურათის წერილობითი აღწერა.

8. გამოტოვებული ასოების (ან მარცვლების) შევსება.

9. გამოტოვებული სიტყვების შევსება.

10. მიცემული სიტყვებისაგან სწორ წინადადებათა შედგენა.

11. მიცემულ წინადადებათაგან მარტივი მოთხრობების შედგენა.

მასწავლებელს დაფაზე დაწერილი აქვს 3—4 ერთმანეთთან დაუკავშირებელი წინადადება, რომელთა სათანადოდ დალაგება მოგვეცემდა შინაარსიან ამბავს, მოთხრობას. მოსწავლეს ევალება ამ წინადადებათაგან დამოუკიდებლად შეადგინოს და დაწეროს მოთხრობა, ამბავი.

12. ჩუმი კითხვა, წაკითხულის შინაარსის (ზეპირად ან წერილობით) გადმოცემის დავალებით.

13. მოთხრობიდან, ლექსიდან სათანადო ადგილის ამოწერა.

14. ლექსის ზეპირად დაწერა.

15. ნახულის, გაგონილის წერილობითი აღწერა (ტექსტის წინასწარ ზეპირად დადგენის შემდეგ).

16. თხრობითი ხასიათის წერა (მაგალითად, როგორ გაატარა ზაფხული და სხვ.).

17. გრამატიკული ხასიათის სხვადასხვა საეპარჯიშოს შესრულება. (ცხადია, ნასწავლის განმტკიცების მიზნით).

18. მითითებული ადგილის ამოწერა გავლილი მოთხრობიდან, ლექსიდან, ზღაპრიდან, იგავ-არაკიდან.

19. მარტივი სურათებისა და შესაფერისი წარწერის შეერთება, სურათებზე წარწერების გაკეთება.

20. სიტყვების კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით: დგამი, სასწავლო ნივთები, ბოსტნეული, სათამაშოები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სხვ.

21. მარტივი ლოზუნგებისა და პლაკატების დამზადება.

22. სალექსიკონო და ფრაზეოლოგიური მუშაობა.

23. მოთხრობის, ლექსის, იგავ-არაკის, ზღაპრის ნაწილებად დაყოფა, დასათაურება, დასურათება.

24. მოთხრობის მოკმედ პირთა დამახასიათებელი ადგილების ამოკრება.

25. მითითებული ადგილის ზეპირად დასწავლა.

26. ნაწერში დაშვებულ შეცდომების წერილობით გასწორება.

### III და IV კლასები

როგორც I კლასიდან II კლასში გადმოვიტანეთ დამოუკიდებელი სამუშაოების ზოგიერთი სახე, ისე II კლასიდანაც ასეთი სამუშაოების ზოგი სახე და თემა (გაღრმავებითა და მეტი მოცულობით) გადმოვა III და IV კლასებში, თან დაემატება ზეპირი თუ წერილი დამოუკიდებელი სამუშაოების ახალი სახეები და თემები. ამგვარად, III—IV კლასების წერითი და ზეპირი სამუშაოების სახეები და თემები იქნება:

1. თხზულების დაყოფა ნაწილებად, ნაწილების დასათაურება, მოთხრობისა და ლექსის დასათაურება.

მას შემდეგ, რაც ახსნითი კითხვის დროს, ლექსის ან მოთხრობის მასალობრივი და ლოგიკური გარჩევის დროს, მასწავლებელმა დაყო მოთხრობა თუ ლექსი ნაწილებად, მას შეუძლია წინადადება მისცეს ბავშვებს, გადიწერონ დამუშავებული მოთხრობა თუ ლექსი იმ სახით,

ე. ი. დაყონ ნაწილებად და თითოეულ ნაწილს სათაური თვითონ გაუკეთონ.

2. მოთხრობის გადმოწერა წიგნიდან.

3. ლექსის გადმოწერა დაფიდან და წიგნიდან.

4. სურათის წერილობითი აღწერა.

5. მითითებული ადგილის ამოწერა მოთხრობიდან, ლექსიდან, ზღაპრიდან, იგავ-არაკიდან.

6. მოთხრობის გადმოწერა სახეცვლილად (პირები, დრო).

7. სიუჟეტური ლექსის შინაარსის გადმოცემა წერილობით.

8. მოთხრობის შინაარსის გადმოცემა წერილობით

9. მოთხრობის გადაკეთება მიცემული დავალების მიხედვით.

10. სურათის აღწერა.

11. მოთხრობის შედგენა სურათის შინაარსის მიხედვით.

12. მხატვრული ადგილების შერჩევა, ამოწერა.

13. ფიგურალური თქმების ამოწერა ნასწავლი მასალებიდან.

15. ლექსის დაწერა ზეპირად (თვითკარნახით).

ნასწავლ ლექს თავის თავს თვითონ უკარნახებს, დაუკვირდება, რომელი სიტყვა როგორ უნდა დაიწეროს, სად რა სასვენი ნიშანი უნდა, საეკვო ადგილს მასწავლებელსაც ჰკითხავს და შემდეგ დაწერს ზეპირად.

16. ნახულის, გაგონილის წერილობითი აღწერა.

17. მოკმედი პირების თავგადასავლის წერილობით გადმოცემა.

18. შედარება. (მოკმედ პირთა ურთიერთთან შედარება, ძველი და ახალი სოფლის შედარება და მისთანანი).

19. ბუნების აღწერა.

20. წლის ამა თუ იმ დროის აღწერა-დახასიათება (ზაფხულის, შემოდგომის, ზამთრის, გაზაფხულის აღწერა).

21. წერილის დაწერა (ნათესავისადმი, მწერლისადმი) და თავისი სურვილების ჩამოყალიბება.

22. გრამატიკული ხასიათის ნაირ-ნაირი სავარჯიშოების შესრულება.

23. საქმის ქაღალდის შედგენა (მარტივი ანკეტის შევსება. დეპეშების, განცხადების, ხელწერილის, მინდობილობის დაწერა).

24. კედლის გაზეთისათვის წერილის დაწერა (სხვადასხვა თემაზე).

25. ციტატების, აფორიზმების ამოწერა წიგნიდან.

26. დღიური.

27. შთაბეჭდილებანი (სახელოვან პირთან შეხვედრით თუ ექსკურსიაზე მიღებული და სხვ.).

28. თარგმანი.

მესამე კლასიდან და, განსაკუთრებით, მეოთხე კლასში ნასწავლო მოთხრობების რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნა ჯერ ზეპირად (მასწავლებლის დახმარებით) და შემდეგ კი დამოუკიდებლად ჩაწერა რვეულში დიდ სარგებლობას მოუტანდა მოსწავლეს ენაზე მუშაობის საქმეში.

29. თავისუფალი შემოქმედება.

მასწავლებელი მოსწავლეების ფანტაზიის გასაღვივებლად იძლევა ერთ სიტყვას: „ცეცხლი“, ან „ტრაქტორი“ ან რომელიმე სხვა სიტყვას; მოსწავლეები კი დამოუკიდებლად ადგენენ მოთხრობას, რომლის სათაურიც იქნება ეს მოცემული სიტყვა. ამ ასაკში ბავშვები წერენ საკუთარ ლექსებს, მოთხრობებს, კედლის გაზეთის წერილებს და სხვ.; ზოგ მოსწავლეს, ნაწარმოების შესწავლასთან დაკავშირებით, შესაძლებელია მოაგონდეს რომელიმე შემთხვევა საკუთარი ცხოვრებიდან და აღწეროს ის, ანდა შეთხზას რაიმე სრულიად ახალი ამბავი; ან კიდევ შეიძლება ნაწარმოების შინაარსი სხვა დროში და ადგილას (ქალაქიდან სოფლად ან პირიქით) გადაიტანოს; ნაწარმოებში ცვლილებები მოახდინოს; ანდა, ვთქვათ, სხვისი ამბავი თავისთავზე მიიწეროს და მოთხრობა პირველი პირით გადმოსცეს, ახალი მომენტებიც ჩაურთოს; შესაძლებელია ახლად შესწავლილი ნაწარმოების გაგრძელება დაწეროს, ანდა, ვთქვათ, მეფის დროს განაწამები პირები გააცოცხლოს და სხვ.

ასეთი მუშაობა ბავშვს, ერთი მხრივ, კიდევ უფრო მტკიცედ და შეგნებულად შეათვისებინებს დამუშავებულ მასალას და, მეორე მხრივ, დიდად შეუწყობს ხელს მისი საკუთარი აზრების განვითარებას, მისი გრძნობების სილალეს, გონების გავარჯიშებას, ცოდნის გაფართოებას და სხვა.

30. განცხადებების, ლოზუნგებისა და პლაკატების დამზადება.

31. სალექსიკონო და ფრაზეოლოგიური მუშაობა (კერძოდ, ვთქვათ, ორთოგრაფიული ლექსიკონით სარგებლობასთან დაკავშირებით, ბავშვებს მიეცა დავალება: ამოიწერონ ა ასოთი დაწყებული სიტყვებიდან საგნის სახელები, ზმნები, მარტივი სიტყვები, რთული სიტყვები; შეადგინონ წინადადებები ან მოთხრობები ლექსიკონიდან ამოწერილი სიტყვებისაგან; შეამოწმონ თავიანთ ლექსიკონში შეტანილი სიტყვების მართლწერა და სხვ.).

32. წაკითხულის შინაარსის მსგავსი მოთხრობის მოგონება, გახსენება, დაწერა.

33. ნაწარმოების ნაწილებად დაყოფა, დასათავურება, დასურათება.

34. ნაწარმოების მოქმედ პირთა დამახასიათებელი ადგილების ამოკრება, დახასიათების დაწერა.

35. ნაწერში დაშვებული შეცდომების წერილობით გასწორება.

36. ჩუმი კითხვა (ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად) და სხვ.

აქ წარმოდგენილი თემები, დასამუშავებელი მასალის ყოველდღიური დაგეგმვა, გრამატიკისა და ქართული ენის სახელმძღვანელო წიგნებში სავარჯიშოების სახით მოცემული სამუშაოები და სხვ. მდიდარ შესაძლებლობას იძლევა დამოუკიდებლად შესასრულებელი სამუშაოების სახეებისა და თემების კლასების მიხედვით მიზანშეწონილად შერჩევითად.

დამოუკიდებელი საკლასო მუშაობის სწორად ჩატარების ერთი ძირითადი პირობათაგანი ორ და მეტ კლასთან მეცადინეობის დროს არის ის, რომ მთელი სისასტიკით უნდა აღიკვეთოს მხოლოდ გადმოწერისა და დაზეპირების შაბლონი.

დამოუკიდებელი საკლასო მუშაობის ნაყოფი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად არის იგი ორგანიზებული, რამდენად ცხადია დავალების მიზანი და მუშაობის წარმართვის ხერხები. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალება სისტემატურად უნდა შემოწმდეს, მოსწავლე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დამოუკიდებელი სამუშაოს სახით მიცემული დავალება წყნარად გაჩერების საშუალება კი არაა, არამედ ჩვეულებრივი სახის საკლასო მუშაობაა, რომლის სწორად გადაქრა და შესრულება მისი ცოდნისა და წარმატების მაჩვენებელია.

მუშაობის პროცესში მოსწავლეთათვის ინდივიდუალური მითითების მიცემა (შეცდომების თავიდან აცილების მიზნით), შესრულებული მუშაობის შეჯამება და შედეგების გამოცხადება მასწავლებლის მიერ, სწორი და მკდარი პასუხების აღნიშვნით, ტიპობრივი შეცდომების კლასშივე განხილვა-გასწორება (მასწავლებლის ხელმძღვანელობით), საკლასო დაჯილბების საფუძველზე საშინაო დავალების მიცემა, შემოწმება და მუშაობის სხვა მრავალი სახე — მტკიცედ უნდა იქნეს გამოყენებული ქართულ ენაში ორ კლასთან მუშაობის პირობებშიც.

ორ და მეტ კლასთან მომუშავე მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ გაკვეთილზე მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა ნაყოფს ვერ მოგვცემს, თუ ამ მუშაობას იგი უშუალო ხელმძღვანელობას არ გაუწევს. თითო-ორთა წუთი მან ყოველთვის უნდა გამოჰყოს, მიხედოს და საჭირო შემთხვევაში დაეხმაროს დამოუკიდებლად მომუშავე კლასს. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება შესაფერისი ეფექტის მიღწევა ქართული ენის სწავლებაში.



## გაკვეთილების გეგმები და კონსპექტები

ყოველდღიური, თანამიმდევრული, სისტემატური გეგმიანი მუშაობა საშუალებას მოგვცემს ორკომპლექტიანი და ერთკომპლექტიანი დაწყებითი სკოლების მოსწავლეებს შეგნებულად და მტკიცედ შევათვისებინოთ ის ცოდნა, რასაც განათლების სამინისტროს პროგრამები ნიშნობენ.

გადასაცემი გაკვეთილების ხარისხს, ახსნითი კითხვის სათანადოდ ჩატარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამოწმებისა და მეტყველების კულტურის დაუფლებისათვის.

გაკვეთილების ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აქვს ის მოსწავლემოს წინასწარ დაგეგმილი, მოფიქრებული და გააზრებული. ეს ითქმის ყოველ გაკვეთილზე, მაგრამ განსაკუთრებით ხაზგასმით და პირველ რიგში უნდა ითქვას ორ (და მეტ) კლასში ერთდროულად გადასაცემ გაკვეთილებზე. წინასწარ მოუფიქრებლად, მოუშვადებლად გაკვეთილების გადაცემა ორკომპლექტიან სკოლაში ყოველად დაუშვებელია.

ქარგი მოსწავლეებელი ყოველთვის მოემზადება გაკვეთილების გადასაცემად და ჩინიშნავს (დაიწერს თავისთვის), რომელ კლასში რა მასალას ამუშავებს, რა მიზანს ისახავს, რით გაათვალსაზიროებს გაკვეთილს, რა მეთოდს გამოიყენებს, რა გეგმით ჩაატარებს გაკვეთილებს, რა დავალებას მისცემს კლასებს და სხვ.

ჩაწერა შეიძლება სხვადასხვა სახით და მოკულობით: შეიძლება დაიწეროს გაკვეთილების სქემა-მითითება, ჩამოყალიბდეს გეგმა, შედგეს მოკლე ან ვრცელი კონსპექტი და სხვ.

გაკვეთილის კონსპექტი უფრო ვრცელია, ვიდრე გაკვეთილის გეგმა. გაკვეთილის კონსპექტში, გარდა იმისა, რომ ნაჩვენები უნდა იყოს: 1) გაკვეთილის მასალა, 2) გაკვეთილის მიზანი, 3) გაკვეთილის გეგმა, მოცემული უნდა იყოს, აგრეთვე, 4) გაკვეთილის მსვლელობაც, ე. ი. გადასაცემი გაკვეთილის მოკლე შინაარსი (კითხვა-პასუხისა და განმარტების სახით).

გაკვეთილის გეგმა გულისხმობს, რომ მისმა დამწერმა, აილო რა გაკვეთილის თემა (მასალა), დაისახა გარკვეული ამოცანები, გამოკვეთა ძირითადი საკითხები, გაითვალისწინა, რა სახის სავარჯიშოებს ჩაატარებს, რა ხელსაწყოებს გამოიყენებს გაკვეთილის გათვალსაზიროები-

სათვის, განსაზღვრა საშინაო დავალება და სხვ., ხოლო რაც შეეხება, გეგმისათვის ხორკის შესხმას, გაკვეთილის მსვლელობას, ამას გამოცდილი მასწავლებელი ყოველი დეტალის წინასწარ დაწერის გარეშეც შეძლებს.

სახელმძღვანელოში მოთავსებული სასწავლო მასალა მეტ-ნაკლები მოცულობისა და სირთულისაა. ზოგის დამუშავებას სჭირდება ერთი, ზოგისას — ორი-სამი და მეტი საათი. ამას განსაზღვრავს თვით მასალის სპეციფიკურობა, პროგრამა, სახელმძღვანელო წიგნი და სასწავლო გეგმა. ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებლებმაც გეგმა-კონსპექტის შედგენისას უნდა გაითვალისწინონ ეს თავისებურებანი.

ნათქვამი რომ უფრო გასაგები და კონკრეტული გახდეს, ავიღოთ მაგალითი. ვთქვათ, ხვალ გეგმით III კლასში უნდა დავამუშაოთ ზღაპარი „მებადურის შვილი“ (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 282). ამ მასალის ახსნით კითხვას ორი საათი სჭირდება. „მებადურის შვილის“ ახსნითი კითხვის ერთ ნაწილს ერთ გაკვეთილზე ჩავატარებთ, ხოლო მეორე ნაწილს — მეორე გაკვეთილზე. მთავარია, განვსაზღვროთ, რა სამუშაოებს ვატარებთ პირველ გაკვეთილზე და რა სამუშაოებს — მეორე გაკვეთილზე (როდის და რა საგანთან დაწყვილებით, — ეს დიდმნიშვნელოვანი არ არის, ამას მხოლოდ ცნობად მივიღებთ).

„მებადურის შვილის“ ახსნითი კითხვის ორსაათიანი სამუშაო, ჩვენი აზრით, III კლასში დაახლოებით ასე უნდა განაწილდეს:

### 1-ლ გაკვეთილზე

1. წინა დღის გაკვეთილის (შიო მღვიმელის ლექსის „კურდღელი და ბაქია“) გამოკითხვა; საშინაო წერიტი სამუშაოს („უმადური ბაქია“) შესრულების შემოწმება; ერთი-ორი მოსწავლის (სახელი და გვარი) გამოკითხვა და ნიშნების ქურნალსა და უბის წიგნაკში შეტანა.

2. წინასწარი საუბარი (ამ შემთხვევაში მასწავლებელმა შეიძლება მოაგონოს მოსწავლეებს ადრე ნასწავლ ზღაპრებში — „მელა და მგელი“, „კატა და ლომი“, „ნაცარქექია“ — გამოსახული მთავარი აზრები, იდეები და მოუწოდოს, გულდასმით მოისმინონ იმ დღეს შესასწავლი ზღაპარი — „მებადურის შვილი“).

3. „მებადურის შვილის“ შინაარსის სანიმუშოდ მოყოლა (და არა წაკითხვა) მასწავლებლის მიერ (მოსწავლეებს ძალიან უყვართ ცოცხალი სიტყვა, ამიტომ მასწავლებელი ყოველთვის კი არ უნდა კითხულობდეს კლასში შესასწავლ მასალას, არამედ დროგამოშვებით ზეპირად წარმოთქვამდეს ლექსსა და იგავ-არაკს, თავისი სიტყვით უამბობდეს ზღაპარსა და მოთხრობას).

მისაბაქ, სამაგალითო კითხვას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ კარგი თხრობა არანაკლებ სასარგებლოა, ის კიდევ უფრო ძლიერად იწვევს ბავშვების განცდებს, აზრებისა და გრძობების ამუშავებას, ალვიებს სიყვარულს მშობლიური ენისადმი, ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგერის ბავშვს, უფითარებს მას მხატვრულ გემოვნებას, აჩვევს დალაგებულ, ლოგიკურ თხრობას, მსჯელობას და სხვ. ამიტომ მასწავლებელი ხან უნდა უკითხავდეს შესასწავლ მასალას ბავშვებს, ხან კი ზეპირად გადასცემდეს.

4. საკონტროლო კითხვები, წიგნების ამოღება და მოთხრობილი ზღაპრის დასურათების დათვლიერება.

5. „მებადურის შვილის“ ნაწილ-ნაწილ წაკითხვა მასწავლებლის მიერ, გზადაგზა ძნელად გასაგები სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა-განმარტება და თითოეული, აზრობრივად დამთავრებული, ნაწილის ლოგიკური გარჩევა; ზღაპრის ნაწილების დასათაურება და მათი დაფაზე დაწერა.

6. ზღაპრის მთლიანად წაკითხვა მოსწავლეთა მიერ.

7. კატეხიზაცია (დაახლოებით იმდენი კითხვის დასმა, რამდენ ნაწილადაც დაიყო ზღაპარი).

## მე-2 გაკვეთილზე

8. „მებადურის შვილის“ როლებად წაკითხვა მოსწავლეთა მიერ.

9. „მებადურის შვილის“ შინაარსის თხრობა მოსწავლეთა მიერ, დაფაზე დაწერილი ზღაპრის ქვესათაურების მიხედვით (რაც არსებითად ზღაპრის გეგმა).

10. დასკვნითი კითხვები (ზოგიერთი საკითხის დასადგენად: კეთილი საქმის გაკეთების სარგებლიანობა; გასაქირში მეგობრების დახმარების საჭიროება; „მებადურის შვილის“ გამარჯვება...).

11. ბავშვების განცდების გამოკვეთვა, ემოციური ხასიათის კითხვების დასმა (ზღაპრის რა ადგილების მოსმენის დროს მოიწყინეთ? რა ადგილებმა გაგახარათ?).

12. „მებადურის შვილის“ ამა თუ იმ ადგილის ამოკრებითი (ამორჩევითი) კითხვა.

13. მოქმედ პირთა მოკლე დახასიათებანი.

14. გრამატიკული ვარჯიშობა.

15. საშინაო დავალება: 1. დაისწავლეთ „მებადურის შვილი“ თხრობით; 2. დაწერეთ ამ ზღაპრის მიხედვით: მეგობრები დაეხმარნენ.

მასალის ახსნა-განმარტებისათვის საჭირო სამუშაოთა წინასწარ ასე დაგეგმვის შემდეგ მისი განხორციელება ადვილი იქნება. გაკვეთილის

ჩასატარებლად წინასწარ მოახზული ერთგვარი სამახსოვრო და სახელმძღვანელო სქემა, გეგმა თუ კონსპექტი, ვრცელი იქნება ის თუ მოკლე, უნდა ასახავდეს გაკვეთილის ძირითად შინაარსს. სქემის თუ გეგმა-კონსპექტის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ გაკვეთილის ღირსება-ნაკლოვანებაზე.

გაკვეთილის გაშლილ კონსპექტს ადგენინებენ პედაგოგიური სასწავლებლების; სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტების, უნივერსიტეტისა და მასწავლებელთა გადამამზადებელი კურსების მსმენელ-სტუდენტებს, რომელთაც მასწავლებლებად ამზადებენ ან კვალიფიკაციას უმაღლებენ და პედაგოგიურ პრაქტიკას ატარებინებენ; გაკვეთილის კონსპექტს ადგენენ, აგრეთვე, დახელოვნებული მასწავლებლები, ახალგაზრდები იქნებიან ისინი თუ მხტოვანნი, ღია (სანიმუშო) გაკვეთილის გადაცემის წინ და სხვა შემთხვევაშიაც.

გაკვეთილის გეგმის (თუ სამახსოვრო სქემა-მითითების) ყოველდღიურად შედგენა, როგორც ცნობილია, ყველა მასწავლებლისათვის სავალდებულოა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ორკომპლექტიან და ერთკომპლექტიან სკოლებში დიდი სიჭრელეა გეგმის შედგენის საქმეში. მართალია, „გაკვეთილის გეგმისათვის რაიმე საერთო, სტანდარტული ფორმის დაწესება შეუძლებელია“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველგვარი გაკვეთილის გეგმისადმი მაინც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ერთიანი მოთხოვნები.<sup>1</sup>

აღრე მეთოდისტები რამდენადმე გაურბოდნენ იმას, რომ თავიანთ შრომებში პრაქტიკოს მასწავლებელთათვის მიეცათ გაკვეთილების სანიმუშო გეგმები. მით უფრო, გაკვეთილების გაშლილი კონსპექტები. ამავე დროს ფაქტია, რომ გაკვეთილების სქემების, გეგმების, კონსპექტების მიცემა მასწავლებელთათვის საჭიროა და მიზანშეწონილი. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ გაკვეთილების სქემებს, გეგმებსა და კონსპექტებს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს უკანასკნელი წლების საბჭოთა მეთოდიკურ ლიტერატურაში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი გეგმები და კონსპექტები სასარგებლოა; ამიტომ ვიძლევიტ საორიენტაციოდ რამდენიმე მოკლე კონსპექტს: 1) როცა I და III კლასებში ქართული ენა ისწავლება ერთდროულად; 2) როცა ერთდროულად ისწავლება I კლასში ქართული, ხოლო III კლასში — არითმეტიკა; 3) როცა I კლასში ქართული, ხოლო III კლასში რუსული ენა ისწავლება; 4) როცა ქართული ენა ისწავლება II და IV კლასებში ერთდროულად; 5) როცა II კლასში რუსული ენა, ხოლო IV კლასში ქართული ენა ისწავლება ერთსა და იმავე დროს;

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მიერ დამტკიცებული „მითითებანი სკოლისა და მასწავლებლის მუშაობის დაგეგმვის შესახებ“, 1949 წ.

6) როცა II კლასში ქართული ენა, ხოლო IV კლასში არითმეტიკა ისწავლება; 7) როცა II კლასში ქართული ენა, ხოლო IV კლასში გეოგრაფია ისწავლება; 8) როცა სამი და 9) როცა ოთხი კლასი ერთად შეცადინეობს ერთი მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

ეს კონსპექტები ერთგვარ დახმარებას გაუწევენ ორ (და მეტ) კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებლებს. ისინი ასე თუ ისე იძლევიან რამდენიმე კლასთან ერთდროულად ჩასატარებელი გაკვეთილების საერთო სურათს.

რაც შეეხება გაკვეთილების ყოველდღიურ გეგმებს, რომელთა შედგენა ევალება მასწავლებელს, ჩვენ მათ ცალკე არ ვიძლევი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ წიგნის 42-ე და 43-ე გვერდებზე მოცემულ გეგმებს; ამას გარდა, ვფიქრობთ, რომ ყოველდღიურად შესადგენი გეგმების ნიმუშად დაახლოებით გამოდგება აქ წარმოდგენილი „მოკლე კონსპექტები“, როცა მათ „მსვლელობას“ ჩამოვაცილებთ (ე. ი. დავტოვებთ: 1) მასალას, 2) მიზანს, 3) გეგმას.

**მოკლე კონსპექტი ორ (I და III) კლასთან ერთდროულად ძაკითულ ენაში ჩასატარებელი გაკვეთილებისა**

**მასალები**

**I კლასისათვის**  
საბათი

(დღეა ენა, პირველი ნაწილი, 1951 წ., გვ. 21).

**III კლასისათვის**  
ტატა-ცილა

(ქართული ენა, III კლასის სახელმძღვანელო, 1951 წ., გვ. 36).

**მიზნები**

ასო-ბგერა ს-ს წარმოთქმა, მ.სი ბეჭდური და ხელნაწერი სახის გაცნობა-შეთვისება.

ასეთი ცოდნის მიღება:

1. რამდენიც უნდა ხარშოთ ან წვათ ბუს-ბელურა ჩიუებს, კიეკაუების, ყვაეებისა და საზოგადოებრივ ფრინველთა კერცხები, რომელთა ბარტები კერცხიდან იხევიან გინგლანები და უმწონი, მათი გამკერვაზე ცილა არ მაგრდება, არ იკრება და სითხე დრჩება.
2. ფრინველთა კერცხი რომ ორგვარი (ზოგი იხარშება და ზოგი არა) ეს აღმოაჩინა პატარა გოგონამ ტატა თარხნიშიელმა.

**გეგმები**

**მასწავლებელთან**

1. წინა გაკვეთილი: გამოკითხვა;
2. წინასწარი ს.უბარი;
3. სიტყვი (საათი) ანალიზი და სინთეზი;
4. ს ბგერის გამოყოფა;
5. მოთავეი ს ასოს ჩვენება;

**დამოუკიდებლად**  
წერა

1. წინა ნაწერში დაშვებული შეცდომების გასწორება;
2. გ. ლეონიძის ლექსის — „თბილისო, ჩვენო თბილისო“ ზეპირად დაწერა საკლასო რვეულებში.

გაფ. I ნახევარი

|                       |  |   |
|-----------------------|--|---|
| გაკეთ. I ნახევარი     | 6. ისეთი სიტყვების გამოძებნა, რომლებშიც ხ ბგერა არის თავში, შუაში, ბოლოში;<br>7. 21-ე გვერდზე მოთავსებული მასალის ხმაძალა წაკითხვა.  | ზეპირი პასუხების მოფიქრება კითხვებზე:<br>1. რომელი ფრინველების ბარტყები იჩეყებიან ბუბულთ შემოსილნი და რომლისა—გინგლიანები და უმწკონი?<br>2. რომელი ფრინველების კვერცხები მზგინხარ შავთ, შეგიწვათ, გიჭამიათ?   |
| გაკეთების II ნახევარი | 8. 20-ე გვერდზე მოთავსებული მასალის ჩუმი კითხვა (ორ-სამჯერ);<br>9. მოძრავი ასოებისაგან (ახლად შესწავლილ ს ს მონაწილეობით) სიტყვებისა და ფრაზების შედგენა;<br>10. ახლად შესწავლილი ასოს (ს) წერარგულში (2—3 სტრიქონზე). | მასწავლებლებთან<br>3. დაჯლების გამოკითხვა;<br>4. მასწავლებლის მიერ ტატა-ცილას სანიმუშო წაკითხვა;<br>5. მოსწავლეების მიერ ტატა-ცილას ნაწილ-ნაწილ კითხვა და თითოეული ნაწილას ახსნა-განმარტება;<br>6. მოსწავლეების მიერ ტატა-ცილას მთლიანი კითხვა;<br>7. კატეხიხაცია;<br>8. ტატა-ცილას შინაარსის თხრობა;<br>9. საშინაო დავალება. |

### მსვლელობა

— (III კლასს) აპოილეთ წიგნებო, ერთხელ კადეე წაკითხეთ გუშინდელი გაკვეთილი, გ. ლეონიძის ლექსი „თბილისო, ჩენო თბილისო“, დაუკვირდით თითოეულ სტყვას: როგორ იწერება, სად როგორი სასვენნი ნიშანია!.. ზეპირად უნდა დაწეროთ!

— (I კლასს) ვინ წაკითხა ეს გაკვეთილს? (ხელს წევენ. გამოიძახებს ერთ-ერთს და წაკითხვებს:)

თ ი თ ი

თ ი - თ ი


თ ი თ ი

თ

თ ი - თ ი. თ ა - თ ი. თ ი - თ ა.

ა ი ი ა. ა თ ი თ ი თ ი. ა ი თ ა თ ი. ა ი

ა თ ი ი ა. ა ი თ ი თ ი. ა ი ა თ ი თ ი თ ი.



(გამოძახებული კითხულობს აგრეთვე ხელნაწერსაც: თ თ ი თ ი)

— აბა, კიდევ ვინ წაიკითხაეს? (წააკითხებს მეორეს...) ერთხელ კიდევ წაიკითხეთ ჩუმაღ, თვალითი (კითხულობენ).

— (III კლასს) კმარა! შეინახეთ წიგნები ეს ლექსი სუფთად, ლამაზად და უშეცდომოდ უნდა დაწეროთ ზეპირად საკლასო რვეულებში (მასწავლებელი საკლასო რვეულებს გადასცემს მორიგეს, რომელიც რვეულებს დაარიგებს; მოსწავლეები ჯერ წინა ნაწერში დაშვებულ შეცდომებს გაასწორებენ, შემდეგ იმ დღის რიცხვს დაწერენ და ლექსის ზეპირად წერას შეუდგებიან).

— (I კლასს) კმარა! შეინახეთ წიგნები! (შეინახავენ). ეს რა არის? (უჩვენებს საათს ან საათის სურათს).

— ეს არის საათი.

— მაგიდაზე დასადგმელი საათია? მაგიდის საათია?

— არა, კედლის საათია.

— კიდევ როგორი შეიძლება იყოს საათი? (პაუზა).

— ჯიბის საათი, მაჯის საათი.

— დაჯექი! დამარცვლეთ სიტყვა საათი!

— სა-თი

— ვინ გაუსწორებს? (პაუზა)

— სა-ა-თი

— რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში?

— სამი.

— სწორია! პირველი მარცვალი?

— სა

— მეორე?

— ა

— მესამე?

— თი

— დაუკვირდით, რომელი ბგერა მეორდება აქ ზედიზედ? (პაუზა)-

— ა

— მართალია, საათი! (გახაზაეს ა-ს ზედიზედ განმეორებას).

— როგორ უნდა დაეწეროთ სიტყვა: საათი? (პაუზა).

— ს-ს შემდეგ ორჯერ უნდა დაეწეროთ ა.

— მაშ რამდენი ბგერაა ამ სიტყვაში: საათი? (ითვლიან).

— ჩამოთვალეთ!

— ს, ა, ა, თ, ი.

— რომელი ასო-ბგერაა მათგან უცნობი?

— ხ

მასწავლებლის წინადადებით მოსწავლეები უკვირდებიან მეტყველების ორგანოების მდგომარეობას ს-ბგერის წარმოთქმის მომენტში.

— აბა, მოიგონეთ სიტყვები, რომლებიც იწყებოდეს ს-ით? აგრეთვე მოიგონეთ ისეთი სიტყვები, რომელთა შუაში ან ბოლოს იყოს ასობგერა ხ? (ვიდრე მოსწავლეები მოიგონებდნენ ასეთ სიტყვებს, მასწავლებელი ერთი-ორი წუთით მიხედავს III კლასს: ჩამოუვლის, თვალს გადაავლებს მათ ნაწერებს, სათანადო მითითებებს მისცემს).

— (I კლასს) აბა!

— სია, სამი, სიკო, სოფიო, სკამი, სახლი... (უპასუხებენ პირველ კითხვაზე).

— ნესვი, ნემსი, ასი, თასი, ათასი, ვასო, ტასო... (უპასუხებენ მეორე კითხვაზე).

— ძმას, დას, წერის, კითხვის, შვილის, მამის... (უპასუხებენ მესამე კითხვაზე).

— აი, მე თქვენ გაჩვენებთ ამ ბგერის ბეჭდურ სახეს! მასწავლებელი უჩვენებს მოძრაე ხ ასოს. ბავშვები უკვირდებიან მის მოხაზულობას. მცირე პაუზის შემდეგ ეტყვის იმავე კლასს): — ამოიღეთ წიგნები. გადაშალეთ ახალი გაკვეთილი (ბავშვებმა იციან, რომ ახალი გაკვეთილი უკანასკნელი გაკვეთილის შემდეგაა), დაათვალიერეთ სურათი და მოემზადეთ კითხვისათვის. ბავშვები წიგნებს ამოიღებენ, გადაშლიან საჭირო ადვილს, სურათს ათვალიერებენ, კითხვისთვის ემზადებიან. ამ დროს მასწავლებელი გადმოაბრუნებს III კლასის დაფას, რომელზედაც წერია:

მოიფიქრეთ:

1. რომელი ფრინველების ბარტყები იჩეკებიან კვერცხიდან ბუმბულით შემოსილი და რომლისა — გინგლიანები (შიშვლები)?

2. რომელი ფრინველების კვერცხი შეგიწევათ, მოგიხარშავთ, გიქამიათ? (ეს კითხვები მასწავლებელს წინასწარ ჰქონდა დაწერილი დაფაზე).

— (III კლასს) ერთ-ორ წუთში დაასრულეთ წერა, რვეულები გადმომეცი! (წესი იციან: უკანა რიგიდან რვეულებს წინა რიგს გადასცემენ და ასე შემდეგ); წერის დასრულების შემდეგ მოიფიქრეთ პასუხები დაფაზე მოცემულ კითხვებზე!..

— (I კლასს) აბა, წავიკითხოთ! (ჯერ მოსწავლეები წაიკითხავენ და შემდეგ გამოძახებული კითხულობს:)

ს ა ბ თ ი

ს ა - ა - თ ი

ს ა ა თ ი

ს

ს ა - ა - თ ი. თ ა - ს ი. ს ა - ს ა. ს ი - ა.

აი საათი. აი სასა. ის თასია. ათი საათი.

აი სია. ის საათია. ის თათია.

აი თათი. აი ათი თითი.



(მასწავლებელი გაუგებარ სიტყვას უხსნის, შეცდომებს უსწორებს, პირველად კითხვაში ეხმარება. ბოლოს დაავალებს კლასს, ერთხელ თვალთ წაიკითხონ ეს ახალი გაკვეთილი და შემდეგ მოძრავი ასოებისაგან შეადგინონ სიტყვები და ფრაზები, რომელთა მიღებაც შეუძლიათ ნაცნობი ასოებით).

— (III კლასს) აბა, პირველი კითხვის პასუხი!

— ბუმბულით შემოსილი ბარტყები იჩეკებიან ქათმის, იხვის, ბატისა და სხვა ფრინველების კვერცხებიდან, ხოლო გინგლიანები — ბელურა ჩიტებისა და სხვა ფრინველების კვერცხებიდან.

— მეორე კითხვის პასუხი?

— მე მხოლოდ ქათმის კვერცხი შემიწვავს, მომიხარშავს და მიჭამია, — ამბობს ერთი.

— მე ბატისა და იხვის კვერცხიც შემიწვავს და მიჭამია კიდევ, — ამბობს მეორე.

— მე ციცრის კვერცხიც კი მიჭამია, — ამბობს მესამე.

— ბელურას კვერცხი თუ შეუწვავს ან მოუხარშავს რომელიმე თქვენგანს?

— ?!

— იცით თუ არა თქვენ, რომ ბელურას კვერცხი არც შეიწვება და არც მოიხარშება?

— ?!

— დამიგდეთ ყური! (მასწავლებელი კითხულობს ნელა, გარკვევით).

### ტატა-ცილა

ყველამ იცის, რომ კვერცხი იხარშება, შეიძლება კვერცხისაგან ფრბო-კვერცხი გაკეთდეს. მაგრამ ის კი, ალბათ, ყველამ არ იცის, რომ ყოველგვარი კვერცხის მაგრად მოხარშვა არ შეიძლება.

აი, მაგალითად, ბუს კვერცხი: რამდენიც უნდა ხარშოთ ან წვათ, მისი გამჟვირვალე ცილა სითხედ რჩება და არ იკვრება. ასევე არ იკვრება ბელურა ჩიტების, ჭიჭიკების, ყვავებისა და საზოგადოდ იმ ფრინველთა კვერცხები, რომელთა ბარტყები კვერცხიდან იჩეკებიან გინგლიანები და უმწეონი.

სამაგიეროდ იმ ფრინველთა კვერცხის ცილა, რომელნიც ბუმბულით შემოსილნი იჩეკებიან და მაშინვე დედას უკან აედევნებიან, იკვრის და სითხედ არ რჩება.

ფრინველთა კვერცხი რომ ორგვარია, ეს აღმოაჩინა ვინმე განსწავლულმა პირმა კი არა, არამედ პატარა ბიჭმა, აკადემიკოს ივანე რამაზის ძე თარხნიშვილის ვაჟმა ტატამ.

თავისი აღმოჩენა შეიღმა მამას უამბო. დიდი მეცნიერი შეუდგა ყველა გურის ფრინველთა კვერცხის შესწავლას. ივანე თარხნიშვილმა ფრინველთა კვერცხის ცილას, რომელიც ხარშვის დროს არ მაგრდება, თავისი ვაჟის სახელი უწოდა. ასეთ ცილას ტატა-ცილას ეძახიან. (პაუზა).

— ამოიღეთ წიგნები! წაიკითხეთ ჩუმი! (კითხულობენ. მასწავლებელი გადადის I კლასთან, ათვლიერებს ბავშვების ნამუშევრებს — სიტყვებისა და ფრაზების აწყობას, დაშლას, დამარცვლას იმ სახით, როგორც ეს ახალი გაკვეთილის ტექსტშია. სათანადო მითითებებს აძლევს ყველას და ეხმარება ამა თუ იმ მოწაფეს).

— (III კლასს), აბა, წაეკითხოთ ხმამაღლა! (გამოძახებულს წააკითხებს სათაურს და ორ აბზაცს. გაუგებარ სიტყვებსა და წინადადებებს ახსნის, განმარტავს).

— ვინ განაგრძობს კითხვას? (გამოიძახებს ერთ-ერთს, რომელსაც წააკითხებს მოთხრობის დარჩენილ სამ აბზაცს. გზადაგზა ახსნის გაუგებარ სიტყვებს და გამოთქმებს, ეტყვის იმასაც, რომ ამ მოთხრობაში შეცდომა არის დაშვებული: ტატა ვაჟის სახელი კი არ არის, არამედ ქალის; ამ შემთხვევაში: ტატა (ტატიანა) ერქვა აკადემიკოს ივანე თარხნიშვილის ქალიშვილს, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ფრინველთა კვერცხი ორგვარია.

(ივანე თარხნიშვილს ამ ერთი ქალის — ტატას (ტატიანას) გარდა სხვა შეილი არა ჰყოლია).<sup>1</sup> შემდეგ დაავალებს კლასს, ერთხელ კიდევ ჩუმიდ წაიკითხონ ახალი გაკვეთილი).

— (I კლასს) კმარა! შეინახეთ წიგნები და მოძრავი ასოები! (მასწავლებელი დაფაზე დაწერს ახალ ასოს: ხ, ბავშვებს დაურიგებს რვეულებს და კლასის ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, თუ საიდან იწყება ამ ასოს წერა, შემდეგ საით მიდის ხელი, სად ვუხვევთ, სად მსხვილი ხაზია, სად წვრილი ხაზი; ერთ-ორს დააწერიან კიდევ დაფაზე ამ (ს) ასოს და ბოლოს წინადადებას მისცემს ყველას სწორად და ლუფთად წერონ თავიანთ რვეულებში ეს ახალი ასო; აწერინებს 2-3 სტრიქონზე).

— (III კლასს) რამდენგვარია ფრინველების კვერცხი?

— ფრინველების კვერცხი ორგვარია.

— სახელდობრ?

— ზოგი კვერცხის ცილა, რამდენიც უნდა ხარშოთ ან წვათ, არ მაგრდება, არ იკვრება, ზოგისა კი მაგრდება, იკვრის და სითხედ არ რჩება.

<sup>1</sup> იხ. მიხეილ ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი ს შრომა: გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ივანე თარხნიშვილი (თარხან-პოლუავი), თბილისი, 1947.

ჩამოთვალეთ ფრინველები, რომელთა კვერცხის ცილა მოხარშვის დროს არ იკვრება.

— ბუ, ყვავი, ბელურა ჩიტი, კივჭავი...

— რომელ ფრინველთა კვერცხის ცილა მაგრდება, იკვრება მოხარშვის ან შეწვის დროს?

— ქათმის, ბატის, იხვის, ციცრის...

— ვინ აღმოაჩინა კვერცხის ეს თვისება?

— აკადემიკოს ივანე თარხნიშვილის შვილმა, პატარა გოგონა ტატამ.

— რა ნიშნით, შეიტყობ, რომელი ფრინველის კვერცხი მაგრდება და რომლისა — არა? მოიფიქრეთ! (თვითონ მიხედავს I კლასს). — იმ ფრინველთა კვერცხები, რომელთა ბარტყები კვერცხიდან იჩეკებიან ბუმბულით შემოსილინი, ხარშვის დროს მაგრდება; არ მაგრდება იმ ფრინველთა კვერცხები, რომელთა ბარტყები იჩეკებიან გინგლიანები და უმწონი.

— ტატა - ცილა რომელი კვერცხის ცილას ეწოდება?

— იმ კვერცხის ცილას, რომელიც ხარშვის დროს არ მაგრდება.

— გადახედეთ ტექსტს და მოიფიქრეთ ტატა-ცილას შინაარსი! (პაუზა).

— (I კლასს) ვასო, მკერდით ნუ აწეები მერხს! თინა, თავი მალა ასწიე! ეთერ, ეგრე მაგრად ნუ უპერ თითებს კალმისტარს!.. ნელა და მონდომებით სწერეთ...

— (III კლასს) აბა! (გამოიძახებს ერთ-ერთს და ათხრობინებს ტატა-ცილას შინაარსს. შემდეგ გადმოაბრუნებს დაფას, რომელზედაც წინასწარ დაუწერია):

სა შინაო დავალებათ: 1) ფრინველთა კვერცხი რამდენგვარია? 2) სახელდობრ? 3) რას ეწოდება ტატა-ცილა? 4) ვინ უწოდა? 5) რატომ?

— გადაიწერეთ საშინაო რეველებში ეს კითხვები და პასუხები შინ გაეცით წერილობით.

(მესამეკლასელები დაფიდან იწერენ საშინაო დავალების კითხვებს; მასწავლებელი პირველი კლასის დაფაზე დაწერს სიტყვას: საათი).

(I კლასს) კმარა! შეწყვიტეთ ასოს წერა! უკრადლება აქეთ! აბა, ვინ წაიკითხავს? (მოსწავლეები ხელს წევენ, გამოიძახებს ერთ-ერთს, რომელსაც წააკითხებს დაფაზე დაწერილ სიტყვას: საათი). რამდენი ასოა ამ სიტყვაში?

— ხუთი!

— რომელი ასო მეორდება?

— ა.

— სწორია! აბა, ვწეროთ!..

(მასწავლებელი გაკვეთილის დასრულებამდე თავს დასტრიალებს პირველკლასელებს, რომელსაც ეხმარება სიტყვის (საათი) მართებულად

წერაში. დააწერიანებს ორ-სამეჯერ, მეტჯერ<sup>1</sup> და გაკვეთილი იც დასრულდება.

**მეორე კონსპექტი ორ კლასთან ერთდროულად მართულ მხარე (I კლასი) და არითმეტიკაში (III კლასი) ჩახატა ჩემილი გაკვეთილები**

**მასალები**

**I კლასისათვის (ქართული ენა)**

**დილა**

- 1. სტალინის ყრმობის დროინდელი ლექსი.
- (დედა ენა, პირველი ნაწილი, 1951 წ., გვ. 162).

**III კლასისათვის (არითმეტიკა)**

**შედგენილი სახელდებალში ჩიზხვების შეკრება**

- (არითმეტიკული ამოცანებისა და მაგალითების კრებულში, III კლასისათვის, 1951 წ., გვ. 116).

**მიზნები**

- 1. სტალინის ბავშვობის გაცნობა;
- 2. პატრიოტული გრძნობის გაღვივება;
- 3. მოსწავლის ლექსიკონის ახალი სიტყვებით (ივერია, კოკორი, ხაშხაში...) გამდიდრება.

- 1. სახელდებალში რიცხვების დაშლა და გარდაქცევა (განმეორება);
- 2. შედგენილი სახელდებალში რიცხვების შეკრება (ახალი მასალი).

**გვეგებები**

**მასწავლებელთან**

დაკვეთილი I ნახევარი

- 1. წინა გაკვეთილის გამოკითხვა;
- 2. წინასწარი საუბარი;
- 3. ლექსის („დილა“) წაკითხვა მასწავლებლის მიერ;
- 4. მოსწავლეების მიერ ლექსის ნაწილ-ნაწილ კითხვა და თითოეული ნაწილის გარჩევა;
- 5. ლექსის მთლიანი კითხვა მოსწავლეების მიერ;
- 6. ლექსის როლებად წაკითხვა;
- 7. საშინაო დავალება.

**დამოუკიდებლად**

- 1. სახელდებალში რიცხვების დაშლა მაგალითები: №№ 1369, 1370 და 1371.
- 2. სახელდებალში რიცხვების გარდაქცევა. მაგალითები: №№ 1375, 1376 და 1377.

<sup>1</sup> იმავე დღის მეორე გაკვეთილზე გაგრძელდება „დედა ენის“, 21-ე გვერდზე მოთავსებული ტექსტის კითხვაში ვარჯიშობა; მოძრავი ასოებისაგან შედგენა (ანუ „დაწერა“) იქ მოთავსებული ტექსტისა იმავე საბით, რა საბითაც არის ის დაბეჭდილი. (დამაოცვლილად, დაუმარცვლად). ცხადია, მოძრავი ასოები ყოველ მოსწავლეს არ ეყრუა მთელი ტექსტის ასაწყობად. ამტომ ბავშვები, როცა ტექსტის თავიდან აწყობას დაწყებენ, აწყობენ, ვთქვათ, ჯერ ერთ ან ორ სიტყვას, შემდეგ დაშლიან და განთავსებულნი მოძრავი ასოებით აწყობენ შემდეგ სიტყვებს, მერე იმათაც დაშლიან და სხვა სიტყვას (თუ სიტყვებს) აწყობენ და ასე ბოლომდე მოძრავი ასოებით „დაწერენ“ მთელ ტექსტს. იმავე გაკვეთილზე საკლასო რუგულებში 6-8-ჯერ კალმით დაწერენ სიტყვას (თასი), რომლის დაწევილობის ნიმუში მოცემულია 21-ე გვერდზე. ამ (მეორე) გაკვეთილის დასასრულს კლასს ქართულ ენაში მიეცემა ასეთი საშინაო დავალება: ხინ განაგრძონ ტექსტის კითხვაში ვარჯიშობა და მოძრავი ასოებით ტექსტის აწყობა, „წერა“.

**დამოუკიდებლად**

**წერა**

1. შეტდომების გასწორება;
2. ლექსის („დილა“) უკანასკნელი ოთხი სტრიქონის წიგნიდან საკლასო რეულში გადაწერა.

**მასწავლებელთან**

1. სახელდებული რიცხვების დაშლის განმეორება;
2. სახელდებული რიცხვების გარდაქმვის განმეორება;
3. შედგენილი სახელდებული რიცხვების შეყრების წესის შესწავლა;
4. სათანადო მაგალითების ამოხსნა.

**მსვლელობა<sup>1</sup>**

— (III კლასს) მოემზადეთ საწერადი შემოაბრუნეთ დაფა!  
(დაფაზე წერია:

1. სახელდებული რიცხვების დაშლა;  
ამოხსენით მაგალითები № № 1369, 1370 და 1371.
2. სახელდებული რიცხვების გარდაქცევა:  
ამოხსენით მაგალითები № № 1375, 1376 და 1377).

— (I კლასს) ყურადღება! (აჩვენებს სურათს) ბავშვებო, ვისი სურათია ეს?

- ძია სტალინის სურათი.
- სად არის ახლა ძია სტალინი?
- ძია სტალინი მოსკოვშია.
- რა ვისწავლეთ ჩვენ ძია სტალინის შესახებ?
- ლექსი „სიმღერა სტალინზე“.
- კიდევ?
- მოთხრობა „პატარა სოსო“.
- აბა ვინ მოჰყვება კარგად მოთხრობას „პატარა სოსო“? (ბავშვები ხელს წივენ. მასწავლებელი გამოიძახებს ერთ-ერთს, რომელიც ჰყვება):

**პატარა სოსო**

შუაგულ ქართლში, მტკვრისა და ლიახვის შესართავთან, არის ძველი ქალაქი გორი. მის ერთ უბანში იდგა პატარა, უბრალოდ მოწყობილი სახლი.

<sup>1</sup> მასწავლებელი მოსწავლეებს გასამეორებლად უნდა აძლევდეს არა ყოველთვის წინა დღეებში შესწავლილ გაკეთილს, არამედ მიზნობრივად შერჩეულ ისეთ მასალასაც, რომელიც შეიძლება ერთი თუ რამდენიმე თვის წინათ იყოს შესწავლილი. ეს მეტწილად დამოკიდებულია ადრე შესწავლილი და შესასწავლი მასალის ურთიერთობაზე. ამის გამო საჭიროად მიგვაჩნია გვემით გათვალისწინებული ლექსის — „დილა“-ს შესწავლამდე, წინა დღით ბავშვებს გასამეორებლად მიეცეს მოთხრობა „პატარა სოსო“, რომელიც მათ დაახლოებით ერთი თვის წინათ ისწავლეს.

აქ ცხოვრობდა ბესარიონ ჯულაშვილის ოჯახი. ერთ დღეს ამ ოჯახს დიდი სიხარული ეწვია: შეეძინათ ვაჟი. პატარა ბიჭიკოს სოსო დაარქვეს.

რვა წლის სოსო მშობლებმა სასწავლებელში მიაბარეს. კარგი სწავლითა და ყოფაქცევით სოსომ ყველას ყურადღება მიიქცია. მან არ იცოდა საქმის გადაღება, გაკვეთილებს დროზე და გულმოდგინედ სწავლობდა. სწავლაში ჩამორჩენილ ამხანაგებს ყოველთვის ეხმარებოდა.

— ყოჩაღ, კარგია! კარგად გაგიმეორებია! აბა, კიდევ ვინ მოჰყვება (ათქმევიანებს მეორესაც... ბავშვები ათვლიერებენ ი. სტალინის ბავშვობის სურათს... შემდეგ ისევ მიმართავს კლასს:)

— პატარა სოსო ლექსებსაც წერდა. მე თქვენ ახლა წაგიკითხავთ და გაგაცნობთ ძია სტალინის ყრმობისდროინდელ ლექსს. დამიგღეთ ყური! (მასწავლებელი კითხულობს ნელა, ხმამაღლა, გარკვევით, სათანადო ინტონაციით:)

### დ ი ლ ა

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,  
გადახვეოდა იასა,  
ზამზახსაც გაღვიძებოდა  
და თავს უხრიდა ნიაფსა.

ტოროლა მალლა ღრუბლებში  
წკრიალ-წკრიალით გალობდა.  
ბულბულიც გახარებული  
ნაზის ხმით ამას ამბობდა:

აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,  
ილხინე, ივერთ მხარეო,  
და შენც, ქართველო, სწავლითა  
სამშობლო გაახარეო!

(მცირე პაუზის შემდეგ მასწავლებელი მიუთითებს ბავშვებს — ამოიღონ „ღედა ენა“, გადაშალონ სათანადო გვერდი, ჩუმად, თვლით წაკითხონ ლექსი და დაათვალიერონ მისი დასურათება; 2—3 წუთით მიხედავს მესამეკლასელებს, საჭირო დახმარებას გაუწევს მათ და შემდეგ ისევ მიუბრუნდება 1 კლასს, გამოუძახებს ერთ-ერთ მოსწავლეს და წაკითხვას ლექსის ნაწილს:)

### დ ი ლ ა

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,  
გადახვეოდა იასა,

- შეჩერდი!.. რა არის ამ ლექსის სათაური?
- ამ ლექსის სათაურია „დილა“.
- ვის უნახავს კოკორი? იცით, რა არის კოკორი?
- კოკორი ჯერ გაუშლელი ყვავილია (სასურველია მასწავლებელმა ბავშვებს აჩვენოს კოკორი ან მისი სურათი).
- როგორ გესმით გამოთქმა: ვარდს გაეფურჩქნა კოკორი?
- ვარდს თავისი ყვავილი გაეშალა.
- რა ღრაო ყოფილა?
- გაზაფხული.
- რას შვრებოდა ვარდი?
- იას ეხვეოდა ყელზე, იას გადახვეოდა.
- განევაგრძოთ კითხვა!.. შენვე განაგრძე!  
     ზამბახსაც ვალეძებოდა  
     და თავს უხრიდა ნიაესა.
- ვის უნახავს ზამბახი? რა არის ზამბახი?
- ზამბახი ყვავილია.
- აი, ზამბახი (აჩვენებს ზამბახს ან მის სურათს).
- რას შვრებოდა ზამბახი?
- ზამბახი თავს უხრიდა ნიაეს, ნიაეი ზამბახს აქანავებდა.
- აბა, ერთხელ კიდევ წავიკითხოთ თავიდან! (გამოიძახებს მეორეს).

## დ ი ლ ა

- ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,  
 გადახვეოდა იასა,  
 ზამბახსაც ვალეძებოდა  
 და თავს უხრიდა ნიაესა (პაუზა).
- განაგრძე შენ! (გამოიძახებს მესამეს).  
     ტოროლა მალლა ღრუბლებში  
     წკრიალ-წკრიალით ვალობდა,
- შეჩერდი! აბა, მაჩვენეთ ტოროლას სურათი! (ბავშვები აჩვენებენ).
- აი, ტოროლა.
- რას შვრებოდა ტოროლა?
- ტოროლა ვალობდა.
- სად ვალობდა ტოროლა.
- ტოროლა ვალობდა მალლა ღრუბლებში.
- როგორ ვალობდა ტოროლა?
- წკრიალ-წკრიალით ვალობდა.
- როგორ გესმით ეს გამოთქმა — წკრიალ-წკრიალით?
- ზარივით წკრიალებდა მისი ხმა. კარგად ვალობდა.

— განვაგრძოთ. განაგრძე ისევე შენი  
ბულბულიც გახარებული  
ნაზის ხმით ამას ამბობდა:

— შეჩერდი! მონახეთ წიგნში ბულბულის სურათი! (ბავშვები აკვირ-  
ლებიან).

— როგორი ხმა აქვს ბულბულს?

— ბულბულს ტკბილი ხმა აქვს.

— როგორი ხმით გალობდა ბულბული?

— ბულბული ნაზი ხმით გალობდა.

— თქვენ მოგისმენიათ ბულბულის გალობა?

— მომისმენია.

— სად?

— ტყეში.

— რა ახარებდა ბულბულს?

— მშვენიერი დილა იყო და უხაროდა.

— აბა, განვაგრძოთ და გაეიგოთ, რას ამბობდა ბულბული. ვინ  
წაიკითხავს? (ხელს წევენ, გამოიძახებს ერთს).

აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,  
ილხინე, ივერთ მხარეო,  
და შენც, ქართველო, სწავლითა  
სამშობლო გაახარეო!

— აბა, კიდევ წაეიკითხოთ ეს! (გამოიძახებს სხვას).

აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,  
ილხინე, ივერთ მხარეო,

— შეჩერდი! ვის ეუბნება ბულბული აყვავდიო, ილხინეო?

— ივერთ მხარეს ეუბნება.

— ივერთ მხარე ანუ ივერიელების მხარე ჩვენი ქვეყანაა. საქართვე-  
ლოს ივერიასაც უწოდებდნენ.

— როგორი ქვეყანა არის ივერთ მხარე ანუ საქართველო?

— ტურფა, ლამაზი.

— განვაგრძოთ კითხვა! განაგრძე შენ!

და შენც, ქართველო, სწავლითა  
სამშობლო გაახარეო.

— სამშობლო რით გაახარეო?

— სამშობლო სწავლით გაახარეო.

— როგორ უნდა ისწავლო, რომ მშობლები და სამშობლო გაა-  
ხარო?

— კარგად, წარჩინებულად, ხუთებზე!

— სწორია! აი, რა უნდა ძია სტალინს! ძია სტალინს უნდა,



რომ თქვენ ყველამ კარგად ისწავლოთ. მოწაფეობის დროს ძია სტალინი წარჩინებულად სწავლობდა და სხვებსაც ურჩევდა კარგად ისწავლე და ქვეყანა გაახარეო.. (პაუზა). დიდი სტალინის საყვარელმა მოწაფემ ლავრენტი ბერიამ თქვა: მოსწავლეთა გმირობა და მამაცობა ფრიადზე სწავლაო! (პაუზა). აბა, ერთხელ კარგად წაეკითხოთ თავიდან ბოლომდე! (გამოიძახებს ერთ საუკეთესოთაგანს და წააკითხებს ლექსს თავიდან ბოლომდე; ამის გარდა ორ მოწაფეს, ერთს საშუალოთაგანს და ერთსაც შედარებით სუსტს, კიდევ წააკითხებს ლექსს თავიდან ბოლომდე და შემდეგ იტყვის): — აბა, ახლა ერთმა წაიკითხოს ბულბულის სიტყვები, მეორემ — დანარჩენი (გამოიძახებს ორს და როლებად წააკითხებს ლექსს).

— (III კლასს) დაამთავრეთ მუშაობა!

— (I კლასს) მოისმინეთ საშინაო დავალება:

ა) დაისწავლეთ ლექსი „დილა“ ზეპირად,

ბ) წიგნიდან გადმოხატეთ ბულბული!

მასწავლებელი პირველკლასელებს საკლასო რვეულებს გადასცემს და მოაგონებს, თუ რა რიგ მონდომებულად, სუფთად, ლამაზად და უშეცდომოდ უნდა გაასწორონ წინა ნაწერში დაშვებული კალიგრაფიული და ორთოგრაფიული შეცდომები. მასწავლებლის ხელით რვეულებში ჩაწერილია სათანადო ნიმუშები. მოსწავლეებმა ჯერ უნდა გაასწორონ შეცდომები, შემდეგ დაწერონ იმ დღის რიცხვი და შეუდგენ წიგნიდან ახლად შესწავლილი ლექსის უკანასკნელი ოთხი სტრიქონის უშეცდომოდ გადაწერას საკლასო რვეულებში სუფთად და ლამაზად.

პირველკლასელები მუშაობას შეუდგებიან, მესამეკლასელებისაგან კი მასწავლებელი რვეულებს ჩაიბარებს, რის შემდეგ შეუდგება III კლასთან უშუალოდ მეცადინეობას: ჯერ სახელდებული რიცხვების დაშლისა და გარდაქცევის განმეორებას, ხოლო შემდეგ შედგენილი სახელდებული რიცხვების შეკრების წესის შესწავლას.

— (III კლასს) როგორ რიცხვს ეწოდება სახელდებული რიცხვი?

— რიცხვს, რომელსაც საზომი ერთეული ახლავს, სახელდებული რიცხვი ეწოდება.

— დაასახელეთ მაგალითები!

— 5 რვეული, 17 კალამი, 10 მეტრი, 3 ვაშლი...

— სწორია! განყენებული რიცხვი რაღაა?

— განყენებულია რიცხვი, თუ მას არ ახლავს საზომი ერთეულის სახელწოდება.

— მაგალითები?

— 5, 17, 10, 3.

— დაასახელეთ მარტივი სახელდებული რიცხვები!

— 17 ტონა, 19 ჩიტი, 20 მერხი, 4 სურათი... (მარტივი სახელდებული რიცხვი შედგება ერთი სახელწოდების ზომისაგან).

— შედგენილი სახელდებული რიცხვები?

— შედგენილი სახელდებული რიცხვი შედგება სხვადასხვა სახელწოდების საზომი ერთეულებისაგან, მაგალითად: 2 ტონა და 4 კილოგრამი; 1 კილომეტრი და 100 მეტრი; 2 საათი და 30 წუთი..

— დაშალეთ კილოგრამებად 3 ტონა, 2 ცენტნერი და 47 კილოგრამი.

—  $3 \text{ ტ} - 3000 \text{ კგ}; 2 \text{ ც} - 200 \text{ კგ}; 3000 \text{ კგ} + 200 \text{ კგ} + 47 \text{ კგ} = 3 \text{ 247 კგ.}$

— დაშალეთ საათებად 10 დღე-ღამე და 15 საათი.

—  $24 \text{ სთ} \times 10 \text{ (დღ)} + 15 \text{ სთ} = 255 \text{ სთ}$

— გადააქციეთ კილომეტრებად 7 000 მეტრი!

—  $7000 \text{ მ} : 1000 \text{ მ} = 7 \text{ (კმ)}$

— გადააქციეთ მანეთებად 15 200 კაპიკი!

—  $15200 \text{ კაპ} : 100 \text{ კაპ} = 152 \text{ (მან.)}$ .

მასწავლებელი ხანგრძლივად ავარჯიშებს მესამეკლასელებს სახელდებული რიცხვის დაშლასა და გარდაქცევაში; დროგამოშვებით მოსაფიქრებლად დაუტოვებს კლასს ამა თუ იმ საკითხს და თვითონ რამდენიმე წუთით მიხედავს, დაეხმარება I კლასს, რომელიც ამ დროს წერს შემდეგ მასწავლებელი ისევ მიუბრუნდება III კლასს, რომელსაც აუხსნის შედგენილი სახელდებული რიცხვების შეკრებას.

— (III კლასს) ყურადღება! ამოვხსნათ ამოცანა:

ოთხი წლის ბავშვმა ღამე 9 საათი და 40 წუთი იძინა, დღე — 1 საათი და 50 წუთი. რამდენი საათი უძინია ბავშვს დღე-ღამეში? (გაამეორებინებს).

— როგორ უნდა გავიგოთ, რამდენი საათი უძინია ბავშვს დღე-ღამეში?

— მოცემული სახელდებული რიცხვები უნდა შევკრიბოთ.

— დაწერე დაფაზე! (გამოიძახებს ერთ-ერთს და უკარნახებს: 9 საათი და 40 წუთი. ამას უნდა მივუმატოთ 1 საათი და 50 წუთი).

— წუთები დაწერე წუთების ქვეშ, საათები — საათების ქვეშ.

$$\begin{array}{r} + 9 \text{ სთ } 40 \text{ წუთი} \\ + 1 \text{ სთ } 50 \text{ წუთი} \\ \hline \end{array}$$

შეკრებას ვიწყებთ წუთებიდან: 40 წუთი და 50 წუთი არის 90 წუთი ეს იძლევა 1 საათსა და 30 წუთს. წუთებს ვწერთ წუთების ქვეშ, საათებს კი მივუმატებთ საათებს. ამრიგად, მივიღებთ:

$$\begin{array}{r} + 9 \text{ სთ } 40 \text{ წუთი} \\ + 1 \text{ სთ } 50 \text{ წუთი} \\ \hline 11 \text{ სთ } 30 \text{ წუთი} \end{array}$$

ერთ-ერთი მოსწავლე დაფაზე, ხოლო დანარჩენები რვეულებში ხსნიან კრებულის 116- გვერდზე მოცემულ მაგალითებს:

+ 8 მან. 25 კაპ.  
3 მან. 30 კაპ.

+ 5 მან. 32 კაპ.  
4 მან. 28 კაპ.

+ 7 მან. 40 კაპ.  
2 მან. 24 კაპ.

საშინაო დავალები: კრებული, გვ. 116—117, მაგალითებო № № 1266, 1267.

მოკლე კონსპექტი ორ კლასთან ერთდროულად ძირითად ენას (I კლასი) და რუსულ ენაში (III კლასი) ჩასაბარებელი გაკვეთილები

მასალები

I კლასისათვის  
(ქართული ენა)

ბირიკაცი და ნაშენი<sup>1</sup>

(დედა ენა, პირველი ნაწილი, 1951 წ., გვ. 158).

III კლასისათვის  
(რუსული ენა)

СТАРИК И ЯБЛОНЬ<sup>1</sup>

(Русское слово, учебное руководство по русскому языку для русских школ, 1951 г., стр. 197).

მიზნები

1. გგოსტური მიდრეკილების დაგმობა და მომავლისათვის ზრუნვის მაღალი გრძნობის აღჭურვა;
2. ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით ბავშვების ლექსიკონის გამდიდრება;

1. Закрепление в памяти знакомых слов и оборотов речи;
2. Объяснение новых слов: „сажал“, „яблоня“, „ему“, „долго ждать“.

<sup>1</sup> ესარგებლობთ შემთხვევით და აღენიშნავთ, რომ ზოგ მეთოდისტს შესაძლებლად მიიჩნია, რომ გაკვეთილის ამა თუ იმ მომენტში ერთსა და იმავე მასალაზე ერთობლივი მუშაობისათვის გაერთიანდნენ დაწვეილებული კლასები, ხოლო ჩამდენიმე წუთის შემდეგ, როცა საერთო საშუალო დამთავრდება, ისევ გაითიშონ ეს მეზობელი კლასები და თითოეულ მათგანს თავისი საქმე მიეჩინოს (იხ. Начальная школа, Настольная книга учителя, 1950 г., გვ. 142).

ჩვენ ეს რჩევა მართებულად არ მიგვაჩნია, არა მარტო ხელოვნურად შექმნილ და შემთხვევითს, ყურით მოთრეულ მასალებზე, არამედ მასალათა თუნდაც ასეთი ბუნებრივი დამთხვევის დროსაც, როგორც ამ შემთხვევაშია: I კლასში ისწავლება „ბერიკაცი და ნაშენი“ ქართულად, III კლასში—იგივე მოთხრობა რუსულ ენაზე.

საქმე ის არის, რომ ორი კლასის ერთდროულად მუშაობის შესაძლებლობას, სხვათა შორის, ის გარემოებაც იძლევა, რომ გაკვეთილის კარგი ორგანიზაციისა და მოსწავლეთა ხანგრძლივი ვარჯიშობის შედეგად თანდათან სუსტდება ერთი კლასის გულისყური ჩმისადმი, თუ რა ხდება მეზობელ კლასში. ბოლოს კი თითქმის სულ უგრძნობი ხდება და არ ახდენს რეაგირებას. ერთდროულად მომეშვევ ორი კლასი ისე ადვილად ეჩვევა შექმილ პირობებში მუშაობას, კლასებს შუა მათდა შეუმჩნევლად ისე აღიზარებდა „უხილავი კედელი“ (რომელიც დროთა ვითარებაში თანდათან სქელდება), რომ თითოეული კლასი სულ უფრო და უფრო ღრმად სწვდება თავის პირდაპირ საქმესა და სათანადოდ ეჯავებება ბოლმე საკუთარ საშუაოს... ამ ძვირფასი მიღწევის წაშლა-აშორება იმის გამო, რომ ხანდახან ორივე კლასისათვის წუთიერი საერთო საშუალო გამოჩნდება, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი არ არის: მეტი ფუტკლება, ვიდრე კეთდება.

|                       |   |  |
|-----------------------|---|--|
| ბაკვეთილის I ნახევარი | <p>დამოუკიდებლად<br/>წერა</p>   | <p>მასწავლებელთან</p>  |
|                       | <ol style="list-style-type: none"> <li>1. წინა ნაწერში დაშვებული შეცდომების გასწორება;</li> <li>2. წინა დღის გაკვეთილის (ლექია „მეცხვარე“) წიგნიდან გადმოწერა საკლასო რეველში.</li> </ol> | <ol style="list-style-type: none"> <li>1. Выспрашивание старого урока;</li> <li>2. Предварительное сообщение, рассмотрение картин к рассказу с вводом новых слов;</li> <li>3. Образцовое чтение (учителем) рассказа „Старик и яблони“;</li> <li>4. Чтение учеником этого же рассказа про себя;</li> <li>5. Громкое чтение рассказа учащимися по частям с дополнительным объяснением новых слов, выражений, смысла отдельных предложений;</li> <li>6. Пельное чтение рассказа;</li> <li>7. Вопросы к содержанию рассказа и ответы учащихся;</li> <li>8. Пересказ по вопросам учителя;</li> <li>9. Чтение в лицах;</li> <li>10. Задание на дом.</li> </ol> |

|                        |   |   |
|------------------------|---|---|
| ბაკვეთილის II ნახევარი | <p>მასწავლებელთან</p>   | <p>დამოუკიდებლად<br/>წერა</p>   |
|                        | <ol style="list-style-type: none"> <li>1. წინასწარი საუბარი;</li> <li>2. „ბერიკაცი და ნამყენის“ წაკითხვა მასწავლებლის მიერ;</li> <li>3. „ბერიკაცი და ნამყენის“ ნაწილებად წაკითხვა მოსწავლეების მიერ და თითოეული ნაწილის ახსნა-განმარტება;</li> <li>4. ჩუმი კითხვა;</li> <li>5. კატეხიზაცია;</li> <li>6. თბრობა;</li> <li>7. ინსცენირება;</li> <li>8. საშინაო დავალება.</li> </ol> | <ol style="list-style-type: none"> <li>1. Исправление ошибок;</li> <li>2. Ответы на вопросы.</li> </ol> |

მსვლელობა

— (III კლასს) Достаньте книги, повторите урок, сейчас спросу! (წიგნებს ამოიღებენ და „Весна в деревне“-ს კითხულობენ).

— (I კლასს) წერისათვის მოემზადეთ! მერხებზე აწყობენ სამეღწეებსა და საწერ-კალამს. მასწავლებელი პირველკლასელებს ურიგებს საკლასო რეველებს. მოსწავლეები ათვალეირებენ თავიანთ ნაწერებს: კალიგრაფიულად არასწორად დაწერილი ესა თუ ის ასო მასწავლებელს

ამოუწერია ბავშვების რვეულის თავისუფალი სტრიქონების დასაწყისში; მოსწავლეებმა იციან, რომ ასეთ შემთხვევაში მთელ სტრიქონზე უნდა წერონ ის ასო სუფთად, ლამაზად, სწორად; და თუ ორი ასოა ერთ სტრიქონზე ამოწერილი—ერთის ტრიქონის დასაწყისში და მეორე შუა სტრიქონზე, —ამ შემთხვევაში მოსწავლეებმა ნახევარ-ნახევარ სტრიქონზე უნდა წერონ მათ მიერ აღრე არასწორად დაწერილი ეს ასოები.

იქნებ სიტყვის დაწერაში დაუშვა მოსწავლემ ორთოგრაფიული შეცდომა: ასო გამოტოვა, შეცვალა, ერთის მაგივრად მეორე ასო დაწერა და სხვ., — ასეთ შემთხვევაში მასწავლებლის მიერ თავისუფალ სტრიქონზე ორთოგრაფიულად და კალიგრაფიულად სწორად დაწერილი ხიტყვა 3—4-ჯერ უნდა დაწეროს მოსწავლემ, (ცხადია, ლამაზად, უშეცდომოდ.

მასწავლებელი შეცდომების გასწორებას დააწყებინებს პირველკლასელებს, ხოლო თვითონ მესამეკლასელებთან გადავა სამეცადინოდ).

—(III კლასს) Расскажите урок (ხელს წევენ, ერთ-ერთს გამოიძახებს და წააკითხებს გაკვეთილს. მოსწავლე კითხულობს ნელა, გარკვევით:)

## ВЕСНА В ДЕРЕВНЕ

Пришла весна. Стало тепло.

Снег на полях растаял.

Колхозники в поле пашут и сеют.

В саду копают землю. Подрезавают, сажают лозы и деревья.

На огороде делают грядки, сеют и сажают овощи. Много работы весной в деревне, но весело кругом.

(გამოძახებულსავე ჰკითხავს):

— Как по русски сказать гадна?

— Растаял.

— ბარავენ?

— Копают.

— სხლავენ?

— Подрезавают.

— ირგვლივ?

— Кругом.

— რგავენ?

— Сажают.

— ვაზი?

— Лоза.

(მასწავლებელი სიტყვებს და ფრაზებს ამბობს ქართულად, ბავშვები უპასუხებენ რუსულად). შემდეგ ბავშვები თვითონ აღგენენ წინადადე-

ბებს, რომლებშიც გამოყენებულია ახალი, ახლად შესწავლილი სიტყვები, მაგალითად: „Мой отец сажает лозу“, „дядя подрезывает дерево“, „вчера я в огороде делал грядки“ და სხვ.

— Теперь какое время года?

— Теперь — весна.

— Что делают весной колхозники?

— Весною колхозники пашут и сеют; сажают лозы и деревья; делают грядки; сеют и сажают овощи. Много работы весной в деревне!

(მასვე მოათხოვნიებს გაკვეთილს თავიდან ბოლომდე, დაუწერს ჟურნალში ნიშანს; შეიძლება გამოიძახოს მეორეც...).

— ბავშვებო, გახსოვთ თუ არა: 1 კლასში თქვენ ისწავლეთ „ბერეკიაცია და ნამყენი“? აბა, მოიგონეთ მისი შინაარსი (მცირე პაუზა. მასწავლებელი გადაეა 1 კლასთან, დახედავს, მითითებებს მისცემს, დაეხმარება. შემდეგ იტყვის: როცა შეცდომების გასწორებას მორჩებით, ამოიღებთ წიგნს და გუშინდელ გაკვეთილს, სახელდობრ: ლექსს „მეცხვარე“-ს სუფთად, ლამაზად, უშეცდომოდ გადაიწერეთ საკლასო რვეულებში) — (III კლასის ბავშვები ხელს წევენ „ბერეკიაცია და ნამყენის“ შინაარსის სათხრობლად). Положите, я вам напомню (მოგაგონებთ) только по русски!

### Старик и яблони

Старик сажал яблони.

Ему сказали:

— Зачем тебе эти яблони? Долго ждать от них яблочек.

Старик сказал:

— Я не съем, другие съедят, мне спасибо скажут.

(მცირე პაუზის შემდეგ დაავალებს, დაათვალიერონ მოთხრობის დასურათება; მოთხრობა წაიკითხონ ჩუქად, თვალით; თვითონ გადაეა პირველკლასელებთან და ეხმარება; შემდეგ ისევ მოუბრუნდება II კლასს).

— Будем читать вслух! (ხელს წევენ, გამოძახებული კითხულობს:)

### Старик и яблони

— Ударение не правильно поставил! Кто поправит? Правь, Натела!

— Старик!

— Повтори!

— Старик! — იმეორებს ის, ვინც შეცდომა დაუშვა..

— Повтори заглавие и читай дальше!

## Старик и яблоня

— Старик сажал яблоню.

— Садись!.. Что сажал старик?

— Сажал яблоню.

— Правильно! Сажал—რგავდა, яблоня—ვაშლის ხე. Сажал яблоню—რგავდა ვაშლის ხეს. Продолжаем! Кто прочтет дальше? Ну, Нодари!

— Ему сказали: зачем тебе эти яблоня? Долго ждать от них яблочек. Ты не съешь с них яблочек.

— Садись!.. Кому сказали?

— Ему.

— Ему (მას). Что сказали ему, старику?

— Долго надо ждать яблочек (დიდი ხნის ცდა უნდაო).

— Молодец! Старику сказали не скоро будут яблочки, ты не съешь с них яблочек!..

— Повтори! (გამეორებინებს ერთს, ორს). Почему так сказал мальчик?

— Это старик. Он старый!

— Прочтем дальше!.. Что ответил старик? (გამოძიებებს ერთ-ერთს, ის კითხულობს).

— Старик сказал: я не съем, другие съедят,—мне спасибо скажут.

— Переведите по грузински!

— მოხუცმა თქვა: მე თუ ვერ შევჭამ, სხვები შეჭამენ და მადლობას მეტყვიანო!

— Правильно! Повторите это по-русски!

— Старик сказал: Я не съем, другие съедят,—мне спасибо скажут.

— Хорошо! Прочтите еще раз про себя! Скоро будем читать в лицах (კითხულობენ. მასწავლებელი პირველკლასელებს მიხედავს. შემდეგ მოუბრუნდება მესამეკლასელებს, ერთ-ერთს წაკითხვას მოთხოვრებას თავიდან ბოლომდე; კლასს დაუსვამს სამ კითხვას: **Что сажал старик? Что сказали старику? Что ответил старик?** ერთ-ერთს ათქმევინებს მოთხოვრების შინაარსს, სამ მოწაფეს პირებში წაკითხვას ამ მოთხოვრებას და ბოლოს მისცემს კლასს საშინაო დავალებას: კარგად წაკითხვით, კარგად თბრობით მოამზადონ ეს მოთხოვრება, კარგად დაიასოონ სიტყვების ახსნა. შემდეგ მესამეკლასელებს მისცემს წინადადებას — მოემზადონ წერისათვის, ხოლო პირველკლასელებისაგან ჩაიბარებს რეგულებს. მცირე პაუზის შემდეგ შეაბრუნებს მესამეკლასე-

ლების დაფას, რომელზედაც წარმოდგენილია გაკვეთილის მეორე ნახევარში მესამეკლასელების მიერ შესასრულებელი შემდეგი სახის წერიითი სამუშაო:

### Что делают колхозники весной?

Колхозники в поле . . . . . В саду они

На огороде колхозники . . . . .

(Для справок: сажают лозы и деревья, сажают овощи, пахут и сеют).

(მოსწავლეებმა იციან, რომ ზევით მოცემული სათაურით: Что делают колхозники весной? უნდა დაწერონ ის, რაც ადრე ისწავლეს ამ საკითხზე. წინადადებათა დასაწყისი, მაგალითად: КОЛХОЗНИКИ В ПОЛЕ..., რვეულში გადასაწერად არის მოცემული, ხოლო მისი გაგრძელება—შეესებნისათვის საჭირო ცნობები ამოსარჩევად და თავის ადგილას დასაწერად ფრჩხილებშია მოქცეული, მაგალითად: пахут и сеют).

შეცდომების გულდასმით გასწორების შემდეგ მესამეკლასელები რიცხვსა და თვეს დაწერენ და მერე ზემონაჩვენები წერიითი სამუშაოს შესრულებას შეუდგებიან, ხოლო მასწავლებელი, ახლად შესწავლილი მოთხრობის—„ბერიკაცი და ნამყენი“—შინაარსით დაინტერესებისა და იქიდან სათანადო დასკვნის გამოტანის მიზნით, ჯერ 3-5-წუთიან წინასწარ საუბარს გაუმართავს პირველკლასელებს, შემდეგ კი ნელა და გარკვევით წაიკითხავს:

### ბერიკაცი და ნამყენი

ერთი ღრმად მოხუცებული ბერიკაცი ბაღში მსხალს ამყნობდა. მივიდა ერთი ყმაწვილი და უთხრა: „პაპა, რას ეწვალები, შენ ხომ მაგის ნაყოფს ველარ მოესწრებიო?“

„გიცი, რომ ველარ მოვესწრები, მაგრამ სხვანი მოესწრებიან, გაიხარებენ, მომიგონებენ და მადლობას შემომმითვლიანო. ფუტკარიც კი არ შრომობს მარტო თავისთვის და ადამიანმა როგორ არ უნდა იზრუნოს სხვებისათვისო“.

მცირე პაუზის შემდეგ ეტყვის, ჩუმაღ წაიკითხონ ეს მოთხრობა და დასურათებაც დაათვალიერონ; თვითონ კი მიხედავს მესამეკლასელებს, სათანადო მათითებებს მისცემს, დაეხმარება შეცდომების გასწორებაში, წერიითი სამუშაოს შესრულებაში; შემდეგ დაუბრუნდება პირველკლასელებს, ნაწილ-ნაწილ წააკითხვებს მოთხრობას „ბერიკაცი და ნამყენი“, გზადაგზა აუხსნის გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს; შემდეგ ამ მოთხრობას მთლიანად წააკითხვებს ერთს, ორს, კლასს კი



დაუსვამს ფრონტალურ კითხვებს: ვინ ამყნობდა ბალში მსხალს? ვინ შივიდა მოხუცთან? რა უთხრა მოხუცს ყმაწვილმა? რა უპასუხა ღრმად მოხუცებულმა კაცმა ახალგაზრდას? რა მაგალითი დაუსახელა მოხუცმა ბიქს—და თითოეულ კითხვაზე სრული პასუხის მიღების შემდეგ ერთ-ერთს მოათხრობინებს შინაარსს; სამ მოწაფეს წააკითხებს მოთხრობას: ერთს ავტორის სიტყვებს, მეორეს—ყმაწვილისას, მესამეს—მოხუცის სიტყვებს. შიგადაშიგ გამონახავს ორიოდე წუთს და მიხედავს მესამეკლასელებს. გაკვეთილის დასასრულს 1 კლასს მისცემს საშინაო დავალებას, ხოლო III კლასიდან ჩაიბარებს საკლასო რვეულებს.

**მოსკოლი კონსპექტი II და IV კლასებში ერთდროულად ჩახატარამილი ძარათული მენის გაკვეთილები**

**შახალები**

**II კლასისათვის (ქართული ენა)**

ერთობის ძალა, იგავი სულხან-საბა ორბელიანისა.  
(დედა ენა, მეორე ნაწილი, 1951 წ., გვ. 72).

**IV კლასისათვის (ქართული ენა)**  
ვლადიკავკავში, ლექსი ირაკლი აბაშიძისა.

(ქართული ენა, IV კლასის სახელმძღვანელო, 1951 წ., გვ. 155)

**მიზნები**

**II კლასი**

1. კონკრეტული მაგალითით ბავშვების დარწმუნება იმაში, რომ ძალა ერთობაშიაა
2. კითხვის ტექნიკის გაუმჯობესება.

**IV კლასი**

1. მტრისადმი სიძულვილისა და პატრიოტული გრძნობის გაღვივება;
2. ახალი სიტყვებით და ფიგურალური გამოთქმებით მოსწავლეთა ლექსიკონის გამდიდრება.

**ვეგმები**

**II კლასისათვის**

**დამოუკიდებლად**

**წერა**

- ა) წინა წერაში დაშვებული შეცდომების გასწორება;
- ბ) წინა დღის გაკვეთილის (მხიარული ხამთარი ლექსი ი. გრიშაშვილისა) წიგნიდან რვეულში გადაწერა.

**IV კლასისათვის**

**მასწავლებელთან**

1. საშინაო დავალების შესრულების შემოწმება;
2. წინასწარი საუბარი;
3. ლექსის („ვლადიკავკავში“) სანიმუშოდ წაკითხვა მასწავლებლის მიერ;
4. მოაწველების ხიერ ლექსის ჩუმო კითხვა;
5. საკონტრალო კითხვები;
6. ლექსის ნაწილებად წაკითხვა მოსწავლეების მიერ, გაუჩვებარ სიტყვათა და გამოთქმათა გხადაგხა ახსნა-განმარება;
7. ლექსის მთლიანი კითხვა;
8. საშინაო დავალება.

საქართველოს სახელმწიფო განათლების მინისტრის ბრძანებით

**მასწავლებელთან**

1. წინასწარი საუბარი;
2. მოთხოვნის სანიშნოდ წაკითხვა მასწავლებლის მიერ;
3. მოთხოვნის ნაწილ-ნაწილ წაკითხვა მოსწავლეების მიერ, გაუგებარი სიტყვებისა და ადგილების გზადაგზა ახსნა;
4. ჩუმი კითხვა;
5. კატეხიზაცია;
6. შინაარსის თხრობა;
7. დასკვნითი, ანუ განჯახოგადებელი კითხვები;
8. საშინაო დაელება.

**დამოუკიდებლად**

**წერა**

- ა) წინა ნაწერში დაშვებული შეცდომების გასწორება;
- ბ) ახლად ნასწავლი სიუჟეტისანი ლექსის („ვლადიკავკავში“) შინაარსის დაწერა.

**მსვლელობა**

— (II კლასს) მოემზადეთ წერისათვის! ჯერ გულდასმით გაასწორეთ დაშვებული შეცდომები (მასწავლებელი საკლასო რვეულებს გადასცემს შორიგეს დასარიგებლად) შემდეგ სუფთად და უშეცდომოდ გადაიწერეთ წიგნიდან გუშინ ზეპირად ნასწავლი დღევანდელი გაკვეთილი — **ო. გრიშაშვილის ლექსი „მზიარული ზამთარი“.**

— (IV კლასს) აბა, გაკვეთილი! (გამოკითხავს ერთს, ორს... საკლასო ჟურნალში ჩაწერს ნიშნებს. შემდეგ ძალიან მოკლედ უამბობს მოსწავლეებს, თუ რა მძიმე ომი გადაიხდა ჩვენმა დიდმა სამშობლომ, საბჭოთა კავშირმა, ფაშისტების მუხანათური თავდასხმის გამო, რა რიგ ზვიადობდა გათავებდებული მტერი, როგორ ანგრევდა და ცეცხლს უკიდებდა ხალხის სახლ კარსა და დოვლათს, ვიდრე საბჭოთა ხალხმა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით არ დააშარცხა სისხლისმსმელი ჰიტლერი და მთელი მისი საზიზღარი ბრბო; ერყვის იმასაც, რომ, როცა მტერი საქართველოს მოადგა, სტალინმა თავისი მოწაფე ლაიონტი ბერია გამოგზავნა მტრის შესამუსრავად... პოეტმა ირაკლი აბაშიძემ ამ სამამულო ომის ერთ-ერთი მძიმე მომენტი აღწერა. მომისმინეთ, წაგიკითხავთ... კითხულობს ნელა, გარკვევით, გამომეტყველებით:)

**ვლადიკავკავში**

ეს იყო ცხრაას ორმოცდაორი,  
 თოფის გრიალი, ხმლების კაშკაში,  
 შეშფოთებული, დაღონებული,  
 გზაზე შეგჩერდი ვლადიკავკავში.

მტერმა გადაწვა ირგვლივ სოფლები,  
ცეცხლის ენები კავკასს წვდებოდა  
და გამეტებით და გაცოფებით  
საქართველოსკენ მთებს აწვებოდა.

ენახე, რაც მტერმა მთას მოუტანა,  
რა ფათერაკი თბილისს ელოდა;  
ჩვილის კივილი, დედის მუდარა  
თითქოს მესმოდა საქართველოდან.

თითქოს მესმოდა ცეცხლის გუგუნნი  
ქართლის ველიდან ზეცის თალამდი...  
მზე ჩადიოდა, და მე მეგონა,  
რომ საქართველოს ველარ ენახავდი.

სულ ახლო იდგა ხმლების კაშკაში,  
ახლოს იწვოდა ცეცხლის კერია;  
მაშინ უეცრად ვლადიკავკავში  
მე დავინახე გზაზე ბერია.

უცებ ქალაქში ენახე ბერია,  
ქუჩა ნაბიჯით დინჯად გადაქრა...  
მე შემოვხედე ჩვენკენ დარიალს,  
ვთქვი: საქართველო უკვე გადარჩა.

(მცირე პაუზა)

— წაიკითხეთ თქვენთვის, თვალთ, ჩუმაღ!.. (მოსწავლეები თვალთ  
კითხვას შეუდგებიან. მასწავლებელი გადავა II კლასში, დაათვალიერებს  
შეცდომების გასწორებას, სათანადო მითითებებს მისცემს ამა თუ იმ  
მოსწავლეს; თანაც გაუმეორებს, თუ როგორ სუფთად და უშეცდომოდ  
უნდა გადმოიწერონ წიგნიდან „მხიარული ზღაპარი“, დაუთოვებს „და-  
მატებით სამუშაოებს“ იმათ, ვინც სხვებზე ადრე დაამთავრებს წერას,  
და დაუბრუნდება IV კლასს).

— (IV კლასს) ვის განცდებს გადმოგვეცემს პოეტი ამ ლექსით?

— პოეტი გადმოგვეცემს თავის პირად განცდებს, რაც ეხმაურება  
ყოველი პატრიოტის განცდებს.

— რომელი წლის ამბავია აქ აღწერილი?

— აქ არის 1942 წლის ამბავი.

— რა მოხდა 1942 წელს?

— გათავხედებულმა მტერმა გადაწვა ბევრი სოფელი და ქალაქი;  
დაახოცა ბევრი ბავშვი, დედა და კავკასიას მოადგა.

- სად იყო მაშინ ამ ლექსის დამწერი?
- ჩრდილო კავკასიაში, ქალაქ ვლადიკავკავში.
- მერე?

— პოეტი ამბობს; ბერია დავინახე, რომ აქეთ, ჩვენკენ მოდიოდა, გამიხარდა და ვთქვი: საქართველო უკვე გადაარჩაო.

— სწორია! (მცირე პაუზა). აბა, წავიკითხოთ ეს ლექსი ნაწილ-ნაწილ! (გამოიძახებს ერთ-ერთს და წააკითხებს ლექსის სათაურსა და პირველ რვა სტრიქონს; გზადაგზა ახსნის გაუგებარ სიტყვებსა და ადგილებს. შემდეგ გამოიძახებს მეორეს, რომელსაც წააკითხებს შემდეგ რვა სტრიქონს; იქაც ახსნის გაუგებარ სიტყვებსა და ფრაზებს. ბოლოს გამოიძახებს მესამე მოსწავლეს, რომელსაც დაასრულებინებს ლექსის ნაწილებად კითხვას, გაუგებარი სიტყვებისა, ფრაზებისა და სათანადო ადგილების გზადაგზა ახსნა-განმარტებით).

— ახლა წავიკითხოთ თავიდან ბოლომდე! (ხელს წვევენ. გამოიძახებს ერთ-ერთს, რომელიც ლექსს კითხულობს ნელა, გარკვევით, სათანადო ინტონაციით). მოისმინეთ საშინაო დავალება: ირაკლი აბაშიძის ლექსი „ვლადიკავკავში“ დაისწავლეთ ზეპირად, ხოლო ახლა წიგნის დახმარებით (ტექსტის ზოგიერთი სიტყვის გამოყენებით) დაწერეთ ამ ლექსის შინაარსი. ჯერ, ცხადია, შეცდომებს გაასწორებთ! მოემზადეთ წერილ-სათვის!

მასწავლებელი საქლასო რვეულებს გადასცემს მორიგეს დასარიგებლად, ხოლო თვითონ დაფაზე წერს:

ქარქაშში  
თევზზე  
საათთან

— წაიკითხეთ, რა დავწერე დაფაზე?

— ქარქაშში, თევზზე, საათთან.

— რა წესი ვისწავლეთ პირველი სიტყვის (ქარქაშში) მართლწერასთან დაკავშირებით?

— შ ბოლოთანხმოვნიანი სახელი ში თანდებულის დართვისას რჩება თანხმოვნით იწერება.

— მეორე სიტყვის (თევზზე) მართლწერასთან დაკავშირებით?

— ზ ბოლოთანხმოვნიანი სახელი ზე თანდებულის დართვისას რჩება თანხმოვნით იწერება.

— მესამე სიტყვის (საათთან) მართლწერასთან დაკავშირებით?

— თ ბოლოთანხმოვნიანი სახელი თან თანდებულის დართვისას რჩება თანხმოვნით იწერება.

— სწორია! ზოგს კი ეს წესები დავიწყებია და წერის დროს ვერ გამოუყენებია, ამიტომ, ვისაც ასეთი შეცდომები აქვს, მან არა მარტო სამ-სამჯერ ამოიწეროს სწორი სახით ეს სიტყვები (ქარქაშში... თევზზე...)

სათთან...), არამედ მოიფიქროს და დაწერო — კიდევ თითოეულ მგა-  
ლითზე თითო წინადადება, რომელშიაც მსგავსი სიტყვა იქნება.

— ერთ-ორს სიტყვა გადატანის დროს ვერ დაუმარცვლავს მართე-  
ბულად (დამარცვლის წესებს გაიხსენებენ), და სხვ. (მეოთხეკლასელები  
შეცდომების გასწორებას შეუდგებიან, მასწავლებელი კი გადაინაცვლებს  
მე II კლასელებთან).

— (II კლასს). თქვენ გასულ წელს ისწავლეთ მოთხრობა „ძალა  
ერთობაშია“... გახსოვთ თუ არა მისი შინაარსი? აბა მოიგონეთ აღად-  
გინეთ მეხსიერებაში! (პაუზა, გამოძახებული ამბობს:)

— დათვის უნდოდა თაფლი გამოეღო ფულუროდან. დაესივნენ  
ფუტკრები, დაკბინეს, დაამარცხეს ეს ვეებერთელა ცხოველი და თავის  
ბუნაგისაკენ გააძევეს.

— მართალია! ფუტკრები სუსტი არსებანი არიან, მაგრამ ძალა  
ერთობაშია, ყველამ ერთად დათვი დაამარცხა!.. კოლექტივი უძლველია,  
მარტო ერთი კაცი კი, როგორც იტყვიან, „ქამაშიაც ბრალია“, სუსტია!  
დამიგდეთ ყური! (მასწავლებელი კითხულობს:)

## ერთობის ძალა

იყო ერთი კაცი. ჰყავდა ათი ვაგი. როდესაც სიკვდილის დრო  
მოუახლოვდა, დაუძახა შეილებს, მოატანიხა ათი ისარი და მაგრა შეა-  
კვრევინა კონადა. მერე უთხრა — ეს კონა გადატეხეთო.

შეილებმა ვერ გადატეხეს.

შემდეგ დააშლევინა ისრები და სთხოვა სათითაოდ დაემტვრიათ.  
ვაგებმა აღვილად გადატეხეს ისრები.

მაშინ მამამ უთხრა: „წელან ისრების კონა ვერ გადატეხეთ, სათი-  
თაოდ კი აღვილად დაამტვრიეთ. ასე დაგემატებათ ცხოვრებაში. თუ  
მეგობრულად იცხოვრებთ, მტერი ვერაფერს დაგაკლებთ, ცალ-ცალკე კი  
აღვილად გძლევთო“. (მცირე პაუზა).

— აბა, წავიკითხოთ ეს ამბავი ნაწილ-ნაწილ! (მასწავლებელს წი-  
ნასწარ აქვს გააზრებული, თუ რამდენ ნაწილად დაყოს ეს მოთხრობა;  
თითოეულ ნაწილს ცალ-ცალკე წაკითხვებს ამა თუ იმ მოსწავლეს; ჯერ  
პირველად წაკითხულ ნაწილში მოქცეულ გაუგებარ სიტყვებსა და ფრა-  
ზებს ახსნის, განმარტავს; შემდეგ მერე ნაწილის ყველა სიტყვასა და  
წინადადებას გახდის გასაგებად, მერე შემდეგ ნაწილს მოჰფენს სინათლეს.  
და ასე ბოლომდე ჩაატარებს გაუგებარი სიტყვებისა და ადგილების  
ახსნით კითხვას. მოთხრობის ასე დამუშავების შემდეგ დაავალებს კლასს.  
ჩუპად, თვალით წაიკითხოს ტექსტი; თვითონ ჩამოუვლის მეოთხეკლასე-  
ლებს და საჭირო დახმარებას აღმოუჩენს ამა თუ იმ მოსწავლეს, რადგან.  
იცის, რომ ლექსის, თუნდაც სიუჟეტის, შინაარსის დაწერა არც თუ

ისე ადვილი საქმეა, რომ მასწავლებლის დახმარება-მითითება არ დას-  
ჭირდეთ მეოთხეკლასელებს).

— (II კლასს) რამდენი შვილი ჰყავდა ერთ მოხუცს?

— ერთ კაცს ჰყავდა ათი შვილი.

— რა ქნა ათი შვილის მამამ?

— მოატანინა ათი ისარი და მაგრად შეაკერეინა კონაღ.

— მერე?

— დაუძახა შვილებს და უთხრა: ეს კონა გადატეხეთო, მაგრამ ვერ  
გადატეხეს.

— შემდეგ რა ქნა მოხუცმა?

— დააშლევინა ისრები და სთხოვა შვილებს სათითაოდ დაემტვრიათ;  
ვაეებმა ადვილად გადატეხეს ისრები.

— მამამ რა უთხრა შვილებს?

— ხომ ხედავთ, ისრების კონა ვერ გადატეხეთ, სათითაოდ კი  
ადვილად გადატეხეთო. თუ ერთად იქნებით, მტერა ვერ მოგერევთ,  
ცალ-ცალკე კი ადვილად გძლეეთო.

— მოიფიქრეთ! ამ მოთხრობის შინაარსს ერთ-ერთ თქვენგანს  
ვათქმევინებ თავიდან ბოლომდე! (პაუზა. მასწავლებელი ერთი-ორი წუ-  
თით მიხედავს IV კლასს და შემდეგ მიმართავს II კლასს:)

— აბა, ვინ გადმოგვცემს მოთხრობის შინაარსს? ხელს წვეენ.  
მასწავლებელი გამოიძახებს ერთ-ერთს, მოათხრობინებს შინაარსს. მცირე  
პაუზა. შემდეგ კლასს დაუსვამს განმარტავადებელ ანუ დასკვნით კითხვებს:)

— რატომ ვერ გადატეხეს ვაეებმა ისრების კონა?

— იმიტომ, რომ ბევრი ისარი იყო ერთად შეკრული და მავარი  
იყო.

— როდის დაემტვრიეს ვაეებმა ისრები ადვილად?

— როცა კონა დაშალეს და ისრები სათითაოდ ჩაიგდეს ხელში.

— მაშ, ძალა ერთობაშია! ხალხები მაშინ არიან უძლეველნი, როცა  
ისინი შეკავშირებული არიან მტკიცე მეგობრობის გრძნობით. ამის მაგა-  
ლითს წარმოადგენს საბჭოთა. ხალხების სტალინური მეგობრობა (პაუზა).

დაიხსომეთ საშინაო დავალება: 1) რამდენჯერმე წაიკითხეთ შინ  
„ერთობის ძალა“ და მოემზადეთ შინაარსის კარგი თხრობისათვის; 2) წე-  
რილობით შეასრულეთ შემდეგი სამუშაო: დამარცვლეთ და გადაიტანეთ  
ამ მოთხრობის მესამე აბზაცის სიტყვები: „შემდეგ დააშლევინა ისრები  
და სთხოვა სათითაოდ დაემტვრიათ. ვაეებმა ადვილად გადატეხეს ის-  
რები“. (დავალებას გაამეორებინებს ერთ მოსწავლეს, IV კლასიდან  
ჩაიბარებს რვეულებს).

მოკლემ კონსპექტი ორ კლასთან ერთდროულად ჩუხულ მანაა (II კლასი) და ძაბთულ მნაში (IV კლასი) ჩასხატარმებლი გაკვეთრმებისა

მასალები

II კლასისათვის  
(რუსული ენა)

ДЕТСКИЕ ОЧКИ

(Русское слово, учебное руководство по русскому языку для грувнских школ (для II и III классов), (стр. 70).

IV კლასისათვის  
(ქართული ენა)

საგოგლო ბელადისა  
ლექსი ა. მირცხულავასი

(ქართული ენა, IV კლასის საბელად-მძღვანელო, 1951 წ., გვ. 309).

მიზნები

1. Улучшение механизма чтения;
2. Закрепление в памяти знакомых слов в оборотах речи;
3. Объяснение новых слов и оборотов речи: „надеж на нос“, „купи и мис“, „я куплю тебе“, „азбука“.

1. ბეშეებში პატრიოტული გრძობის გაღვივება;
2. ახალი სიტყვებითა და ფიგურალური გამოთქმებით მოსწავლეთა ლექსიკონის გამდიდრება;
3. ვარჯიშობა: ა) გრამატიკული და პუნქტუაციური ზოჯიერთი წესის განმტკიცებისათვის; ბ) კარგი კითხვის ჩვევის გამომუშავებისათვის; გ) წერის კულტურის ამაღლებისათვის.

ვეგებები

დამოუკიდებლად

1. Чтение;
2. Письмо.

მასწავლებელთან

1. წინასწარი საუბარი;
2. ლექსის „სამშობლო ბელადისა“ სამაგალითო წაკითხვა მასწავლებლის მიერ;
3. ჩუმი კითხვა ამავე ლექსისა ღოსწავლეების მიერ;
4. მოსწავლეების მიერ ლექსის ნაწილ-ნაწილ ხმანდლა კითხვა; გხადავხა ლექსის თითოეული ნაწილის ახსნა-განმარტება;
5. მოსწავლეების მიერ ლექსის მთლიანი კითხვა ჯერ ჩუმიად, თვალთ, შემდეგ— ხმანდლა;
6. გრამატიკული ვარჯიშობა;
7. საშინაო დავალება.

გაკვეთილის მანაეგარი

1. Выспрашивание старого урока (Школа Шиночки);
2. Предварительная беседа;
3. Образцовое чтение (учителем) рассказа „Детские очки“;
4. Чтение учениками этого же рассказа про себя с рассмотрением картин и рассказу;
5. Чтение рассказа по частям, логический разбор отдельных частей;
6. Цельное чтение рассказа;
7. Вопросы к содержанию рассказа и ответы учащихся;
8. Пересказ;
9. Чтение в лицах;
10. Домашнее задание.

წერა:

ა) უკანასკნელად შესრულებულ წერით ნამუშევრებში დაშვებული შეცდომების გასწორება;

ბ) გოთრგის სააკადმის თავგადასავალი.

### მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა

(მასწავლებელი გადასცენს II კლასის მორიგეს რუსული ენის საკლასო რვეულებს ანხანაგებისთვის დასარიგებლად და წერისათვის მოსამზადებლად; მეოთხეკლასელებს კი მისცემს წინადადებას — ამოიღონ წიგნები და ერთხელ კიდევ წაიკითხონ გაკვეთილი „ნოსტეს კოლმეურნეობაში“ შინაარსის კარგად გადმოცემის მიზნით; თვითონ II კლასის დაფაზე წერს: школа. მეოთხეკლასელები წინა დღის გაკვეთილს იმეორებენ, მეორეკლასელები საწერად მოემზადებიან).

— (II კლასს) Старательно (მონდომებულად) исправьте ошибки! (მეორეკლასელები ათვალეირებენ მასწავლებლის მიერ გასწორებულ თავიანთ შეცდომებს: ზოგს ესა თუ ის ასო დაუწერია ულამაზოდ და არასწორად; მასწავლებელს ის ასო ამოუწერია ერთ-ერთი თავისუფალი სტრიქონის დასაწყისში, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლემ ეს ასო ერთ სტრიქონზე უნდა წეროს მიცემული ნიმუშის მიხედვით; ზოგისათვის ერთ სტრიქონზე ორი ასო დაუწერია მასწავლებელს: ერთი — სტრიქონის დასაწყისში, მეორე — შუაში; მაშასადამე, მოსწავლემ ნახევარ-ნახევარ სტრიქონზე უნდა წეროს თითოეული მათგანი; ზოგისთვის კი სტრიქონის დასაწყისში მთელი სიტყვა დაუწერია მასწავლებელს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეს სიტყვა არასწორად დაუწერია და ახლა იმ სიტყვის 3—4-ჯერ სწორად, სწრაფად და ლამაზად დაწერით უნდა გაასწოროს თავისი შეცდომა).

— (II კლასს) Старательно исправьте ошибки. А потом (შემდეგ კა) спишите с доски слово: школа.



— (IV კლასს) აბა, გაკვეთილი! (გამოიძახებს ერთ-ერთს, გამოკითხავს ძველ გაკვეთილს, შეუმოწმებს წერითი დაეალების შესრულებასაც და დაუწერს ნიშანს ქურნალში; გამოიძახებს მეორესაც... მცირე პაუზის შემდეგ ჩაატარებს 3—5-წუთიან წინასწარ საუბარს, რომლის მიზანი იქნება მოსწავლეებში პატრიოტული გრძნობის გაღვივება, ხოლო შემდეგ ნელა, ხმამაღლა, გამომეტყველებით წაიკითხავს შესასწავლ ლექსს:)

### ხამშობლო ბელადობა

ჩემი ქვეყანა, ეგრე ლამაზი,  
შავი ზღვისპირად აღმართულია,  
თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,  
მისგან ღრუბელიც დაფანტულია,

ხან გაშლილია უგზო-უკვალოდ,  
ხან ვენახებით დახლართულია,  
მთაც ლამაზია, ბარიც — ლამაზი,  
ცა ფიროსმანის დახატულია.

სტალინ, ეგ შენი სამშობლო არი,  
სამაგალითო მხარედ ქცეული,  
გამოგყოლია მშობლის სიდინჯე,  
სიამაყე და სიმზნე მთებური.

დაუშრეტელი ცეცხლის დენა ხარ,  
ლეღვა, მზის შუქით განათებული,  
გაუტეხელი ქვეყნის ნება ხარ,  
ხალხის გენიად დაბადებული!

(მცირე პაუზის შემდეგ მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს ეს ლექსი წაიკითხონ ჩუმად, თვალით. მოსწავლეები კითხულობენ. მასწავლებელი მეოთხეკლასელების დაფაზე წერს:

ფიროსმანი — ნიკო ფიროსმანიშვილი, გამოჩენილი მხატვარი, ლარიბი ხალხის წრიდან გამოსული.

მეორეკლასელების დაფაზე კი წერს: Никоска.

ამის შემდეგ მასწავლებელი ერთი წუთით ჩამოუვლის მეორეკლასელებს, რომლებმაც საერთოდ იციან, რომ ასეთ (წერის) დროს დაფაზე ახალი სიტყვის დაწერა ნიშნავს იმას, რომ ის სიტყვაც უნდა გადაწერონ დაფიდან რვეულში 6-8-ჯერ.

მეოთხეკლასელებმაც იციან, რომ ახსნითი კითხვის დროს ახალ მასალაში შეხვედრილი გაუგებარი სიტყვა, თუ ის და მისი ახსნა დაფაზე დაიწერა, უნდა დაიხსომონ და შემდეგ შეიტანონ თავიანთი ლექსიკონის რვეულში).

— (IV კლასს) აბა, დავიწყეთ კითხვა! (ხელს წვევენ. გამოძახებული კითხულობს ლექსის — „სამშობლო ბელადისა“ პირველ რეა სტრიქონს).

— რომელ ქვეყანაზეა აქ ლაპარაკი?

— ბელადის სამშობლოზე, საქართველოზე, ჩვენს ქვეყანაზე!

— რა არის ნათქვამი საქართველოს შესახებ?

— შავი ზღვის პირასააო გაშლილი, უღრუბლო და შვიანი ქვეყანა არისო!

— როგორ გესმით გამოთქმა: ხან გაშლილია უგზო-უკვალოდ, ხან ვენახებით დახლართულია?..

— ალაგ-ალაგ ისეა გაშლილი, რომ თვალს ვერ გადააწვდენ, ალაგ-ალაგ კი ვენახებით არის დაფარული.

— წაიკითხეთ, დაფაზე რა წერია! (კითხულობენ). რისთვისაა ნახსენები ლექსში ჩვენი ნიჟიერი მხატვარი ფიროსმანიშვილი?

— მთა და ბარი ხომ მშვენიერი და ლამაზია, — ცაც ისეთი ლამაზია და მომხიბვლელი, რომ გამოჩენილი მხატვრის მიერ საგანგებოდ დახატული გეგონებოა.

— სწორია განვადროთ კითხვა! (ხელს წვევენ, გამოძახებული კითხულობს ლექსის დანარჩენ რეა სტრიქონს).

— ვის მიმართავს პოეტი?

— სტალინს.

— რას ეუბნება?

— ეს ლამაზი ქვეყანა შენი სამშობლოა და ის შენს ხელში კიდევ უფრო აყვავდა, სამაგალითო მხარედ გადაიქცაო.

— რას ნიშნავს სიტყვა დაუშრეტელი?

— გამოუღვეელი, ჩაუქრობელი...

— რისთვისაა ეს სიტყვა აქ ნახმარი?

— პოეტი მიმართავს დიდ სტალინს: შენ ხარ ჩაუქრობელი ცეცხლი, დიდი ღელვისა და დიდი აზრის ადამიანი.

— როგორ გესმით გამოთქმა: გაუტეხელი ქვეყნის ნება ხარ?

— დაუმორჩილებელი, შეუდრეკელი, უძლეველი ქვეყნის ნება ხარ, მისი ნება-სურვილის გამომხატველი ხარო.

— როგორ გესმით გამოთქმა: ხალხის გენიად დაბადებული?

— გენია უდიდეს ნიჭს ნიშნავს. ხალხის გენიად დაბადებული ხარ, ე. ი. ხალხის უნიჟიერესი შვილი ხარ, მისი წინამძღოლი, გზის მაჩვენებელი და მასწავლებელიო.

— ვინ არის ხალხის გენიად დაბადებული?

— დიდი სტალინი.

— წავიკითხოთ თავიდან ბოლომდე! (ხელს წვევენ. წააკითხებს ერთ-ერთს). ახლა თქვენთვის წაიკითხეთ ჩუმიად, თვალით! დაუკვირდით ყველა სიტყვას და ფრაზას, როგორ იწერება, სად რა სასვენი ნიშანია. შინ

დაისწავლეთ ზეპირად. ხვალ ამ ლექსს ზეპირად დაგაწერინებთ აქ! (მასწავლებელი მიხედავს მეორეკლასელებს, მათ დათაზე დაწერს: **ИКОПА ИИ-ИОУКН** და ამ ფრაზის სამჯერ დაწერის შემდეგ ეტყვის კლასს რამდენჯერმე და გულდასმით წაიკითხონ გუშინდელი გაკვეთილი, რომელიც ამავე სათაურს ატარებს).

— (IV კლასს) დახურეთ წიგნები! (ხურავენ). მითხარით, როგორ წერია წიგნში სიტყვა უგზო-უკვალოდ?

— დეფისით.

— რატომ?

— უგზო-უკვალოდ რთული სიტყვაა და ერთზე მეტ საგანს აღნიშნავს. რთული სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ერთზე მეტ საგანს, დეფისით (პატარა ხაზით) იწერება.

— სწორია! სხვა სიტყვებით როგორ შეიძლება იგივე წესი გამოვთქვათ?

— რთული სიტყვა, სადაც და კავშირი იგულისხმება, დეფისით უნდა ვწეროთ.

— უგზო-უკვალოდ... ბოლოში დ წერია თუ თ?

— დ

— რატომ?

— უკვალოდ სახელია, ვითარებით ბრუნვაშია. ვითარებითის ნიშანია დ, დ; ამ შემთხვევაში ვითარებითი ბრუნვის ნიშანია დ.

— დამისახელეთ ამ ლექსიდან ვითარებით ბრუნვაში დასწული სხვა სახელები!

— პირად, გვირგვინად, მხნედ, გენიად.

— დამისახელეთ მიმართვა!

— სტალინ,

— რა ნიშანია შემდეგ?

— მძიმე.

— ძახილის ნიშანი თუ არის ამ ლექსში?

— არის.

გაუტეხელი ქვეყნის ნება ხარ,

ხალხის გენიად დაბადებული!

— კმარა!.. მოემზადეთ წერისათვის! (მეოთხეკლასელების საკლასო რეგულებს გადასცემს მორიგეს). შეცდომების გასწორების შემდეგ დაწეროთ აღრე დამუშავებულ თემას: გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ი ს თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ა ლ ი. შეაბრუნეთ დაფა! (შეაბრუნებენ; ზედ წერია: გიორგი სააკაძის თავგადასავლის დაწერისას გამოიყენეთ კითხვები:

რატომ სძულდათ თავადებს გიორგი სააკაძე? სად გადაიხვეწა გიორგი სააკაძე? როგორ ეპყრობოდა შაჰ-აბასი გიორგი სააკაძეს? რა გადაწყვიტა შაჰ-აბასმა? ვინ დაიტოვა მძევლად შაჰმა? როგორ იხსნა გიორგიმ ქართლ-კახეთი? როგორ იძია შური შაჰ-აბასმა გიორგი სააკაძეზე?).

— (II კლასს) Кто прочтет урок? (გაკვეთილს) („Школа Ниночки“ წაკითხვებს ერთ-ორ მოსწავლეს; მათვე მისცემს რამდენიმე კითხვას, ათხრობინებს შინაარსს. გამოძახებულების ცოდნას შეაფასებს და ნიშნებს ჩაწერს ეურნალში). შემდეგ კლასს დაუსვამს რამდენიმე ფრონტალურ კითხვას:

— Ниночка была большая или маленькая девочка?

— Ниночка была маленькая девочка.

— Что она взяла?

— Она взяла книгу и куклы.

— Что говорила Ниночка куклам?

— Это а это б. Смотрите, помните!

— Хорошо. Спрячьте книги! მცირე პაუზის შემდეგ მეორეკლასელების დაფას შეაბრუნებს; დაფაზე წერია:

Надел на нос — ცხვირზე გაიკეთა.

Купи мне — მიყიდე (მეც მიყიდე)

Я куплю тебе — გიყიდი (მე შენ გიყიდი)

Детские — საბავშვო.

Азбука — აზბანი.

— (II კლასს) Внимание! (მასწავლებელი ნელა და გარკვევით კითხულობს იმას, რაც დაფაზე წერია; შემდეგ ეტყვის კლასს:)

— Прочтите про себя, что на доске написано!

(მოსწავლეები ჩუმად კითხულობენ უცნობ სიტყვებსა და მათ ახსნას; მასწავლებელი მეოთხეკლასელებს ჩამოუვლის, სათანადო შენიშვნებს აძლევს, ეხმარება; მალე დაუბრუნდება II კლასს:)

— Ну!. Кто прочтет? Коля, прочти первую строчку!

— Надел на нос — ცხვირზე გაიკეთა.

— Покажи нос! (მოსწავლე თითოთ აჩვენებს ცხვირს).

Коте, шапку надень на голову! (კოტე გაიგებს ნათქვამს და ქუდს დაიხურავს თავზე; თუ ვერ გაიგო, მასწავლებელი გააგებინებს. ასე ებაძება მასწავლებელი ბავშვებს ახალი სიტყვების შინაარსის გაგებინებისათვის; მერე ააყენებს ორ მოსწავლეს: ერთს წაკითხვებს რუსულ სიტყვებს, მეორეს — ახსნას. მაგალითად, ერთი კითხულობს:

Надел на нос, მეორე უპასუხებს: ცხვირზე გაიკეთა; პირიქითაც ავარჯიშებს: ერთი იტყვის ქართულად, მეორე გადათარგმნის რუსულად. ერთხანს ასეთი ვარჯიშობის შემდეგ, მასწავლებელი ეტყვის ბავშვებს: ჩვენ ახლა ვისწავლით მოთხრობას, რომელშიაც ყველა ეს ახალი სიტყვა შეგვხვდება, და შეეცადეთ შინაარსი სწორად გაიგოთ. მასწავლებელი კითხულობს ნელა, გარკვევით, ხმამაღლა:)

## Детские очки

Отец надел на нос очки и читал книгу. Маленький сын увидал это и сказал: „Купи и мне очки, я тоже хочу книгу читать“. Отец ответил: „Я куплю тебе детские очки“. И купил сыну азбуку. (მცირე პაუზა).

— Достаньте книги. Прочтите про себя! (ბავშვები წიგნებს ამოიღებენ, სურათს ათვალეიერებენ, მოთხრობას კითხულობენ; მასწავლებელი მეოთხეკლასელებს ეხმარება, მითითებებს აძლევს. წერის დროს სწორად ჯდომისაკენ მოუწოდებს...).

— Ну-ка, будем читать вслух! Кто прочтет? Этери, читай!

— Детские очки.

— Довольно! (შეაჩერებს ეთერს). Что прочла Этери?

— Этери прочла заглавие рассказа.

— Повторите заглавие нового рассказа! Повтори, Како!

— Детские очки.

— Что повторил Како?

— Како повторил заглавие рассказа.

— Этери, читай дальше!

— Отец надел на нос очки и читал книгу.

— Что надел отец на нос?

— Отец надел на нос очки.

— Что он читал?

— Читал книгу.

— Продолжаем!

— Маленький сын увидел это и сказал:

— Довольно, садись, Этери!.. Кто увидел, что отец надел очки?

— Маленький сын увидел, что отец надел очки.

— И что он сказал? Кто прочтет? Читай, Ванო!

(მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სიტყვებს სწორად გამოთქმას, მახვილის სწორად დასმას და სხვ.).

— „Купи и мне очки, я тоже хочу книги читать“.

— Кто повторит, что сказал мальчик? (Садись, Вано!).

— Мне тоже купи очки, буду книгу читать.

— Что думал мальчик? (რა ეგონა ბავშვს?).

— Мальчик думал, что очки читают.

— Что ответил отец сыну? Прочтем дальше!.. Маро!

— Отец ответил: „Я куплю тебе детские очки“.

— Что ответил отец?

— Я куплю тебе детские очки.

— Что купил отец сыну? Продолжай, Маро!

— И купил сыну азбуку.

— Правильно! Детские очки—это азбука (ბავშვების სათვალეები ანბანია). Еще раз прочтите рассказ про себя!

(მასწავლებელი მიხედავს IV კლასს. შემდეგ მოუბრუნდება II კლასს და ერთ-ორ მოსწავლეს წააკითხებს მოთხრობას თავიდან ბოლომდე; შემდეგ მოეწყობა კითხვა-პასუხები. რამდენიმე კითხვის დასმით ათქმევინებს ბავშვებს მოთხრობის შინაარსს; შემდეგ კითხვების დაუსმელადაც შეეცდება მოაყოლოს ბავშვებს მოთხრობის შინაარსი; ბოლოს როლებს გაუნაწილებს და სამ ბავშვს: 1. ავტორი, 2. მამა, 3. შვილი, — პირებში წააკითხებს მოთხრობას. გაკვეთილის დასასრულს II კლასს მისცემს საშინაო დავალებას: ივარჯიშონ სწორ კითხვაში, სათანადო მარცვლებზე ხმის ამალღებაში; დაისწავლონ ახალი გაკვეთილი მოყოლით; დაიხსომონ ახლად შესწავლილი სიტყვების ქართული თარგმანი: ამის შემდეგ მასწავლებელი IV კლასიდან ჩაიბარებს საკლასო რეგულებს).

**მოკლი კონსპექტი ორ კლასთან ერთდროულად ძირითად მნახა (II კლასში) და არითმეტიკაში (IV კლასში) ჩასატარებელი გაკვეთილებისა**

**მასალები**

**II კლასისათვის**  
(ქართული ენა)

სოსოს ბიშრბ, მოთხრობა დ. კასრაძისა.  
(დედა ენა, მეორე ნაწილი, 1951 წ., გვ. 66).

**IV კლასისათვის**  
(არითმეტიკა)

გამრავლების განსაკუთრებულ შემთხვევებში:

ა) როცა გამრავლის შუა ციფრები ნულეებია;

ბ) როცა ერთი ან ორივე თანამზრაველი დაბოლოებულია ნულეებით.

(არითმეტიკული ამოცანებისა და მაგალითების კრებული, IV კლასის სახელმძღვანელო, 1951 წ., გვ. 41).

**მიზნები**

1. სტაბილური ბავშვების ერთ-ერთი შემთხვევის გაცნობა;
2. მოსწავლეთა ლექსიკონის ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით გამდიდრება;
3. ივარჯიშობა ზოგიერთი გრამატიკული და პუნქტუაციური წესის განმტკიცებისათვის.

გამრავლების განსაკუთრებული შემთხვევების გაცნობა (როცა გამრავლის შუა ციფრები ნულია და როცა ერთი ან ორივე თანამზრაველი დაბოლოებულია ნულით). რათა კონკრეტულ შემთხვევებში შეეძლოთ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება.

გაკვეთილის I ნახევარი

დამოუკიდებლად

წერა:

1. წინა ნაწერში დაშვებული შეცდომების გასწორება;
2. წიხა დღის გაკვეთილიდან („ოჯახის სიხარული“) მითითებული ადგილის გადაწერა.

მასწავლებელთან

1. გაცნობა გამრავლების წესისა, როცა მამრავლის შუა ციფრები ნულია;
2. მაგალითების ამოხსნა;
3. გაცნობა გამრავლების წესისა, როცა ერთი ან ორივე თანამამრავლი დაბოლოებულია ნულებით;
4. მაგალითების ამოხსნა.

გაკვეთილის II ნახევარი

მასწავლებელთან

1. წინასწარი საუბარი და „სოსოს გიშერას“ წაკითხვა მასწავლებლის მიერ;
2. „სოსოს გიშერას“ წაკითხვა მოსწავლეების მიერ ჩუმად, თვალით; მოთხრობის დასურათების დათვლიერება და გაუგებარი სიტყვების აღნიშვნა;
3. „სოსოს გიშერას“ ნაწილ-ნაწილ კითხვა და თითოეული ნაწილის ახსნა-განმარტება;
4. „სოსოს გიშერას“ ჩუმი კითხვა, თხრობითი, გრძნობითი და კითხვითი წინადადებების ძებნა;
5. კატეხიზაცია;
6. შინაარსის თხრობა;
7. ინტენობა;
8. მოთხრობის ნაწილებად დაყოფა, თითოეული ნაწილის დასათაურება;
9. საშინაო დავალება.

დამოუკიდებლად

წერა, მაგალითების ამოხსნა

1. ჩაწერა წესისა გამრავლების განსაკუთრებულ შემთხვევებზე;
2. მაგალითების ამოხსნა.

მხვლელობა

— (II კლასს) მოემზადეთ წერისათვის! (მასწავლებელი მორიგეს გადასცემს საკლასო რეგულებს დასარიცხებლად. მეორე კლასის მოსწავლეები საწერად ეზადებიან; მასწავლებელი ნეოთხეკლასელებისათვის დაფაზე წერს:  $254 \times 103$ , ანდა მსგავსს, მაგალითად,  $341 \times 207$ ).

— (IV კლასს) დაუკვირდით დაფაზე დაწერილ მაგალითს. როგორ ამოხსნათ ეს მაგალითი? (უკვირდებიან, ფიქრობენ).

— (II კლასს) დაიწყეთ შეცდომების გასწორება! (მუშაობას შეუდგებიან).

— (IV კლასს) გამრავლების როგორი შემთხვევაა დაფაზე დაწერილი? სად არის აქ ნული?

— მამრავლის შუა ციფრი ნულია!

— სწორია! აბა, თქვით დაფაზე დაწერილის ანალოგიური მაგალითები, ე. ი. ისეთი მაგალითები, როცა მამრავლის შუა ციფრი ნულია.

—  $762 \times 402$ ;  $523 \times 507$ ;  $122 \times 801$  და ასე შემდეგ.

— კმარა! ამოვხსნათ დაფაზე დაწერილი ( $254 \times 103$ ) მაგალითი; ცხადია, სამრაველი ( $254$ ) ჯერ გამრავლდება მამრავლის ერთეულებზე ( $3$ ), შემდეგ... ასეულებზე ( $1$ ), რადგანაც ვხედავთ, რომ ათეულები არ არის ( $0$ ).

რაკი გვეცოდინება, რომ მეორე ნამრავლი არის ასეულები, მას დაწვერთ არა მეორე, არამედ მესამე ადგილზე. ამრიგად, მივიღებთ:

$$\begin{array}{r} \times 254 \\ 103 \\ \hline + 762 \\ 254 \\ \hline 26162 \end{array}$$

— გაიმეორეთ! (ხელს წვევენ, ამოხსნის ამ წესს გაამეორებინებს ერთს, ორს...) აბა, ამოვხსნათ მაგალითები (მაგალითებს აიღებენ წიგნიდან, შეუძლიათ ანალოგიურის შედგენაც). ერთ-ერთი მოსწავლე ამოხსნის დაფაზე, ხოლო დანარჩენები — სამუშაო რვეულებში

ერთი მოსწავლე დაფაზე, ხოლო დანარჩენები რვეულებში ამოხსნიან შემდეგ მაგალითებს:

$$\begin{array}{l} 2126 \times 103 \\ 2524 \times 106 \\ 7045 \times 208 \\ 6202 \times 305 \end{array}$$

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ამოსახსნელად მიცემს მაგალითებს, სახელდობრ, როცა მამრავლის შუა არა მარტო ერთი ნულია, არამედ, ვთქვათ, ორი ნულია:

$$\begin{array}{l} 28621 \times 3008 \\ 31068 \times 4005 \\ 52164 \times 5006 \\ 68375 \times 8006 \end{array}$$

აუხსნის რა მეოთხეკლასელებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევებში, მასწავლებელი გადავა მეორეკლასელებთან; ჯერ დაეხმარება ბავშვებს შეცდომების სათანადოდ გასწორებაში და შემდეგ ერთეულის კლასს, რომ გაკვეთილის ამ ნახეარში წიგნიდან უნდა გადაიწერონ საკლასო რვეულებში გუშინდელი გაკვეთილიდან (დ. კასრაძის მოთხრობა „ოჯახის სიხარული“) შემდეგი ადგილი: „— მომილოცავს, ბესო, მომილოცავს! — ხელები გაშალა და მოჰყვა:



„მე ვარ მახარობელი,  
სახლის გამხარებელი,  
მიქამია ბალია,  
ამიხვიეთ მხარია!“

— რა იყო, სანდალა, რამ გადაგრია ვერე რიგად?

— ბიქიანობაა, ბიქიანობა! ისეთი ბიქი გყავთ, როგორც შეელი!“

— (IV კლასს) კმარა! მაგალითების ამოხსნას შემდეგაც განვაგრძობთ! აბა ვინ იტყვის, გამრავლების რომელ განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე?

— როცა მამრავლის შუა ციფრები ნულებია.

— ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ?

— ისეთ შემთხვევაში, როცა მამრაველში არის ერთეულები და ათასეულები, არ არის ათეულები და ასეულები, სამრავლს პირველად გავამრავლებთ ერთეულებზე, ხოლო შემდეგ — ათასეულებზე. მეორე არასრული ნამრავლის პირველი ციფრი, აშკარაა, მიეწერება ათასეულების ციფრს.

— სწორია! ახლა გავარკვიოთ მეორე შემთხვევა, სახელდობრ, როცა ერთი ან ორივე თანამამრაველი დაბოლოებულია ნულებით. ავიღოთ ასეთი მაგალითი (მასწავლებელი დაფაზე დაწერს):

$$\begin{array}{r} \times 430 \\ 12 \\ \hline 86 \\ 43 \\ \hline 5160 \end{array}$$

12-ჯერ აღებულია 43 ათეული; მიღებულია 516 ათეული, ანუ 5160 ერთეული.

ავიღოთ სათანადო მაგალითი (მასწავლებელი დაფაზე წერს მაგალითს  $154 \times 120$ ), ამ მაგალითს იყვანს და თან მსჯელობს: ამ მაგალითში 154 უნდა გავამრავლოთ 120-ზე. მაგრამ  $120 = 12 \cdot 10$ . მაშასადამე, 154 უნდა გამრავლდეს 12-ზე და შემდეგ მიღებული ნამრავლი კვლავ გავამრავლოთ 10-ზე, ე. ი. მას მიეწერება ერთი ნული. ამგვარად, საბოლოოდ მივიღებთ:

$$\begin{array}{r} \times 154 \\ 120 \\ \hline 308 \\ 154 \\ \hline 18480 \end{array}$$

ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი:  $2300 \times 140$ .

ამ მაგალითში, 23 ასეული უნდა გავამრავლოთ 140-ზე. მაგრამ

140 = 14 · 10. მაშ, 23 გაეამრავლოთ ჯერ 14-ზე, შემდეგ კი მიღებული ნამრავლი კიდევ გაეამრავლოთ 10-ზე. მიღებული რიცხვი იქნება ასეთულები, ე. ი. მას კიდევ მიეწერება 2 ნული. ამგვარად, მივიღებთ:

$$\begin{array}{r} \times 2300 \\ 140 \\ \hline + 92 \\ 23 \\ \hline 322000 \end{array}$$

აქედან ცხადია, რომ: „თუ თანამამრავლები დაბოლოებულია ნულებით, გამრავლებისას ამ ნულებს ყურადღებას არ ვაქცევთ. ერთმანეთზე ვამრავლებთ დარჩენილ რიცხვებს და მიღებულ ნამრავლს ეუწერთ იმდენ ნულს, რამდენითაც დაბოლოებულია თანამამრავლები“ (პაუზა).

— გაიმეორეთ ეს წესი! (გაამეორებინებს ერთს, ორს...) — ერთმა დაფაზე, დანარჩენებმა რვეულებში ამოხსენით სამი ასეთივე მაგალითი, რომლებიც მოცემულია თქვენი სახელმძღვანელოს 42-ე გვერდზე.

(მასწავლებელი ერთ-ერთს გამოიძახებს დაფასთან, დანარჩენები რვეულებში მუშაობენ. მასწავლებელი მიხედავს მეორე კლასს: — ეთერ, შეკრდით ნუ მიწოლილხარ მერხს! შოთა, თავი მალა ასწიე!.. ნათელა, მაგრად ნუ უქერ კალმისტარს თითებს! ნიკო, დაუკვირდი ამ სიტყვას, შეცდომა დაგიშვია: ასო გამოგიტოვებია! ფრჩხილებში ჩასვი ეს სიტყვა და ზევიდან დააწერე უშეცდომოდ!.. და ასე შემდეგ).

— (IV კლასს) ყურადღება! მოუსმინეთ ამხანაგს, რა და როგორ გააკეთა! (დაფასთან გადახებული მოსწავლე გააცნობს ამხანაგებს, თუ როგორ ამოხსნა მან პირველი, მეორე და მესამე მაგალითები. შეცდომებს ასწორებენ; წესსაც ამბობენ (პაუზა). მერე მასწავლებელი დაავალბს შეოთხეკლასელებს ამოხსნან მაგალითები, რომლებიც მოცემულია სახელმძღვანელოს 41, 42 და 43 გვერდზე, შემდეგი ნომრების ქვეშ: 386, 387, 388, 389, 391, 292, 393, 394, 395, 396, 397 და 398.<sup>1</sup> ცხადია, ყველა მაგალითის გაკვეთილზე ამოხსნას ვერ მოასწრებენ, ამიტომ დანარჩენებს შინ ამოხსნიან. შეოთხეკლასელები დავალების შესრულებას შეუდგებიან, მეორეკლასელები კი რვეულებს გადასცემენ მასწავლებელს.

მცირე პაუზის შემდეგ მასწავლებელი II კლასს ჩაუტარებს 4—5-წუთიან საუბარს, რომლის მიზანია წინა გაკვეთილს დაუკავშიროს. ახლად ასახსნელი მასალა და დაინტერესოს ბავშვები პატარა სოსოს თავგადასავლის ერთ-ერთი შემთხვევის გაცნობით, რის შემდეგ მასწავლებელი ნელა, გარკვევით, გამოიმეტყველებით წაუკითხავს ბავშვებს „სოსოს გი-

<sup>1</sup> ამავე საკითხზე მოცემული ამოცანების — №№ 400, 401, 402 და 403 ამოხსნას მასწავლებელი ივარაუდებს მეორე დღის გაკვეთილის პირველი ნახევრისათვის მასწავლებლის დამოუკიდებელი მუშაობის გზით.

შერას“; მცირე პაუზის შემდეგ დაავალებს ბავშვებს დაათვალიერონ ამ მოთხრობის დასურათება და თან ჩუმად, თვალთ წაიკითხონ „სოსოს გიშერა“, გაუგებარი სიტყვები და ადგილები დაინიშნონ.

მეორეკლასელები მოთხრობას კითხულობენ თვალთ, ხოლო მასწავლებელი მიხედავს მეოთხეკლასელებს, საჭირო დახმარებას აღმოუჩენს მათ და შემდეგ ისევ მოუბრუნდება მეორე კლასს).

— (II კლასს) აბა, ვინ წაიკითხავს! (ხელს წვევენ, კარგ მკითხველს გამოიძახებს, გამოიძახებული კითხულობს:)

### „სოსოს გიშერა“

ერთხელ პატარა სოსო ბაღში კაკლის ხის ქვეშ იჯდა. უცებ ლეკვის საცოდავი წყმურტუნი შეესმა. სოსომ ყურები ცქციტა, წამოხტა და სწრაფად მიაგნო ლეკვს. ძალიან გაეხარდა ლეკვის პოვნა“.

— კმარა, დაჯექი! სად იყო პატარა სოსო?

— პატარა სოსო ბაღში იყო.

— ბაღი რა არის?

— ბაღი პატარა ბაღია, სადაც მეტწილად ყვავილებს რგავენ, ზოგჯერ კი ბოსტნეულსაც თესენ.

— სად იჯდა სოსო?

— სოსო კაკლის ხის ქვეშ იჯდა (კაკლის ხეს იმერეთში ნიგეზის ზეს ეძახიან).

— რა იპოვა ბაღში სოსომ?

— სოსომ ბაღში ლეკვი იპოვა?

— რით მიაგნო სოსომ ლეკვს?

— სოსომ ლეკვის წყმურტუნი გაიგონა.

— რა ფერისა იყო ლეკვი?

— შავი.

— საიდან ჩანს, რომ ლეკვი შავი იყო?

— სათაურიდან.

— სწორია! განვაგრძოთ კითხვა! (გამოიძახებს აგრეთვე კარგ მკითხველს).

„— დილილმე! ეს რა კარგი ცუგო ვიპოვე! — თქვა მან და ლეკვი ხალათის უბეში მოითავსა. შინ სიხარულით მიიბრინა და მამას ახარა:

აი, მამილო, შეხედე, რა კარგი ცუგო ვიპოვე... არ გიკბენს. მამას გაეცინა.

სოსომ გიშერა გულზე მიიკრა და გარეთ გავიდა. ამ დღიდან ორივენი განუყრელი მეგობრები იყვნენ“.

— შეჩერდი! დაჯექი! როგორ ხასიათზე იყო პატარა სოსო?

— ძალიან უხაროდა და დილილმეს იძახდა, რა კარგი ცუგო ვიპოვე!

- ვის გაუზიარა თავისი სიხარული სოსომ?
- სოსომ მამასთან მიიარბინა: მამილო, აი რა კარგი ცუგო ვიპოვეო.
- რა უთხრა მამამ სოსოს?
- არაფერი, გაეცინა!..
- როგორ გესმით გამოთქმა: „ორივენი განუყრელი მეგობრები იყვნენ“?

— სულ ერთად იყვნენ, ერთმანეთს არ შორდებოდნენ, უყვარდათ ერთმანეთი.

— განვაგრძოთ კითხვა! (გამოიძახებს შესამეს; რომელიც განაგრძობს:) „გიშერა მოიზარდა, თვალები აეხილა, უკვე ყფფასაც შეიჩვია. ზოგჯერ ციკუნისაც გაეთამაშებოდა-ხოლმე.“

ერთხელ სოსო და გიშერა დაიკარგნენ. დიღხანს ეძებეს. მეზობლები შეაჯერეს, მაგრამ ვერსად ნახეს. დედა კინაღამ შეიშალა. მამამ მეთევზეები მონახა და ბავშვს ფშანში ძებნა დაუწყეს, იქნებ იქ გადავარდა და დაიხრჩოო“.

— ლეკვს თვალები ახელილი ჰქონდა თუ არა, როცა სოსომ იპოვა?

— არა!

— საიდან იცით, რომ არა?

— აქ წერია: გიშერა მოიზარდა, თვალები აეხილა, ყფფას შეიჩვია, ციკუნისაც ეთამაშებოდაო! ყველაფერი ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ცუგო იპოვეს.

— სწორია! როგორ გესმით გამოთქმა: „მეზობლები შეაჯერეს“?

— მეზობლებს გააგებინეს, ბევრჯერ მოიკითხეს...

— რატომ მონახა სოსოს მამამ მეთევზეები?

— ბავშვი იქნებ წყალში ჩავარდა, ჩადით და მომიწახეთო!

— ფშანი რაღაა?

მდინარიდან გამონადენი, ან მიწიდან ამოხეთქილი წყარო, რომელსაც შეუძლია გზადაგზა გუბეები და მორევი დააყენოს.

— განვაგრძოთ კითხვა! (ხელს წვევენ. ერთ-ერთ კარგ მკითხველს გამოიძახებს:) “ერთი ვაი უშველებელი შეიქნა სახლში. საძებნელად გაგზავნილი ნელ-ნელა შინ ბრუნდებოდნენ. მოვიდა ნათლია იაკობიც. იაკობმა ქუდი მოიხადა და შუბლიდან ოფლის მოსაწმენდად ხელსახოცი ამოიღო. ქუდი ძირს დაუვარდა და ასალებად რომ დაიხარა, გაშტერდა. შემდეგ გულიანად გადაიხარხარა“.

— შეჩერდი! (მცირე პაუზა). სოსოს საძებნელად წასულებმა ნახეს თუ ვერა ბავშვი?

— ვერ ნახეს, ყველა ხელცარიელი დაბრუნდა შინ.

— ხელცარიელი და გაოფლიანებული დაბრუნდა აგრეთვე ნათლია იაკობიც... რა ქნა იაკობმა?

— ქუდი მოიხადა და შუბლიდან ოფლის მოსაწმენდად ხელსახოცი ამოიღო.

— მერე რა მოხდა?

— ძირს დაუვარდა ქული იაკობს და ასალებად რომ დაიხარა, ჯერ გაშტერდა, შემდეგ კი გადაიხარხარა, ხმამალა გაიცინა.

— განაგრძე კითხვას!..

— რა გაცინებს? — შეეკითხა ბესო.

— რალა რა მაცინებს! ბავშვი აქ ყოფილა და მე კი მთელი ქვეყანა მომარბენინეთ... მოდიოთ და ნახეთ, აგერ სად არის! მაგიდის ქვეშ სოსოს დასძინებოდა. მის გვერდით მოლოკილი ჯამი იდგა. გიშერას თათები ძმობილის მკლავებზე დაედო და გულიანად ხვრინავდა“.

— რას შვრებოდა სოსო?

— სოსოს ეძინა.

— ვისთან ეძინა სოსოს?

— სოსოს თავის ლეკვთან, გიშერასთან ეძინა.

— ჯამს რა უნდოდა იქ?

— სოსოს ცუგოსათვის საკმელი უკმევია, მოფერებია, შემდეგ კი ორივეს ერთად დასძინებიათ!..

— ერთხელ კიდევ წაიკითხეთ ეს მოთხრობა ჩემად, თვალით! გზადაგზა ამოკრიბეთ: თითო თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადება და დაუკვირდით, ბოლოში რა სასვენი ნიშნები უზის. (მეორეკლასელები დავალების შესრულებას შეუდგებიან; მასწავლებელი გადაინაცვლებს მეოთხეკლასელებთან, ჩამოუვლის სათითაოდ, სათანადო დახმარებას აღმოუჩენს და ძითითებებს მისცემს მათ; შემდეგ ისევ მოუბრუნდება მეოთხე კლასს).

— (IV კლასს). აბა! (გამოძახებული უპასუხებს).

— ერთხელ პატარა სოსო ბაღში კაკლის ხის ქვეშ იჯდა. — ეს არის თხრობითი წინადადება და ბოლოში წერტილი (.) უზის.

— ეს რა კარგი ცუგო ვიპოვე! — ძახილის წინადადებაა და ძახილის ნიშანი (!) უზის.

— რა გაცინებს? — კითხვითი წინადადებაა და ბოლოში კითხვის ნიშანი (?) აქვს.

— სწორია! აბა, წავიკითხოთ თავიდან ბოლომდე! (მასწავლებლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ნაწარმოების მთლიანი კითხვა, რაც, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ უეჭველად ერთი კითხულობს მთელ მოთხრობას თავიდან ბოლომდე, პირიქით, ამ შემთხვევაში უკეთესია, რაც შეიძლება მეტი მოსწავლე ჩაებათ კითხვაში, უმთავრესად საშუალონი და სუსტნი. მოთხრობის მთლიანი კითხვის შემდეგ, მასწავლებელი კითხვებს მისცემს მოსწავლეებს შინაარსის ამოსაწურავად, შემდეგ ერთ-ორ მოსწავლეს მოათხრობინებს შინაარსს; მოთხრობას როლებად წააკითხვებს რამდენიმე ბავშვს; დააყოფინებს ნაწილებად, მათვე დაასათაურებინებს თითოეულ ნაწილს; ბოლოს მისცემს კლასს საშინაო დავალებას:

1) რამდენჯერმე დაკვირვებით წაიკითხეთ „სოსოს გიშერა“ და ისწავლეთ კარგად მოყოლით;

2) „სოსოს გიშერადან“ გადაიწერეთ საშინაო რვეულებში თითო თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადება და ბოლოში სათანადო სასვენი ნიშანი დაუსვით.

— ვინ გაიმეორებს საშინაო დავალებას? (გაამეორებინებს ერთს, ორს. თუ რომელიმე ხელს არ წევს, პირველ რიგში სწორედ იმას გაამეორებინებს).

**მოკლემ კონსპექტი ორ კლასთან ერთდროულად ძაბრულ მხახხ (II კლასი) და გეოგრაფიაში (IV კლასი) ჩახატარხველი გაკვეთილები**

### მახალეზი

#### II კლასისათვის

(სუფთა წერა)

ცალკეული ასომბზი, სიტყვები,  
ფრაზები

(ქართული წერის დედანი, 1949 წ.)

#### IV კლასისათვის

(გეოგრაფია)

კომპასი. მხარეების მაჩვენებელი  
ნახაზი. საბნის მდებარეობა  
ნახაზში

(გეოგრაფია, სახელმძღვანელო IV კლასისათვის, 1951 წ., გვ. 39—42).

### მიზნები

1. ასოების გადაბმის (ტა, ტი, ერ, ვა...) შემთხვევებში ცალკეული ასოების, სიტყვებისა და ფრაზების სწორად, დაუშინებლად, სუფთად და ლამაზად წერა;
2. წერის დროს სწორად ჯდომასა, კალმისტრის ხელში სწორად დაკერასა და რვეულის სათანადოდ დადებაში დახელოვნება.

1. კონკრეტული ცოდნის შექმნა (კომპასის რობა, მისი დანიშნულება. მხარეებისა და საგნების მდებარეობის ქალაქად აღნიშვნის „საიდუმლოებაში“ გარკვევა);
2. ახალი სიტყვებითა და ტერმინებით („კომპასი“, „წვეტანი“, „მაგნიტური ისარი...“) მოსწავლეთა ცოდნის გამდიდრება.

### გეგმები<sup>1</sup>

1. შეტდომების გასწორება;
2. ასოების სწორად გადაბმის რამდენიმე (ტა, ტი, ერ, ვა) შემთხვევაზე ყურად-

1. წინა გაკვეთლის გამოკითხვა;
2. შესწავლილი მასალების თხრობა მასწავლებლის მიერ;

<sup>1</sup> ამ გაკვეთილზე შეიძლება კატეგორიულად (როგორც ამას ჩაედოდიტ აქამდე მობაზულ გველა გაკვეთილზე) არ გავალოთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოფიხი ხახი და ისე გამოკვეთილად არ ვთქვათ, რომ გაკვეთილის ამ ნახევარზე მასწავლებელი უშუალოდ მუშაობს ამ კლასთან, ხოლო მეორე კლასი დამოუკიდებლად მუშაობს. ეს იმიტომ, რომ კონკრეტულად ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მეტი ნაყოფიერებით ჩატარდება ორივე კლასში მუშაობა, თუ მასწავლებელი ძირითადად და ცოტა მეტ ხანს გეოგრაფიაში იმუშაოებს, ხოლო დროგამოშვებით, მთელი გაკვეთილის მანძილზე მიხედვს, დაეხმარება, უხელმძღვანელებს, სათანადო განმარტებებს მისცემს სუფთა წერაში მოვარჯიშე ბავშვებს.

- ლების გამაზიარება;
3. ცალკეული სიტყვების (რატა, ტივი. ვრი, ყველი) ასოების სწორად გადაბმით წერაში ვარჯიშობა;
  4. ჩხადაგზა წერის მიგვიჩინის მოთხოვნების მოგონება;
  5. ოთხი სტრიქონის გადაწერა ქართული წერის დედნიდან.

3. საკონტროლო კითხვები;
4. ჩუმი კითხვა გაუგებარი სიტყვებისა და ადგილების დანიშნით;
5. მასალის წაკითხვა სახელმძღვანელოში, გაუგებარი სიტყვებისა და ადგილების ახსნით;
6. წაკითხულის შინაარსის გადმოცემისათვის მასწავლებლის მიერ კითხვების დასმა და მოსწავლეების პასუხები; დაკვირვებანი;
7. ნახაზებისა და ჩანაწერების გაკეთება დაფაზე, რვეულებში;
8. საშინაო დავალება.

### მსკლელთა

— (II კლასს) მოემზადეთ წერისათვის! მასწავლებელი გადასცემს მორიგეს სუფთა წერის რვეულებს, მოსწავლეები საწერ-კალამსა და სამელნეებს დააწყობენ მერხებზე; მიღებულ რვეულებს ათვალთვინებენ; სუფთა წერის უკანასკნელ გაკვეთილზე არასწორად დაწერილი ასოებისა და არასწორად გადაბმული ასოების გასწორებას, ე. ი. სწორად დაწერასა და სწორ გადაბმას შეუდგებიან...)

— (IV კლასს) გაკვეთილი (გამოძახებული მოუთხრობს კლასს წინა გაკვეთილს; აგრეთვე უპასუხებს შემდეგ კითხვებზე: რა ადგილასაა მზე დილას? შუადღისას? საღამოს? მიგვითითე, საით არის აღმოსავლეთი? დასავლეთი? ჩრდილოეთი? სამხრეთი?).

— ამოიღეთ რვეულები, გადაიწერეთ სუფთად და ლამაზად 38-ე გვერდიდან უკანასკნელი სამი აბზაცი!

ძეოთხეკლასელები რვეულებს ამოიღებენ და შემდეგ ადგილის გადაწერას შეუდგებიან: „აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი — მთავარი მხარეებია. მათ შუა მდებარე მხარეებს შუათანა მხარეები ეწოდება.“

მთავარი მხარეები მოკლედ ასე იწერება: აღმოსავლეთი — ა, დასავლეთი — დ, ჩრდილოეთი — ჩ, სამხრეთი — ხ.

შუათანა მხარეები მოკლედ ასე იწერება: ჩრდილო-აღმოსავლეთი — ჩა, ჩრდილო-დასავლეთი — ჩდ, სამხრეთ-აღმოსავლეთი — ხა, სამხრეთ-დასავლეთი — ხდ.“

— (II კლასს) თინა, რვეული სწორად არ დაგიღვეს! გადახედე შენს ამხანაგებს; ისე დაიღვეი შენც! გულისფიცარს ნუ მიაღებთ მერხს, თავი ოდნავ გადმოხარეთ წინ! ვინც უკვე გაასწორა შეცდომები, კალმისტარი დადოს მერხზე!

(მასწავლებელი ათვალთვინებს ნაწერებს, ვისაც სათანადოდ არ გაუ-

სწორება, ან უჩქარია, მიუთითებს ნაკლებ, სათანადოდ დაუწერს რვეულში და დააწერინებს ხელმეორედ).


— ნათელა, აგრე ნუ უქერ თითებს კალმისტარს! კალამი ასწიე ცოტა ზევით! მსხვილი ხაზის გამოსაყვანად მხოლოდ საჩვენებელი თითის წვერი უნდა დააქირო კალმისტარს!

— შოთა, ყველა თითის დაქიმვა და კალმისტარისთვის შემოქერა არაა საჭირო, რათა მსხვილი ხაზი გამოვიდეს. საჩვენებელი თითის წვერის დაქერით და აშვებით უნდა მიიღო მსხვილი და ძაფისებური ხაზები! — ბავშვებო, გაანშრალეთ კალმის წვერი! (ანშრალევენ). დაიქირეთ სამ თითში! დაადევით კალმის წვერი ქალაღს! დააქირეთ საჩვენებელი თითის წვერი კალმისტარს! (ბავშვები აკეთებენ).


— რა მოხდა?

— კალმის წვერი გაიყო, გაჩნდა არე.

— მაშ, მსხვილი ხაზის მისაღებად საჩვენებელი თითი უნდა დააქირო კალმისტარს. აუშვებ თითის წვერს და მიიღებ წერილ ხაზს! ჩვენ ეს I კლასში ვისწავლეთ! ჩანს, ზოგიერთს დაეიწყებია!... განაგრძეთ წერა!.. (მასწავლებელი დაფაზე წერს ოთხ სიტყვას:)



ბავშვების ყურადღებას მიაქცევს შემდეგი ასოების გადაბმავზე:



წინადადებას მისცემს ბავშვებს ორ-სამჯერ დაწერონ თითოეული სიტყვა (ჯერ პირველი — ტატა, შემდეგ მეორე — ტივი და ა. შ., თვითონ კი გადაინაცვლებს მეოთხეკლასელებთან: გადახედავს მათ ნაწერებს. წერას დაასრულებინებს და შემდეგ აჩვენებს ბავშვებს კომპასს და თითქმის წიგნის სიტყვებით (ოდნავ უფრო გაფართოებულად) აუწერს მას. განუმარტავს კომპასის დიდ მნიშვნელობას მხარეების გამოცნობის, მიმართულების აღებისა და, საერთოდ, გარემოში გაგნების საქმეში. შემდეგ მასწავლებელი ნაწილ-ნაწილ წააკითხებს ბავშვებს სახელმძღვანელოში „კომპასს“, გზადაგზა აუხსნის გაუგებარ სიტყვებსა და ადგილებს; შემ-




დღე წააკითხებს ტექსტს თავიდან ბოლომდე, ჩაატარებინებს იმ დაკვირვებას, რაც მითითებულია. სახელმძღვანელოს მე-40 გვერდზე, ბოლოს დაავალებს, ერთხელ კიდევ წაიკითხონ „კომპასი“ ჩუმად, თვალით; მეოთხეკლასელების ჩუმი კითხვის დროს მასწავლებელი გადაინაცვლებს-მეორეკლასელებთან):

— კაკო, მეოთხე სიტყვაში ასოები სწორად ვერ გადაგიბამს, ასო ვ-ს თავისი სახე დაუქარგავეს; აბა, დაუკვირდი დაფას. კიდევ დაწერე ეს სიტყვა!

ბესო, ქუქყიანი ხელი გაქვს; ხედავ ნაწერიც უსუფთაო გამოგდის... გადი გარეთ ხელები დაიბანე!

ვასო, სტრიქონი ბოლომდე უნდა შეავსო, შენ კი აქ თავისუფალი ადგილი დაგიტოვებია! ეთერი კი ხაზს გადამცდარა, რვეულის ველზე გადასულა. მეორეჯერ არ მოგივიდეს ასე! აი, დაუკვირდი წერის ნიბუშს-კედელზე (კედელზე გამოფენილია რვეულის გადიღებული გვერდი, რომელზედაც სუფთა, გარკვეული და ლამაზი ხელითაა დაწერილი), ის წერის დედანია. ხედავთ, სტრიქონები სავსეა, ველი (არშია) თავისუფალია!

(დაასრულებინებს რა მითითებული ოთხი სიტყვის ცალ-ცალკე წერას, მასწავლებელი ამოაღებინებს მეორეკლასელებს „წერის დედანს“ და ეტყვის ბავშვებს, რომ სუფთად გადაიწერონ „დედნიდან“ ერთ-ერთი ლექსის ოთხი სტრიქონი, რომლებშიაც ასოების ახლა შესრულებული გადამბეზი გვხვდება! სახელდობრ:)



— (იმავე II კლასს). ვიდრე მითითებული ადგილის „დედნიდან“ გადმოწერას დიწყებდეთ, თითები და ხელის მტევანი ვაეარჯიშოთ, რომ წერის დროს ხელი არ დაგეღალათ! (პაუზა).


დადევით ორივე ხელის ნიდაყუები მერხზე! ხელები აიშვირეთ ჰაერში!.. გადახარეთ ხელები მარჯვნივ!.. გადახარეთ მარცხნივ!.. მარჯვნივ!.. მარცხნივ!.. მარჯვნივ!.. მარცხნივ!.. დააწვეტო ხელები მერხზე!.. ნეკი და უსახელო თითი ხელის გულზე დაიდეთ, ხოლო დანარჩენი სამი თითი: ცერი, საჩვენებელი და შუა თითი გაიშვირეთ წინ! მოლუნეთ სამივე ისე, რომ მათი წვერები შეხვდნენ ერთმანეთს! კიდევ გაიშვირეთ სამი თითი. მოლუნეთ!.. თავისუფლად! (მეორეკლასელები წერას შეუდგებიან. მასწავლებელი იმავე წესით, როგორც „კომპასი“, მოუთხრობს, წააკითხებს, გაუგებარ სიტყვებს აუხსნის, კითხვებს მისცემს, ათხრობინებს შემდეგ მასალასაც: „მხარეების მაჩვენებელი ნახაზი“, „საგნის მდებარეობა ნახაზზე“ და, ბოლოს იტყვის:)

— (IV კლასს) ყურადღებას აგვაკეთოთ დაფაზე მხარეების მაჩვენებელი ნახაზი. ვიკოდეთ, რომ, როგორც რუკაზე და ქალაქზე, ისე დაფის ზედა მხარეზეც აღინიშნება ჩრდილოეთი, ქვედა მხარეზე — სამხრეთი, მარჯვნივ — აღმოსავლეთი, მარცხნივ — დასავლეთი. აი, ასე:

— დასვით წერტილი რვეულის ერთ-ერთ თავისუფალ გვერდზე და აქედან გაავლეთ ხაზი ჩრდილოეთის მიმართულებით. დააწერეთ ხაზს ბოლოში ჩ.

ამავე წერტილიდან გაავლეთ ხაზები აღმოსავლეთისაკენ, დასავლეთისაკენ, სამხრეთისაკენ და ამ ხაზებს ბოლოებში დააწერეთ შესაბამისად ა, დ, ხ.

ამავე წერტილიდან გაავლეთ წყვეტილი ხაზები ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, სამხრეთ-დასავლეთისაკენ და დააწერეთ ბოლოებში ჩა, ჩდ, სა, ხდ.



(მეთოთეკლასელები ამ სამუშაოს შესრულებას შეუდგებიან; მასწავლებელი II კლასში გადაინაცვლებს; შესაფერის მითითებებს მისცემს; ვინც წერა გაათავა, დაავალებს, ხელშეორედ დაწერონ ზემოთ მითითებული ოთხი სტრიქონი).

გაკვეთილის დასრულების წინ 2—3 წუთით ადრე IV კლასს მისცემს საშინაო დავალებას: ა) შინ კარგად დაისწავლონ გაკვეთილი და აგრეთვე გაიმეორონ წინა დღის გაკვეთილი, ბ) გადაიწერონ რეჟულში „კომპასის“ სათაურით შემდეგი ოთხი აბზაცი:

### კომპასი

მზიან დღეს მხარეების გამოცნობა ადვილი არის. მაგრამ როგორ გამოვიცნოთ მხარეები უმზეო დღეს ან ღამით?

არის ასეთი ხელსაწყო — კომპასი, რომელიც მხარეებს ყოველთვის კარგად გვაჩვენებს: დღისითაც და ღამითაც, მზიან დღესაც და უმზეო დღესაც.

კომპასი პატარა კოლოფია, რომელსაც ზემოთ მინა ხურავს; კოლოფის ფსკერზე პაწია ლერძია — წვეტანა, მასზე მაგნიტური ისარი მოძრაობს.

ისრის ერთი ბოლო შუადღის ჩრდილის მიმართულებით ჩერდება და, მაშასადამე, ჩრდილოეთს გვაჩვენებს. ამიტომაც იგი ლურჯად, ბნელად, ჩრდილისებურად არის შეფერადებული.

ამის გარდა, წიგნიდანვე გადმოხატეთ კომპასი. (II კლასის მოსწავლეებს არაფერს არ დაავალებს, რადგან მათ საშინაო დავალება ქართულში უკვე მიეცათ იმავე დღეს ქართული ენის წინა გაკვეთილზე).

**მოკლემ კონსპექტი ხამ კლასთან (I—არითმეტიკა, II—ძარტული, III ძარტული) მართლმართულად გადახატვითი გაკვეთილებისა**

### მასალები

I კლასისათვის  
(არითმეტიკა)

ოთხის მიმატება

(არითმეტიკული ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული პირველი კლასისათვის, 1952 წ. გვ. 29).

II კლასისათვის  
(ქართული ენა)

ჩვენი სიმღერა  
ლექსი ი. გრიშაშვილისა  
(დედა ენა, მეორე ნაწილი, 1952 წ., გვ. 47).

III კლასისათვის  
(ქართული ენა)

პაპიტანი ბუხანიძე  
ლექსი ირ. აბაშიძისა  
(ქართული ენა III კლასის სახელმძღვანელო, 1952 წ., გვ. 66).

### მიზნები

ოთხ-ოთხის მიმატება ათის ფარგალში.

1. ნასწავლი მასალის ხეივანი და წერილობითი განმეორება;
2. ღამაში და სწორი ხელისა (კალიგრაფია) და მართლწერის (ორთოგრაფია) ჩვეულების გამომუშავება-განმტკიცება.

1. მტრისადმი სიძულვილის, პატრიოტული და ბალსთა მეგობრობის გრძნობის გაოვიება;
2. კითხვის ტექნიკის გაუმჯობესება.

## გეგმები

### მასწავლებელთან (10 წუთი)

1. ახალი მასალის (ოთხის მიმატება) ახსნა;
2. ამოსახსნელი მაგალითების მიცემა.

### დამოუკიდებლად (10 წუთი)

3. მაგალითების ამოხსნა;

### მასწავლებელთან (5 წუთი)

4. შესრულებული ნამუშევრების გადათვალიერება;
5. გაკეთილზე და შინამოსახსნელი მაგალითების მიცემა;

### დამოუკიდებლად (20 წუთი)

6. მაგალითების ამოხსნა.

### დამოუკიდებლად (10 წუთი)

1. წინა ნაწერში დაშვებული შეცდომების გასწორება;
2. ახალი წერისათვის (წინა დღეს დამუშავებული ლექსის — „ჩენი სიმღერა“ — ზეპირად დაწერისათვის) თვითშობადება — ტექსტზე დაკვირვებით.

### მასწავლებელთან (10 წუთი)

3. შეცდომების გასწორების გასინჯვა;
4. საშინაო დავალების მიცემა;
5. ლექსის ზეპირად დაწერისათვის მოსწავლეთა მხადყოფნობის შემოწმება;

### დამოუკიდებლად (5 წუთი)

6. ლექსის ზეპირად წერის დაწყება;

### დამოუკიდებლად (20 წუთი)

7. ლექსის ზეპირად წერის გაგრძელება-დასრულება
8. რეჟულების შეკრება.

### დამოუკიდებლად (10 წუთი)

1. წინა ნაწერში დაშვებული შეცდომების გასწორება;
2. წინა დღეს ნასწავლი მოთხრობის („ერყელე და ინდოელი მეომარი“) შინაარსის დაწერისათვის გეგმის მოუქრება-შედგენა;
3. წერის დაწყება.

### დამოუკიდებლად (10 წუთი)

4. მოთხრობის შინაარსის წერის გაგრძელება;

### დამოუკიდებლად (5 წუთი)

5. მოთხრობის შინაარსის წერის გაგრძელება-დასრულება;
6. რეჟულების შეკრება;

### მასწავლებელთან (20 წუთი)

7. ახალი მასალის („აპიტანი ბუნაიძე“) ახსნა;
8. საშინაო დავალების მიცემა.

## მსვლელობა

ზარის მიცემისთანავე მასწავლებელი შედის კლასში; მოსწავლეები ფეხზე აღდგომით აძღვენ მას სალამს; პასუხის ნიშნად მასწავლებელი ოდნავ დაბლა დახრის თავს და იტყვის:

— დასხედითი...

მცირე პაუზის შემდეგ მასწავლებელი ამოიკითხავს საკლასო ეურნალიდან მოსწავლეთა სიებს (ანდა თვალის ერთი გადავლებითაც შეიძლება მიხედვს, თუ ვინ აკლია ვაკვეთილზე, და აღნიშნოს ეურნალში) რის შემდეგ მასწავლებელი პირდაპირ იწყებს უშუალო მუშაობას I კლასელებთან.

II და III კლასელების წინა მერხებზე მასწავლებლის მიერ გასწორებული საკლასო რვეულები აწყვით; დაფაზე კი წერია:

## II კლ.

- 1) გაასწორეთ წინა ნაწერში დაშვებული შეცდომები,
- 2) მოემზადეთ ი. გრიშაშვილის ლექსის — „ჩვენი სიმღერა“ — ზეპირად დაწერისათვის (დრო 10 წუთი).

## III კლ.

წინა ნაწერში დაშვებული შეცდომების გასწორებისა, დღევანდელი რიტხვის დაწერისა და გეგმის მოდიქრება-შედგენის შემდეგ დაწერეთ. ჭიკინაძის მოთხრობის — „ერეკლე და იხლოელი მეომარი“ — შინაარსი (დრო 25 წუთი).

(მასწავლებელი I კლასთან მეცადინეობს: მოსწავლეები დაფაზე დაწერილ დავალებას კითხულობენ თვალთ; მორიგეები უხმაუროდ დაურიგებენ რვეულებს II და III კლასელებს, რომლებიც დაუყოვნებლივ შეუღებებიან დავალების შესრულებას.

დაფაზე აღნიშნული საწერი თემები ამ შემთხვევაში წინა დღეს დაშვებული მასალებია, ასე რომ ამ წერებით წინა დღის ვაკვეთილების გამოკითხვაც ხდება.

II კლასისათვის ზეპირად წერისათვის „მოზადება“, გარდა საწერი-კალმის ამოღებისა, აგრეთვე გულისხმობს იმას, რომ II კლასელებმა უნდა ამოიღონ წიგნები, გადაშალონ ზეპირად დასაწერი მასალა დაუკვირდნენ და დაიხსომონ, როგორ იწერება ესა თუ ის სიტყვა, წინადადება; სად როგორი სასიგნი ნიშანია).

— (I კლასს) აიღეთ 1 კოქი. მიუმატეთ მას 2 კოქი, რამდენი მიიღეთ? (ხელს წვევენ. გამოძახებული პასუხობს:)

— სამი.

— ამათ კიდევ მიუმატეთ 2 კოქი. რამდენი მიიღეთ? (გამოძახებული პასუხობს:)

— ხუთა.

— I კოქს ჯერ რამდენი კოქი მიუმატეთ?

— ორი.

— შევდეგ კიდევ რამდენი კოქი მიუმატეთ?

- ორი.
- სულ რამდენი კოკი მიუმატეთ 1 კოქს?
- ოთხი.
- რამდენი მიიღეთ?
- ხუთი.
- მაშ რამდენია 1 კოკი და 4 კოკი.
- ხუთი.

(ოთხის მიმატება შეიძლება დავამუშაოთ მეორე ხერხითაც, სახელ-  
დობრ: მოცემულ რიცხვს მიუმატოთ ცალ-ცალკე თითო ერთეული. მაგ.)

— აიღეთ 1 კუბიკი. მიუმატეთ 1 კუბიკი; კიდევ მიუმატეთ 1 კუ-  
ბიკი; კიდევ დაუმატეთ 1 კუბიკი; კიდევ დაუმატეთ 1 კუბიკი. სულ რამ-  
დენი კუბიკი მიუმატეთ?

- ოთხი.
- რამდენი მივიღეთ?
- ხუთი.
- რამდენია 1 ბურთი და 4 ბურთი?
- ხუთი ბურთი.
- 1 ფანქარი და 4 ფანქარი?
- ხუთი ფანქარი.
- 1 ვაშლი და 4 ვაშლი?
- ხუთი ვაშლი.

— აიღეთ 2 კოკი; მიუმატეთ 2 კოკი; კიდევ მიუმატეთ 2 კოკი;  
რამდენი კოკი მიიღეთ?

- ექვსი კოკი.
- 2 კოქს სულ რამდენი კოკი მიუმატეთ?
- ოთხი კოკი.
- მაშ, რამდენია 2 კოკი და 4 კოკი?
- ექვსი.

— ბავშვმა დილით იყიდა 2 რვეული, შუადღისას 4 რვეული. რამ-  
დენი რვეული იყიდა სულ?

- ექვსი.
- აიღეთ 3 კოკი. მიუმატეთ მას 2 კოკი. რამდენი მიიღეთ?
- ხუთი.
- კიდევ მიუმატეთ 2 კოკი, რამდენი კოკი მიიღეთ?
- შვიდი.
- 3 კოქს სულ რამდენი კოკი მიუმატეთ?
- ოთხი.

- რამდენი მიიღეთ?
- შვიდი.
- მაშ, რამდენია 3 კოკი და 4 კოკი?

— შეიდი კოქი.

— რამდენია 3 ფანქარი და 4 ფანქარი?

— შეიდი ფანქარი.

(ასევე უნდა გაირჩეს ოთხ-ოთხის მიმატების სხვა შეზღვევებიც: 4 + 4; 5 + 4; 6 + 4, რის შემდეგ მოსწავლეებს გადასაწერად და ამოსახსნელად მიეცემათ მაგალითები:

$$\begin{array}{ccc} 1 + 4 & 3 + 4 & 5 + 4 \\ 2 + 4 & 4 + 4 & 6 + 4 \end{array}$$

პირველკლასელები დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებას შეუდგებიან, მასწავლებელი კი გადაინაცვლებს მეორეკლასელებთან).

— (II კლასს) აბა, შევაძოწმით, რამდენად სწორად გაასწორეთ შეცდომები? (ხელს წვეენ. ერთ-ერთს გამოიძახებს და ეკითხება) შენ რა შეცდომები გქონდა და როგორ გაასწორე?

— მე გქონდა დაწერილი: მუშაოფს; უნდა დამეწერა: მუშაობს.

— როგორ მიხვდი, რომ სწორია მუშაობს? ო-ს შემდეგ ზ უნდა და არა ფ!

— პატივცემულო მასწავლებელო, აგერ (მიუთითებს თავისი რეეულის თავისუფალ არეზე) თქვენ დაგიწერიათ სიტყვა: მუშაობა. (მასხადამე, უნდა: მუშაობს; მუშაობა — მუშაობს.)

— კიდევ რა შეცდომა დაგიშვია?

— დაძიწერია: წვეიდა; უნდა დამეწერა: წავიდა. (წასვლა-წავიდა).

— კიდევ გქონდა შეცდომა?

— დიახ, დაწერე: სიდლუქირე; უნდა დამეწერა: სიდლუქირე.

— საიდან გაიგე, როგორ უნდა დაგეწერა?

— რადგან ხაზი ჰქონდა გასმული, — ეს სიტყვა მოენახე წიგნში დაბეჭდილი და ჩემს ნაწერს შევადარე.

— სწორად მოქვეულხარი სხვა რა შეცდომა გქონდა?

— მეტი არაფერი; ოლონდ ჰ იყო არასწორად და წერილი, ისიც გავასწორე!

(მასწავლებელი გადაათვალიერებს სხვების ნაწერებსაც... კლასს მისცემს საშინაო დავალებას, სახელდობრ: შინ გაიმეორონ მფრინავ ვ. ჩკალოვის ნაამბობი „შეხვედრა ამხანავ სტალინთან“. შემდეგ მასწავლებელი გააფრთხილებს ბავშვებს ლექსის ზეპირად დაწერის დროს მოსალოდნელი შეცდომების დაშვებისაგან).

— როგორ იწერება სიტყვა: ოქტომბერი? დამარცვლეთ, ასო-ბგერებად დაშალეთ!

— ოქ-ტომ-ბე-რი; ო-ქ-ტ-ო-მ-ბ-ე-რ-ი.

— დაიხსომეთ, რომ ო-ს შემდეგ იწერება ჰ.

— დამარცვლეთ სიტყვა: განმიცდია!

— გან-მი-ცდი-ა.

— სწორია! გა-ს შემდეგ 6 უნდა!

აბა, ერთხელ კიდევ წაიკითხეთ ზეპირად დასაწერი ლექსი, დაუკვირდით, როგორ იწერება ესა თუ ის სიტყვა, სად როგორი სასენი ნიშანია! (II კლასელები კითხულობენ, უკვირდებიან. მასწავლებელი კი 1-2 წუთით გადაინაცვლებს III კლასელებთან: მიხედავს, დაეხმარება და გააფრთხილებს, რომ 5—6 წუთში უნდა დაასრულონ წერა და შეკრიბონ რვეულები. შემდეგ ისევ მოუბრუნდება II კლასს).

— პატივცემულო მასწავლებელო, ამ ლექსშიდაც არის სიტყვა: სი-დ-უ-ხ-კ-ი-რ-ე, მე რომ სწორად ვერ დავწერე! (შეიძლება თქვას ვინმემ).

— სწორია! ამიერიდან ეს სიტყვა უშეცდომოდ უნდა სწერო! აბა დამარცვლე, ასო-ბგერებად დაყავი!

— სი-დ-უ-ხ-კ-ი-რ-ე. ს-ი-დ-უ-ხ-კ-ი-რ-ე.

— კმარა! შეინახეთ წიგნები! დაიწყეთ წერა! წერეთ დაკვირვებით, მონდომებულად, ნელა! ნუ აჩქარდებით, დრო საკმაო გაქვთ, 25 წუთი!

(II კლასელები წერას შეუდგებიან. მასწავლებელი 5 წუთით დაუბრუნდება I კლასს. გასინჯავს 2—3 ბავშვის ნამუშევარს; კლასს მისცემს საკირო კითხველს და, როცა დარწმუნდება იმაში, რომ მოთხის მიმატების ხერხები გაიგეს და აითვისეს ბავშვებმა, — კლასს მისცემს ამოსახსნელად მაგალითებს (კრებული, გვ. 29, მაგ. №№ 73, 74) და თან ეტყვის: მითითებული მაგალითებიდან კლასში ამოხსენით იმდენი მაგალითი, რამდენის ამოხსნასაც შესძლებთ გაკეთილის დარჩენილ დროში; დანარჩენი მაგალითები კი ამოხსენით შინ! ეს იქნება თქვენი საშინაო დავალება!

I კლასელები მაგალითების ამოხსნას შეუდგებიან. მასწავლებელი III კლასელებს ჩამოართმევს საკლასო რვეულებს და შეუდგება მათთან ახალი მასალის ახსნა-დამუშავებას).

(III კლასს) ბავშვებო, ერთი კვირის წინათ ჩვენ ვისწავლეთ ლექსი „ლურსმანაშვილის გმირობა“! გაიხსენეთ, ვის ებრძოდა ქართველი გმირი ლურსმანაშვილი?

— ლურსმანაშვილი ებრძოდა ჩვენი ქვეყნის მტრებს — ფაშისტებს.

— კიდევ ვინ ებრძოდა ფაშისტებს?

— მამუჩემიც ებრძოდა!... (ამბობს ერთი).

— ჩემი ძმაც! იმდენი შედეგები აქვს, რომ... (ამბობს მეორე).

— ჩემი უფროსი დაც ომში იყო!.. (ამბობს მესამე).

— ქართველები ვისთან ერთად ებრძოდნენ იმ „ყვეთელ გველებს“?

— რუსებთან, უკრაინელებთან, სომხებთან...

— ყველა ჩვენი მოძმე რესპუბლიკა ებრძოდა (ამბობს ერთი).

— მთელი საბჭოთა კავშირი.. (დასძენს მეორე).

— ვისი მეთაურობით?

— დიდი სტალინის მეთაურობით!...



- რა უნდოდათ ფაშისტებს ჩვენგან?
- ფაშისტებს ჩვენი ქვეყნის დამონება უნდოდათ!..
- ჩვენი პური უნდოდათ!
- ფაშისტები ქალებსა და მოხუცებს ხოცავდნენ...
- ფაშისტები საზიზღრები არიან!
- ფაშისტები ბავშვებსაც ხოცავდნენ!.. (ისმის აქეთ-იქიდან).
- მართალია! — ამბობს მასწავლებელი. — ფაშისტები ხოცავდნენ

ბავშვებსა და უდანაშაულო ადამიანებს. ფაშისტებს ჩვენი ხალხის დამონება უნდოდათ! ძლიერი იყო ის ვერაგი მტერი; ბევრი ტყვია-ზარბაზანი ჰქონდა, მაგრამ საბჭოთა ხალხი მაინც ვერ შეაშინა, რადგან ჩვენს ხალხს სახელოვანი სიკვდილი ურჩევნია ნაძრახ სიცოცხლეს!.. მაგალითად, კაპიტანმა ბუხაიძემ გმირულად შესწირა თავი დიდი სტალინის საქმეს და ჩვენს საყვარელ სამშობლოს!

პოეტმა ირაკლი აბაშიძემ ჩრდილო კავკასიაში ნახა სამშობლოსათვის თავდადებული ამ შესანიშნავი ქართველის საფლავი და ასეთი ლექსი დაწერა (მასწავლებელი კითხულობს ნელა, გარკვევით, ხმამაღლა:)

**კაპიტანი ბუხაიძე**

მე, ქართველი ბუხაიძე,  
ბალყარეთის მთებთან ვწევარ.  
რომ შემეძლოს საფლავიდან,  
ძმებო, მხრების წამოწევა,

მე სიცოცხლეს ხელმეორედ  
შევსწირავდი მშობელ მხარეს,  
შევსწირავდი იმავ მიწას,  
დღეს რომ გულზე დამაყარეს!

ვინც დამხედოთ, გადაეციოთ  
საქართველოს მთებს და ველებს,  
რომ მისი ძე, ბუხაიძე,  
აქა ველეტლი სისხლის მსმელებს;

არ ვუშვებდი დარიალთან  
გააფრთებულ ყვითელ გველებს.  
მე საფლავში არა ვწევარ:  
აქ დარაჯად დამაყენეს!

და ვუბარებ ყოველ ქართველს:  
მისი წმინდა ვალი არის,  
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეკრას  
დერბენტი და დარიალი.

მცირე პაუზის შემდეგ მასწავლებელი კლასს ეტყვის:

— ამოიღეთ წიგნები!.. გადაშალეთ ნი-ე გვერდი!.. წაიკითხეთ ჩემად, თვალთი!.. (მოსწავლეები კითხულობენ. მასწავლებელი დაფაზე წერს:)  
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი (შოთა რუსთაველი)

— კმარა! წაიკითხოთ ხმამალაი (ხელს წვევენ. გამოიძახებს ერთ-ერთს, რომელსაც წააკითხებს ლექსის სათაურსა და რვა სტრიქონს, რის შემდეგ გამოიძახებულს დასვაძს და გააჩრეგს წაკითხულ ნაწილს).

— კაპიტანი რაღაა?

— კაპიტანი ოფიცრის წოდებაა.

— ოფიცრის რა წოდება ჰქონდა ბუხაიძეს?

— ბუხაიძეს კაპიტანის წოდება ჰქონდა (ბუხაიძე კაპიტანი ყოფილა).

— სად არის დასაფლავებული კაპიტანი ბუხაიძე ნახეთ წიგნში!

— ბალყარეთის მთებთან.

(ბალყარეთის მთები, — განმარტავს მასწავლებელი, — ჩრდილო კავკასიაშია, ჩვენ კი საქრეთ კავკასიაში ვცხოვრობთ).

— რას ამბობს ბუხაიძე? კიდევ ჩაიხედეთ წიგნში!

— საფლავიდან აღკომა რომ შემეძლოს, ხელმეორედ შევწირავდი თავს მშობელ მხა-ესაო.

— სწორია! ბუხაიძე გმირია, ის არ ნანობს, რომ თავისი ვაჟკაცობა სამშობლოს შესწირა. განვავრძობთ კითხვა! (ხელს წვევენ. გამოიძახებს ერთ-ერთს და წააკითხებს შემდეგ რვა სტრიქონს).

— რას უბარებს ბუხაიძე მის საფლავთან გაველეებს?

— საქართველოს გადაეცით, რომ მისი შვილი, ბუხაიძე, აქ ეხოცავდი სისხლის მსმელებსო.

— წიგნში როგორ წერია ეს? წაიკითხე! (კითხულობს:)

ვინც დამხედოთ, გადაეცით

საქართველოს მთებს და ველებს,

რომ მისი ძე. ბუხაიძე,

აქა ველეტდი სისხლის მსმელებს.

— საით არ ვუშვებდიო მტრებს?

— დარიალთან არ ვუშვებდიო.

დარიალი ხეობაა, რომელიც აერთებს ჩრდილო კავკასიას სამხრეთ კავკასიასთან, — განმარტავს მასწავლებელი, — და თან დასძენს: მ.შასა-დამე. ბუხაიძე მტერს საქართველოში არ უშვებდა; ის, სხვებთან ერთად, იქ ზღვებდა ჩვენს მტრებს; ჩვენი გმირები აქეთ არ უშვებდნენ და ხალხის დახოცვის საშუალებას არ აძლევდნენ ფაშისტთა ურდოებს! ტუჩზე ღიმილით დაიხოცნენ ჩვენი გმირები, რადგან იცოდნენ, რომ თავიანთი სიკვდილით სიცოცხლე უნარჩუნებდნენ ჩვენს მშვენიერ სამშობლოს.

„სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში...“ (პაუზა).

— რა სახელს უწოდებს ბუჩიძე ფაშისტს?

— ბუჩიძე ფაშისტებს „ყვითელ გველებს“ ეძახის.

— რატომ უწოდებს „ყვითელ გველებს“?

— იმიტომ რომ ფაშისტები შხამიანები და საზიზღრები არიან.

— განგარძოთ ლექსის კითხვა! (იელს წევენ. გამოიძახებს ერთს, რომელიც წაიკითხავს დარჩენილ ოთხ სტოქონს).

— დერბენტი, ანუ დარუბანდი, ქალაქია დალესტინის ავტონომიურ რესპუბლიკაში კასპიის ზღვას პირას! — განმარტავს მასწავლებელი და თან განაგრძობს:

— რა დაგვიბარა სახელოვანმა ქართველმა გმირმა კაპიტანმა ბუჩიძემ?

— სიცოცხლე არ დაზოგოთ, მკერდით შიკარით სამშობლოს საზღვრები და მტერი ჩვენს ქვეყანაში არ შემოუშვათ!..

— მართლაც ელექტდენ და ანადკურებდენ რუსები, ქართველები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, სომხები და სხვა მოძმე ერთა შვილები ფაშისტებს, იმ ყვითელ გველებს!..

კავკასიის დაცვას დიდი სტალინის საყვარელი მოწაფე ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა; დიდმა სტალინმა გამოგზავნა ის გათავხედებული გერმანელი ფაშისტების შესამუარავად, მთელი ჩვენი სამშობლოს დასაცავად!..

სწორედ კავკასიის მისადგომებზე და სტალინგრადთან გაუქუქყეს თავი იმ შხამიან გველებს! დამარცხებულმა მტერმა უკან დაიხია თავის ბუნაგისაკენ, ბერლინისაკენ! საბჭოთა კავშირის ძლევადობილმა ჯარებმა კვალდაკვალ მისდიეს მტერს და იქ, მის მიწაზე, გაანადგურეს ჰიტლერული ხროვა.

ქართველმა მებრძოლმა გმირმა ქანთარიამ და რუსმა მებრძოლმა გმირმა ეგოროვმა ჩვენი გამარჯვების დიადი წითელი დროშა აღმართეს დამარცხებული ფაშისტების დედაქალაქზე, ბერლინზე!..

(კარგი იქნება სათანადო სურათის ჩვენება... დიდი პაუზა).

— ერთხელ-ორჯერ კიდევ წაიკითხეთ „კაპიტანი ბუჩიძე“ ჩუმად, თვალთ!... (III კლასელები დავალების შესრულებას შეუდგებიან. მასწავლებელი მიხედავს I და II კლასებს: გადახედავს მათ საქმიანობას, გააფრთხილებს, რომ მუშაობა ორ წუთში უნდა დაამთავრონ; I კლასელებს მოაგონებს საშინაო დავალებას, სახელდობრ, იმას, რომ დანარჩენი მაგალითები შინ უნდა ამოხსნან; II კლასელებს ეტყვის მუშაობის დამთავრებისას შეკრიბონ რვეულები და გადასცენ მას).

— (III კლასს) მოისმინეთ საშინაო დავალება:

- 1) ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“ დაისწავლეთ ზეპირად;
- 2) გაიმეორეთ „ლურსმანაშვილის გმირობა“, ლექსი ირაკლი აბაშიძისა;
- 3) დაიხსომეთ შოთა რუსთაველის სიტყვენი: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.

— გაიმეორეთ საშინაო დავალება! (ხელს წვევენ. გამოიძახებს ერთ-ერთს).

- 1) ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“ უნდა დავისწავლეთ ზეპირად;
- 2) ირ. აბაშიძის ლექსი „ლურსმანაშვილის გმირობა“ უნდა გავიმეოროთ;
- 3) დავიხსომოთ ზეპირად შოთა რუსთაველის სიტყვენი: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.

— სახელმძღვანელოს რომელ გვერდზეა „ლურსმანაშვილის გმირობა“ (ბავშვები ეძებენ).

— 56-ე გვერდზე (უპასუხებს გამოძახებულნი).

— (II კლასს) გადმომეცით რვეულები! (გადასცემენ).

— საერთო ყურა დღეზე!.. ადექით! (ყველანი დგებიან). დაისვენეთ!.

გომკლემ კონსპექტი ოთხ კლასთან (I—ბაკთული, II—ბაკთული, III—ხატვა, IV—არითმეტიკა) დასაბუთებლად გადასაცემი გაკვეთილებისა

### მასალები

| I კლასი<br>(ქართული ენა)   | II კლასი<br>(ქართული ენა)  | III კლასი<br>(ხატვა)  | IV კლასი<br>(არითმეტიკა)  |
|--|--|---|---|
| <p>ლენინზე<br/>ხალხური ლექსი<br/>(დღეა ენა, პირველი<br/>ნაწილი, 1951 წ.,<br/>გვ. 120).</p> | <p>ბაუზონარი<br/>ზღაპარი ი. გოგება-<br/>შვილის „დედა ენი-<br/>დან“.<br/>(დღეა ენა, მეორე<br/>ნაწილი 1951 წ.,<br/>გვ. 162).</p> | <p>საშემაგილე ძილავა<br/>ყვამ(ილენი)<br/>(დაწვებითი ხელოვნების<br/>პროგრამები, 1951<br/>წ., გვ. 131).</p> | <p>ამოცანა № 805,<br/>მაგალითი № 724<br/>(არითმეტიკის ამო-<br/>ცანებისა და მა-<br/>გალითების კრე-<br/>ბული, 1951 წ.,<br/>გვ. 91 და 82).</p> |

### მიზნები

|   |   |  |   |
|---|---|--|---|
| <p>1. ლენინის საქმისადმი თავდადების გრძობის გ-ღვივება;</p> <p>2. ახალი სიტყვებითა და ფიგურა-ლური გამოთქმებით ბავშვების ლექსკონის გამ-დიდრება.</p> | <p>1. კითხვის ტექნიკის გაუმჯობესება;</p> <p>2. ახალი სიტყვებითა და წინადადებებით ლექსკონის გამდიდრება.</p> <p>3. გაუკონრობისა და ჯიუტობის შედეგის გათვალისწინება.</p> | <p>1. ნატურიდან ხატვის ჩვენების გამოყენება;</p> <p>2. ფერების შერჩევა-შეხამების უნარის მიღება.</p> | <p>1. მთელ რიცხვებზე ოთხივე მოქმედების განმეორება;</p> <p>2. მაგალითებისა და ამოცანების დამოუკიდებლად და დაწვეტის გზით მიღებული ცოდნის სიმტკიცის შემოწმება.</p> |
|---|---|--|---|

გეგმები

გაკვეთილის I ნახევარი

დამოუკიდებლად

1. წინა ნაწილში დაშვებული შეცდომების გასწორება;
2. წინა დღის გაკვეთილიდან — „ლენინის ბეჭეფობიდან“ უკანასკნელი ორი სტრიქონის გადაწერა საკლასო რეკულებში;
3. გაკვეთლის განმეორება ჩუმი კითხვის გზით.

მასწავლებელთან

1. ზღაპრის („გაუგონაო“) პიარის მოყოლა მასწავლებლის მიერ;
2. ზღაპრის ჩუმი კითხვა. დაურათების დათვლიერება, გოგებარი სიტყვებისა და ადგილების დანიშნა მოსწავლეების მიერ;
3. ნაწილებად კითხვა და ახსნა-განმარტება;
4. ჩუმი კითხვა, ზღაპრის ნაწილებად დაყოფა — დაათვრება;
5. დასკვნითი კითხვები;
6. საშინაო დავალება.

დამოუკიდებლად

საყუარლი კილისა და ყვავლების ნახაზების ფანქრით გაკეთება.

დამოუკიდებლად

ამოცანის (№ 805) ტექსტის რვეულში დადმოწერა და ამოხსნა.

გაკვეთილის II ნახევარი

მასწავლებელთან

1. წინა გაკვეთილის — „ლენინის ბეჭეფობიდან“ — გამოკითხვა;
2. წინასწარი საუბარი;
3. ხალხური ლექსის „ლენინზე“ სანიმუშოდ წაკითხვა მასწავლებლის მიერ;
4. ლექსის ჩუმი კითხვა, უასურაუების დათვლიერება;
5. ლექსის ნ.წილებად წაკითხვა და გაუყვარი ადრელების გზადაგზა ახსნა;
6. ჩუმი კითხვა;
7. ლექსის მთლიანი კითხვა;
8. საშინაო დავალება.

დამოუკიდებლად

1. წინა დღის გაკვეთილების განმეორება ჩუმი კითხვის გზით; ა) წერო და ბატის“ ძველით წაკითხვა, ბ) სსს. უბოოში (შინაური ფრინველები) მოცემულ კითხვებზე ხუტო პასუხების მოძახლება;
2. წერა.

დამოუკიდებლად

ფანქრით შესრულებული ნახაზებისათვის (საყვავილე და ყვავილები) სათანადო ფერების შერჩევა ნატურის შესაბამისად და გაფეროება.

დამოუკიდებლად

მიოითებულნი მაგალითების გადაწერა წიგნიდან რვეულში და მათი ამოხსნა.

— (IV კლასს). გადაიწერეთ № 405 ამოცანის ტექსტი და ამოხსენით! (წერია დაფაზე).

— (III კლასს). ფანქრით დახატეთ აი, ეს საყვავილე ქილა და ყვავილები! (წერია იმავე დაფაზე. მაგიდაზე კი დგას საყვავილე ქილა, რომელშიაც ყვავილებია).

— (I კლასს). გადაიწერეთ დაფიდან:

ლენინს პატარაობიდანვე უყვარდა მუშები და გლეხები.

ლენინი იყო მუშებისა და გლეხების საუკეთესო მეგობარი. (წერია მეორე დაფაზე. პირველკლასელებმა იციან, რომ ჯერ წინა ნაწერში დაშვებული შეცდომები უნდა გაასწორონ, ორთოგრაფიული იქნება ისინი თუ კალგრაფიული, მერე კი იმ დღის რიცხვი უნდა დაწერონ და მხოლოდ შემდეგ შეუდგნენ დავალების შესრულებას ცხადია, II და IV კლასების მოსწავლეებმა იციან, რომ დრო არ უნდა დაკარგონ და დინჯად და მონდომებულად შეუდგნენ საქმეს).

— (II კლასს). ყურადღება! (წერია პაუზა).

ერთ სოფელში ცხოვრობდნენ ყვინჩილა და ვარიკა. ისინი დამანი იყვნენ და ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. გაუგონარი და ჯიუტი ვინმე იყო ყვინჩილა. მასზე უფრო ჰყვარდას არ უჯერებდა და თავისნება მოქმედებდა.

ყვინჩილამ ერთხელ ბაღში მკუხე მყვალად დაინახა. მივარდა და კენკვა დაუწყა.

— შენ გენაცვალე, შენი კირიმე, ნუ სკამ მაგ მწვანე მყვალსა! მოითმინე სანამ დამწიფდებოდეს, თორემ გაწყენს, ავად გახდები! — ეხვეწებოდა და ძმას...

ყვინჩილამ ყურიც კი არ ათხოვა: სკამა და სკამა მკვახე მყვალად; გაძლა, გაიბერა... აიესო თავისი გაუმადლარი მუცელი მწვანე მყვალთ!..

დიდი დრო არ გასულა, აუტყდა საშინელი მუცლის ტკივილი:

— ვაიჰე, მიშველე, ვკვდები, ჩემო დაია! — ყვიროდა გამწარებული ყვინჩილა.

ვარიკამ ძლივს მიათრია სახლამდე ჯიუტი ყვინჩილა; უცებ ლოგინში დააწვინა, პიტნის ჩაი დააღვეინა, ოფლი მოადინა და ძმა მოარჩინა.

მორჩა თუ არა ყვინჩილა, მაშინვე მინდორში გაიქცა; ირბინა, იბტუნა, ოფლი დაასხა და... ცრვი წყლის დასაღვევად წყაროზე გაიქცა.

დაინახა ეს დამ, გამოეკიდა და ეპუდარებოდა:

— ცოტა ხანს მოითმინე, ძმაო, დაისვენე, ოფლი შეიშრე და მერე დალიე წყალი, თორემ გახურებულ გულზე ცივი წყალი გაწყენს და ისევ ავად გახდები!

— ერთი შენც, გამიპირე საქმე!.. წამოიყვია ყვინჩილამ და ეცა

წყალს დასალევად. დალილ გულზე ცივი წყლით გაძლა და მაშინვე ძაგძაგი დააწყებინა.

დიდი გაჭირვებით მიიყვანა შინ დამ თავისი გაუგონარი ძმა; ლოგინში დააწვინა და ექიმთან გაიქცა.

ექიმმა ავადმყოფს წამლები გამოუწერა; ავადმყოფი კენისოდა და წუხდა.

დიდხანს იავადმყოფა, ძლივს მოჩჩა; ახალი დაზამტრებული იყო, რომ აღვა. ლოგინიდან წამოდგა და გარეთ გაშოვიდა თუ არა, — ტბა დაინახა, ცოტათი გაყინული იყო.

— ყინულზე უნდა ვისრილოო! — დაიჩემა.

— დაიცადე, ძმაო, რა დროს ყინულზე სრიალია; ყინული ჯერ თხელია: ჩაგიტყდება, დაიხრჩვები! ცოტა აცალე. გასქელდება და შემდეგ კი იცურავე, რამდენიც გინდა!.. ემუდარებოდა ძმას და.

არც ახლა დაუჯერა ყვინჩილამ თავის დას და შეახტა ყინულს. ვაი უბედურებას!.. ყინული უტეხ ჩატყდა, ჩენი ყვინჩილა შიგ ჩაყარდა და დაიხრჩო!.. (თხრობის დამთავრების შემდეგ მცირე პაუზა).

— ამოიღეთ წიგნები, გადაშალეთ 162-ე გვერდი, წაიკითხეთ ჩემად, დაათვალიერეთ დასურათება, დაინიშნეთ გაუგებარი სიტყვები!

(მეორეკლ სელები წიგნებს ამოიღებენ, დავალების შესრულებას შეუდგებიან. მასწავლებელი პირველ რიგში მიხედავს პირველკლასელებს, აღმოუჩენს მათ საჭირო დახმარებას; ჩამოუვლის სათითაოდ. მისცემს სათანადო შენიშვნებს, როგორც კალიგრაფიული და ორთოგრაფიული ხასიათისას, ისე წერის ჰიგიენის განუხრელად დაცვის მხრივ: სწორად ჯდობა, კალმისტრის ხელში სათანადოდ დაქერა, რვეულის მართებულად დადება და სხვ.; შემდეგ მასწავლებელი გადაინაცვლებს მესამეკლასელებს: თან, რომლებიც ნატურიდან ხატავენ ყვავილის ვახას ყვავილებითურთ. მასწავლებელი ამბავილებს თითოეული მესამეკლასელის ყურადღებას მოსახაზავი საგნების, სახელდობრ, ვახისა და თითოეული ყვავილის აგებულებაზე, ფორმაზე, პროპორციის დაცვაზე და სხვ.; შემდეგ კი მიხედავს მეოთხეკლასელებს, რომლებსაც ერთი თვალის გადავლებით გაუსინჯავს, ვინ როგორი გზით ხსნის ამოცანას, მაგრამ, რადგან სამუშაო საკონტროლოა, დახმარებას არ აღმოუჩენს, საჭირო მითითებებს არ მისცემს).

— (II კლასს) აბა, დავიწყეთ კითხვა! (გამოიძახებს საუკეთესო მოსწავლეს, რომელიც ზღაპრის პირველ ნაწილს წაიკითხავს; მეორე ნაწილს მეორეს წაიკითხებს, მესამე ნაწილს — მესამეს; სულ სამ ბუნებრივ ნაწილად დაყოფს მთელს ამ ზღაპარს. თითოეული ნაწილის წაიკითხვის შემდეგ, ისე როგორც ეს ხდება ცალკე თუ ორ კლასთან ერთად მეცადინეობის დროს, მასწავლებელი ევრისტიკული გზით გაარჩევს თითოეულ ნაწილში გამოთქმულ აზრს, ახსნის გაუგებარ სიტყვებსა და ადგილებს, მოაწყობს ამა თუ იმ წინადადების ლოგიკურ გარჩევას, ხოლო ნაწილ-

ბის გარჩევის დამთავრების შემდეგ დაევალებს მოსწავლეებს, — ერთხელ კიდევ ჩუმად წაიკითხონ ზღაპარი, დაყონ ის ნაწილებად და დაასათაურონ თითოეული ნაწილი. ვიდრე მეორეკლასელები ამ დავალებას შეასრულებდნენ, მასწავლებელი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს როგორც მეორეკლასელებს, ისე მესამეკლასელებს; ხოლო მეოთხეკლასელებს არ დაეხმარება, ისე ადევნებს თვალყურს, რათა ერთი მეორის შრომით არ სარგებლობდეს, არამედ მუშაობდეს დამოუკიდებლად, საკუთარი თავით).

შემდეგ მასწავლებელი ისევ მოუბრუნდება II კლასს; იმდენ კითხვას მისცემს, რამდენ ნაწილადაც დაყვეს ზღაპარი; ერთს ათქმევინებს კიდევ ზღაპრის შინაარსს. მერე კლასი იმსჯელებს ერთი კითხვის ირგვლივ, სახელდობრ: „რამ დალუპა ყვინჩილა“; გაკვეთილის პირველი ნახევრის დასასრულს კლასს მისცემს საშინაო დავალებას: შინ კარგი კითხვითა და ლოგიკური თხრობით დაისწავლონ „გაუგონარი“, ხოლო გაკვეთილის მეორე ნახევარზე ჩუმი კითხვით გაიმეორონ გაკვეთილი და წერილობითი პასუხი გასცენ წინა გაკვეთილზე ზეპირად დამუშავებულ შემდეგ კითხვას:

1. რა შინაური ფრინველის შვილსა ჰქვია წიწილა, კუკი, კუკუელი?
2. აგრეთვე დაამთავრონ შემდეგი წინადადებები:

ინდაური კივიკიებს.

მამალი...

ბატი...

მტრედი...

წიწილა...

დედალი ..

(იხ. დედა ენა, გვ. 161).

მასწავლებელი ეტყვის პირველკლასელებს, დაამთავრონ წერა და შეკრიბონ რვეულები; მეოთხეკლასელებს მისცემს გაკვეთილის მეორე ნახევარში ამოსახსნელ მაგალითს (№ 724), აგრეთვე დამატებით მაგალითს იმათთვის, ვინც დროზე ადრე ამოხსნის პირველ მაგალითს — (№ 725); მესამეკლასელებს დაევალებს შეარჩიონ, შეამზადონ ნატურის შესაფერი-სი ფერები და გაკვეთილის მეორე ნახევარზე ფერებში გააკეთონ თავიანთი ნაწესქვრები. მცირე პაუზის შემდეგ I კლასისაგან ჩაიბარებს რვეულებს და შემდეგ მიმართავს მათ:

— (I კლასს) აბა, გაკვეთილი! (ხელს წვეენ. გამოძახებული წინა დღის გაკვეთილს ჰყვება:)

### ლენინის ბავშვობიდან

პატარა ლენინი ბეჯითი მოწაფე იყო. ყოველთვის დიდი ყურადღე-ბით ისმენდა გაკვეთილებს და კარგადაც სწავლობდა.

ლენინი მუდამ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. ლენინს პატა-



ჩაობიდანვე უყვარდა მეშები და გლეხები. ლენინი იყო მეშებისა და გლეხების საუკეთესო მეგობარი.

— ყოჩაღ, კარგად, დაგისწავლია! (დაუწერს ნიშანს; გამოიძახებს მეორესაც... ხოლო მცირე პაუზის შემდეგ უამბობს ბავშვებს, რომ დიდი ხანია, რაც ლენინი გარდაიცვალა... დღეს დიდი სტალინი განაგრძობს ლენინის უკვდავ საქმეს. ლენინი და სტალინი ერთად ებრძოდნენ მშრომელი ხალხის მტრებს: მეფეს, მექარხნეებს და მემამულეებს. ლენინის სიკვდილმა მთელი ქვეყანა შეაწუხა. ხალხმა ასეთი ლექსი გამოთქვა:

### ლენინზე

მოულოდნელად დაგვიდგა  
სამგლოვიარო ხანაო,  
დაბნელდა მთელი ქვეყანა,  
შავი ჩაიცვა ცამაო.

ფრინველთ შეწყვიტეს გალობა.  
იმათაც იგრძნეს, განაო!  
ვაგლახ, მოგვიკვდა ლენინი  
თავისუფლების მამაო!  
(პაუზა).

— ამოიღეთ წიგნები! მონახეთ ახალი გაკვეთილი, დაათვალიერეთ დასურათება. ლექსის ზევით დახატულია ლენინი ბავშვებში, დაბლა—მავზოლემია, სახლია, სადაც დიდი ლენინი ასვენია.

ლექსი წაიკითხეთ თვალთ, ჩუმად!

პირველკლასელები სურათებს ათვალიერებენ, ლექსს კითხულობენ ჩუმად. მასწავლებელი მიხედავს მეორეკლასელებს და სათანადო დახმარებას აღმოუჩენს... შემდეგ თითო წუთით ესტუმრება III და IV კლასებსაც).

(I კლასს). წაიკითხოთ ხმამაღლა! (ხელს წვევენ, გამოიძახებს კარგ მკითხველს. ის კითხულობს:)

### ლენინზე

მოულოდნელად დაგვიდგა  
სამგლოვიარო ხანაო...

— შეჩერდი! (მცირე პაუზა). წაიკითხე ხელმეორედ იგივე! (კითხულობს).

- ხანა რაღაა?
- ხანა—დრო.
- როგორი დრო დაგვიდგაო?

- სამგლოვიარო ხანა, სანწუხარო დრო დაგვიდგაო?
- ველოდითო ამ ხანას, ამ დროს?
- არა! მოულოდნელად დადგაო.
- მართალია. ლენინის მოულოდნელმა სიკვდილმა ყველა ქვეყნის მშრომელი დაამწუხრა!...
- განვაგრძოთ კითხვა!..

დაბნელდა მთელი ქვეყანა,  
შავი ჩაიცვა ცამაო.

- დაჯექი! ვინ ჩაიცვაო შავი?
- ცამ ჩაიცვაო.
- როგორ გესმით ეს გამოთქმა: „შავი ჩაიცვა ცამაო“?
- ცაც კი შეწუხდაო, დამგლოვიარდაო!
- როგორ გესმით გამოთქმა: „დაბნელდა მთელი ქვეყანა“?
- სინათლე მოაკლდა მთელ ქვეყანასო! (თუ ბავშვები ვერ იტყვიან ასე, მასწავლებელი განუმარტავს, რომ ლექსში ლენინი შედარებულია მზესთან).

— წავიკითხოთ ისევ ეს ოთხი სტრიქონი!..

მოულოდნელად დაგვიდგა  
სამგლოვიარო ხანაო,  
დაბნელდა მთელი ქვეყანა,  
შავი ჩაიცვა ცამაო.

(მცირე პაუზა).

- ვინ განაგრძობს კითხვას? (ხელს წვევენ, გამოიძახებენ საუკეთესოს)

ფრინველთ შეწყვიტეს გალობა,  
იმათაც იგრძენს, განაო!..

- შეჩერდი!.. რა ქნეს ფრინველებმა?
- გაჩუმდნენ. გალობა მიატოვეს!
- როგორ გესმით ეს გამოთქმა?
- ყველა შეწუხდაო.
- განაგრძე!..

ვაგლახ, მოგვიკვდა ლენინი,  
თავისუფლების მამაო.

- როგორ გესმით ეს გამოთქმა: „ვაგლახ, მოგვიკვდა ლენინი“?
- ვაიმე, რომ მოგვიკვდა ლენინი!
- რას უწოდებს ხალხი ლენინს?

— თავისუფლების მამას.

— დიახ, ლენინი და სტალინი მშრომელი ხალხის დიდი ბელადები არიან. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით მოიპოვა ხალხმა თავისუფლება! (მცირე პაუზა). ერთხელ კიდევ წავიკითხოთ უკანასკნელი ოთხი სტრიქონი!

(კითხულობენ:)

ფრინველთ შეწყვიტეს გალობა,  
იმათაც იგოძნეს, გახაო!  
ვაგლახ, მოკვიკვდა ლენინი  
თავისუფლების დამაო!

(პაუზა)

— წაიკითხეთ თავიდან ბოლომდე ჩუმად, თვალით, თქვენთვის, ახლავე წაგაკითხებთ თავიდან ბოლომდე ხნამალა!

(პირველკლასელები ჩუხად კითხულობენ, გამომეტყველებით წაკითხვისათვის ემზადებიან... მასწავლებელი ხან II, ხან III და ხან IV კლასს ესტუმრება, სადაც საჭიროა, მიუთითებს, დაეხმარება).

— (I კლასს) აბა, ვინ წაიკითხავს ლექსს თავიდან ბოლომდე?.. (გამოიძახებს გერ კარგ, შემდეგ საშუალო მოსწავლეს, მერე სუსტს... ყველას ივარჯიშებს კარგ კითხვაში, კითხვის ტექნიკის გაუმჯობესებაში. შემდეგ პირველკლასელებს მისცემს ასეთ დავალებას: ხალხური ლექსი „ლენინზე“ შინ დაისწავლეთ ზეპირად, ახლა კი თქვენს სახატავ რეეულებში წიგნიდან გადახატეთ მავზოლეუმი. პირველკლასელები ხატვას შეუდგებიან; ხოლო მასწავლებელი აპის შემდეგ II, III და IV კლასებთან არის, ეხმარება, ვისაც უჭირს. გაკვეთილის დასრულებამდე 2—3 წუთით ადრე ველას ჩამოართმევს რეეულებს, მისცემს საშინაო დავალებებს და ყთხივე კლასს ერთად გაუშვებს გარეთ).

Учитель. Скажите еще раз, какой мальчик был Вася?

Ученик. Вася был хороший и добрый мальчик.

Учитель. Хорошо! Достаньте тетради! Читайте, что написано на доске?

Ученик. Читает. „Отец дал Васе яблоко. Вася дал яблоко брату. Вася был добрый мальчик“. Пишите медленно и внимательно! Начните!

Учитель переходит к учащимся IV класса.

Кончили? Передайте тетради!

Домашнее задание: Выучите „Добрый мальчик“ рассказывать.

IV класс. (II половина урока).

Учитель. Кончили? Передайте тетради! Закройте книги Скажите, теперь какое время года?

Ученик. Теперь весна.

Учитель. Что делают колхозники весной в деревне?

Ученик. Весной колхозники в деревне работают на поле.

Учитель. Что колхозники делают на поле?

Ученик. Колхозники на поле пашут, сеют.

Учитель. Где еще работают колхозники весной?

Ученик. Они работают на огороде, в саду, в винограднике.

Учитель. Хорошо. Слушайте. Я прочту новый урок „Весною“. (Читает. Объясняет слова: боронить—ფარცხვა, сажают—ჩაყვებ, грядка—კვლი (ბოსტანში), быстрее—უფრო ჩქარა, лучше—უკეთესად). О чём читали?

Ученик. Наступила весна. Колхозники работают на поле, в садах, в винограднике. Одна бригада работает на поле, другая—в саду, третья—на огороде.

Учитель. Хорошо! Откройте книги! Читайте!

Ученик. (Читает. Объясняет слова по указанию учителя. Текст читают 3—4 ученика).

Учитель. Читайте первое предложение и скажите, какой вопрос можно поставить?

Ученик. (Читает). Наступила весна. Что наступила?

Учитель. Упражняет учеников в чтении и постановке вопросов.

Теперь Гиви будет ставить вопросы, а Петя отвечать.

Гиви. Что наступило?

Петя. Наступила весна.

Гиви. Где работают колхозники весной?

Петя. Весною колхозники работают на поле, в саду, на огороде, в винограднике.

Гиви. Что делает одна бригада?

Петя. Одна бригада пашет в поле, сеет, боронит...

Гиви. Как работают колхозники?

Петя. Колхозники работают весело.

Учитель. Довольно. Прочтите внимательно про себя „Весною“. Учитель уходит к учащимся II класса.

Учитель. Прочли? Расскажем.

Ученик. (Передает содержание). Домашнее задание: Выучить рассказывать „Весною“.

-

## არითმეტიკა

ორ კლასთან ერთდროული მეცადინეობა ყველა სასწავლო საგანში და, კერძოდ, არითმეტიკაში გულისხმობს თითოეული გაკვეთილის ისეთ ორგანიზებას, როცა გაკვეთილის ერთი ნაწილი ეთმობა მასწავლებლის ახსნას, მეორე ნაწილი კი—მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობას.

არითმეტიკის გაკვეთილებზე დამოუკიდებელი მუშაობის სახით შეიძლება ჩატარდეს ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნასთან დაკავშირებული ვარჯიშები. მოსწავლეთა დამოუკიდებელი მეცადინეობა ძირითადად ორგვარი სახით იწარმოებს: ერთ შემთხვევაში იგი გაკვეთილის ახსნას წინ უსწრებს, მეორე შემთხვევაში კი გაკვეთილის ახსნას მოსდევს. როცა დამოუკიდებელი მეცადინეობა გაკვეთილის ახსნას წინ უსწრებს, იგი ან წინათ ახსნილი მასალის საფუძველზე იქნება აგებული, ან აუხსნელი მასალისათვის მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენს; ხოლო, როცა დამოუკიდებელი მეცადინეობა გაკვეთილის ახსნას მოსდევს, მაშინ იგი ახალი მასალის განმტკიცებას ემსახურება.

დამოუკიდებელ სამუშაოდ მოსწავლეებს შეიძლება მიეცეს:

I კლასში—რიცხვების წერა, ამოცანის ტექსტის წიგნიდან გადაწერა (სასწავლო წლის II ნახევრიდან), მაგალითების გადაწერა დაფიდან, გადაწერილი მაგალითების ამოხსნა.

II კლასში—მაგალითების გადაწერა დაფიდან ან წიგნიდან, გადაწერილი მაგალითების ამოხსნა, ამოცანის შემოკლებული ტექსტის გადაწერა დაფიდან, ამოცანის ამოხსნის გეგმის გადაწერა დაფიდან, ამოცანის პირობის გადაწერა წიგნიდან.

III კლასში—მაგალითების გადაწერა დაფიდან ან წიგნიდან, გადაწერილი მაგალითების ამოხსნა, ამოცანის შემოკლებული პირობის გადაწერა დაფიდან, კითხვების ჩაწერა რვეულებში, სათანადო მოქმედების შესრულება.

IV კლასში—რიცხვითი მაგალითების გადაწერა დაფიდან ან კრებულიდან, გადაწერილი მაგალითების ამოხსნა, ამოცანის შემოკლებული პირობის გადაწერა დაფიდან, ზოგჯერ ამოცანის ტექსტის გადაწერა კრე-

ბულიდან, ამოცანის გეგმის კითხვების დაწერა, ამოცანის ამოხსნის სქემის გადაწერა დაფიდან და სხვ.

მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობისა და მათთან მასწავლებლის შეკადრების განაწილების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გაკვეთილის შემდეგი გეგმა:

### I კლასი

#### არითმეტიკა

ოთხი მოკმედება 20-ის ფარგალში  
(განმეორება)

1. მასწავლებელთან მუშაობა—15 წუთი საშინაო დავალების შემოწმება; მოსწავლეები მასწავლებლის გამოძახებისას იძლევიან დავალებად მიცემული მაგალითების (18:6+9; 4X4-7; 5X5-11; 18:9+13; 20:5+14; 4X3-7) პასუხებს.

თუ მაგალითი არასწორად იქნა ამოხსნილი, მაშინ იგი ხელმეორედ ამოიხსნება კლასში.

დავალების შემოწმების შემდეგ ამოცანებით ამოცანას:

„შალვას 6 სამკაპიკიანი აქეს, ვაქას კი—5 კაპიკით ნაკლები. რაჲდენი კაპიკი აქეს ვაქას?“.

ამოცანის აქოასნა დაიწერება დაფაზე და რვეულეში (3X6-5=13).

ამის შექდეგ მოსწავლეები ზეპირად ხსნიან მაგალითებს:

$$20:4+6; 4X5-11;$$

$$16:4+8; 4X3-7.$$

2. დამოუკიდებელი მუშაობა —20 წუთი

მოსწავლეები იწერენ და დამოუკიდებლად ხსნიან დაფაზე დაწერილ მაგალითებს:

$$(18-10):8= \quad 5X4:10=$$

$$(6+8):7= \quad 8X2:4=$$

$$(19-15)X3= \quad 14:7X1=$$

$$12:3X5=$$

$$2X7:2=$$

$$18:6X5=$$

### III კლასი

#### არითმეტიკა

მრავალნიშნა რიცხვის გამრავლება  
ორნიშნა რიცხვზე

1. დამოუკიდებელი მუშაობა—15 წუთი მოსწავლეები დამოუკიდებლად ხსნიან მაგალითებს—მრავალნიშნა რიცხვის გამრავლება ერთნიშნა რიცხვზე და მრავალ ათეულზე:

$$673X4; 732X5; 1364X4; 3158X6;$$

$$143X20; 156X30; 164X50; 128X40;$$

$$164X60; 264X30.$$

2. მასწავლებელთან მუშაობა —20 წუთი

ვაშოწმებთ დამოუკიდებელ სამუშაოდ მიცემული მაგალითების ამოხსნას და შემდეგ გადავალთ ახალი მასალის ახსნაზე.

პირველად ვუჩვენებთ იმ შემთხვევას როცა გამრავლებას ვიწყებთ ათეულზე ბიდან:

|   |   |
|---|---|
| $\begin{array}{r} 48 \\ \times 36 \\ \hline 1440 \\ + 288 \\ \hline 1728 \end{array}$ | $\begin{array}{r} 74 \\ \times 55 \\ \hline 3700 \\ + 370 \\ \hline 4070 \end{array}$ |
|---|---|

შემდეგ ამოვხსნით იმავე მ გალითებს, ნხოლოდ გამრავლებას ვიწყებთ ერთეულებიდან:

|              |              |
|--------------|--------------|
| 45           | 74           |
| <u>×36</u>   | <u>×55</u>   |
| 268          | 370          |
| <u>+1440</u> | <u>+3700</u> |
| 1728         | 4070         |

ამის შემდეგ ავუხსნით საშინა რიცხვის გაჩაველებს ორნაშნა რიცხვზე; ამოვხსნით დაფაზე მ გალითებს:

$$354 \times 23 \text{ და } 454 \times 34.$$

მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით დაფაზე და რვეულებში ხსნიან მაგალითებს:

$$158 \times 18; 263 \times 27; 456 \times 36.$$

ვადევთ საშინაო დავალებას—კრებულის, გვ 63, მაგ. № 634—637.

### 3. მასწავლებელთან მუშაობა—10 წუთი

დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების შემოწმება. საშინ.ო დავალება კრებულის, გვ. 107, მაგ. № 729.

### ვ. დამოუკიდებელი მუშაობა—10 წუთი

მოსწავლეები რვეულებში იწერენ:

ა) მ გალითებს, რომლებიც დაფაზე იქნა ამოხსნილი:  $354 \times 23$ ;  $456 \times 34$ ;

ბ) საშინაო დავალებას.

როცა არითმეტიკის გაკვეთილი ორივე კლასში ერთსა და იმავე საათებში ტარდება, შესაძლებელია მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობისა და მათთან მასწავლებლის მეცადინეობის სხვაგვარი განაწილებაც.

გაკვეთილი იყოფა ორ ნაწილად. პირველ ნაწილში მასწავლებელი მუშაობს უმცროს კლასთან. უფროსი კლასი ამ დროს ასრულებს დამოუკიდებელ სამუშაოს, რომელიც მასწავლებლის მიერ მომზადებულია არითმეტიკის წინა გაკვეთილზე. გაკვეთილის მეორე ნახევარში უმცროსი კლასი მასწავლებლის მიერ ჩატარებული მუშაობის საფუძველზე აწარმოებს დამოუკიდებელ მუშაობას. უფროს კლასში ამ დროს მასწავლებელი ატარებს მეცადინეობას, რათა მოამზადოს ის დამოუკიდებელი მუშაობისათვის არითმეტიკის მორიგ გაკვეთილზე. სასწავლო დროის ასეთი განაწილება კონკრეტულად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

## II კლასი

### ა რ ი თ მ ე ტ რ ი კ ა

მ-ის განზრავლება—განმეორება. ახალი მასალა—მ-ზე გაყოფა

#### 1. მასწავლებელთან მუშაობა — 20 წუთი

რამდენიმე წუთს დაეთმობთ ზეპირ ანგარიხს; ვაგ. რჯიშებთ მოსწავლეებს  $9 \times 5$ ;  $9 \times 6$ ;  $9 \times 7$ ;  $9 \times 8$ ;  $9 \times 9$  და ა. შ.

90—9—9—9—9 და ა. შ.  
ამის შემდეგ გავცხოვრობთ მ-ზე გაყოფას. თუ ლსაინობების გამოყენებით ამოვხსნით ამოცანება:

ა) რამდენი ცხრიანია 45-ში?; 63-ში? 54-ში?; 72-ში?; 81-ში?; 90-ში?;

ბ) მოწაფემ 36 კუბიკი დააწყობა მწკრივებდა. თითო მწკრივში 9 კუბიკი იყო. რამდენი მწკრივი ააშენა?

გ) კომბატოს 72-ჩათლი მწკრივად უნდა დარგონ, 9 ჩითილი თითო მწკრივში. რამდენი მწკრივი გავაშენოთ? დი მასწავლებელმა 45 რვეული თანასწორად დაურიგა 9 მოწაფეს. რამდენი ცალი რვეული მიუტოვა თითო მოწაფისათვის?;

ამოცანების ამოხსნა დაიწერება დაფაზე და რვეულებში.

გაყოფაზე ამოხსნით მაგალითებს:  $27 : 9$ ;  $54 : 9$ ;  $72 : 9$ ;  $81 : 9$  და ა. შ.

ამ მაგალითების ამოხსნის დროს ვაჩვენებთ. თუ გაყოფისას როგორ შიქმდება ცხრილური გამრავლების გამოყენება.

ამის შემდეგ ვაძლევთ საშინაო დავალებას: რვეულში ჩაწერეთ მ-ის გამრავლების ცხრილი და მის გვერდით მ-ზე გაყოფის ცხრილი.

#### 2. დამოუკიდებელი მუშაობა — 25 წუთი

მოსწავლეები თავიანთ რვეულებში დაფიდან გადაიწერონ და ამოხსნიან მაგალითებს:

## IV კლასი

### ა რ ი თ მ ე ტ რ ი კ ა

გამრავლება განაკუთრებული შემთხვევები—ერთი ან ორივე თანამრავლი დაბოლოებული ხელებით

#### 1. დამოუკიდებელი მუშაობა — 20 წუთი

მოსწავლეები თავიანთ რვეულებში დამოუკიდებლად ამოხსნიან დაფაზე წინასწარ დაწერილ მაგალითებს:  $5741 \times 335$ ;  $4199 \times 615$ .

ზეპიოდ ამოხსნიან და რვეულში დაწერილ მხოლოდ პასუხებს:  $6 \times 700$ ;  $4 \times 400$ ;  $500 \times 9$ ;  $800 \times 4$ ;  $6 \times 400$ ;  $9 \times 5000$ ;  $7 \times 5000$ ;  $5 \times 8000$ ;  $6000 \times 8000$ .

#### 2. მასწავლებელთან მუშაობა — 25 წუთი

ვამოწმებთ დამოუკიდებელ სამუშაოს შემდეგ ამოხსნით მაგალითებს, განვიხილავთ გამრავლების შემთხვევებს:

$$\begin{array}{lll} 9 \times X = 8 & 18 : 9 = & 9 \times X = 45 \\ 9 \times X = 27 & 27 : 9 = & 9 \times X = 72 \\ 9 \times X = 36 & 36 : 9 = & 9 \times X = 81 \end{array}$$

$$\begin{array}{lll} 45 : 9 = & 9 \times X = 54 & 54 : 9 = \\ 72 : 9 = & 9 \times X = 63 & 63 : 9 = \\ 81 : 9 = & 9 \times X = 90 & 90 : 9 = \end{array}$$

ამ მაგალითებს დაფაზე დაეწოთ წინასწარ, გაკვეთილის დაწყებამდე. დამოუკიდებელ სამუშაოს შევამოწმებთ სახლში, შედგება მოსწავლეებს გავაცნობთ არითმეტიკის მორიგ გაკვეთილებზე.

$$\begin{array}{lll} ა) 320 & ბ) 248 & გ) 3600 \\ \times 19; & \times 170 & \times 380 \\ დ) 76000 & ე) 35600 & \\ \times 2400; & \times 470. & \end{array}$$

პირველად დაფაზე ვაჩვენებთ პირველი ორი მაგალითის ამოხსნას. შემდეგ მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით თავიანთ რვეულებში ამოხსნიან ისეთივე მაგალითებს:

$$\begin{array}{ll} 570 & 759 \\ \times 62 & \times 380 \end{array}$$

ამის შემდეგ ვაჩვენებთ გამრავლების დანარჩენ შემთხვევებს და ამოვხსნით მაგალითებს:

$$\begin{array}{lll} 3700 & 68000 & 19000 \\ \times 210 & \times 470 & \times 38.0 \end{array}$$

საშინაო დავალება: კრებულო, გვ. 43, მაგ. № 395.

საშინაო დავალების შესრულებისათვის ვაძლევთ საკირო ახსნა-განმარტებას

## II

### II კლასი

გაკვეთილის მასალა: 9-ის გამრავლება და 9-ზე გაყოფა (განწეობა).

#### I. მასწავლებელთან მუშაობა — 25 წუთი

ზეპირი ანგარიში: 9 რამდენზე უნდა გავამრავლოთ, რომ მივიღოთ 27? 54? 36? 63? 81? და ა. შ. 72 : 9; 36 : 9; 45 : 9; და ა. შ.

ამის შემდეგ ამოვხსნით ამოცანას და მაგალითებს.

ამოცანა. 9 კვ ფქვილში 45 მანეთი გადაიხადეს; მეორედ 3 კვ ფქვილი იყიდეს და კილოგრამ ფქვილში 4 მანეთით მეტი გადაიხადეს, ვიდრე პირველად. რამდენი გადაიხადეს ფქვილში მეორედ?

### IV კლასი

გაკვეთილის მასალა — მრავალნიშნარიცხვების გამრავლების განსაკუთრებული შემთხვევები — მამრავლის შუა ციფრები ნულებია.

#### I. დამოუკიდებელი მუშაობა — 25 წუთი

მოსწავლეები დაფიდან იწერენ და ხსნიან დაფაზე წინასწარ დაწერილ ამოცანას და მაგალითებს.

ამოცანა. ერთი ქარხნიდან ყოველდღე 16500 ცალი აგური გააქვთ, მეორიდან — 20500. რამდენ აგურს გაიტანენ 12 დღეში ორივე ქარხნიდან?

მაგალითები:

$$\begin{array}{lll} 5700 & 8100 & 9900 \\ \times 2700 & \times 4800 & \times 7900 \end{array}$$



მაგალითები:

81 : 9X6; 63 : 9X5; (28+35) : 9;  
(9;3-39) : 9.

ამოცანისა და მაგალითების ამოხსნა დაიწერება დაფაზე და რვეულებში. საშინაო დავალება. კრებული, გვ. 78, მაგ. № 758.

2. დამოუკიდებელი მუშაობა — 20 წუთი

მოსწავლეები წიგნიდან იწერენ და ხსნიან ამოცანას; კრებული, გვ. 78, ამოცანა № 751. დაფიდან იწერენ და ხსნიან მაგალითებს:

81 : (35-26); 54 : (64-55); (9X8) — (9X5).

2. მასწავლებელთან მუშაობა — 20 წუთი

საშინაო დავალებისა და დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების შემოწმების შემდეგ გაეარჩეთ გამრავლების შემთხვევას:

$$\begin{array}{r} \times 264 \\ 103 \end{array} \quad \begin{array}{r} \times 1246 \\ 2103 \end{array}$$

ამის შემდეგ მოსწავლეები დაფაზე და რვეულებში ხაზიან მაგალითებს:

$$\begin{array}{r} \times 524 \\ 305 \end{array} \quad \begin{array}{r} \times 1457 \\ 2003 \end{array} \quad \begin{array}{r} \times 5458 \\ 3007 \end{array}$$

საშინაო დავალება. კრებული, გვ. 41, მაგ. № 335.

მოსწავლეთა მიერ დამოუკიდებლად ამოსახსნელი მაგალითები და ამოცანები სიძნელისა და მოცულობის მხრივ დაახლოებით ისე უნდა შეირჩეს, რომ მოსწავლეებმა ნამდვილად შეძლონ მათი დამუშავება გათვალისწინებულ დროში, თორემ ჩამორჩენა ან წინ გასწრება ერთ რომელიმე კლასში ხელს შეუშლის მეორე კლასის მუშაობას. საკირო შემთხვევაში მოსწავლეთა იმ ნაწილს, რომელმაც ადრე შეასრულა დავალება, ეძლევა დამატებითი სამუშაო. დამოუკიდებელი სამუშაოს მიცემის წინ მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს საკირო ახსნა-განმარტება დავალების შესრულების შესახებ.

შოგვეყავს ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის ნიმუშები

I

I და III კლასი

გაკვეთილის მასალა: I კლასში — 3-ის მიმატება, III კლასში — სამნიშნა რიცხვის გაყოფა ერთნიშნა რიცხვზე, როცა გასაყოფის ყველა წევრი უნაშთოდ იყოფა მოცემულ გამყოფზე.

გაკვეთილის მსვლელობა

— (I კლასს). ამოიღეთ რვეულები, კალმისტრები! მოემზადეთ საწერად! გადაწერეთ და ამოხსენით დაფაზე დაწერილი მაგალითები! (მა-

გალითები გავლილი მასალიდან ორის მიმატება—გამოკლებაზე მასწავლებელმა წინასწარ, გაკეთილის დაწყებამდე უნდა დაწეროს).

მოსწავლეები იწერენ და ხსნიან მაგალითებს:

|           |            |           |
|-----------|------------|-----------|
| $3 + 2 =$ | $5 - 2 =$  | $6 + 2 =$ |
| $2 + 2 =$ | $6 + 2 =$  | $3 - 2 =$ |
| $4 - 2 =$ | $10 - 2 =$ | $7 - 2 =$ |

III კლასში ვამოწმებთ საშინაო დავალებას. მოსწავლეები მასწავლებლის გამოძახებისას იძლევიან საშინაო დავალებად მიცემული მაგალითების ( $215 \times 3$ ;  $216 \times 7$ ;  $104 \times 8$ ;  $208 \times 3$ ;  $163 \times 5$ ;  $147 \times 6$ ;  $106 \times 9$ ;  $104 \times 5$ ;) პასუხებს.

თუ რომელიმე მაგალითი მოსწავლის შიერ სწორად არ არის ამოხსნილი, მაშინ ის ხელმეორედ უნდა იქნას ამოხსნილი კლასში.

ახალი მასალის დაპუშვების წინ გავიმეორებთ სამნიშნა რიცხვის გაყოფას ერთნიშნაზე, როცა ასეულების რიცხვი უნაძთოდ იყოფა ერთნიშნა რიცხვზე.

დაფაზე დავუწეროთ მაგალითს:  $800 : 2 =$

— გადაწერეთ და ამოხსენით. (მცირე პაუზა). რამდენი მიიღეთ?  
— 400.

ამოეხსნით კიდევ რამდენიმე მაგალითს:  $900 : 3$ ;  $600 : 2$ ;  $800 : 4$ ,

— 900 როგორ უნდა გავყოთ 3 ზე?

— 900-ში არის 9 ასეული; 9 ასეული გავყოთ 3-ზე, მივიღებთ 3 ასეულს, ე. ი. 300-ს.

— ახლა ასეთი მაგალითი ამოეხსნათ:  $428 : 2$ .

ერთი მოსწავლე გამოგვყავს დაფასთან, დანარჩენები კი იწერენ რეეულუმში.

— რამდენი ასეულია 428-ში? რამდენი ათეული? რამდენი ერთეული?

— 428-ში არის 4 ასეული, 2 ათეული და 8 ერთეული.

— 4 ასეული გავყოთ 2-ზე. რამდენი ასეული იქნება?

2 ასეული.

— დაწერეთ ტოლობის შემდეგ 2 ასეული.

(როცა III კლასის მოსწავლეები წერენ რეეულუმში, ამ დროს ვიყენებთ, მივალთ I კლასის შედარებით სუსტ მოსწავლესთან და, თუ საჭირო იქნება, ვაძლევთ მას სათანადო მითითებებს).

— 2 ათეული გავყოთ 2-ზე. რამდენი ათეული იქნება?

ერთი ათეული.

— ასეულების შემდეგ დაწერეთ ერთი ათეული. რა დარჩა გასაყოფი?

— 8 ერთეული?

— რამდენია—8 ერთეული გაყოფილი 2-ზე?

— 4 ერთეული.

2 ათეულების შემდეგ დაწერეთ 4 ერთეული. მივიღებთ ასეთ ჩანაწერს:

$$428 : 2 = 214 \text{ ას. } 1 \text{ ათ. } 4 \text{ ერთ.}$$

— რამდენი ასეული მივიღეთ?

— 2 ასეული.

— რამდენი ათეული მივიღეთ?

— 1 ათეული.

— რამდენი ერთეული მივიღეთ?

— 4 ერთეული.

— რა რიცხვია: 2 ას. 1 ათ. და 4 ერთეული?—214.

ასევე ამოხსნით მაგალითებს: 693 : 3; 682 : 2; ხოლო ჩაეწერთ შემოკლებულად:

$$693 : 3 = 231; \quad 682 : 2 = 341.$$

— დაფიდან გადაწერეთ და ამოხსნით მაგალითები:

|         |         |         |
|---------|---------|---------|
| 282 : 2 | 555 : 5 | 629 : 3 |
| 464 : 2 | 888 : 8 | 448 : 4 |
| 848 : 4 | 484 : 4 | 777 : 7 |
| 633 : 3 | 966 : 3 | 288 : 2 |

— (1 კლასხ). გივი! წამიკითხე პირველა მაგალითი.

გივი კითხულობს. დანარჩენს ვაფრთხილებთ ხელი ასწიონ იმ შემთხვევაში, თუ ისეთივე პასუხი აქვთ მიღებული.

ყოველი ახალი მაგალითი უნდა წავაკითხოთ ახალ მოსწავლეს.

ამ წესით უნდა შემოწმდეს ყველა მაგალითი. ამის შემდეგ გადავალთ ახალი მასალის ახსნაზე.

— ავიღოთ ერთი კოჭი და მას მივუმატოთ სამი კოჭი; ჯერ 2 კოჭი მივუმატოთ. რამდენი იქნება?

— იქნება 3 კოჭი.

— კიდევ ერთი კოჭი მივუმატოთ. რამდენი მივიღეთ?

— 4 კოჭი.

— მაშ, რამდენია—1 კოჭი და 3 კოჭი?

— 4 კოჭი.

— 2 კოჭს მივუმატოთ 3 კოჭი. აქაც, ჯერ 2 კოჭი მივუმატოთ.

რამდენი იქნება?

— იქნება 4 კოჭი.

— 4 კოჭს კიდევ მივუმატოთ 1 კოჭი. რამდენი იქნება?

— იქნება 5 კოჭი.

— მაშ, რამდენია—2 კოჭი და 3 კოჭი?

— 5 კოჭი.

— 3 კოქს მივუმატოთ 3 კოქი. აქაც, ჯერ 2 კოქი მივუმატოთ. რამდენი იქნება?

— იქნება 5 კოქი.

— 5 კოქს კიდევ მივუმატოთ ერთი კოქი. რამდენი იქნება?

— 6 კოქი.

— მაშასადამე, რამდენია—3 კოქი და 3 კოქი?

— 6 კოქი.

ასევე გავარჩევთ მაგალითებს:  $4 + 3$ ;  $5 + 3$ ;  $6 + 3$ .

— აიღეთ 2 ჩხირი, მიუმატეთ 3 ჩხირი. რამდენი ჩხირი მიიღეთ?

— მივიღეთ 5 ჩხირი.

— 5 ჩხირს მიუმატეთ 3 ჩხირი. რამდენი მიიღეთ?

— მივიღეთ 8 ჩხირი.

— მაგიდაზე 7 რვეული იყო; კიდევ 3 რვეული მიუმატეს. რამდენი რვეულია მაგიდაზე?

— მაგიდაზე არის 10 რვეული.

— რამდენი იქნება  $3 + 3$ ?

—  $3 + 3$  იქნება 6.

— რამდენი იქნება  $4 + 3$ ?

—  $4 + 3$  იქნება 7.

— რამდენი იქნება  $6 + 3$ ?

—  $6 + 3$  იქნება 9.

ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს:

$$1 + 3 = 4 \qquad 4 + 3 = 7$$

$$2 + 3 = 5 \qquad 5 + 3 = 8 \qquad 7 + 3 = 10$$

$$3 + 3 = 6 \qquad 6 + 3 = 9$$

დავალება. კრებული, გვ. 24, მაგალითი № 38;

ავალებს მოსწავლეებს გადაწერონ რვეულებში.

— (III კლასს). წაიკითხე პირველი მაგალითი. (ერთი მოსწავლე კითხულობს. დანარჩენს ვაფრთხილებთ ხელი ასწიონ იმ შემთხვევაში, თუ ისეთივე პასუხი აქვთ მიღებული).

ყოველ ახალ მაგალითს წაეაკითხებთ ახალ მოსწავლეს.

ამ გზით უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელ სამუშაოდ მიცემული ყველა მაგალითი.

თუ რომელიმე მოსწავლეს მაგალითი სწორად არა აქვს ამოხსნილი, ეს მაგალითი დაფაზე უნდა ამოიხსნას.

— ჩაიწერეთ საშინაო დავალება. (კრებული, გვ. 23., № 245 და 246).

I კლასის მოსწავლეებს სათანადო ახსნა-განმარტება საშინაო დავალების შესახებ ეძლევა მაშინ, როცა III კლასის მოსწავლეები თავიანთ რვეულებში იწერენ დავალებას.

II  
II და IV კლასი

გაკვეთილის მასალა: II კლასში—არაცხრილური გაყოფა ასის ფარგალში, IV კლასში—ამოცანის ამოხსნა ანალიზითა და სინთეზით.

ამოცანა. კოოპერატივში 16 ნაქერი ერთნაირი ღირსების ტილო იყო. თითო ნაქერში 28 მეტრია. მეტრ ტილოს ყიდდნენ 9 მან. 50 კაპ. როცა მთელი ტილოს ერთი მეოთხედი ნაწილი გაყიდეს, 56 მან. მოგება ნახეს. რა უღირდა კოოპერატივს მეტრი ტილო?

გაკვეთილის მიზანი

II კლასი

გავაცნოთ მოსწავლეებს ორნიშნა რიცხვის ერთნიშნაზე გაყოფის ხერხები.

IV კლასი

მოსწავლეთა ვარჯიშობა ამოცანის ამოხსნაში ანალიზითა და სინთეზით და მით სწორა ლოგიკური მსჯელობის განვითარება.

გაკვეთილის მხვლელობა

— (II კლასს). წამიკითხე, რა წერია დაფაზე? (მოსწავლე კითხულობს მასწავლებლის მიერ წინასწარ დაფაზე დაწერილ მაგალითს:  $12 \times 5 + 33$ ).

— პირველად რა მოქმედება უნდა შევასრულოთ?

— გამრავლება.

— შემდეგ რა მოქმედება?

— შეკრება.

— გადაწერეთ და ამოხსენით.

IV კლასში საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ გადავდივართ ამოცანის ამოხსნაზე.

— ყური მიგდეთ! მე წაეიკითხავ ამოცანას.—მასწავლებელი კითხულობს ამოცანას და პირობას შემოკლებულად წერს დაფაზე. მოსწავლეები იმასვე წერენ რვეულებში.

დაფაზე ამოცანა დაიწერება ასე:

16 ნაქერი 28 მ. მეტრი—9 მან. 50 კაპ. გაყიდეს  $\frac{1}{4}$  ნაწილი, მოგება 56 მან. რა უღირდა კოოპერატივს მეტრი ტილო?

— რამდენი ნაქერი ტილო ჰქონდა კოოპერატივს?

— კოოპერატივს ჰქონდა 16 ნაქერი ტილო.

— რამდენი მეტრი იყო თითო ნაქერში?

— თითო ნაქერში იყო 28 მეტრი.

— როგორ ყიდდნენ მეტრ ტილოს?

- მეტრ ტილოს ყიდდნენ 9 მან. 50 კაპ.
- ტილოს ერთი მეოთხედი ნაწილის გაყიდვის შემდეგ რა მოგება დარჩა კოოპერატივს?
- კოოპერატივს დარჩა 56 მან. მოგება.
- რას გვეკითხებიან ამოცანაში?
- ამოცანაში გვეკითხებიან, რა უღირდა კოოპერატივს მეტრი ტილო.
- ჩუმად გაიმეორეთ ამოცანის პირობა. ახლავე გაგამეორებინებთ.
- (II კლასს). რამდენი მიიღეთ?
- 93.
- როგორ გამოიანგარიშე?
- 5 ჯერ 12 ასე გამოვიანგარიშე:  $5 \times 10 = 50$ ;  $5 \times 2 = 10$ ;  $50 + 10 = 60$ ;
- განაგრძე შემდეგ! (მეორე მოსწავლეს).
- 60-ს უნდა მიეუმატოთ 33;  $60 + 30 = 90$ ;  $90 + 3 = 93$ .
- მეორე კლასის მოსწავლეებს დაფაზე ვუწერთ მაგალითს:  $16 \times 4 - 28$  და ვაგვალბებთ გადაწერონ და ამოხსნან.
- (IV კლასს). ვინ გაიმეორებს ამოცანის პირობას? (ერთი მოსწავლე იმეორებს). ვიწყებთ ამოცანის ამოხსნას ანალიზით.
- რას გვეკითხებიან ამოცანაში?
- რა უღირდა კოოპერატივს მეტრი ტილო.
- რა და რა რიცხვები უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი მოქმედებით გავიგოთ—რა უღირდა კოოპერატივს მეტრი ტილო?
- უნდა ვიცოდეთ ორი რიცხვი: პირველი—როგორ ყიდდნენ მეტრ ტილოს და მეორე—რამდენს იგებდნენ მეტრში.
- ვიცით თუ არა ეს რიცხვები?
- ვიცით, როგორ ყიდდნენ მეტრ ტილოს. არ ვიცით—რამდენს იგებდნენ მეტრში.
- რა და რა რიცხვები უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი მოქმედებით გავიგოთ—რამდენს იგებდნენ მეტრში?
- უნდა ვიცოდეთ ორი რიცხვი: პირველი—რამდენი მოიგეს გაყიდულ ტილოში და მეორე—რამდენი მეტრი გაყიდეს.
- ვიცით თუ არა ეს რიცხვები?
- პირველი ვიცით: მოიგეს 56 მან.; მეორე არ ვიცით.
- რა და რა რიცხვები უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი მოქმედებით გავიგოთ—რამდენი მეტრი გაყიდეს?
- მოიფიქრეთ!
- (II კლასს). რამდენი მიიღეთ?—36.
- როგორ გამოიანგარიშე?
- 4-ჯერ 16 ასე ვიანგარიშე: 4-ჯერ 10 არის 40; 4-ჯერ 6 არის

24;  $40 + 24 = 64$ ; ახლა 64-ს უნდა გამოაკლდეს 28; ჯერ გამოვაკლოთ 20; დარჩება 44; მიღებულ რიცხვს კიდევ გამოვაკლოთ 8; დარჩება 36.

— ახლა ასეთი მაგალითი ამოხსენით:  $5 \times 15 - 28 + 19$ .

— (IV კლასს). აბა, რას გვეტყვი?

— უნდა ვიცოდეთ ორი რიცხვი: პირველი—რამდენი მეტრი ტილო ჰქონდა სულ კოოპერატივს და მეორე—ამ ტილოს რა ნაწილი გაყიდეს.

— ვიცით თუ არა ეს რიცხვები?

— პირველი არ ვიცით; მეორე ვიცით—გაყიდულია ტილოს ერთი მეოთხედი ნაწილი.

— რა და რა რიცხვები უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი მოქმედებით გავიგოთ—რამდენი მეტრი ტილო ჰქონდა კოოპერატივს?

— უნდა ვიცოდეთ ორი რიცხვი: პირველი—რამდენი მეტრი ტილო იყო თითო ნაპერში და მეორე—რამდენი ნაპერი იყო სულ?

— ვიცით თუ არა ეს რიცხვები?

— ვიცით; 5 პერში იყო 28 მ ტილო და სულ ჰქონდათ 16 ნაპერი. ამით დასრულდა ანალიზი. ახლა ვიწყებთ სინთეზს.

— რისთვის უნდა გვცოდნოდა რიცხვები, თუ რამდენი მეტრი ტილო იყო თითო ნაპერში და რამდენი ნაპერი იყო სულ?

— ეს უნდა გვცოდნოდა იმისათვის, რომ გავგეგოთ, რამდენი მეტრი ტილო ჰქონდა კოოპერატივს სულ.

— როგორ გავიგოთ—რამდენი მეტრი ტილო ჰქონდა კოოპერატივს?

— 28 მ უნდა გავამრავლოთ 16 ზე.

— შალვა! გაჰოდი დაფასთან. ჩემად დაწერე პირველი კითხვა და შეასრულე სათანადო მოქმედება. დანარჩენებმა—რეველებმა.

$$\begin{array}{r} 28 \text{ მ} \\ \times 16 \\ \hline 168 \\ 28 \phantom{0} \\ \hline 448 \text{ მ} \end{array}$$

— (II კლასს). რამდენი მიიღეთ?—66.

— იანგარიშე.

— 5 ავიღე 15-ჯერ, იქნება 75;  $75 - 28 = 47$ ;  $47 + 19 = 66$ .

ამის შემდეგ II კლასს დაფაზე დაეუწერთ ასეთ მაგალითს:  $63 : 3$ .

— წაიკითხეთ მაგალითი (მოსწავლე კითხულობს).

— ჯერ სამზე გავყოთ ათეულები, შემდეგ ერთეულები. აბა, ვინ შეასრულებს მოქმედებას?

—  $60 : 3 = 20$ ;  $3 : 3 = 1$ ;  $20 + 1 = 21$ , მაშ,  $63 : 3 = 21$ .

— ახლა ერთეულებიდან დავიწყით გაყოფა. იანგარიშეთ?

—  $3 : 3 = 1$ ;  $60 : 3 = 20$ ;  $20 + 1 = 21$ .

- ახლა 48 გავყოთ 4-ზე. იანგარიშეთ.
- $40 : 4 = 10$ ;  $8 : 4 = 2$ ;  $10 + 2 = 12$ .
- კიდევ როგორ შეგვიძლია გაყოფა?
- $8 : 4 = 2$ ;  $40 : 4 = 10$ ;  $10 + 2 = 12$ .
- 88 გავყოთ 4-ზე.
- (IV კლასს). მაშ, რამდენი მეტრი ტილო ჰქონია კოოპერატივს?
- კოოპერატივს ჰქონია 448 მეტრი ტილო.
- რისთვის უნდა გვცოდნოდა—რამდენი მეტრი ტილო ჰქონდა სულ კოოპერატივს და მისი რა ნაწილი გაყიდეს?
- რომ გავვეგო—რამდენი მეტრი ტილოა გაყიდული.
- როგორ გავიგოთ ეს?
- 448 მ უნდა გავყოთ 4-ზე.
- ვანო! გამოდი დაფასთან. ჩუმაღ დაწერე მეორე კითხვა და შეასრულე სათანადო მოქმედება. სხვებმა—რვეულებში.
- ( $448 მ : 4 = 112 მ$ ).
- (II კლასს). რამდენი მიიღეთ?—22.
- როგორ იანგარიშეთ?
- $80 : 4 = 20$ ;  $8 : 4 = 2$ ;  $20 + 2 = 22$ .
- ბავშვებო, 4-ზე გაყოფა კიდევ შეიძლება ასე: გავყოთ რიცხვი შუაზე და მიღებული რიცხვი კიდევ შუაზე. მაშ, მიანგარიშეთ ამ ხერხით  $88 : 4$ .
- $88 : 2 = 44$   $44 : 2 = 22$ .
- ახლა  $75 : 3$ ; ჯერ რა გავყოთ 3-ზე?
- ჯერ 3-ზე გავყოთ 60.
- რატომ არა 70?
- 70 არ იყოფა 3-ზე.
- იანგარიშეთ!— $60 : 3 = 20$ ;  $15 : 3 = 5$ ;  $20 + 5 = 25$
- ამრიგად,  $75 : 3 = 25$ .
- ახლა ასეთი მაგალითი ამოხსენით:  $56 : 4$ .
- (IV კლასს). რამდენი მიიღეთ?—112 მ.
- რას გვიჩვენებს რიცხვი 112?
- ეს გვიჩვენებს, რამდენი მეტრი ტილოა გაყიდული.
- რისთვის უნდა გვცოდნოდა—რამდენი მოიგეს გაყიდულ ტილოში და რამდენი მეტრია სულ გაყიდული?
- რომ გავვეგო—რამდენს იგებდნენ მეტრში.
- როგორ გავიგებთ ამას?
- 56 მან. უნდა გავყოთ 112-ზე.
- მაშ, რა არის მესამე კითხვა?
- რამდენი მოიგეს მეტრ ტილოში?
- პაატა! გამოდი დაფასთან. ჩუმაღ დაწერე კითხვა და შეასრულე სათანადო მოქმედება. სხვებმა—რვეულებში.



(56 მან: 112=5600 კაპ: 112=50 კაპ.)

560

— (II კლასს). რამდენი მიიღეთ?—14.

— გამოიანგარიშეთ!

—  $40 : 4 = 10$ ;  $16 : 4 = 4$ ;  $10 + 4 = 14$ .

— 51 გაეყოთ 3-ზე. იანგარიშეთ!

—  $30 : 3 = 10$ ;  $21 : 3 = 7$ ;  $10 + 7 = 17$ .

— ამოხსენით მაგალითი  $78 : 6$ .

— (IV კლასს). რამდენი მიიღეთ? — 50 კაპ.

— რა გაევიგეთ ახლა?

— რამდენს იგებდნენ მეტრში.

— რისთვის უნდა გვეცოდნოდა -- როგორ ყიდდნენ მეტრ ტილოს და რამდენს იგებდნენ მეტრში?

— რომ გაგვეგო—რა უღირდა კოოპერატივის მეტრი ტილო.

— როგორ გაევიგოთ ეს?

— 9 მან. 50 კაპ. უნდა გამოვაკლოთ 50 კაპ.

— შოთა! გამოდი დაფასთან. ჩუმად დაწერე მეოთხე კითხვა და შეასრულე სათანადო მოქმედება. სხვებმა—რვეულებში.

(9 მან. 50 კაპ.— 50 კაპ=9 მან.)

— (II კლასს). იანგარიშეთ:  $60 : 6 = 10$ ;  $18 : 6 = 3$ ;  $10 + 3 = 13$ .

როგორ შევამოწმოთ, რომ პასუხი სწორია? —  $13 \times 6 = 78$ .

—  $84 : 6$ . იანგარიშეთ!

— (IV კლასს). რამდენი მიიღეთ?

— 9 მან.

— მაშ, რამდენი უღირდა კოოპერატივის მეტრი ტილო?

— მეტრი ტილო კოოპერატივის უღირდა 9 მან.

— ჩაწერეთ ამოცანის პასუხი.

— (II კლასს). იანგარიშეთ:

$60 : 6 = 10$ ;  $24 : 6 = 4$   $10 + 4 = 14$ .

ს ა შ ი ნ ა ო დ ა ვ ა ლ ე ბ ა .

II კლასს—კრებული, გვ. 94, მაგ. № 915 და 916.

IV კლასს—კრებული, გვ. 94, ამოცანა № 835.

დახურეთ რვეულები და წიგნები და შეინახეთ.

### III

#### I და III კლასი

გაკვეთილის მასალა: I კლასში—ერთნიშნა რიცხვის მიმატება 9-სათვის (ახალი მასალა).

III კლასში. — შედგენილი სახელდებული რიცხვების შეკრება და გამოკლება (საკონტროლო სამუშაო).

### გაკვეთილის მსვლელობა

III კლასს დაეურიგებთ რვეულებს და ვაძლევთ დავალებას:

— ამოიღეთ კალმისტრები, მოემზადეთ საწერად. დასხედით სწორად. სუფთად დაწერეთ დღევანდელი თარიღი. დღეს, როგორც გითხარით, გეწებათ საკონტროლო წერიტი სამუშაო.

მოსწავლეები ათვლიერებენ რვეულებს, უკვირდებიან წინა გაკვეთილზე მათ მიერ სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების დროს დაშვებულ შეცდომებს, შექდეგ წერენ რვეულებში:

„15 დეკემბერი. საკონტროლო სამუშაო № 18“.

ამ დროს I კლასში გამოწმებთ საშინაო დავალებას: მოსწავლეები მასწავლებლის გამოძახებისას იძლევიან საშინაო დავალებად მიცემული მაგალითების ( $9 + ? = 10$ ;  $8 + ? = 10$ ;  $7 + ? = 10$ ;  $9 + 1 + 1$ ;  $8 + 2 + 1$ ) პასუხებს.

თუ რომელიმე მაგალითი მოსწავლის მიერ სწორად არ არის ამოხსნილი, ის ხელმეორედ ამოიხსნება კლასში.

ამის შემდეგ ვაძლევთ დამოუკიდებელ სამუშაოს.

— გადაწერეთ და ამოხსენით მაგალითები (მაგალითები მასწავლებელმა დაფახე უნდა დაწეროს გაკვეთილის დაწყებამდე):

|            |              |
|------------|--------------|
| $8 + 2 =$  | $9 + ? = 10$ |
| $9 + 1 =$  | $7 + ? = 10$ |
| $10 + 3 =$ | $1 + ? = 10$ |
| $10 + 6 =$ | $2 + ? = 10$ |

(ეს სავარჯიშოები ისეთი ხასიათისაა, რომელიც ერთგვარ ნიადაგს უმზადებს ახალი მასალის დამუშავებას).

იმ დროის განმავლობაში, როცა I კლასი ასრულებს დამოუკიდებელ სამუშაოს, მასწავლებელი III კლასის მოსწავლეებთან ანალიზს უკეთებს იმ შეცდომებს, რომლებიც დაუშვეს მათ წინა გაკვეთილზე დამოუკიდებელი მუშაობის დროს. შეცდომების გარჩევის შემდეგ მიმართავს კლასს:

გადაწერეთ და ამოხსენით მაგალითები:

|                               |   |
|-------------------------------|---|
| 7 კმ 745 მ + 16 კმ 265 მ =    | - |
| 4 კმ 349 მ - 714 მ =          |   |
| 6 ტ 780 კგ + 8 ტ 840 კგ =     |   |
| 7 ტ 227 კგ - 5 ტ 568 კგ =     |   |
| 9 სთ 52 წუთი + 3 სთ 33 წუთი = |   |
| 8 სთ - 4 სთ 46 წუთი =         |   |

ეს მაგალითები მასწავლებლის მიერ დაფაზე გაკვეთილის დაწვებამდე უნდა იყოს დაწერილი.

მოსწავლეებმა თითო მაგალითი უნდა წერონ თითო სტრიქონში; მარჯვენა ნაწილში უნდა აწარმოონ სათანადო გამაზიარებება და საბოლოო პასუხი უნდა დაწერონ ტოლობის ნიშნის შემდეგ.

მუშაობის პროცესში მასწავლებელი 2—3 ჯერ გაივლის მერხებს შორის.

1 კლასხ. (მიმართავს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია დამოუკიდებელი სამუშაო).

— დაასრულეთ ის მაგალითი, რომელსაც ახლა აკეთებთ. შემდეგ გადადის ახალი მასალის ახსნაზე.

— ერთ მავთულზე 9 კოჭია, მეორეზე—2 კოჭი, რამდენი კოჭია ორივე მავთულზე? როგორ გავიგებთ, რამდენი კოჭია ორივე მავთულზე?

— 9-ს უნდა მივუმატოთ 2.

— აიღე საანგარიშზე 9 კოჭი. რამდენი უნდა დავმატოთ 9-ს რომ 10-ად შესრულდეს?

— ერთი.

— დაუმატე.

მოსწავლე უმატებს ერთ კოჭს.

— რამდენი იყო სულ დასამატებელი?

— ორი.

— რამდენი დარჩა დასამატებელი?

— ერთი.

— მიუმატე. რამდენი მიიღე?

— 11.

მასწავლებელი დაფაზე წერს  $9 + 2 = 11$ . მიმატება დაიწერება აგრეთვე იმ თანაბმდევრობით, როგორც ეს საანგარიშზე შეარულდა:  $9 + 1 + 1 = 11$ .

ამის შემდეგ დაფაზე დავწერო ახალ მაგალითს:  $9 + 4$  და ჩავატარებთ ასეთ საუბარს:

— აიღეთ 9 ჩხირი. რამდენი უნდა მივმატოთ ამას, რომ 10 მივიღოთ?

— უნდა მივმატოთ 1.

— მიუმატეთ. რამდენი დარჩა კიდევ მისამატებელი?

— 3.

— საიდან მიიღეთ 3?

— მისამატებელი იყო 4; მივუმატეთ 1.  $4 - 1 = 3$ .

— 10 ჩხირს მიუმატეთ 3 ჩხირი. რამდენი მიიღეთ?

— 13.

— მაშ, რამდენია  $9 + 4$ ?

— 13.

მასწავლებელი დაფაზე წერს პასუხს.

— აილე საანგარიშზე 9 კოჭი, ამას გვინდა მივუმატოთ 5. დაწერე ეს მაგალითი დაფაზე. მოსწავლე წერს:  $9 + 5$ .

— რამდენი უნდა მივმატოს 9-ს, რომ 10-ად შესრულდეს?

— ერთი.

— რამდენი დარჩა მისაპატებელი?

— ოთხი.

— მიუმატე 10 ს 4. რამდენი მიიღეთ?

— 14.

ასევე გაფარჩეთ სხვა მაგალითებსაც:  $9 + 6$ ;  $9 + 7$ ;  $9 + 8$ ;  $9 + 9$ . ამის შემდეგ მიიციეშთ განყენებულ მაგალითებს.

— რამდენია 9 და 6?

— 9 და 6 არის 15.

— როგორ იანგარიშე?

— 9 და 1 არის 10; 10 და 5 არის 15.

— როგორ მივუმატებთ 9-ს 8-ს?

—  $9 + 1 = 10$ ;  $10 + 7 = 17$ .

— რამდენია  $9 + 9$ ?

$9 + 9$  არის 18.

— როგორ იანგარიშე?

— 9 და 1 არის 10; 10 და 8 არის 18.

— გადაწერეთ დაფაზე დაწერილი მაგალითები.

მოსწავლეები დაფიდან იწერენ რვეულებში:

$$9 + 2 = 11.$$

$$9 + 1 + 1 = 11.$$

$$9 + 4 = 13.$$

$$9 + 5 = 14.$$

$$9 + 6 = 15.$$

$$9 + 7 = 16.$$

$$9 + 8 = 17.$$

$$9 + 9 = 18.$$

დავალება. კრებული, გვ. 66, მაგ. № 373-ის ა) და დ).

იმ დროს, როცა I კლასის მოსწავლეები იწერენ რვეულებში, მასწავლებლის მითითებით მორიგე მოსწავლე აგროვებს III კლასის მოსწავლეთა რვეულებს, რომლებსაც ჩაიბარებს მასწავლებელი. შემდეგ იგი აძლევს საშინაო დავალებას (კრებული, გვ. 119, მაგ. № 1285).

## IV

### I და III კლასი

გაკეთილის მასალა: I კლასში—გამრავლება და გაყოფა 20-ის ფარგალში (კავლილი მასალის განმეორება), III კლასში—მრავალნიშნა რიცხვების გაყოფა—გაყოფის ყველა შემთხვევის განმეორება).

## გაკვეთილის მსვლელობა

— (III კლასს). ამოიღეთ რვეულები, კალმისტრები. დაწერეთ დღევანდელი თვე და რიცხვი. გადაწერეთ და ამოხსენით დაფაზე დაწერილი მაგალითები. (მაგალითები დაფაზე დაწერილია წინასწარ, გაკვეთილის დაწყებამდე).

მოსწავლეები იწერენ და ხსნიან მაგალითებს:

28 858 : 47

37 882 : 62

131 564 : 31

295 920 : 72

319 800 : 150.

I კლასში საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ მასწავლებელი რამდენიმე წუთს უთმობს ზეპირ ანგარიშს:

— 5 გაამრავლეთ 3-ზე (პაუზა), გამოაკელით 8 (პაუზა).

— რამდენი მიიღეთ? შენ, გივი? შენ, პაატა? ვინ მიიღო სხვანაირად?

არასწორი პასუხის შემთხვევაში მასწავლებელი მოითხოვს მოსწავლისაგან საჭირო ახსნა-განმარტებას.

3—4 ამ სახის მაგალითის ამოხსნის შემდეგ გადავალთ ამოცანის ამოხსნაზე.

(იმ დროს როცა I კლასის მოსწავლეებს მოსაფიქრებლად ან საწერად ეძლევათ რამდენიმე წუთი, მასწავლებელი მიდის III კლასის მოსწავლეებთან და აკვირდება მუშაობის მსვლელობას).

ამოცანა. მოწაფეს 15 კაპიკი ჰქონდა. ამ ფულით მან 3 საშლელი იყიდა; თითო საშლელში 4 კაპიკი მისცა. რამდენი კაპიკი დარჩა მოწაფეს?

— გავიმეოროთ ამოცანა. რამდენი კაპიკი ჰქონდა მოწაფეს?

— მოწაფეს ჰქონდა 15 კაპიკი.

— რა იყიდა ამ ფულით მოწაფემ?

— მოწაფემ ამ ფულით იყიდა საშლელი.

— რამდენი კაპიკი მისცა თითო საშლელში?

— თითო საშლელში მისცა 4 კაპიკი.

— რას გვეკითხებიან ამოცანაში?

— რამდენი კაპიკი დარჩა მოწაფეს.

ამის შემდეგ შეეუდგებით ამოცანის ამოხსნას.

— რა უნდა გავიგოთ პირველად?

— რამდენი კაპიკი ღირს 3 საშლელი.

— როგორ გავიგებთ ამას?

— 4 კაპიკი უნდა ავიღოთ 3-ჯერ.

მასწავლებელი მოსწავლის კარნახით დაფაზე წერს:  $4 \text{ კაპ.} \times 3 =$   
 — შალვა! წაიკითხე რა დაეწერე დაფაზე და მითხარი რამდენი იქნება?

— 4 კაპიკი აღებული 3-ჯერ იქნება 12 კაპ.

მასწავლებელი შედეგს წერს დაჟაზე, მოსწავლეები კი იწერენ რევეულში.

— ახლა რა უნდა გავიგოთ?

— რამდენი კაპიკი დარჩა მოწაფეს.

— როგორ გავიგებთ ამას?

— 15 კაპიკს უნდა გამოვაკლოთ 12 კაპიკი.

— რამდენი დარჩება?

— 3 კაპიკი.

მასწავლებელი დაფაზე წერს:  $15 \text{ კაპ.} - 12 \text{ კაპ.} = 3 \text{ კაპ.}$  და ავალებს მოსწავლეებს გადაწერონ. მოსწავლეები იწერენ.

ამ დროს მასწავლებელი I კლასის მოსწავლეთა დამოუკიდებელი სამუშაოსათვის დაფაზე წერს მაგალითებს:

$$\begin{array}{ll} 3 \times 6 - 9 = & (11 + 5) : 4 = \\ 4 \times 4 - 7 = & (5 + 7) : 3 = \\ 5 \times 3 - 8 = & (9 + 6) : 5 = \end{array}$$

და ავალებს გადაწერონ და ამოხსნან.

III კლასში ვამოწმებთ დამოუკიდებელ სამუშაოს. მასწავლებელი ჩაიხედავს საუკეთესო მოსწავლის რევეულში და ეკითხება დანარჩენებს:

— შენ რამდენი მიიღე?

— შენ რამდენი?

თუ მაგალითი რომელიმე მოსწავლეს შეცდომით აქვს ამოხსნილი, მას ხელმეორედ ამოეხსნით დაფაზე.

— ახლა ამოეხსნათ ამოცანა.

75 კუბმეტრი თხმელის და 57 კუბმეტრი რცხილის შეშაში 12 285 მანეთი გადაიხადეს. კუბმეტრ თხმელაში 84 მანეთი მისცეს. რამდენი მანეთი მიუციათ კუბმეტრ რცხრილაში?

— გივი, გამოდა დაუასთან და დაწერე ამოცანის პირობა!

მოსწავლე ამოცანის პირობას დაფაზე წერს შემოკლებულად:

$$\left. \begin{array}{l} 75 \text{ კუბმ.} \\ 57 \text{ კუბმ.} \end{array} \right\} \begin{array}{l} \text{კუბმეტრი} - 84 \text{ მან.} \\ \text{?} \end{array} \quad 12 \text{ 285 მან.}$$

დანარჩენი მოსწავლეები ამასვე იწერენ თავიანთ რევეულში. (ამ დროს მასწავლებელი მიდის I კლასის მოსწავლეებთან და თვალს ადევნებს მათ მუშაობას).

შემდეგ მასწავლებელი ერთ მოსწავლეს კიდევ გაამეორებინებს ამო-

ცანის პირობას და ცალკე კითხვების საშუალებით აწარმოებს ამოცანის პირობის ანალიზს.

— რას აღნიშნავს ამოცანაში 12 285 მან.

— 12 285 მანეთი აღნიშნავს 75 კუბმეტრი თხმელისა და 57 კუბმეტრი რცხილის შეშის ფასს.

— რამდენი კუბმეტრი თხმელის შეშა იყიდეს?

— იყიდეს 57 კუბმეტრი თხმელის შეშა.

— რამდენი მანეთი მისცეს კუბმეტრ თხმელის შეშაში?

— კუბმეტრ თხმელის შეშაში მისცეს 84 მანეთი.

— რამდენი კუბმეტრი რცხილის შეშა იყიდეს?

— იყიდეს 57 კუბმეტრი რცხილის შეშა.

— რას გვეკითხებიან ამოცანაში?

— ამოცანაში გვეკითხებიან, რამდენი მანეთი მიუყიათ კუბმეტრ რცხილის შეშაში.

— შეგვიძლია თუ არა ერთბაშად ამის გაგება?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ ვიცით, რამდენი გადაიხადეს სულ 57 კუბმეტრ რცხილის შეშაში.

— რამდენი გადაიხადეს 75 თხმელის და 57 კუბმეტრ რცხილის შეშაში?

— გადაიხადეს 12 285 მანეთი.

— შეგვიძლია თუ არა გავიგოთ — რამდენი გადაიხადეს 75 კუბმეტრ თხმელის შეშაში?

— შეგვიძლია.

— მაშ, გაიმეორეთ პირველი კითხვა!

— რამდენი გადაიხადეს 75 კუბმეტრ თხმელის შეშაში?

— როგორ გავიგებთ ამას?

— 84 მან. უნდა ავიღოთ 75 ჯერ.

— შალვა გამოლდი დაფასთან და იანგარიშე!

მოსწავლე წერს:

$$\begin{array}{r} 84 \text{ მან.} \\ \cdot 75 \\ \hline 420 \\ 518 \\ \hline 6300 \text{ მან.} \end{array}$$

იმ დროს, როცა მოსწავლეები წერენ რვეულგბში, მასწავლებელი მიხედავს I კლასს და თუ მოსწავლეებს უკვე ამოცხნილი აქვთ დაფაზე დაწერილი მაგალითები, დამოუკიდებელი სამუშაოსათვის დაფაზე კიდევ წერს 2—3 მაგალითს.

- რამდენი გადაუხდიათ 75 კუბმეტრ თხმელის შეშაში?
- 75 კუბმეტრ თხმელის შეშაში გადაუხდიათ 6300 მანეთი.
- ახლა შეგვიძლია თუ არა გავიგოთ, რამდენი გადაიხადეს 57 კუბმეტრ რცხილის შეშაში?

- შეგვიძლია.
- მაშ, გაიმეორეთ მეორე კითხვა.
- რამდენი გადაიხადეს 57 კუბმეტრ რცხილის შეშაში?
- როგორ გავიგებთ ამას?
- 12 285 მანეთს უნდა გამოვაკლოთ 6300 მანეთი.
- არჩილ, გამოდი დაფასთან და გამოიანგარიშე!

მოსწავლე წერს:

$$\begin{array}{r} 12\ 285\ \text{მან.} \\ -\ 6\ 300 \\ \hline 5985\ \text{მან.} \end{array}$$

- რამდენი გადაუხდიათ 57 კუბმეტრ რცხილის შეშაში?
- 57 კუბმეტრ რცხილის შეშაში გადაუხდიათ 5985 მან.
- ახლა რა შეიძლება გავიგოთ?
- უკვე შეიძლება გავიგოთ, რამდენი მანეთი მისცეს კუბმეტრ რცხილის შეშაში.

- როგორ გავიგებთ ამას?
- 5 985 მან. უნდა გავყოთ 57-ზე.
- თენგიზ, გამოდი დაფასთან და იანგარიშე!
- მოსწავლე წერს:

$$\begin{array}{r} 5\ 985\ \text{მან} : 57 = 105\ \text{მან.} \\ \underline{\quad 285} \\ \quad 285 \\ \underline{\quad 285} \\ \quad 0 \end{array}$$

- რა გავიგეთ?
- რამდენი მანეთი მისცეს კუბმეტრს რცხილის შეშაში. საშინაო დავალება:

I კლასს: კრებული, გვ. 107, მაგ. № 278.

III კლასს: კრებული, გვ. 99, მაგ. № 1098.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. მეთოდური მითითებანი ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობისათვის (ძირითადი საკითხები და კონსპექტები).  
(საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაწვებითი სკოლის სამ-მართველო, თბილისი, 1939 წ.).
2. ნიორაძე გ., ერთდროულად ორ კლასთან მეცადინეობის ზოგიერთი საკითხი.  
(მეთოდური წერილები, კრებული I. ბათუმი, 1938 წ.).
3. ძიძიგური ვარლამ, ორ კლასთან ერთდროულად ქართულ ენასა და არითმეტიკაში გადასაცემი გაცვეთილების საორიენტაციო კონსპექტი.  
(გახ. „საბჭოთა მასწავლებელი“ 1939 წლის №№ 105 და 106).
4. ძიძიგური ვ., ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის ცხრილის შედგენისათვის.  
(გახ. „სახალხო განათლება“ 1952 წლის № 1).
5. ძიძიგური ვ., სამ და ოთხ კლასთან ერთდროულად მუშაობისათვის.  
(გახ. „სახალხო განათლება“ 1952 წლის № 41).
6. Белович П. М., Опыт работы с двумя классами.  
(Жур. „Советская педагогика“, 1938 г., № 7).  
Важный участок народного образования.  
(Жур. „За коммунистическое просвещение“, 26/II, 1937 г. № 29).
8. О работе с четырьмя классами в начальной школе. Сталинград, 1942 г.
9. О работе в двухкомплектной и одноклассной школах.  
(Начальная школа, Настольная книга учителя, под редакцией проф. М. А. Мельникова, Москва, 1950 г.).
10. Организация и методы работы учителя с несколькими классами.  
(Управление школ Министерства просвещения РСФСР, 1951 г.).
11. Организация и методы работы в двухкомплектной школе.  
(Пособие для учителей начальной школы. Под общим руководством и редакцией М. А. Мельникова, 1938 г.).
12. Орловский Б., И. Белевич П. М., Карсеева А. Н., Урок в двухкомплектной школе, Москва, 1941 г.
13. Учебные занятия в одноклассных и двухкомплектных школах [ряд статей] „Начальная школа“, 1949 г.).
14. Петрова В., Работа одного учителя с несколькими классами в массовых школах за границей.  
(Жур. „Начальная школа“, 1934 г., № 6).

## ზ ი ნ ა ა რ ს ი

გვერდები

**რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობის  
ზოგადი პრინციპები—ვ. ძიძიგური .**

8—60

ორკომპლექტიანი დაწყებითი სკოლა. ერთკომპლექტიანი დაწყებითი სკოლა. ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მუშაობის თავისებურებანი. ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის ძირითადი ფორმები. სწავლების მეთოდები და ხერხები. კლასების განაწილება. საკლასო ოთახის გაფორმება. სახელმძღვანელო წიგნები, სასწავლო ნივთები და დიდაქტიკური ნასალები. დამოუკიდებელი მუშაობის თემები და სახეები. ერთი და იგივე თუ სხვადასხვა საგანი უნდა ვასწავლოთ ერთდროულად ორივე კლასს მათთან ერთდროულად მუშაობის პირობებში? გაკვეთილების ცხრილი. ორკომპლექტიანი სკოლის გაკვეთილების ცხრილი—№ 1. ორკომპლექტიანი სკოლის გაკვეთილების ცხრილი—№ 2. ორკომპლექტიანი სკოლის I და III კლასების გაკვეთილების დროებითი ცხრილი—№ 3. ორკომპლექტიანი სკოლის II და IV კლასების გაკვეთილების დროებითი ცხრილი—№ 4. გაკვეთილის დაგეგმვა, ჩატარება: ა) გაკვეთილი, როცა ორივე კლასში ახალი მასალა უნდა აიხსნას, ბ) გაკვეთილი, როცა ერთ კლასში ახალი მასალა ისწავლება, მეორეში კი ნასწავლის გამოკითხვა-განმტკიცება ან აღრიცხვა მიმდინარეობს, გ) სანიმუშო დაგეგმვა გაკვეთილისა, რომელზედაც მუშაობა ორივე კლასში ნაცნობ მასალაზე წარმოებს. ძველი მასალის განმეორება-განმტკიცება. ერთკომპლექტიანი სკოლაში მუშაობის შესახებ. გაკვეთილების საორიენტაციო ცხრილი I, II და III კლასებთან ერთდროულად მეცადინეობისათვის—№ 1. გაკვეთილების საორიენტაციო ცხრილი II, III და IV კლასებთან ერთდროულად მეცადინეობისათვის—№ 2. გაკვეთილების საორიენტაციო ცხრილი I, II, III და IV კლასებთან ერთდროულად მეცადინეობისათვის—№ 3.

**ქართული ენა—ვ. ძიძიგური .**

61—86

მშობლიური ენის შესწავლის მნიშვნელობა. პროგრამები, სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები. ქართული ენის სწავლების მეთოდები. დამოუკიდებელი მუშაობის თემები და სახეები ქართული ენის სწავლებისას: I კლასი, II კლასი, III კლასი და IV კლასი.

## გაკვეთილების გეგმები და კონსპექტები—ვ. ძიძიგური .

გეგმები ორი გაკვეთილისა. კონსპექტები: 1) როცა I და III კლასებში ქართული ენა ისწავლება ერთდროულად; 2) როცა ერთდროულად ისწავლება I კლასში ქართული, ხოლო III კლასში—არითმეტკა; 3) როცა I კლასში ქართული, ხოლო III კლასში რუსული ენა ისწავლება; 4) როცა ქართული ენა ისწავლება II და IV კლასებში ერთდროულად; 5) როცა II კლასში რუსული ენა ხოლო IV კლასში ქართული ენა ისწავლება ერთსა და იმავე დროს; 6) როცა II კლასში ქართული ენა, ხოლო IV კლასში არითმეტკა ისწავლება; 7) როცა II კლასში ქართული ენა, ხოლო IV კლასში გეოგრაფია ისწავლება; 8) როცა სამი და 9) როცა ოთხი კლასი ერთად შეცადინეობს ერთი მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

## Русский язык—ვ. დემური .

156—173

За период прохождения русского букваря. Прохождение букваря. Виды заданий учащихся II—III—IV классов по русскому языку для самостоятельного выполнения: II класс: а) за период лексических уроков, б) за букварный период, в) после букваря. III и IV классы. Пояснения к урокам.

## Уроки по отдельным разделам работы—ვ. დემური . 173—211

Урок № 1. Урок № 2. Урок № 3. Урок № 4. Урок № 5.  
Урок № 6. Урок № 7. Урок № 8. Урок № 9. Урок № 10.  
Урок № 11. Урок № 12.

## არითმეტკა—შ. იაშვილი .

212—222

დამოუკიდებელი სამუშაოები: I კლასში, II კლასში, III კლასში, IV კლასში.

გაკვეთილის გეგმები: I და III კლასებში; II და IV კლასებში.

მუშაობის ნიმუშები: I და III კლასებში; II და IV კლასებში

## გამოყენებული ლიტერატურა .

223

**რედაქტორები ბ. ნიკრადი, ვ. ჰაჭანიძე**

**ტიპოგრაფიული რედაქტორი ხ. ლორთქიფანიძე**  
**მხატვარი რ. რევაზიშვილი**  
**კორექტორი ა. ოშიაძე**  
**კონტროლიორ-კორექტორი მ. შამხთავალიშვილი**

---

გადაეცა წარმოებას 15/VII-52, ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/X-52, ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა—14,75, სააღრ.—საგამომც.—12.46, საავტორო—12.16, წიგნის ზომა  $6\frac{1}{2} \times 10\frac{1}{2}$ , ქაღალდის ზომა 60X92, ტირაჟი 300 ს, უფ 14503. შეკვ. № 1928.

---

სტამბა „ზარია ვოსტოკა“ თბილისი, რუსთაველის პარკი., № 42.